ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით ფასი: 1 ლარი
20-26.XI 2013 №47

სარკე

„ირაკლი ნამდვილად სიმპათიურია და რა ვქნა, რა გავაკეთო? დიახაც, ჩემთვის საუკეთესოს ვირჩევ“

ნათია ფანჯიკიძე: „ნამდვილად არ მინდოდა, ჩემი ქმარი პრეზიდენტი ყოფილიყო“

ირაკლი ალასანიას ცოლი პრინცს უწოდებს გვ.8

კოტე თოლორდავას გასაოცებლად მისმა ცოლმა „სარკე“ გამოიყენა გვ.22

„40 წლის რომ გავხდები, მინდა, განომ შვილი გამიჩინოს“

გვ.32

ანრი ჯოხაძე ეთერ კაკულიას როლში ჩარჩა

ნუკა გვალია დედის გვარზე გადავიდა და კვალიაშვილი გახდა გვ.38

გვ.30

ნოდიკო ტატიშვილს სიყვარულმა ოჯახის შექმნა გადააწყვეტინა

გვ.10

რატომ აგდებდა შოკში ნიკა გვარამია ცოლის მეგობრებს

გვ.6

მეჯვარის ღალატი რა მოხდა ზუგდიდში

სარკე + „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“
მე-15 ტომი
ფასი ჟურნალთან ერთად 10 ლარი

ISSN 1987-9369

ასევე ხდება „ქმის ცოლი ჩემი ქმრისგან დაორსულდა“ „აფეთქება“ ოჯახში გვ.46



ბაზარზე ინტერნეტ სიჩქარე 50 მბ/წმ - მდე

მოქმედების პერიოდი: ღამის 12სთ-დან დილის 8სთ-მდე
მხოლოდ ოპტიკური ქსელის აბონენტებისთვის

ოპტიკური ტექნოლოგიები

ნომერში

გახმაურებული საქმე

მეჯვარის ღალატი — რა მოხდა ზუგდიდში 6

მეორე ნახევარი

- ირაკლი ალასანიას ცოლი პრინცს უწოდებს 8
- რატომ აგდებდა შოკში ნიკა გვარამია ცოლის მეგობრებს 10

გულახდილი საუბრები 12

პოლიტიკა

- მარგველაშვილი თუ დარიბაშვილი — ვინ იქნება პირველი? 16
- ნაცმოძრაობა რეპრესიების მოლოდინშია 17
- რამ დაამარცხა მიხეილ სააკაშვილი 19

განსაცდელი

რეანიმაციაში მყოფი ლუბა ელიავშვილი კონტექტურია და გამართულად საუბრობს 21

ცოლ-ქმრის კლუბი

კოტე თოლორდავას გასაოცებლად მისმა ცოლმა „სარკე“ გამოიყენა 22

სამშობლოდან შორს

მსახიობი ხათუნა ითსელიანი ამერიკის მოქალაქე გახდა 23

შეჭირვებული

ნელი კვახაძე: „მშია, მაგრამ ჩემს ნახატებს გასაყიდად ვერ ვიმეტებ“ 25

კინოინოსტალგია

„სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ — ფილმი, სადაც ეროსიმ მეგობრისთვის როლი დათმო 26

მოზარდები 28

ეტაპი

ნოდიკო ტატაშვილს სიყვარულმა ოჯახის შექმნა გადააწყვეტინა 30

კონკურსანტი

სალომე ქათამაძე: „კონკურსმა ქმართან დამაშორა“ 31

სამეგობრო

ეთერ კაკულია და ანრი ჯოხაძე ბიძინა იყანიშვილის დედასთან ჭორვილაში ჩასვლას აპირებენ 32

არშემდგარი გეგმები

თაკო ჩხეიძე: „კულტურის სამინისტროში არ ესმით, რა მნიშვნელობა აქვს მოდას“ 33

წყვილი

იოანე არაბულის ფანებმა მის შეყვარებულს ომი გამოუცხადეს 35

ავტომოყვარული

ეკა აბშილავას მამაკაცი მძღოლები ავტორბოლაში იწვევენ 36

სამზარეულო

თემიკო ჭიჭინაძე სალათების იმპროვიზატორია 37

მოლოდინი

ნუკა გვალია დედის გვარზე გადავიდა და კვალიაშვილი გახდა 38

შინ

ხათუნა ხოფერია: „უკვე მეცხრე ბინა გავარემონტე“ 39

ცხოვრება ჩემოდნებზე

ბექა ჩხაიძე: „ეგვიპტეში ექვსჯერ ვიყავი და პირამიდები არ მინახავს“ 43

მეგზური

კარლოვი ვარი — კურორტი, სადაც ფულის დახარჯვა არ გეყნებათ 44

ასეც ხდება

„ქმის ცოლი ჩემი ქმრისგან დაორსულდა“ — „აფეთქება“ ოჯახში 46

მხოლოდ ქალებისთვის 48

დედიკოების სკოლა 49

ცოტ-ცოტა ყველაფერზე 50

ადამიანის ინსტიტუტი 51

ჩემი მშვენიერი ლედი

ლეკან ახალედიანი: „ჩემი მეწყვილეების გამო ცოლს ვჩაგრავ“ 52

სპორტის მიღმა 53

შეშლილი. შეშლილი. შეშლილი მსოფლიო 54

სახალისო 56

იყავით ჯანმრთელი 58

რატომ არ უშვებენ ქართველებს თბილისის აზიურ ბარებში

„ღამის თბილისი მთლიანად საბოზეთია!“

თბილისის ღამის კლუბები უკონტროლო ბნელი სივრცეა, სადაც ყველამ იცის ან ხვდება მაინც, რა შეიძლება ხდებოდეს. ცოტა ხნის წინ დედაქალაქის ცენტრში გამართულმა აქციამ ამ სიბნელის ერთ კუთხეს ახადა ფარდა და იქიდან საშინელმა სიბინძურემ „გამოანათა“.

„მამათმავლებო, შორს საქართველოდან!“, „არ დავუშვებთ სოდომ-გომორის ცოდვებს!“, „სასწრაფოდ დაიხუროს ბარ-ბორდელები!“ — ასეთი პლაკატებით ქართველი მამაკაცები ნოემბრის ერთ საღამოს თბილისის ცენტრში მოწყობილ აქციაზე გამოჩნდნენ. მათი პროტესტი და აღშფოთება იმ ფაქტით იყო გამოწვეული, რომ, როგორც გაირკვა, საქართველოს დედაქალაქში უკვე დიდიხანია ქართველებს აზიურ ბარებში, მათი უცხოელი მფლობელების განკარგულებით, არ უშვებენ.

გვ.14

კროსვორდები 60

ჭრელაჭრელა 62

სიცილის გვერდი 63

უცხოური დეტექტივი

წითელი სახლის საიდუმლოება (გაგრძელება) 64

ქალური მოთხრობები

თინათინ ბონი. ოცნების ძიებაში (გაგრძელება) 66

გზა ტაძრისაკენ

მამა არჩილი: „მღვდლობა ისეთი მოულოდნელობა აღმოჩნდა, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი“ 71

წმინდანები

თურმე რამდენი რამ შეუძლია ადამიანს, თუ საამისოდ მონდომება და სურვილი აქვს — ცხოვრება ღირსსა თეოფილე ათონელისა 72

კითხვები მოძღვარს

„შენი ლოცვა რომ ღმერთმა გაიგოს, ის ჯერ შენ უნდა გესმოდეს“ 74

საბავშვო გვერდი 76

კულინარიული შედევრები 77

ხელსაქმე 78

№47(812) 20 — 26 ნოემბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 18.11.2013, 21.00 სთ-ზე.

გიორგი მარგველაშვილის პირველი საპრეზიდენტო სიტყვა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 17 ნოემბერს ბიბლიასა და საქართველოს კონსტიტუციაზე ფიცი დადო. ინაუგურაციის ცერემონიალი მოკრძალებული ანუ ღარიბბიუჯეტიანი ქვეყნის შესაბამისი გახლდათ. პარლამენტის ეზოში გამართულ ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს პარტიარქი, პრემიერმინისტრი და მინისტრები ცოლებით, პარლამენტის დეპუტატები, უცხოეთის დელეგაციები, საზოგადოების ცნობილი სახეები, ორკესტრი და სამხედროები.

პრეზიდენტის სიტყვაც საკმაოდ მოზომილი იყო. მიმართვის ადრესატებში თავდაპირველად პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი დაასახელა, ისევე, როგორც შესვლისას ჯერ ივანიშვილს ჩამოართვა ხელი და მერე კათოლიკოს-პატრიარქს ეამბორა. თავის გამოსვლაში მან აქცენტი ქვეყნისთვის რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე გააკეთა, მათ შორის იყო დასავლეთისკენ სწრაფვისა და დაახლოების ვექტორი, დემოკრატიული განვითარება, გზავნილი აფხაზებისა და ოსების მისამართით ქვეყნის ერთობლივად აყვავების შესახებ, კავკასიის რეგიონში საქართველოს ისტორიული მისია. ერთი სიტყვით, სტანდარტული საპრეზიდენტო პაკეტი შემოგვთავაზა.

დაბოლოს, როგორ აპირებს ქვეყანა ყველაზე რთული პრობლემის, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას.

— ჩვენ კვლავ ვაცხადებთ მზადყოფნას, გავაღრმავოთ რუსეთთან დიალოგი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პარალელურად, საქართველოს ეროვნული ინტერესების, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების სრული პატივისცემის გათვალისწინებით და ურთიერთობების საფუძველზე გადავჭრათ დღეს არსებული პრობლემები, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ინაუგურაციის ცერემონია, რომელიც დღის პირველ საათზე დაიწყო, დაახლოებით ნახევარ საათში დასრულდა. ამის შემდეგ გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლებში დაცემულთა ხსოვნის მემორიალი გვირგვინით შეამკო.

შალვა ნათელაშვილმა ინაუგურაციის დღეს რუსთაველზე მოძრაობა შეაჩერა

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის პარალელურად რუსთაველის გამზირზე მოძრაობა დროებით შეჩერებული იყო, მიზეზი კი ლეიბორისტების მსვლელობა გახლდათ. შალვა ნათელაშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს არ ეთანხმება. იგი ხმების ხელახლა გადათვლას ან ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვს.

ნათელაშვილი აქციაზე

— ჩვენ ვიწყებთ ძალიან დიდ სახალხო მოძრაობას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისათვის. ჩვენ ვერ ავიტანთ ნაცებისა და „ოცნების“ ბოგინს ჩვენს ქვეყანაში! ჩვენ ვერ ავიტანთ მაგათ მილიონიან ჯიპებს, „პრადოებს“, მილიარდიან სასახლეებს, საბანკო ანგარიშებს. ჩვენ ყველაფერი ეს უნდა დავუბრუნოთ ჩვენს ხალხს, ვისაც წაართვეს! — განაცხადა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტების ლიდერმა პროტესტის ნიშნად პარლამენტის შენობასთან ბიულეტენები დაყარა, რომლებიც, მისი თქმით, გაყალბებულია.

მთავრობის შემადგენლობა უცვლელი დარჩა

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს მინისტრთა კაბინეტი უცვლელი დარჩა. ამის შესახებ საგანგებო განცხადება 18 ნოემბერს მომავალმა პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა. მისი თქმით, ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა იქცა ქმედით გუნდად, რომელმაც კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ამიტომაც „უკლებლივ ყველა მინისტრი გააგრძელებს მუშაობას“. ერთადერთი ცვლილება, რაც ღარიბაშვილის გაპრემიერებას მოჰყვება, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ალექსანდრე ჭიკაიძის დასახელებაა.

— მე ერთი წელი ვიყავი ამ გუნდის წევრი და ისინი მუშაობაში მყავს გამოცდილი. მთავრობის ყოველმა წევრმა თავდადებით იმუშავა 24 საათიან რეჟიმში და აქამდე მოვიდა მნიშვნელოვანი შეცდომებისა და გადაცდომების გარეშე. ეს არის ნამდვილად ევროპული გუნდი, ამ ერთი წლის მანძილზე დაამტკიცეს, რომ მზად არიან, ემსახურონ თავიანთ ხალხსა და ქვეყანას. სწორედ ამიტომ მე უცვლელად გთავაზობთ მთავრობის მთელ შემადგენლობას. უკლებლივ ყველა მინისტრი გააგრძელებს თანამდებობაზე მუშაობას, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კახა კალაძე „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი ხდება

პარტია „ქართულ ოცნებას“ ახალი გენმდივანი ეყოლება — კახა კალაძე, რომელიც ამ პოსტზე ირინა იმერლიშვილს ჩაანაცვლებს. პარტიის ამჟამინდელი გენერალური მდივანი, ირინა იმერლიშვილი კი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გახდება. ამ ცვლილებებს პარტია 24 ნოემბერს დაგეგმილ ყრილობაზე დაამტკიცებს, სადაც ასევე აირჩევენ ახალ თავმჯდომარეს და ის, სავარაუდოდ, ირაკლი ღარიბაშვილი იქნება. ასევე ცნობილია, რომ პოლიტსაბჭოს წევრთა რაოდენობა 26-დან 12-მდე შემცირდება.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან აღვაძე, ლანა კაკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარედაქციო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

■ დავით ზურაბიშვილი

დავით ზურაბიშვილმა აშშ-ის ელჩი გააკრიტიკა

რესპუბლიკური პარტიის წევრმა, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწემ, დავით ზურაბიშვილმა, აშშ-ის ელჩ რიჩარდ ნორლანდის მიერ სტუდენტებთან გაკეთებულ განცხადებას არასწორი უწოდა. ელჩმა შეხვედრაზე განაცხადა, ქართველები აფხაზებს და ოსებს დაახლოებით ისე ეპყრობოდნენ, როგორც მანამდე რუსები ქართველებს და ამისთვის ბოდიშის მოხდა მოუწევთო.

— ბატონი ნორლანდის განცხადება, რომ ჩვენ აფხაზებს და ოსებს ვექცეოდით ისე, როგორც ჩვენ რუსები გვექცეოდნენ, არასწორია. ეს განცხადება სასიამოვნო არაა მათთვის, ვინც ჩახედულია ამ საქმეში. ის აზრი, რომელიც მან გამოთქვა, მარტო მისი არაა. საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მხრიდან მსგავსი რამ ადრეც არაერთხელ ითქვა. გარდა ამისა, ის, რომ თითქოს ჩვენ აფხაზებს და ოსებს ვექცევით ძალიან ცუდად, მსოფლიოს საზოგადოებაში დღემდეა გაბატონებული.

■ რიჩარდ ნორლანდი

მეორე მხრივ, ჩვენ გარკვეულწილად თვითკრიტიკულები უნდა ვიყოთ. თუ 20 წლის წინანდელ პრესას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ შესაძლოა ასეთი წარმოდგენა შექმნოდა ბევრ უცხოელს, რომელიც არ იყო ღრმად ჩახედული ჩვენს ისტორიაში. ეს განცხადებები და პუბლიკაციები ძალიან კარგად იქნა გამოყენებული პროპაგანდისთვის. ამ მხრივ ბევრი სამუშაო გვაქვს როგორც წარსულის, ისე საკუთარი თვალთახედვის თვალსაზრისით, — ამბობს დავით ზურაბიშვილი.

გიორგი თარგამაძე მიდის, მის ადგილს გიორგი ახვლედიანი იკავებს

პარტია „ქრისტიან-დემოკრატებში“ განახლების პროცესია. ირკვევა, რომ ეს განახლება პარტიის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძის მიერ პოლიტიკაში პაუზის აღებას უკავშირდება. ვრცელდება ინფორმაცია, რომ თარგამაძე დროებით უცხოეთში წასვლას გეგმავს, მის თანამდებობას კი გიორგი ახვლედიანი დაიკავებს. პარტიაში ამ ინფორმაციას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ, მაგრამ ამბობენ, რომ განახლება ნამდვილად მიმდინარეობს.


■ გიორგი ახვლედიანი


■ გიორგი თარგამაძე

ქდმ-მ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა და პარლამენტის მიღმა დარჩა, ხოლო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი თარგამაძემ ამომრჩეველთა ხმების 1,6% მიიღო.

სანდრა რულოვსი ქორწინებიდან მეოცე წლისთავს ცრემლებით შეხვდა

17 ნოემბერს, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, სანდრა რულოვსი, ქართველ საზოგადოებას სევდიანი წერილით დაემშვიდობა, სადაც წერს, რომ ქორწინებიდან მეოცე წლისთავს ცრემლებით შეხვდა. ეს წერილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა, თან ის სურათი დაურთო, რომელიც წყვილმა 20 წლის წინ, 17 ნოემბერს გადაიღო.

■ სანდრა და მიშა 20 წლის წინ

„ოცი წლის წინ, 17 ნოემბერს მე ვუთხარი მიშას: „დიახ, თანახმა ვარ“. რიგითი დღე, ჩვეულებრივი სამოსი და ხელში ერთი ვარდი.

ათი წლის წინ, 2003 წლის ნოემბერში მე ვუთხარი საქართველოს: „დიახ, მე ამას გავაკეთებ“. ჩვეულებრივი ახალგაზრდა ქალი არაჩვეულებრივი მამაკაცის გვერდით. სადაც კი წავედი, ყველგან ვარდები მივიღე.

დღეს, 2013 წლის 17 ნოემბერს ჩვენი ქორწინების 20 წლისთავზე არც ერთი ვარდი, მაგრამ ეკლები და ცრემლები.

ჩვენი პატარა შვილი მიყურებს და კითხულობს: „მალე დავბრუნდებით სახლში?“. ისევ იმედითა და ნდობით სავსე ნიკუშას ვპასუხობ: „დიახ, ჩვენ დავბრუნდებით“... სანდრა, ჰოლანდია“, — წერს სანდრა რულოვსი.

ისრაელში 90 დღე უვიზოდ!

საქართველოსა და ისრაელის სავიზო რეჟიმი გაუქმებულია. შინაგან საქმეთა სამინისტროში საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობებს შორის ეროვნული პასპორტების მფლობელთათვის ვიზისგან გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას ხელი უკვე მოეწერა. შსს-ს ცნობით, საქართველოს მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ხოლო ისრაელის მხრიდან — ისრაელის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ფაინა ქირშენბაუმმა. აღნიშნული შეთანხმება საქართველოს მოქალაქეებისათვის ისრაელის სახელმწიფოში 6 თვის განმავლობაში 90 დღით უვიზოდ ყოფნას ითვალისწინებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა და საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იუვალ ფუქსმა ასევე ხელი მოაწერეს დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საჯარო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“. როგორც შსს-ში აცხადებენ, დოკუმენტი განსაზღვრავს მხარეებს შორის თანამშრომლობის წესებს ყველა იმ მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ისრაელის სახელმწიფოს საჯარო უსაფრთხოების სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება.

შეთანხმებები ძალაში მას შემდეგ შევა, რაც მხარეები აუცილებელ შიდასახელმწიფოებრივ პროცედურებს დაასრულებენ.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

მეჯვარის ღალატი

რა მოხდა ზუგდიდში

■ კახა და ანა

ვინც ზუგდიდში ბავშვობის მეგობრებს, კახა გულორდავასა და მის მეჯვარეს, გოგა ანჩაბაძეს იცნობდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ მათ მეგობრობას ასეთი საშინელი დასასრული ექნებოდა და, პირველ რიგში, ეს რა თქმა უნდა, თავად მათთვის იყო წარმოუდგენელი.

ამა წლის 12 ნოემბერს გოგა ანჩაბაძე ზუგდიდში, პოლიტექნიკური კოლეჯის ეზოში, მძიმე მდგომარეობაში — დასერილი, ყურმოჭრილი და შიშველი იპოვეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს კახა გულორდავას შურისძიება იყო იმისთვის, რაც გოგამ ჩაიდინა. მეგობარი მეგობარს ასე სასტიკად ცოლის შეურაცხყოფისთვის გაუსწორდა. გოგა ანჩაბაძე კახას ცოლის, ორი თვის ორსული ანა ძაპტაშვილის გაუპატიურების მცდელობაშია ეჭვიტანილი. გოგონა გაუპატიურებას კოლეჯის ეზოში მცხოვრებმა დევნილებმა გადაარჩინეს.

კახა გულორდავა სამართალდამცავებს საკუთარი ნებით ჩაბარდა და აღნიშნული ფაქტის შესახებაც თავად განაცხადა. მის მიმართ ბრალი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით არის წაყენებული. სასამართლო დარბაზიდან გირაოს, 2.000 ლარის სანაცვლოდ გაათავისუფლეს, რასაც რამდენიმე დღის განმავლობაში წინ უძღოდა ნათესავ-ახლობლების ხმაურიანი აქციები ზუგდიდში მისი გათავისუფლების მოთხოვნით.

დასახიჩრებული გოგა ანჩაბაძე ქუთაისის საავადმყოფოში გადის მკურნალობის კურსს. მის მიმართაც საქმეა აღძრული გაუპატიურების მცდელობის ბრალდებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა „სარკესთან“ აღნიშნა, რომ საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ გოგა ანჩაბაძეს პოლიციელის წოდება ჩამოერთმევა.

ორსული ანა ძაპტაშვილი ამჟამადაც მძიმე სტრესულ მდგომარეობაშია. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა, რის გამოც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

„კახას და ანას წყვილს ყველა ისე იცნობს, ჰოგოჩს ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდები. მათ სიყვარულზე ღეგენდები დადიოდა“.

გახმაურებული ინციდენტის დეტალები „სარკეს“ ანა ძაპტაშვილის დედამ, რუსუდან ლომაიამ უამბო. „სარკე“ შეეცადა, მეორე მხარეს, ანუ გოგა ანჩაბაძის ოჯახსაც დაკავშირებოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ისინიც მძიმედ განიცდიან მომხდარს და არავის ეკონტაქტებიან.

რუსუდან ლომაია:

— გოგა ანჩაბაძე ქორწილის შემდეგ არც ჩემი სიძის სახლში ყოფილა და არც ჩვენთან. ამას მის მოუცლელობას ვუკავშირებდით. ჩემი სიძის, კახა გულორდავას დედას თბილისში ოპერაციას უკეთებდნენ. რადგანაც ანა ორსულადაა და განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, კახამ ჩემთან სახლში მოიყვანა, ჩვენ ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობთ. საღამოს ანას ტელეფონზე ვიღაცამ დარეკა. ჩემმა შვილმა ნომერი ვერ იცნო, ჰკითხა, რომელი ხარო. გოგა ვარ, თქვენი მეჯვარე, შენი მეუღლე სად არისო. კახა თავის სახლშია, მე დედასთან ვარო, უპასუხა ანამ. ჩხოროწყუდან მოვდივარ, გზად შენს სახლს გავივლი და თქვენი ნახვა მინდაო, უთხრა გოგამ. მოკლედ, სტუმარს ჭიშკართან შევეგებეთ. ანა გულში ჩაიხუტა, უთხრა, ჩემი დაიკო ხარო. მეც მომიკითხა, ქალბატონო, ძალიან მიყვარხართ, ჩხოროწყუში ღვინო მაჩუქეს და მოგიტანეთო. რა თქმა უნდა, სახლში შევიპატიჟეთ.

— შემდეგ თქვენი ქალიშვილი გოგა ანჩაბაძის მანქანაში აღმოჩნდა და საბოლოოდ კოლეჯის ეზოში ის დრამა დატრიალდა. ეს როგორ მოხდა?

— როცა გოგა სახლში შემოვიპატიჟეთ, გვითხრა, ნასვამი ვარ, ანა გამიმყვეს, კახას წამოვიყვანთ და ერთად ვიქეიფოთო. ანას უთხრა, უკან დაჯექიო. ვიფიქრე, წინ ალბათ ღვინო ან ნობათი უდევს-მეთქი. ჩემი შვილი მართლაც უკან ჩაუჯდა. მანქანის უკანა ფანჯრები დაბურული იყო, ეს ყველაფერი ახლა მახსენდება, თორემ მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია. როგორ შეიძლებოდა, მეჯვარეზე რამე მეფიქრა?!

„გოგა ანას თმაში სწვდა, მანქანის „კაპოტს“ თავი არტყმევინა, მისი გათიშვა მოინდომა. თუმცა ეუბნებოდა, ჩემი ქალი ხარ, აქ მოდიო. ჩემი შვილი კი იბრძოდა“.

მოკლედ, სუფრის გაშლა დავიწყე. დაახლოებით ერთ საათში ანა ოთახში ეტეში ანა სახლში აკანკალებული, შეშლილი სახით შემოვიდა. მარტო რომ დაბრუნდა, გამიკვირდა. ვკითხე, გოგა და კახა სად არიან-მეთქი. დედა, გოგა ვინ ყოფილა, კინაღამ მომკლა, მანქანა 200-ით მიჰყავდა, ღამის ორმა მანქანამ გაგვიტანა, ისეთ ადგილას გააჩერა, შემეშინდა, ხალხმა დამინახა, რომ შეშინებული ვიყავი, ტაქსში ჩამსვეს და სახლში მომიყვანეს, გოგა კი წავიდაო.

ზუგდიდში, წერეთლის ქუჩის დასაწყისში, ყოფილი კოლეჯია, სადაც აფხაზეთიდან დევნილები ცხოვრობენ. სწორედ მათ მომიყვანეს ჩემი შვილი სახლში.

— ანუ ანამ მისი გაუპატიურების მცდელობის ფაქტი დაგიმალათ?

— დიახ. სახლში ოჯახის ყველა წევრი ვიყავით, მათ შორის — ანას მამაც და ძმაც, ამიტომ იქ არაფერი უთქვამს. როცა საძინებელში შევიყვანე, სიბნელის მეშინიაო, ამბობდა. დამამშვიდებელი მივეცი და მაშინ მკითხა, დედა, შენ თუ მიხვდი, რაც მოხდაო. ისეთი საშინელება მომიყვა, ახლაც შოკში ვარ.

იქ, სადაც დევნილები ცხოვრობენ, მიტოვებული ადგილია. ეზოში რომ შეხვალთ, შემდეგ ჭიშკარია და იქიდან უკვე ბნელი და უკაცრიელი ადგილი. ანამ მითხრა, გოგამ გზაში სისწრაფეს მოუმატა, ძალიან შემეშინდა, ამიტომ კახას ნომრის აკრეფა დავიწყე, მაგრამ საჭე ისე ატრიალა, ტელეფონი ხელიდან გამივარდაო. გოგას დევნილებით დასახლებულ ადგილას შეუხვევია და იმ ადგილისკენ წასულა, სადაც სიბნელე იყო. კიდევ კარგი, ის ჭიშკარი დაკეტილი დახვდა.

გოგას მანქანის კარი დაუბლოკავს და, რადგან ანა უკან იყო, მისკენ გადასვლა მოუნდომებია. ამ დროს უფლის ნებით ჩემმა შვილმა კარის გაღება შეძლო. ანა სიფრიფანა გოგოა, ის კი — გოლიათი. გოგა ანას თმაში სწვდა, მანქანის „კაპოტს“ თავი არტყმევინა, მისი გათიშვა მოინდომა. თურმე ეუბნებოდა, ჩემი ქალი ხარ, აქ მოდიო. ჩემი შვილი კი იბრძოდა. გოგა კისერში სწვდა, მაგრამ რაღაცნაირად ანა ხელიდან დაუსხლტა, თან კიოდა. თურმე ამ დროს გარეთ დედა-შვილი იყვნენ და კივილის ხმა გაიგონეს. ეს ქალი რომ მისული, თურმე გოგა ყვიროდა, ეს ჩემი ქალია, თქვენი საქმე არ არისო. ანა კი კიოდა, მოტაცებული ვყავარ, მოტყუებით წამომიყვანა, მეჯვარეაო. ეს ქალი გაბრუნებულა და ვინც იმ კორპუსში ცხოვრობდა, ყველა ჩამოუყვანია. მათით უდგას დღეს სული ჩემს ქალიშვილს... ანას ხელი ჩაავლეს, თურმე ერთ მხარეს ისინი ეჭიდავებოდნენ, მეორე მხარეს გოგა. ხალხმა ანა დამალა. თურმე გოგა ოთახებში დარბოდა, სისხლი დაიღვრება, შენ თუ ხმას ამოიღებ, შენი ქმარი ცოცხალი აღარ იქნება, მოკვდება, ახლავე გამოდიო. ჩემი შვილი იმ სრულიად უცნობმა ადამიანებმა გადაარჩინეს. ანა ტაქსში ჩასვეს, რამდენიმე მათგანიც ჩაუჯდა და სახლში მომიყვანეს.

— თქვენმა სიძემ, კახა გულორდავამ, როდის და კისგან შეიტყო ეს ამბავი?

— პირველ რიგში, ჩემი შვილის მომავალზე ვიფიქრე, ამიტომ იმ ღამეს არავისთვის არაფერი გვითქვამს. თან ანა ისეთ მდგომარეობაში იყო, დამამშვიდებელი მივეცი. მეორე დღეს პოლიციის შენობასთან მივედი, გოგა ანჩაბაძეს სამჯერ დავურეკე, მაგრამ არ მიპასუხა. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ მე ვიქნებოდი, რადგან პედაგოგი ვარ და კორპორაციული ნომერი მაქვს. ამის შემდეგ მას შეტყობინება გავუგზავნე, ანას დედა ვარ, პოლიციის შენობის წინ ვდგავარ, დალაპარაკება მინდა, თუ არ გამოხვალ, საჩივარს დავწერ-მეთქი. იმ წამსვე დამირეკა, მაგრამ ვერ ვუპასუხე, რადგან შემთხვევით ჩემმა სიძემ ჩამოიარა. კახა სამარშრუტო ტაქსზე მუშაობს. ასეთი აღელვებული რომ დამინახა, მაშინვე მკითხა, ანა ხომ არ არის ცუდადო. ვუთხარი, რომ მასთან საქმე მქონდა, მაგრამ მანამდე სადღაც უნდა გავსულიყავი და მას მანქანაში ჩავუჯექი.

კახას მანქანიდან ისეთ ადგილზე ჩამოვედი, სადაც გოგასთან დალაპარაკებას შევძლებდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ მე კახას ვესაუბრებოდი, გოგა სულ მირეკავდა. პირუტყვი ხარ-მეთქი, ვუთხარი. კი, ქალბატონო, სახედარიც ვარ, პირუტყვიც, რადგან გუშინ ძალიან შემეშალა, მაგრამ გირჩევთ, ეს არ გაახმაუროთ, თქვენი შვილის მომავალზე იფიქრეთ, ოჯახი არ დაენგრესო, მითხრა. ალბათ წარმოგიდგენიათ, ასეთ მდგომარეობაში რას ვეტყოდი და როგორ დაველაპარაკებოდი. ამ დროს ჩემი სიძე მანქანიდან ჩამოსულა. მკითხა, რა ხდება, ვის ელაპარაკებოდით, ასეთ მდგომარეობაში რატომ ხართო. ვუთხარი, რომ მის მეჯვარეს, გოგას ველაპარაკებოდი, მაგრამ სიმართლე ვერ გავუმხილე. იგივე ვარიანტი მოვუყევი, რაც ანამ თავიდან გვითხრა. გაუკვირდა, ჩემი მეჯვარე ასე როგორ მოიქცაო.

იმ დღეს კახა ჩვენთან სახლში დარჩა. დილით კი ჩემმა შვილმა ყველაფერი უთხრა და სწორედ იმ დილით მოხდა ის ამბავი. ამის შემდეგ კახა პოლიციაში თვითონვე გამოცხადდა.

— მანამდე როგორი ურთიერთობა ჰქონდათ თქვენს სიძესა და გოგა ანჩაბაძეს, მათ შორის

Cyan Magenta Yellow Black

რაიმე კონფლიქტი ხომ არ იყო?

— არა, რას ამბობთ! ისინი ბავშვობის მეგობრები იყვნენ, საბავშვო ბაღიდან, სკოლიდან სულ ერთად მოდიან. ახლაც თვალწინ მიდგას გოგას ღიმილი, მისი საუბარი.

— მაშინ რას უკავშირებთ ამ ფაქტს?

— არ ვიცი, რა ვთქვა, ალბათ გულში ჩაუვარდა ჩემი ქალიშვილი.

— გოგა ანჩაბაძე დაოჯახებულია?

— ცოლი და ერთი ბიჭი ჰყავს.

— მისი ოჯახის წევრებთან ამ ამბის შემდეგ გქონდათ შეხვედრა ან საუბარი?

— ის ოჯახი ისეთივე განადგურებულია, როგორიც ჩვენი. მას ძალიან კარგი დედ-მამა

„მოხალისედ შეიძლება გოგა ანჩაბაძე ამის ღირსი იყო, მაგრამ ჯახა ნამდვილად არ არის ბედნიერი, რომ ამის გაკეთება მოუნია და ძალიან განიცდის, დეპრესიაშია".

ჰყავს. როგორც ვიცი, მამამისი ოთახიდან საერთოდ არ გამოდის, დედა ცოცხალ-მკვდარია. ნათესავები ჩემთან მოვიდნენ, პატიება მთხოვეს. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ცოცხალ-მკვდრები არიან. მართალია, დღეს ჩემი შვილი უფლის და კეთილი ადამიანების წყალობით გადარჩა, მაგრამ შეიძლება მან ხვალ სხვა გააუბედუროს, ამიტომ ასეთმა ადამიანმა პასუხი უნდა აგოს. მან მეჯვარეობა, მართლმადიდებლობა შეურაცხყო. ის, რითიც ჩვენ ვსულდგმულობთ. ჩემი ბავშვების გადარჩენისთვის ეკლესიაში სანთელი დავანთე და მასაც შენდობისთვის დავუნთე სანთელი.

— რა მდგომარეობაშია ახლა ანა?

— მასთან ახლა ქმარი იმყოფება. ექიმის დაკვირვების ქვეშაა, რადგან ძალიან დიდი სტრესი მიიღო.

თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა, ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა იმ კეთილ ადამიანებს, რომლებმაც შვილი გადამირჩინეს, ასევე მათ, ვინც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გვერდიდან არ მომშორებიან. ესენი ჩემი აღსაზრდელები, პედაგოგები, ახლობლები და უბრალო ნაცნობები არიან.

❖

კახა გულორდავას ადვოკატმა ჯიტა გულუამ „სარკესთან" საუბარში აღნიშნა, რომ გოგა ანჩაბაძის მამას ოლქის პროკურორისთვის წერილობითი თხოვნით მიუმართავს და კახა გულორდავას დაუყოვნებლივ გათავისუფლება უთხოვია. წერილში ანჩაბაძის მამა საკუთარ თავს შვილის საქციელით შეურაცხყოფილ მამად მოიხსენიებს.

ჯიტა გულუა:

— გოგა ანჩაბაძე და კახა გულორდავა თანაქალაქელები არიან. გულორდავას სახლის წინ გოგას მამიდა ცხოვრობს. გოგა სულ იქ დადიოდა, იქ იზრდებოდა, ამიტომ გოგას და კახას ძალიან ახლო მეგობრობა აკავშირებდათ. მათ ერთმანეთთან ბეწვისოდენა წყენაც კი არ ჰქონიათ. გოგა ანჩაბაძე კახა გულორდავას ყოველთვის ეუბნებოდა, რომ ქორწილში მისი მეჯვარე უნდა ყოფილიყო.

კახა გულორდავამ და ანა ძაპტაშვილმა 4 თვის წინ იქორწინეს. დაპირებისამებრ, მათ ქორწილში კახას მეჯვარე გოგა იყო. ქორწილამდე მას ანა ერთხელ ჰყავდა ნანახი, მეორედ ქორწილის დღეს ნახა, მესამედ კი — ქორწილის მეორე დღეს მათ სახლში. გოგას ანასთან სხვა ურთიერთობა არ ჰქონია.

— რა იცით იმ დღის შესახებ, როცა გოგა ანჩაბაძემ ანა ძაპტაშვილის გაუპატიურება სცადა?

— 10 ნოემბერს გოგა ანჩაბაძე ანას მშობლებთან მივიდა, მაგრამ სახლში არ შესულა. მათ უთხრა, ანას წავიყვან და კახას ერთად მოვიყვანთო. ანას მეჯვარის მიმართ ეჭვის არანაირი საფუძველი არ ჰქონია, ამიტომ გაჰყვა. გოგა ანჩაბაძემ მანქანა მიყრუებულ ადგილას გააჩერა. უცებ მხეცივით დამესხა თავსო, ამბობს ანა. როგორც თვითმხილველები ყვებიან, გოგონა მანქანიდან წივილით-კივილით გადმოვიდა. მეჯვარე, ოჯახის მეგობარი მეგონე და მხეცი ყოფილხარ, კახა მოგკლავსო, ყვიროდა თურმე. გოგა კი მისდევდა, მანქანაზე თავს არტყმევინებდა. ხალხი რომ გამოცვივდა, გოგას უთქვამს, ცუდი ყოფაქცევის ქალი მყავს მოყვანილი,

■ მარცხნიდან: გოგა ანჩაბაძე, კახა გულორდავა და ანა ძაპტაშვილი

„ოგოოოს ჯახა გულორდავა ამბობს, მისი სურვილი გოგას მოკვლა კი არ იყო, არამედ მისთვის ისეთი დღის დასმა, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში დაეტყობოდა და ყველა გაიგებდა, თუ რის გამო სჭირდა ეს".

თავი გამანებეთ, თქვენს ბინებში შედითო, მაგრამ ხალხმა არ დაანება, გოგონა ხელიდან გამოგლიჯეს.

— გოგა ანჩაბაძე ნასვამი იყო?

— როგორც მეუბნებიან, წინა დღის ნასვამი იყო და პლანიც ჰქონდა მოწეული. ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნები ჯერ არ არის.

— იცოდა, რომ ანა ორსულად იყო?

— დიახ. წინა დღეს შეხვედრია კახა გულორდავა და უხარია, ანა ორსულადაა, შვილი გვეყოლებაო.

კახას და ანას წყვილს ყველა ისე იცნობს, როგორც ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებულ ახალგაზრდებს. მათ სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა. ორივე ძალიან წესიერი ადამიანია. კახა გულორდავა ჩემთან ახლოს ცხოვრობს. იმდენად კარგი წყვილია, მათი შეუღლება ყველას უხაროდა. ორი პატიოსანი ოჯახი ერთმანეთს შეხვდაო, ამბობდნენ. ისინი ფიზიკურად, ბუნებით, ადამიანობით ერთმანეთს ძალიან უხდებიან.

— როგორ მოხდა გოგა ანჩაბაძის დაჭრის ფაქტი?

— კახა გულორდავა ამბობს, ანა ძალიან მიყვარს, ცოლადაც ამიტომ მოვიყვანე, მაგრამ როცა ასეთი რამ მიამბო, მისი მონაყოლი და გოგას ბუნება ერთმანეთთან ვერაფრით შევათავსე, ამიტომ ერთი სული მქონდა, პირადად გოგასგან გამეგო, თუ რა მოხდა, მაინტერესებდა, რას მეტყოდაო. კახას თავისი მეგობრისთვის დაურეკავს, შენ და გოგა ჩემთან ამოდით, მჭირდებითო. ის მეგობარი ბიჭი ყვება, როცა ის და გოგა ანჩაბაძე კახა გულორდავასთან მიდიოდნენ, გზაში ანჩაბაძეს უთქვამს, როცა დავთვრები, მხეცი ვხდები, მოსაკლავი ვარ და მომკალითო. მანქანიდან გადმოსულმა ანჩაბაძემ კახა გულორდავა რომ დაინახა, მიხვდა, რომ მან სიმართლე უკვე იცოდა და სანამ კახა რამეს ჰკითხავდა, უთქვამს, მოსაკლავი ვარ, მომკალიო და მის წინაშე თავი დაუხრია. სწორედ ამ დროს ჩაიდინა კახამ ის ფაქტი, რაც ყველამ იცით.

— კიდევ ვინ იყო იქ, როცა კახა გულორდავამ გოგა ანჩაბაძე დაჭრა?

— იქ კახას ძმაც იყო, მაგრამ მან არ იცოდა, რა ხდებოდა, ისევე, როგორც მათმა მეგობარმა. მართალია, კახა გოგას მოკვლას არ აპირებდა, მაგრამ ის ადამიანები იქ რომ არ ყოფილიყვნენ, ალბათ უარეს დაზიანებებს მიაყენებდა. როგორც კახა გულორდავა ამბობს, მისი სურვილი გოგას მოკვლა კი არ იყო, არამედ მისთვის ისეთი დაღის დასმა, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში დაეტყობოდა და ყველა გაიგებდა, თუ რის გამო სჭირდა ეს. გულორდავამ ანჩაბაძეს პოლიციელის მუნდირი შემოაჭრა, ამის ღირსი არ ხარო. სრულიად შიშველი თავისი სამარშრუტო ტაქსით წაიყვანა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ანას გაუპატიურებას ცდილობდა და სწორედ იმ ხალხის თვალწინ ჩამოსვა, ვინც გაუპატიურების მცდელობის ფაქტს უყურებდა.

ანას რაც შეეხება, ის სტრესულ მდგომარეობაშია, თირკმელზე ჰქონდა პრობლემები, თავი სტკიოდა, ექიმ-ექსპერტის ცნობაშიც წერია, რომ მას თმა აგლეჯილი აქვს. ანას წოლითი რეჟიმი აქვს და ნაყოფის შენარჩუნებისთვის იბრძვიან.

— კახა გულორდავა ვირაოთი გაათავისუფლეს. რა ელოდება მას?

— კახას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით ჰქონდა წაყენებული. ეს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას ითვალისწინებს, მაგრამ, როგორც კი ექსპერტის დასკვნა მიიღეს, რომ გოგა ანჩაბაძეს მძიმე დაზიანება აქვს მიყენებული, ბრალი 117-ე მუხლით წაუყენეს, ანუ ჯანმრთელობის განზრახ მძიმედ დაზიანების მუხლით, რაც 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. იმ პირობების გათვალისწინებით, რომ კახა გულორდავა პოლიციაში თავად გამოცხადდა, მისი მიმალვის საშიშროება არ იყო, ნივთიერი მტკიცებების ამოღება მისი მითითებით განხორციელდა და

„ანჩაბაძეს უთქვამს, ოოცა დავთვრები, მხეცი ვხდები, მოსაკლავი ვარ და მომკალითო".

ახალი დანაშაულის ჩადენის საშიშროება არ იყო, ის არც უნდა დაეკავებინათ. მადლობა ღმერთს, დარბაზიდან გირაოთი, 2.000 ლარის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

თვითონ კახა გულორდავას ამ ფაქტზე საუბრის სურვილი არ აქვს, ვერ ითავისებს, რომ მეგობარმა უღალატა. არც იმის გახსენება უნდა, რაც შემდეგ მოხდა. ძნელად გადმოსაცემია ახლა მისი მდგომარეობა. მორალურად შეიძლება გოგა ანჩაბაძე ღირსი იყო, მაგრამ კახა ნამდვილად არ არის ბედნიერი, რომ ამის გაკეთება მოუწია და ძალიან განიცდის, დეპრესიაშია. ამ ეტაპზე კახას ბრალეულობის საკითხზე მსჯელობა არ ყოფილა. სასამართლო სხდომა 25 დეკემბერსაა დანიშნული.

— რა სასჯელი ელოდება გოგა ანჩაბაძეს?

— როგორც ვიცი, ის ქუთაისის საავადმყოფოშია. განცხადება მაჩვენეს, სადაც გოგა ანჩაბაძის მამა ოლქის პროკურორს მიმართავდა თხოვნით, ჩემი შვილის საქციელის გამო შეურაცხყოფილი მამა ვარ, მორალურად განადგურებული ვარო. ის პროკურორს კახა გულორდავას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას სთხოვდა.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

ირაკლი ალასანიას ცოლი პრინცს უწოდებს

ნათია ფანჯიკიძე: „სულ მგონია, რომ იხაკლი უფრო რომანტიკულია, ვიდრე მე"

ცნობილი ქართველი მწერლის, გურამ ფანჯიკიძისა და ასევე ცნობილი ქართველი მთარგმნელის, დალი ფანჯიკიძის უმცროსი ქალიშვილი, ნათია, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, რაც მისი ქმარი, ირაკლი ალასანია, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსანი გახდა. მას მერე, რაც ირაკლიმ ოპოზიციაში გადაინაცვლა, ინტერესი ალასანია-ფანჯიკიძის წყვილის გარშემო კიდევ უფრო გაიზარდა.

„სარკესთან" საუბარში ქალბატონი ნათია ამბობს, რომ ქმრის სტატუსის გამო ხშირად სტრესსაც კი იღებს, მიუხედავად იმისა, რომ მის საქმეებში უშუალოდ ჩართული არ არის. ის თავისი სამუშაოთია დაკავებული, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი აქვს გახსნილი, სადაც ადამიანებს ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლებაში ეხმარებიან.

„როცა ადამიანს ვხედავ, თითქოს წინასწარ ვიცი, ვინ არის, რას შეიძლება მისგან ველოდო. იხაკლის სანამ ზუსტად დანას არ გაუყრიან, ყველას ენდობა".

ნათიამ და ირაკლიმ საკმაოდ ადრეულ ასაკში იქორწინეს, მაშინ ირაკლი 18 წლის იყო, ნათია კი — 20-ის. ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ქორწილისთვის არავის სცხელოდა და არც გადაუხდიათ. „წიგნი", რომელიც დიდი სიყვარულით დაიწყო, მერე და მერე ისტორიებით უფრო დაიტვირთა და მეტად საინტერესო გახდა — ასე აფასებს ქალბატონი ნათია მისი და ირაკლი ალასანიას ურთიერთობას.

მინისტრთან ერთად მისი მეორე ნახევარი არც ისე ხშირად ჩნდება საჯაროდ, რადგან ყურადღების ცენტრში ყოფნა არ უყვარს, თუმცა 17 ნოემბერს პრეზიდენტის ინაუგურაცია ის შემთხვევა გახლდათ, როცა თავისი „პრინცის" — როგორც თავად უწოდებს, გვერდით ყოფნა აუცილებელიც იყო. ცერემონიალზე პატარა უხერხულობაც შეემთხვა. ამის შესახებ ჟურნალისტებს ჩვეული უშუალობით თავად უთხრა, როცა საზეიმო ჩაცმულობაზე ჰკითხეს: „საკუთარ თავზე სულ მე თვითონ ვზრუნავ, ოღონდ ორჯერ გამძვრა ფეხსაცმელი. აი, სულ ასე თავგადასავლებით აღსავსეა ჩემი საზოგადოებაში გამოსვლა, მაგრამ პრინცი მახლდა და ეს იყო კარგი ამბავი".

როგორ შეიცვალა ქმრის გამინისტრების შემდეგ წყვილის ცხოვრება, რა პლუსები და მინუსები აქვს საქართველოში მაღალჩინოსნის და თანაც ქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთ ყველაზე სიმპათიურ მამაკაცად აღიარებულის ცოლობას, ამის შესახებ ირაკლი ალასანიას მეორე ნახევარი „სარკეს" გულახდილად ესაუბრება.

— ქალბატონო ნათია, ბოლოს როცა ვისაუბრეთ, ოპოზიციონერი ირაკლი ალასანიას ცოლი იყავით, დღეს კი თქვენი ქმარი მინისტრია. რა შეცვალა მისმა გამინისტრებამ თქვენს ოჯახურ ცხოვრებაში?

— ამ ფაქტმა ფინანსური სტაბილურობა მოგვიტანა. ადრე მეგობრები გვეხმარებოდნენ. მეც კი ვმუშაობ და სტაბილური შემოსავალი მაქვს, მაგრამ ერთი ქალის შემოსავალი ისეთი არაფერია. მით უმეტეს, ფსიქოთერაპია რენტაბელური დარგი არ არის, თან, როცა ამბელა შვილები გყავს. მოგეხსენებათ, რაც უფრო იზრდებიან, მეტი სჭირდებათ.

— ფინანსური სტაბილურობა ნამდვილად დადებითი შედეგია. მინისტრის ცოლობას მინუსებიც აქვს?

— ირაკლის საპასუხისმგებლო ველიდან გამომდინარე, ჩემი სტრესიც ძალიან იზრდება. ძალიან მძიმედ გადავიტანე ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვა და სხვა ფაქტებიც. ამ მხრივ პასუხისმგებლობა ტვირთია. ყველაზე მეტად ტკივილს მაშინ ვგრძნობ, როცა ტრაგედია ხდება. ერთი პერიოდი ერთმანეთის მიყოლებით დაიღუპნენ ავღანეთში ბიჭები და ამან ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა.

— ქმრის სამსახურებრივ საქმიანობაში ჩართული ხართ?

— მის ყოველდღიურ საქმიანობაში არ ვერევი. თვითონაც დაკავებული ვარ, რომც არ ვიყო, ვინ ჩამრევს რამეში?! ირაკლისთან სულ ორჯერ ვარ ღონისძიებაზე ნამყოფი, თან კლუბში, მეტჯერ მისი სამსახური არ მინახავს.

— მინისტრს ოჯახისთვის ალბათ ძალიან მცირე დრო რჩება.

— ირაკლი დიდი ხანია სულ გასულია, ამიტომ ამ მხრივ დიდ ცვლილებებს ვერ ვგრძნობთ. მას ყოველთვის, პირველივე დღეებიდან, რაც ჩვენ ერთად ვართ, ძალიან აქტიური ცხოვრება აქვს.

— ბავშვებზე როგორ აისახება მამის ასეთი მოუცლელობა?

— ბავშვები კლასიკური გაგებით ბავშვები აღარ არიან. ეკა ჯერ 17 წლისაა, ნიკუშა კი დიდია, ერთ თვეში 21 წლის გახდება. იმდენად დიდები არიან, რომ ამ ეტაპზე მამის

■ ნათია შვილებთან ერთად

„როგორც ყველა მშობელს, მეც მინდა, ბავშვს მიაღწიონ, მაგრამ ცოტასაც რომ მიაღწიონ, აქ ეგაა პრობლემა. მთავარია, ბედნიერები და კეთილები იყვნენ".

მოუცლელობა დიდ როლს აღარ ასრულებს. ეს დანაკლისი მაშინ უფრო ჰქონდათ, პატარები როცა იყვნენ.

იყო პერიოდები, როცა ირაკლი პანკისში იყო და სახლში ხშირად ვერ ჩამოდიოდა. მაშინ ვცდილობდი, ნიკუშა მხოლოდ ქალურ გარემოში არ გაზრდილიყო. რადგან მამაჩემიც და ირაკლის მამაც ძალიან დიდი ხნის გარდაცვლილები არიან, გამოდიოდა, რომ ნიკუშა ბევრი ქალის გარემოცვაში იყო. ამიტომ ირაკლის მეგობრებს და მის ბიძაშვილებს აქტიურად ვტვირთავდი. ვეუბნებოდი, როცა სტადიონზე წახვალთ, ნიკუშა წაიყვანეთ-მეთქი. ნიკუშა ფეხბურთზე, რაგბიზე გიჟდება, საერთოდ სპორტი ძალიან უყვარს. მოკლედ, იმ დანაკლისს ვუვსებდი, რომ მამამისი იშვიათად ახერხებდა მასთან კაცურ თამაშებს. არადა, როცა ახერხებდა, მარცხით მთავრდებოდა. ერთხელ ირაკლიმ ნიკუშა ჭიდაობის დროს ისე მოტყორცნა, თავი გაუხეთქა.

ქალებისთვის ცოტა ძნელი აღსაქმელია, მაგრამ ბიჭები ყველაზე ბედნიერები მაშინ არიან, როცა მამასთან ხმაურიან თამაშებს თამაშობენ, თუნდაც ტრავმებით.

— ახლა როგორი ურთიერთობა აქვს ირაკლის წამოზრდილ შვილებთან?

— ახლა ნიკუშა დიდი კაცია, მორევაზე აღარ ჭიდაობენ და კარგი მეგობრები არიან. ნიკა ჯერ კიდევ საზღვარგარეთაა. ნიუ იორკში ბიზნესის მართვას სწავლობს. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ, გონიერია. ერთი მხრივ, ძალიან მათემატიკური აზროვნება აქვს. უმარტივეს რაღაცასაც რომ ვეტყვი, მაგალითად, ყვავილები მორწყე-მეთქი, ლიტრებში თუ არ გადაიყვანა, ისე არ მორწყავს. მამაჩემი იყო ტექნიკური განათლებით და ნიკუშასაც ციფრებით აზროვნება გამოჰყვა, ყველაფერი ციფრებში გადაჰყავს. თუმცა, ჰუმანიტარული თვალსაზრისითაც, ზურგს ენით იფხანს.

ეკას რაც შეეხება, უფრო მამას ჰგავს ხასიათით, მაგრამ ისიც ძალიან მგრძნობიარე და გონიერია. ორივე ძალიან კეთილები არიან, ადამიანები უყვართ, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. დანარჩენი უკვე სულ ერთია. რა თქმა უნდა, როგორც ყველა მშობელს, მეც მინდა, ბევრს მიაღწიონ, მაგრამ ცოტასაც რომ მიაღწიონ, არც ეგაა პრობლემა. მთავარია, ბედნიერები და კეთილები იყვნენ.

— თუ არ ეცდება, ნიკა მამას გარეგნულად ძალიან ჰგავს.

— მეც ასე მგონია. დედა ვარ, ყველას თავისი შვილი მოსწონს, მაგრამ ობიექტურადაც რომ ვთქვათ, ნიკა კარგად გამოიყურება.

— როგორია ისეთი ირაკლი, როგორსაც საზოგადოება ვერ ხედავს და მარტო თქვენ იცით?

— რთული კითხვაა. ისეთი, როგორსაც ირაკლის არ იცნობენ, არც ეკუთვნის საზოგადოებას. უბრალოდ ირაკლი თბილია და, რაც მთავარია, ადამიანია. ეს ყველაზე კარგი სიტყვაა. ყოველთვის, სახლშიც და გარეთაც, ის ადამიანია.

— თქვენი ოჯახი ახალგაზრდა ასაკში სიყვარულით შეექმნა, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დროსთან ერთად როგორ იცვლებოდა, ვითარდებოდა თქვენი ურთიერთობა?

— ურთიერთობა კარგი წიგნივით თავიდან დიდი სიყვარულით იწყება, მაგრამ იქ სხვადასხვა რაღაცეები ხდება, ბიოგრაფია მდიდრდება, წლების განმავლობაში ისტორიები გროვდება, რომელიც ორივეს ისტორია, ბიოგრაფია, ცხოვრება იყო. ამდენად, წლების შემდეგ ეს ურთიერთობა მოვლენებით უფრო დატვირთულია. იმ ბავშვურ ასაკში, როცა ერომანეთი უყვარდებათ, ეს უბრალოდ თავისუფალი სახით ძალიან კარგი გრძნობაა, შემდეგ უკვე მეგობრობა, თანადგომა, ერთი მიმართულებით ხედვა ემატება, ბოლოს კი ეს ყველაფერი უფრო სერიოზულდება. შეიძლება ის სილამაზე, რომანტიკა, გაუცნობიერებელი მიზიდულობა ნაკლებადაა, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი გაცნობიერებული და ღრმად გაანალიზებულია. ამ დროს წიგნი უფრო საინტერესო ხდება.

— თქვენ რომანტიკულობა არ დაგიკარგავთ.

— სულ მგონია, რომ ირაკლი უფრო რომანტიკულია, ვიდრე მე. მგონია, რომ მე ყველაფერს ისე ვხედავ, როგორც არის. რაღაცეების წინასწარი ცოდნა გამაჩნია, როცა

Cyan Magenta Yellow Black

ადამიანს ვხედავ, თითქოს წინასწარ ვიცი, ვინ არის, რას შეიძლება მისგან ველოდო. ირაკლის სანამ ზურგში დანას არ გაუყრიან, ყველას ენდობა. რაღაცნაირი ბავშვური თავგადასავლების მიმართ სწრაფვა აქვს. უნდა, ბევრი რამ მოსინჯოს, ბევრი კარი გააღოს, ყველაფერი განიცადოს, ხან პარაშუტით გადმოხტეს, ხან ომში წავიდეს, ხან რაღაც ბრძოლაში ჩაერთოს. მე ასეთი რაღაცეები არ მინდება.

ირაკლი ბავშვივით ხშირად უსვამს ცხოვრებას შეკითხვას: „ეს რა არის?". მე თითქოს ეს წინასწარ ვიცი და მირჩევნია, ჩემთვის წყნარად ვიყო, ყვავილები მოვრწყა, ჩემს დაცულ და საყვარელ გარემოში გავატარო დრო, ჩემი საქმე ვაკეთო და დიდად არ დავინტერესდე, გარეთ რა ხდება. კითხვა „რატომ?" ჩემთვის უფრო ჩაბრუნებული შეკითხვაა, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე. მაინტერესებს, ადამიანის სულში რა ხდება, რატომ გაჩნდა უფრო მეტი ჩრდილი, რატომ დაიჩაგრა შუქი და ამოვნიო ეს შუქი. ის, რაც ჩემს პროფესიაშია, ჩემთვის საკმარისია. აქედან გამომდინარე, ირაკლი უფრო რომანტიკულია, სიურპრიზებიც მას უფრო უყვარს, მე ვერ ვიტან. სიურპრიზი ჩემი სიმშვიდიდან და კალაპოტიდან მაგდებს. ირაკლის კი ასეთი განცდები უყვარს.

— როგორ სიურპრიზებს გიწყობთ ხოლმე?

— ნებისმიერ რამეს აკეთებს, რითიც შეიძლება გაგახაროს. უცებ შეიძლება გითხრას, ორ დღეში სადღაც მივდივარ და შენც წამოდიო. ორ დღეში წასვლა სად შემიძლია, ამისთვის წინასწარ უნდა განვეწყო. სპონტანურობა არ მიყვარს.

— მართლაც საკლებად ჩანხართ მის გვერდით საჯაროდ. ოფიციალურ შეხვედრებზეც არ დაჰყვებით?

— იშვიათად. მხოლოდ მაშინ, როცა აუცილებელია, მაგრამ ცხოვრებაში აუცილებელი იშვიათად არის რამე. შესაბამისად, თუ თავის არიდება შეიძლება, მირჩევნია, ჩემს შემოსაზღვრულ სამყაროში დავრჩე.

— არადა თქვენს ოჯახში ორი მინისტრია, თქვენი ქმარი და და, მაია ფანჯიკიძე. ამიტომ მუდამ ყურადღების ცენტრში ხართ. მაიას გამოც გწყდებათ ნერვიულობა?

— გარკვეულწილად ეს სტრესია, ყველაფერს განვიცდი, განსაკუთრებით, მაიას მისამართით წამოსულ ნეგატივს. თავიდან ნაციონალური მოძრაობა წყლის ამღვრევას და გარედან ქვეყნისკენ უარყოფითი ენერგიის გამოშვებას ახერხებდა. რადგანაც მაია არის საგარეო საქმეთა მინისტრი, მოსახლეობა მისგან მოითხოვდა, ის ხალხი გაეჩუმებინა. ქართველები ხომ სულსწრაფები ვართ, სანამ ყველას აუხსნა რეალობა, საზოგადოებისთვის ის ერთი

„იჰაკი უფრო ჰომანტიკულია, სიუჰპრიზებიც მას უფრო უყვარს, მე ვერ ვიტან. სიუჰპრიზი ჩემი სიმშვიდიდან და კალაპოტიდან მაგდებს. იჰაკის კი ასეთი განცდები უყვარს".

თვე იმდენად გამაღიზიანებელი იყო, მაიასკენ ბევრად მეტი ნეგატივი მოდიოდა.

— დედათქვენი, ქალბატონი დალიც ისევე განიცდის ამ ყველაფერს, როგორც თქვენ?

— დედა ყველაფერს ბევრად მეტად განიცდის, მე ასეთი ემოციური არ ვარ. ის ყველაფერს კითხულობს, ყველაფერს უყურებს. მე არც ტელევიზორს ვუყურებ და არც გაზეთებს ვკითხულობ. მაქსიმუმი, შეიძლება „ფეისბუქზე" შევიდე და გადავხედო, რა ხდება. უბრალოდ უხერხულია, მთლად ჭურში ხომ არ ვიჯდები, არის რაღაცეები, რაც უნდა ვიცოდე. ასე, ერთწუთიანი სიუჟეტებით ინფორმაციებს ვიღებ.

— საზოგადოებაში ირაკლი ალასანია პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად მოიაზრებოდა.

■ ცოლ-ქმარი ინაუგურაციაზე

„იჰაკი ნამდვილად სიმპათიუჰია და ჰა ვქნა, ჰა გავაკეთო?.. ხუმრობით ვამბობ ხოლმე, დიახაც, ჩემთვის საუკეთესოს ვიჰჩევ-მეთქი".

პირადად თქვენ გინდოდათ, პრეზიდენტი გამხდარიყო?

— მე არ მინდოდა. საერთოდ, ყველაფერი ჩემი სურვილის მიხედვით რომ ხდებოდეს, ჩემთვის კარგი იქნებოდა, მაგრამ როგორც მე მაქვს ჩემს პროფესიაში ინტერესი, ისე აქვს ირაკლისაც თავის საქმიანობაში. მე ნამდვილად არ მინდოდა, პრეზიდენტი ყოფილიყო, ამიტომ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კიდევ უფრო მეტად არ გაიზარდა მისი პასუხისმგებლობა. თან, რაც მთავარია, ჩვენი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ძალიან მომწონს.

— თქვენი ქმარი სიმპათიური მამაკაცია. სხვათა შორის, ამას საზოგადოების ცნობილი ადამიანებიც დიდად აღნიშნავენ. ცნობილია ასეთი ფაქტიც: საპრეზიდენტო არჩევნების დღეს ერთ-ერთ საარჩევნო უბანში ამომრჩეველმა ბიულეტენში ყველა კანდიდატი გადახაზა, ირაკლი ალასანია ჩაამატა და მის გარშემო გული შემოსახა. ასეთ რაღაცეებზე არ ეჭვიანობთ?

— ირაკლი ნამდვილად სიმპათიურია და რა ვქნა, რა გავაკეთო? მეც შევსწრებივარ მსგავს რაღაცეებს, მაგრამ კარგი რეაქცია მაქვს. ახლა თქვენ ჩემს ოთახში შემოხვედით, ეს ჩემი სამყაროა და, თუ მოგეწონებათ, გამიხარდება. ასევეა ირაკლის შემთხვევაშიც, მის მიმართ ასეთ რაღაცეებს რომ ამბობენ, პოზიტიურად განვეწყობი. რა თქმა უნდა, საეჭვიანო ფაქტს სასიამოვნოდ ვერ აღვიქვამ, ეს რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, მაგრამ თუ ეს ადამიანური, კარგი ემოციაა, ნამდვილად არ მწყინს. პირიქით, ხუმრობით ვამბობ ხოლმე, დიახაც, ჩემთვის საუკეთესოს ვირჩევ-მეთქი.

— საუბარში რამდენჯერმე ახსენეთ თქვენი სამუშაო. გეტყობათ, რომ ის ძალიან გიყვართ და თქვენთვის მნიშვნელოვანია. თქვენი მცდელობა — დაეხმაროთ ადამიანებს ნარკოდამოკიდებულებისგან გათავისუფლებაში — რამდენად შედეგიანია?

— ახლახან ნივთიერებაზე ყოფილ დამოკიდებულთა მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა გვქონდა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს არავის აინტერესებს, რაც ძალიან საწყენია. 13-14 წლის მოზარდები სააფთიაქო ნარკომანიით არიან დაკავებული, ინტერნეტიდან იწერენ მავნე ნივთიერებებს. საქართველოში ამ დაავადების მაჩვენებელი კატასტროფულია. მინდოდა, სახელმწიფოსთვის მეჩვენებინა, რომ, რაც თითო ასეთ ადამიანზე ციხეში წლობით იხარჯება, იმის მეოთხედით შეგიძლია ის ცხოვრებაში დააბრუნო. ესენი ბორო-

„ნამდვილად ახ მინდოდა, იჰაკი პჰეზიდენტი ყოფილიყო, ამიტომ ძალიან ბედნიეჩი ვახ, ჩომ ჯიდევ უფჩო მეტად ახ გაიზახდა მისი პასუხისმგებლობა".

ტები და კრიმინალები არ არიან, უბრალოდ საკუთარ თავს ვნებენ, რადგან ადრეული ასაკიდან ასე დაემართათ. ნარკომანია და ალკოჰოლიზმი კრიმინალს სულაც არ ნიშნავს, ფხიზელმა შეიძლება ბევრად მეტი გავნოს.

ამ ადამიანებმა საოცარი გამოფენა გააკეთეს, ძალიან შთამბეჭდავი იყო. ამით თითქოს სახელმწიფოს კარგი მაგალითი მივეცით. ბედნიერი ვარ, რომ სტუმრად სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე, არჩილ თალაკვაძე გვყავდა, ის ძალიან პროგრესული პიროვნებაა, სწორად ხედავს ადამიანს, ალბათ იმიტომ, რომ განათლებით ექიმია. ჯანდაცვის სამინისტროდან მინისტრის მოადგილე მაკა ჯაშიც გახლდათ და ძალიან გამიხარდა, რადგან ეს პირველი ფაქტი იყო, როცა ფსიქიატრიაში მომხდარი მოვლენით სამინისტრო დაინტერესდა. შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროებიდან არავინ მოსულა და ეს ძალიან საწყენია, რადგან პოლიციელმაც უნდა დაინახოს, რომ ის ადამიანიც პიროვნებაა, რომელსაც ხელს სტაცებს, მოსაშარდად ძალით მიჰყავს და აპატიმრებს. განათლების სამინისტროში კი, მით უმეტეს, ასეთი თემის მიმართ ინტერესი უნდა არსებობდეს.

— თქვენი ქმარი თუ მოვიდა გამოფენაზე?

— ნელს პირველად იყო, მანამდე არ ვეპატიჟებოდი სწორედ იმიტომ, რომ მეშინოდა, აქცენტი უფრო ირაკლიზე და პოლიტიკაზე არ გაეკეთებინათ, ვიდრე იმ ადამიანებზე, რომლებიც იმ წუთას ჩემთვის მთავარი იყვნენ. მაია ყოველთვის მოდიოდა, რადგან მას ეს თემა ყოველთვის აინტერესებდა. სტუმრად უცხოელი დიპლომატებიც იყვნენ. ჟურნალისტებმაც მხარი დაგვიჭირეს, ძალიან მადლიერი და ბედნიერი ვარ. პროფესიიდან გამომდინარე, ჩემთვის სამყაროს ცენტრი ადამიანია.

— მაგრამ მაინც ძნელი არ არის ასეთ პაციენტებთან მუშაობა?

— ჟურნალისტობაც ხომ რთულია? თქვენც ხომ ძალიან იღლებით? მთავარია, თქვენი საქმის გჯეროდეთ. შენ ხომ იცი, რომ ხარ ჟურნალისტი, რომელიც არ ტყუის, რომელიც ადამიანს კეთილი თვალით უყურებს, მასში ცუდს არ ეძებს. ეს ხომ გაძლევს რწმენას, რომ საჭირო ხარ? მე, მაგალითად, თქვენი ძალიან მადლობელი ვარ, თქვენი ჟურნალიდან გამოწვდილი ხელი ძალიან კარგად მახსოვს. მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობა საოცარ დეზინფორმაციას გვივრცელებდა, ვიღაცა ხომ ამაზე ხელს აწერდა, ასევე პროფესიით ჟურნალისტი? თქვენ კი მოხვედით და მითხარით, რომ არ გძულვართ. მაშინ ეს ჩემთვის ძალიან ფასეული თანადგომა იყო.

✓ ეკა ლემონჯავა

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

რატომ აგდებდა შოკში ნიკა გვარამია ცოლის მეგობრებს

სოფია ლილუაშვილი: „მეგობრებს უკვირდათ, ამ ჰირქუშ კაცთან რა საერთო მქონდა“

„უსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას კონკურენტი ოჯახში ჰყავს ცოლის, სოფია ლილუაშვილის სახით. მისი მეორე ნახევარი კონკურენტ არხზე, „იმედზე“ პროექტ „ახალი ხმის“ პროდაქშენის გუნდის წევრია. ასეთ პირობებში ცოლ-ქმარი ახერხებენ, სახლში კოაბიტაცია ჰქონდეთ. სოფია პროფესიით ინგლისური ენის პედაგოგია. ნიკა შეუღლებამდე დიდი ხნით ადრე გაიცნო, თუმცა მათი სიყვარული 7 წლის წინ დაიწყო. სოფია მაშინ პირველ ქმართან განქორწინების უარყოფითი ემოციებით იყო დატვირთული და ახალი ურთიერთობის დაწყებას არ გეგმავდა. ნიკამ მისი და მისი შვილის, გიკოს გულის მოგება მოახერხა და ასე შედგა მათი ოჯახი. ამჟამად ცოლ-ქმარს სამი შვილი ჰყავთ — გიკო, რომელიც ახლა 16 წლის არის, 6 წლის სანდრო და 4 წლის ქეთევანი.

— სოფია, გაიხსენეთ, როგორ დაიწყო თქვენი და ნიკას ურთიერთობა, როდის გაჩნდა თქვენ შორის პირველი ნაპერწკალი.

— 2001 წელს მე და ნიკა ერთმანეთს პირველად ქობულეთში, ინტელექტუალური თამაშების „რა? სად? როდის?“ ამიერკავკასიის ჩემპიონატზე შევხვდით. მაშინ კლუბის ხელმძღვანელ გიორგი მოსიძის ასისტენტად ვმუშაობდი, მას საორგანიზაციო საკითხებში ვეხმარებოდი. პრინციპში, ნიკა არც შემიმჩნევია. როგორც თვითონ ამბობს, მან მომაქცია განსაკუთრებული ყურადღება და გამოიკითხა, ვინ ვიყავი და რას ვსაქმიანობდი. მაშინ ორივე ჩვენი ცხოვრებით ვცხოვრობდით და ჩვენს ცხოვრებაში იყვნენ სხვა ადამიანები. ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა და არანაირი ურთიერთობა არ გვქონია.

2005 წელს შევხვდით საერთო მეგობრის ქორწილში. იმ დროს ნიკა უკვე დეპუტატი იყო. იქ საერთოდ არ მომცილებია გვერდიდან, ტელეფონის ნომრებიც გავცვალეთ. რამდენჯერმე დამირეკა. მე კი შეხვედრაზე უარს ვეუბნებოდი. ალბათ მობეზრდა მუდმივი უარი და მერე აღარ დაურეკავს.

შემდეგი შეხვედრა მამაჩემის, გიორგი ლილუაშვილის პანაშვიდზე შედგა 2006 წლის დასაწყისში. ძალიან გამიკვირდა ნიკას იქ ნახვა. აღმოჩნდა, რომ მამას არ იცნობდა და ჩემ გამო მოვიდა, მაგრამ მე ეს არ ვიცოდი. ამის მერე კიდევ რამდენჯერმე შემეხმიანა. ისევ არ შევხვდი. ერთ დღესაც დამირეკა, დღეც მახსოვს — 2006 წლის 5 ოქტომბერი, სხვათა შორის, არჩევნები იყო. მითხრა, აუცილებლად უნდა გნახო, მნიშვნელოვანი საქმე მაქვსო. დღესაც არ ვიცი, რატომ შევხვდი და სწორედ იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ერთი საათით გავედი სამსახურიდან და უკან რომ დავბრუნდი, ვფიქრობდი, რა იყო ამ შეხვედრის მიზეზი. დაბნეული ვიყავი. იმ საღამოსვე მომაწია მესიჯი და მას შემდეგ აღარც გაჩერებულა. ორ თვეში უკვე ერთად ვცხოვრობდით. ერთი წლის თავზე სანდრო დაიბადა.

— რატომ არ ხედებოდით ნიკას, არ მოგწონდათ?

— ახალი განქორწინებული ვიყავი. მარტო ვზრდიდი ბავშვს და მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი. ალბათ არ ვიყავი მზად ურთიერთობებისთვის. თან ნიკას არ ვიცნობდი, ჩემთვის მხოლოდ დეპუტატი იყო.

— როგორ მოგაწონათ თავი, რითი მოგხიბლათ ასე მალე — ორ თვეში?

— ყურადღებით, სითბოთი და უსაზღვრო სიყვარულით. ეს ნიკასთვის პირველი ქორწინებაა, ჩემთვის — მეორე. პირველად ძალიან პატარა ვიყავი. მეორე აბსოლუტურად განსხვავებული შემთხვევაა, გააზრებულად გადავდგი ნაბიჯი. ზუსტად ვიცოდი, რომ ნიკა იყო ის ადამიანი, რომელთან ერთადაც მინდოდა მთელი ცხოვრების გატარება. თითქმის უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის და ეს ძალიან მახარებს. მან მარტივად გამონახა საერთო ენა ჩემს შვილთან, გიკოსთან, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გიკო ახლა 16 წლისაა. ნიკასთან რომ გადავედით საცხოვრებლად, მერვე წელში იყო. დღეს ნიკა და გიკო კარგი მეგობრები არიან. გიკოსთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ნიკაა. ერთად არჩევენ გიკოს „სიყვარულობანას“ და სხვა სათავგადასავლო ამბებს. საინტერესო საუბრებია.

> „ნიკა ჩემთვის ჯაჭვი მეგობარია. მიყვარს მასთან საუბარი და მისი მოსმენაც. მას ნამდვილად არ აქვს მარტივი ხასიათი, მაგრამ მგონია, რომ ამით უფრო საინტერესოც არის“.

— შეყვარებულობის პერიოდში ნიკა ალბათ ბევრ სიურპრიზს გიწყობდათ.

— ნიკას მაინცდამაინც არ უყვარს სიურპრიზები, განსაკუთრებით, თუ მას უწყობენ. არ უყვარს დღესასწაულები, მაგალითად, ახალი წელი ან საკუთარი დაბადების დღე, თუმცა შეუძლია და გაუკეთებია კიდევაც, რომ ჩვეულებრივი დღე დღესასწაულად უქცევია. რომანტიკული ადამიანია. ყოფილა საჩუქრები, მოულოდნელი მოგზაურობები, რომანტიკული საღამოები...

— როგორი ქორწილი გქონდათ?

— ქორწილი არ გადაგვიხდია. ამისი სურვილი არც მე მქონია და არც ნიკას. მარტივად შევთანხმდით. ამერიკაში რომ მივდიოდით, ქორწინების მოწმობა მოგვთხოვეს და სასწრაფო წესით მოვაწერეთ ხელი. მეჯვარეებად ჩვენი ბავშვის ძიძა და მძღოლი გვყავდა.

> „თამაშის ჩანერის დროს ნიკას უჩრევნია, მასთან ერთად ვიყო“.

— ალბათ იმ პერიოდს გულისხმობთ, როცა განათლების მინისტრობიდან მოულოდნელად უცხოეთში გაემგზავრა სასწავლებლად.

— მაშინ ნიკასთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემი თანადგომა. უნდოდა, ოჯახიც თან ჰყოლოდა. ვიცოდით, რომ ამის გამო ფინანსურად გაგვიჭირდებოდა, სამი ბავშვით უცხო ქვეყანაში... ქექე (ქეთევანი) სულ რაღაც 3 თვის იყო, მაგრამ ჩვენთვის ეს იმდენად მნიშვნელოვანი საფეხური გახლდათ, რომ სირთულეებს არ შევუშინდით და კარგად გავუმკლავდით ყველაფერს. წელიწადნახევარი ვიყავით ამერიკაში. ჩემი აზრით, ძალიან სასარგებლო და საინტერესო გამოცდილება იყო. ვფიქრობ, ამ გამოწვევამ ნიკაც გააძლიერა და ჩვენი ოჯახიც.

— სულ ახლახანაც რთული პერიოდი გადგათ — თქვენს ქმარს სასამართლო პროცესები ჰქონდა, დაპატიმრებულიც იყო. როგორც ჩანს, არც ისეთი იოლია ნიკა გვარამიას ცოლობა. თქვენგან რას ითხოვს, რას სჭირდება ქმარს ასეთ დროს?

— ერთად დავიწყეთ თუ არა ცხოვრება, მაშინ დაიწყო რთული პერიოდებიც. განსაკუთრებით მძიმედ მახსენდება 2008 წლის აგვისტო. მაშინ იუსტიციის მინისტრი იყო. ის დღეები საერთოდ არ გვეკონტაქტებოდა, სახლშიც რამდენიმე წუთით შემოივლიდა ხოლმე. არ ვიცოდი, რა უნდა მექნა და ვერც ვეკითხებოდი. ასეთ ვითარებაში ნიკა ჩემზე და ბავშვებზე უფრო ნერვიულობს ხოლმე. ვცდილობ, არ შევიმჩნიო ნერვიულობა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამომდის. ამ დროს ნიკას სახლში ყოფნა ყველაფერს ურჩევნია და ცდილობს, მხოლოდ ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობით შემოიფარგლოს. მისთვის ყველაზე მთავარი სახლში სიმშვიდეა. ნაკლები უნდა ესაუბრო სირთულეებზე და კითხვებით არ უნდა შეაწუხო.

ამ დროს ასმაგად თბილი და ყურადღებიანი ვარ, რომ თანადგომა ვაგრძნობინო, რაც ძალიან სჭირდება. ჯერ არ მახსოვს სირთულე, რომლის დაძლევაც მან ვერ შეძლო. ამას დამოუკიდებლად აკეთებს, თან — ჩემი ემოციური მხარდაჭერით.

რაც შეეხება სასამართლო პროცესებს, ყოველთვის მჯეროდა ნიკას უდანაშაულობის და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა.

— მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროინდელი უკანონობები გამოაშკარავდა, თქვენი ქმრისა და ოჯახის მიმართ საზოგადოებისგან როგორ დამოკიდებულებას ხედავდით?

— რა თქმა უნდა, აგრესიის შემთხვევებიც ყოფილა და პოლიტიკურად ასეთი აქტიური საზოგადოების მხრიდან ეს გასაკვირი არ არის, თუმცა ნიკას მიმართ ბევრად ხშირია პოზიტიური ემოციების გამოხატვა.

— სახლში საუბრობთ პოლიტიკაზე?

— თითქმის არა. ჩვენს ცხოვრებაში პოლიტიკამ საკმარისი როლი ითამაშა და

ახლა ამაზე სახლში საუბრით თავს ნამდვილად არ ვიწუხებთ.

— როგორია სახლში, შინაურებთან ბატონი ნიკა, როგორი ქმარი და მამაა?

— ძალიან კარგი. მას შეიძლება ყველა სიტუაციაში დაეყრდნო. ნიკა ჩემთვის კარგი მეგობარია. მიყვარს მასთან საუბარი და მისი მოსმენაც. მას ნამდვილად არ აქვს მარტივი ხასიათი, მაგრამ მგონია, რომ ამით უფრო საინტერესოც არის.

რაც შეეხება მამობას, ვფიქრობ, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მისთვის არაფერია. თუ თავისუფალი დრო რჩება, ცდილობს, ბავშვებთან გაატაროს. არის შემთხვევები, როცა მას ვუტოვებ ბავშვებს და დარწმუნებული ვარ, კარგად მოუვლის, მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც საქმე აქვს.

■ სანდრო

— საზოგადოების თვალში ნიკა გვარამიას ცოლობა თქვენგან რაიმე პასუხისმგებლობას გულისხმობს?

— მას აქვს თავისი სტატუსი და ამას ანგარიშს ვუწევ. რა თქმა უნდა, ისე თავისუფლად არ დავდივარ ყველგან, ჩაცმულობასაც ვაკონტროლებ და საუბარსაც. გარკვეულწილად თავისუფლება შევიზღუდე — მარტო აღარ ვარ და ანგარიშს ვუწევ ადამიანს, რომელიც მიყვარს.

— ანუ გათხოვებამ თქვენს გემოვნებაში, სტილში, ცხოვრების წესში ცვლილება შეიტანა.

— ცხადია, ცხოვრების წესში ცვლილებები არის. გაფართოვდა ჩემი ინტერესების წრე. ბუნებრივია, ნიკას ინტერესები დიდი დოზით შემოვიდა ყოველდღიურობაში.

„ეს ნიკასთვის პირველი ქორწინებაა, ჩემთვის — მეოხე... ზუსტად ვიცოდი, რომ ნიკა იყო ის ადამიანი, რომელთან ერთადაც მინდოდა მთელი ცხოვრების გატარება. მან მარტივად გამონახა საერთო ენა გიოსთან, ჩემს შვილთან".



■ გიკო და ქეთევანი

— ერთმანეთის გემოვნებაში ცოლ-ქმარი კარგად ერკვევით?

— მგონია, რომ ძალიან კარგად. ნიკამ კარგად იცის, რა სუნამო მომწონს, როგორი ფილმების ყურება მიყვარს, რა მახარებს და რა მწყინს. მეც კარგად ვიცნობ. ვიცი, რა მოსწონს და რა სჭირდება. ერთი შეხედვით ვხვდები, როგორ ხასიათზეა.

— რა საკითხებში ვერ ახერხებთ შეთანხმებას და ვის მიდის ამ დროს პირველი დათმობაზე?

— ხშირად ვკამათობთ სხვადასხვა საკითხზე, მისი სამსახურის გარდა. დათმობაზე ყოველთვის ნიკა მიდის. როგორც ამბობს, მე ჯიუტი ვარ.

— შვილების მიმართ რომელი უფრო იჩენთ სიმკაცრეს?

— ბავშვების მიმართ მე უფრო მკაცრი ვარ. ნიკა ძალიან მკაცრი არ არის, მაგრამ მომთხოვნი მამაა, განსაკუთრებით — სწავლის საკითხებში, მაგრამ ქექეს მაინც ვერაფერს უხერხებს. ის ერთადერთი ადამიანია, რომელსაც უარს ვერ ეუბნება და ვერც უბრაზდება.

— თქვენ როგორი დიასახლისი ხართ, სადილებს ახერხებთ შეუღლეს?

— იმერელი ვარ და ამბობენ, რომ კარგი მზარეულიც, მაგრამ კერძებს იშვიათად ვამზადებ. ნიკას კი ძალიან უყვარს კულინარიული ექსპერიმენტების ჩატარება, მაგრამ ეს ხშირად არ ხდება. ბევრ რამეს ამზადებს გემრიელად, განსაკუთრებით ფრანგულ და იტალიურ კერძებს. ძალიან მიყვარს მისი მომზადებული სპაგეტი ისპანახის სოუსით. ძალიან გემრიელია.

— ნიკა ინტელექტუალური კლუბის „რა? სად? როდის?" წევრია. ესწრებით გადაცემის ჩაწერას, როცა ის მონაწილეობს?

— თუ ნიკა თამაშობს, სტუდიაში აუცილებლად ვარ და მას ვგულშემატკივრობ. ძალიან საინტერესო და აზარტულია ამ დროს იქ ყოფნა. თამაშის ჩაწერის დროს ნიკას ურჩევნია, მასთან ერთად ვიყო. შემდეგ ტელევიზორში ერთად ვუყურებთ გადაცემას და ტელემაყურებლებივით განვიხილავთ თამაშს.

„ვეჰ ვიტყვი, რომ ნიკა უპრეტენზიოა ან მომთხოვნი ახ ახის. მას ძალიან უყვარს ყომფორტი და სიმშვიდე, ხაც ხშირად ვეჰ ხეხხდება ისევე, ოგორც ყველგან, სადაც ბავშვები ახიან, თუმცა ნიკა უკმაყოფილო ბუზღუნის იქით იშვიათად მიდის".

— რაც შეეხება პროექტ „ნიჭიერს", როგორ აფასებთ ნიკას, როგორც ჟიურის წევრს?

— „ნიჭიერსაც" ერთად ვუყურებთ ხოლმე. როგორც უკვე აღვნიშნე, ნიკას არ მოეწონება, რომ მისი სამსახურის საქმეში ჩავერიო. ამ შემთხვევაში კი, ჩაწერების წინ ჩაცმულობაზე რჩევას ყოველთვის მეკითხება და ჩანაწერის ყურების შემდეგაც ყოველთვის ითხოვს ჩემს შეფასებას. ვფიქრობ, რომ ნიკა ჟიურის საინტერესო წევრია. ამავდროულად ის საზოგადოებამ ახალი კუთხით დაინახა.

საერთოდ მგონია, რომ ნამდვილ ნიკას ხალხი კარგად არ იცნობს და მის მთავარ თვისებებზე წარმოდგენა არ აქვთ. თავიდან, როცა ურთიერთობები დავიწყეთ, ჩემს ბევრ მეგობარსაც შოკი ჰქონდა — ვერ გაიგეს, რა გვაკავშირებდა, რა საერთო გვქონდა მე და ამ პირქუშ კაცს. მოგვიანებით კი, როცა ნიკა გაიცნეს, მეორე შოკი მიიღეს, რადგან სრულიად განსხვავებული ადამიანი აღმოაჩინეს.

— რა არის ნიკას მთავარი თვისებები, რასაც საზოგადოება ვერ ხედავს?

— ძალიან თბილი, მეგობრული და ერთგული. კარგად მოსმენა იცის და საჭირო დროს საჭირო რჩევის მიცემა შეუძლია. ძალიან სამართლიანია. ფანტასტიკური იუმორის გრძნობა აქვს. არაჩვეულებრივად უკრავს ფორტეპიანოზე და შესანიშნავად უსტვენს.

— „ნიჭიერის" მაყურებელმაც შეამჩნია, რომ ნიკა გვარამიას ჰობი სტეფანა, როცა ერთ-ერთი კონკურსანტის ამ უნარმა იგი აღაფრთოვანა. გულწრფელად რომ გკითხრათ, სანდანან შემაწუხებელი ხომ არ არის თქვენთვის მისი ეს გატაცება?

— არა, რადგან იშვიათად უსტვენს. თან ბავშვებს ძალიან უხარიათ.

— ჟიურის მკაცრი წევრი სახლშიც ასეთი მომთხოვნი და პრეტენზიულია?

— ვერ ვიტყვი, რომ ნიკა უპრეტენზიოა ან მომთხოვნიარ არის. მას ძალიან უყვარს კომფორტი და სიმშვიდე, რაც ხშირად ვერ ხერხდება ისევე, როგორც ყველგან, სადაც ბავშვები არიან, თუმცა ნიკა უკმაყოფილო ბუზღუნის იქით იშვიათად მიდის. ბედნიერია, როდესაც ყველანი ერთად ვართ.

— საინტერესოა ის ფაქტი, რომ „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორის და „ნიჭიერის" ჟიურის წევრის ცოლი კონკურსანტ არხზე და კონკურსანტ შოუში მუშაობს. „ფორმის" საიდუმლოებების ერთმანეთისგან დამალვას ახერხებთ თუ ვერა?

— „ახალ ხმაში" მუშაობა მანამდე დავიწყე, სანამ ნიკა „რუსთავი 2"-ის დირექტორად დაინიშნებოდა. ამ თემაზე ძალიან ბევრს ვხუმრობთ. წარმატებული კობიტაცია გვაქვს ოჯახში. ისევე, როგორც „ნიჭიერს", „ახალ ხმასაც" ერთად ვუყურებთ და დეტალურად განვიხილავთ. ვფიქრობ, რომ ყველა ჩემი ქმედების თუ საქმის საუკეთესო შემფასებელი ჩემი ნიკაა.

„ნიკა ახლ შემიმჩნევია. ოგორც თვითონ ამბობს, მან მომაქცია განსაკუთრებული ყურადღება და გამოიკითხა, ვინ ვიყავი და ხას ვსაქმიანობდი. მაშინ ოიკვე ჩვენი ცხოვრებით ვცხოვრობდით და ჩვენს ცხოვრებაში იყვნენ სხვა ადამიანები".

— დაბოლოს, თქვენი აზრით, რა არის მთავარი მყარი, სტაბილური და მოყვარული ოჯახის შენარჩუნებისთვის?

— ოჯახის სიმყარისთვის მნიშვნელოვანი ბევრი რამ არის, მათ შორის— სიყვარული, ჯანსაღი ურთიერთობები და საერთო მიზნები. ასევე პირადი სივრცეც — მეგობრები თუ საქმე.

✓ მანანა ნოდია

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„ჩემი მოძალადე ქმარი სხვა ქალის ხელში ანგელოზად იქცა“

ამ წერილით იმ ქალებს მივმართავ, რომლებმაც კაცის ბუნება კარგად იციან. ქალბატონებო, იქნებ ამიხსნათ, როგორ უნდა კაცისთვის ლაგამის ამოდება. უჭკუო ქალი ნამდვილად არ მეთქმის, მაგრამ ცოლქმრულ ცხოვრებაში იოტისოდენა გამჭრიახობაც არ აღმომაჩნდა. განა რამეს ან ვინმეს მივტირი, უბრალოდ შემეძლო ნაკლები ტრავმები მიმეღო ცხოვრებაში.

ჭკუადამჯდარი გოგო ვიყავი, როცა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგი და გავთხოვდი. ჩემს ქმარს ყველაფერი ჰქონდა იმისთვის, რომ მას ცოლად გავყოლოდი — კარგი გარეგნობა, კარგი სამსახური, საზოგადოებაში პატივი, კარგი სახლი და ა.შ. მეგონა, რომ მასთან ცხოვრება არ გამიჭირდებოდა, მაგრამ ჩვენი ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ძალიან მძიმე აღმოჩნდა.

ქორწინების დღიდან წარმოუდგენელ სიმკაცრეს იჩენდა ჩემ მიმართ. თბილ სიტყვას არასოდეს იმეტებდა. მისი უხეში ბუნება ვერც ერთმა შვილმა გაათბო, ვერც მეორემ. შემიძლია დავიფიცო, რომ თავისი სურვილით ბავშვი ხელში არასოდეს აუყვანია. თუ მიაჩეჩებდი, შეიძლებოდა, მაშინ გაესეირნებინა. რომ ვსაყვედურობდი, შვილებს სიყვარულს არ აჩვენებ-მეთქი, მეუბნებოდა, ბავშვი სიმკაცრეში უნდა გაზარდო, რომ სიბერეში გამოგადგესო. სახლში კოპებშეკრული მოდიოდა და მთელი დღე ხმას არ იღებდა. ჩემი მშობლებიც შეიძულა. ისინი რომ ჩვენთან მოდიოდნენ, სახლიდან გარბოდა. თუ ჩემი დედ-მამა და ძმა დაგვპატიჟებდნენ, არ მომყვებოდა, ბოლოს კი მეც არ მიშვებდა. ახლაც არ ვიცი, ისინი რის გამო შეიძულა, მათ ხომ სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებიათ ჩვენთვის.

ამ ყველაფრის ატანა უფრო და უფრო მიჭირდა და ჩვენ შორის კონფლიქტებიც გამწვავდა. მერე კი ჩემი ცემაც გაბედა. მითხრა, შენი მორჯულება სხვანაირად ვერ მოვახერხეო. არადა რა მჭირდა მოსარჯულებელი, ქმარ-შვილზე ვიყავი გადაყოლილი. ერთ დღეს უფროსი შვილიც რომ გალახა და ჭურჭელი თავზე დაგვამტვრია, სახლიდან წავედი. ჩემი ორი შვილით ძმას შევეკედლე. მან და მშობლებმა კარგად მიპატრონეს. დღეს არც მე მაკლია რამე და არც — ჩემს შვილებს. თავისუფალი და ლაღი ქალი ვარ. სამსახურიც მაქვს და კარგი მეგობრებიც მყავს, მაგრამ ოჯახური სითბო მინდა, სითბო, რომელიც არასოდეს მქონია.

ჩემმა ყოფილმა ქმარმა ცხოვრება ერთ ქალთან დაიწყო და მალე ცოლადაც შეირთო. ბუნებრივია, ჩვენ ბევრი საერთო მეგობარი გვყავს, ჩემს შვილებსაც აქვთ მამასთან კონტაქტი და მათგან ვიცი, რომ არაჩვეულებრივი ქმარი დადგა. მასზე ისეთ რაღაცეებს მიყვებიან, რომ... თავიდან არ მჯეროდა. ვამბობდი, ამას ჩემი ჯიბრით მეუბნებიან-მეთქი. მერე კი ამის მომსწრე თავადაც გავხდი. მეგობარს საავადმყოფოში გავყევი და ჩემი ყოფილი ქმარი იქ ვნახე. თურმე მისი ცოლი იწვა საავადმყოფოში. ის კი შვილთან ერთად იყო მისული. ვერ წარმოიდგინეთ, იმ ბავშვს როგორ ექცეოდა. ის დარბოდა და ესეც უკან ბავშვივით მისდევდა, გულში იხუტებდა, კოცნიდა, მამიკო, მამიკოო, ეუბნებოდა. მერე ბავშვმა შოკოლადით მოისვარა სახე, ეს ადგა და პირი დაბანა, შემდეგ კოცნა და კოცნა. მე შორიდან, პირღია ვუყურებდი. არ მახსოვს, ჩვენი შვილები ასე ჩაეკოცნოს, რა პირის დაბანაზე იყო ლაპარაკი, ბავშვი ტირილით რომ მომკვდარიყო, გული არ შეუტოკდებოდა, ხელში არ აიყვანდა. მარტო ყვირილი იცოდა, ბავშვს ნუ ატირებო. იმ ქალმა კი ანგელოზად აქცია და მაინტერესებს როგორ!

კიდევ ერთხელ ვამბობ, მას არ მივტირი, ყოფილი ქმრისგან იმდენი სიმწარე მახსოვს, რომ არ შეიძლება მომენატროს, მაგრამ სულ ვფიქრობ, მე რატომ ვერ ვაქციე კარგ მამად, კარგ ქმრად, რა დავაკელი?

თქვენი ერთგული მკითხველი

„53 წლის კაცი დედის და ცოლის ჩხუბმა შეამწირა“

შეიძლება გაგიკვირდეთ და თქვათ, 53 წლის კაცი რამ გადარია, წერილების წერა რამ დააწყებინაო. გიპასუხებთ — გამოუვალმა სიტუაციამ. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

დედა მყავს ავად. 80 წლისაა და ლოგინს არის მიჯაჭვული. ინსულტი დაემართა. სიკვდილს სასწაულად გამოვგლიჯეთ ხელიდან. როგორც ბავშვს, ისე სჭირდება მოვლა. ამ ყველაფერს კი მე ვაკეთებ, რადგან ცოლს ვერ ვაიძულებ, დედაჩემს მიხედოს.

დედამ ჩემი ცოლი თავიდანვე აითვალწუნა. რა აღარ ვიღონე, მაგრამ მათ შორის მშვიდობა ვერ დავამყარე. გამუდმებით ჩხუბობდნენ, კინკლაობდნენ. რამდენჯერმე პოლიციაშიც კი ამოყვეს თავი, რადგან ერთმანეთს ხელით შეეხნენ. ერთხანს მე და ჩემი ცოლი ცალ-ცალკე ვცხოვრობდით, მაგრამ შვილების გარეშე ვერ გავძელი და შევრიგდით. დედამ და ცოლმა სახლში მისვლა შემაძულეს. ორივე ცალ-ცალკე ჩიოდა ჩემთან. იმას კი არ აქცევდნენ ყურადღებას, მე რა დღეში მაგდებდნენ.

ბედმა შემახვედრა ქალს, რომელთანაც შვება ვიგრძენი. ოჯახი არ დამინგრევია, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ სხვა ქალი მიყვარდა. მასთან ხშირად ვიყავი. ცოლი დედამთილს ადანაშაულებდა, შენი ბრალია, ქმარი გამიქცეო სახლიდანო. დედაჩემი კი რძალს აბრალებდა, შენ ვერ გაგიძლო, თავგზა აუბნიე და ვიღაც ქალს ამიტომ გადაეყარაო. ასე კინკლაობაში გავიდა ლამის 30 წელი. ახლა ჩემს ცოლს დედამთილის დანახვა არ უნდა. მეუბნება, შენი საყვარელი მოიყვანე, ის მიხედავსო. არადა იმ ქალს წლებია, დავშორდი. ჩემმა ცოლმა კი ვერა და ვერ დაივიწყა.

დედა ხომ ავად არის, მაგრამ ხასიათი მაინც არ შეეცვალა. რამდენჯერმე ჩემს ცოლს ხელი აუკრა, მისი ხელით საჭმელი არ შეჭამა. მოკლედ, ჩემი ცხოვრება ორი ქალის ჩხუბმა შეიწირა. არ ვამეტებ, მართლა წამართვეს საუკეთესო წლები. ზუსტად ვიცი, არც ერთს ვუყვარვარ, არც მეორეს. ბიჭები მყავს, ისინი ბებიას ვერ უვლიან. ჩემი ცოლი ზედ არ უყურებს. დედაა და მისთვის ჩემი მოვლა ალალია, მაგრამ ფიზიკურადაც ძალიან მიჭირს და მორალურადაც. იმდენი საშუალებაც არ მაქვს, მომვლელი დავიქირავო.

ამქვეყანაზე არავის ვეცოდები. ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ ჯობდა, ამ ორ ქალს გავცლოდი და ჩემი ბედნიერებისთვის მებრძოლა.

„ხარკის“ მკითხველი

„ჩემმა საქმრომ ქორწილისთვის ვერა და ვერ მოიცალა“

ოთხი წელია შეყვარებული მყავს. უნივერსიტეტი დავამთავრე, ვმუშაობ. ისიც დასაქმებულია, მოკლედ, ქორწილისთვის ყველანაირად მზად ვართ, ასაკითაც და სოციალური მდგომარეობითაც, მაგრამ ჩემს შეყვარებულს, რომ იტყვიან, ჯვარი ვერ დავწერე. ყველა მეკითხება, რატომ არ ქორწინდებითო, მაგრამ ამაზე პასუხი არ მაქვს.

ჩემს საქმროდ ითვლება, მის სახლში მივდივარ, ისიც მოდის ჩემთან. არ არსებობს, მისი ნათესავი გათხოვდეს ან დაქორწინდეს, რომ ქორწილში არ წამიყვანოს. ახლობლების დაბადების დღეებზეც კი დავყავარ. ყველა ისე გვადღეგრძელებს, როგორც საქმროს და საცოლეს. გვეუბნებიან, მალე თქვენს ქორწილშიც შეგვესვას სადღეგრძელოებიო, მაგრამ ეს დღე არა და არ დადგა.

ჩემები უკვე ამრეზით უყურებენ ამ ურთიერთობას. მეკითხებიან, თუ მართლა უყვარხარ, რატომ არ ქორწინდებითო. ამაზე პასუხი არც მე მაქვს. მიზეზი მართლა არ არსებობს. ერთადერთი, რამაც შეიძლება შეუშალოს ხელი, ნაკლები სიყვარულია. ალბათ ისე არ ვუყვარვარ, რომ ცოლად მომიყვანოს. ჩემი ძმა უკვე მიბრაზდება, მასთან ერთად რომ მხედავს. მეუბნება, სახელს გიტეხს, არც ცოლად წაგიყვანს და სახელსაც შეგირცხვენსო.

მე კი ის მართლა მიყვარს. მასთან განშორებას ვერაფრით შევეგუები. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე და ან რა ვიფიქრო. იქნებ დამეხმაროთ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტsana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„გოგონას, რომელსაც ჩემი შვილი უყვარდა, აბორტი გავაკეთებინე"

ჟურნალ „სარკის" 46-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ცოდვა არ მასვენებს — შვილის შეყვარებულს მუცელი მოვაშლევინე". ასეთი ცოდვა მეც მაქვს ჩადენილი, შვილიშვილის დაბადებას მეც შევუშალე ხელი. ის ამბავი რომ მახსენდება, ცუდად ვხდები, მაგრამ, როგორც წესი, სინანული ძალიან გვიანია ხოლმე.

ეს ცოდვა კეთილი განზრახვით ჩავიდინე. არ მინდოდა, ჩემს შვილს ოჯახში პრობლემები შექმნოდა. არადა სწორედ ასეთი საფრთხის წინაშე იდგა. ერთ გოგოს ინსტიტუტიდან მოყოლებული უყვარდა, მაგრამ ჩემს შვილს მასთან მხოლოდ მეგობრობა აკავშირებდა. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა იმ გოგოს გრძნობების შესახებ, მასზე სერიოზულად არასოდეს უფიქრია.

უმაღლესი რომ დაამთავრა, დაქორწინდა. ერთი წელი ხვდებოდა გოგონას და ჩათვალა, რომ საკმარისად კარგად იცნობდა. რძალს რთული ხასიათი აღმოაჩნდა. ცოტა ხანში მე და ჩემი ქმარი იძულებულები გავხდით, ცალკე გადავსულიყავით საცხოვრებლად, რადგან მათთან ერთად ცხოვრება აუტანელი გახდა. ყოველ წვრილმანზე ჩხუბობდა, მთელი დღე ისე გაივლიდა, ღიმილი არ გაუკრთებოდა სახეზე. ქმარს ჩემი თანდასწრებით ეუბნებოდა, რომ მის მშობლებთან ერთად ცხოვრებას ვერ ეგუებოდა. მოკლედ, ცოლ-ქმარი მარტო დავტოვეთ. ვიფიქრეთ, რომ ურთიერთობას ააწყობდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ცოლისგან გაგიჟებული ჩემი შვილი ხშირად მოდიოდა ჩვენთან და რჩებოდა. ამბობდა, მის ჭირვეულობას უკვე ვეღარ ვუძლებო.

არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ჩემმა შვილმა სითბო იმ გოგოსთან იპოვა, რომელსაც ინსტიტუტში უყვარდა. რომანი გააბეს. ეს ამბავი რომ გავიგე, პანიკაში ჩავვარდი. მართალია, რძალი არ მომწონდა, მაგრამ არ მინდოდა, ოჯახი დაენგრეოდათ. მე იმ თაობას მივეკუთვნები, ვისთვისაც ოჯახი წმიდათაწმიდაა, მისი შებღალვა არავის ეპატიება. ამიტომაც დავტრიალდი, რომ შვილის ოჯახი გადამერჩინა. ვამბობდი, შვილიშვილებს უმამოდ როგორ დავტოვებ-მეთქი. სანამ ჩემი რძალი გაიგებდა, ამ პრობლემის მოგვარება მე ვითავე. იმ გოგოსთან სახლში მივედი და ვუთხარი, რომ არ გავახარებდი, თუ ჩემს შვილს არ ჩამოშორდებოდა. ტირილი დაიწყო, უკვე გვიანია, მისგან ორსულად ვარო. ეს რომ გავიგონე, იქვე ჩავიკეცე. ვუთხარი, ამ ბავშვს ვერ გააჩენ-მეთქი. რამდენიმე დღე დავდიოდი იმ გოგოსთან და ვეუბნებოდი, რომ ყველაზე უბედური ქალი იქნებოდა, თუკი იმ ბავშვს გააჩენდა. ვუხსნიდი, რომ ჩვენ მის შვილს არასოდეს ვაღიარებდით, ყურადღებას არ მივაქცევდით. ერთი სიტყვით, ისე შევაშინე, რომ აბორტის გაკეთება გადაწყვიტა. არ ვენდე, ვიფიქრე, არ მომატყუოს, ბავშვი არ დაიტოვოს-მეთქი და ნაცნობ გინეკოლოგს მივუყვანე. იქიდან რომ გამოვედით, მითხრა, დღეიდან შენც მძულხარ და შენი შვილიც, ღმერთმა ორივე დაგწყევლოთო. ეს სიტყვები ისეთი სახით მითხრა, რომ არასოდეს დამავიწყდება.

წყევლის არ მჯერა, მაგრამ მეც და ჩემი შვილიც დაწყევლილებივით ვართ. მეუღლე გარდამეცვალა, ჩემი შვილის ოჯახი კი მაინც დაინგრა. ცოლ-ქმარმა საერთო ენა ვერ გამონახეს. განქორწინების შემდეგ ჩემი ყოფილი რძალი მალევე გათხოვდა. ჩემი შვილი კი გასაცოდავებული დადის, სამსახურშიც არ ემართება ხელი, შვილებსაც ვერ ნახულობს. ვერც ისეთი ქალი ნახა, რომელიც მის ცხოვრებას ხალისს მისცემს და ბავშვებს გაუჩენს.

ახლა ვნანობ, იმ გოგოს ასეთი ცოდვა რომ ჩავადენინე. რას ვერჩოდი იმ უცოდველ არსებას? რატომ არ მივეცი უფლება, რომ ამქვეყანას მოვლინებოდა? მისი დედაც უცოდველი იყო, ბავშვის უმწეო თვალებით მიყურებდა, როცა აბორტის გაკეთებას ვაძალებდი. ისიც გავიმეტე. იქნებ ის ბავშვი რომ დაბადებულიყო, ჩემი შვილი ბედნიერი ყოფილიყო. იმ ამბის დავიწყებას ვცდილობ, მაგრამ ეს ცოდვა ყოველდღე მახსენებს თავს.

„სარკის" ერთგული მკითხველი

„ქორწილის დღეს დავინვალიდდი და საცოლემ მიმატოვა"

ერთადერთხელ შემიყვარდა, ისიც — თავდავიწყებით. ჩემი საცოლე მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი და დიდი ხნის შეხვედრების შემდეგ დაქორწინება გადავწყვიტეთ. ჩემი სიყვარულის ისტორია, ერთი შეხედვით, დიდი მხიარულებით და ბედნიერებით დაიწყო, მაგრამ ყველაფერი ტრაგედიით დამთავრდა. ქორწილის დღეს მანქანა დამეჯახა და ავტოავარია ჩემი დახეიბრებით დასრულდა. მეგონა, დარდისგან მოვკვდებოდი. ამას ისიც დაემატა, რომ ჩემი საყვარელი ქალი, ჩემი საცოლე, ჩემი ცხოვრებიდან იმ დღის შემდეგ წავიდა და დატოვებულ წერილში თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ ახალგაზრდა გოგო ხეიბარ კაცს ცხოვრებას ვერ შემალევდა. გავუშვი, არ შემიჩერებია, მაგრამ მე დარდისგან აღარ ვიყავი, თვითმკვლელობის მცდელობაც მქონდა, თუმცა ამის გაკეთება ვერ შევძელი და ამისთვის უფლის მადლობელი ვარ. სიცოცხლე ყველაზე სანუკვარი რამაა ადამიანისთვის, ამას ახლა ვაცნობიერებ, თუმცა მინდა ვთქვა, რომ მე მხოლოდ ვცოცხლობ და არა — ვცხოვრობ.

ქალი, რომელმაც ჩემთვის ყველაზე რთულ პერიოდში მიმატოვა, ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ოდესმე მყვარებია. თავს მარტოსულად ვგრძნობ, დედ-მამა გარდამეცვალა. დედა ძალიან მენატრება. იმ მძიმე წუთებში ყველაზე მეტად ის დამიდგა გვერდით. მენატრება მისი ჩახუტება, მისი სიმღერა, მენატრება მამიკოს ომახიანი ხმა და თავზე ხელის გადასმა. ახლა ერთადერთი, ვინც ჩემ გვერდითაა, ჩემი ერთადერთი და საყვარელი დაა, რომელიც მუცლით ჩემს დისშვილებს ატარებს.

მე 39 წლის ვარ, ჩემი დაიკო 20 წლისაა. გული დარდით მევსება, მას უწევს ჩემი მოვლა, ასე ახალგაზრდას. იმედი მაქვს, პატარა გოგონები, ჩემი დისშვილები, რომლებიც მალე მოევლინებიან ამქვეყანას, ჩემს ცხოვრებაში შემოიტანენ ხალისს, სითბოს და სიმშვიდეს.

იქნებ ჩემმა საცოლემ, რომელიც ქორწილის დღიდან თვალით არ მინახავს, ეს წერილი წაიკითხოს და დაფიქრდეს, იმ დღეს როგორ მოიქცა.

„სარკის" ერთგული მკითხველი

✓ *რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ*

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

რატომ არ უშვებენ ქართველებს თბილისის აზიურ ბარებში

«ღამის თბილისი მთლიანად საბოზეთია!»

თბილისის ღამის კლუბები უკონტროლო ბნელი სივრცეა, სადაც, ყველამ იცის ან ხვდება მაინც, რა შეიძლება ხდებოდეს. ცოტა ხნის წინ დედაქალაქის ცენტრში გამართულმა აქციამ ამ სიბნელის ერთ კუთხეს ახადა ფარდა და იქიდან საშინელმა სიბინძურემ „გამოანათა“.

„მამათმავლებო, შორს საქართველოდან!“, „არ დავუშვებთ სოდომ-გომორის ცოდვებს!“, „სასწრაფოდ დაიხუროს ბარ-ბორდელები!“ — ასეთი პლაკატებით ქართველი მამაკაცები ნოემბრის ერთ საღამოს თბილისის ცენტრში მოწყობილ აქციაზე გამოჩნდნენ. მათი პროტესტი და აღშფოთება იმ ფაქტით იყო გამოწვეული, რომ, როგორც გაირკვა, საქართველოს დედაქალაქში უკვე დიდიხანია ქართველებს აზიურ ბარებში, მათი უცხოელი მფლობელების განკარგულებით, არ უშვებენ.

■ აქცია

ქართველი მამაკაცების პროტესტი 6 ნოემბერს ინტერნეტით გავრცელებულ ვიდეომასალას მოჰყვა, სადაც ჩანს, რომ აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ არაბულ ბარში ქართველ ახალგაზრდებს შესვლის უფლება არ მისცეს. ვიდეოკადრებში დაცვის თანამშრომლები ამბობენ, რომ მათ ამგვარი მითითება უფროსებისგან აქვთ მიღებული.

აღმოჩნდა, რომ ქართველებს აზიურ ბარებში, რომლებიც არაბების, თურქების, ირანელების თუ ჩინელების საკუთრებაა, უკვე წლებია კარს უკეტავენ. მიზეზად აზიელები ქართველი მამაკაცების არასათანადო ქცევას ასახელებენ. საქართველოს მოქალაქეები ეთნიკური და გენდერული დისკრიმინაციის შესახებ ალაპარაკდნენ. ატეხილი აჟიოტაჟის შემდეგ ირანულ თუ თურქულ კლუბებში ყოველგვარი ფეისკონტროლი თუ გენდერული შეზღუდვა მოხსნილია. ყველა მსურველს თავისუფლად შეუძლია შევიდეს.

„გვითხრეს, რომ აქედან ქალების გაყვანა შესაძლებელია. უბრალოდ, ახლა ატეხილი ამბების გამო ქალები გადამალეს. აღარ ამუშავებენ და ჩვენც იმიტომ გვიშვებენ თავისუფლად“, — გვითხრა ქართველმა მამაკაცმა, რომელიც არაბული კლუბიდან გამოვიდა.

„ქართველების დისკრიმინაცია მიდისო, რომ გაიძახიან, ეთნი განახათ, ქალებს როგორ ექცევიან და ეს ქართველების კი არა, ქალების დისკრიმინაცია უფროა ქართველი კაცების მხრიდან“.

როგორც აღმოჩნდა, ჩვენი თანამემამულეებიც სცოდავენ და არც ისინი იქცევიან ასეთ ბარებში კორექტულად.

კლუბების მფლობელები პრესასთან არ ჩნდებიან. „სარკე“ დაცვის ერთ-ერთ თანამშრომელს ესაუბრა. აი, რა გვითხრა მან:

— ზოგი მთვრალი მოდის, ზოგი უკვე აქ ნამყოფია და ვიცით, რა შეუძლია გააკეთოს. ერთ ქალს შეურაცხყოფა მიაყენეს, ერთმა კინაღამ ყველას თვალწინ გააუპატიურა. იმ კაცს როგორღა შემოვუშვებთ? ზოგი არასრულწლოვანია და, რა თქმა უნდა, არ ვუშვებთ.

— დადის ხმები, რომ აქ ქართველ ვაგონებს მეძავებად აბუშავებენ და სწორედ მათი სერვისია, ქართველი მამაკაცები არ შეიყვანენ ბარში.

— სტრიპტიზის მოცეკვავეები გვყავს, მაგრამ მეძავები — არა. სწორედ ამის გაგება უჭირთ ქართველებს. სტრიპტიზის მოცეკვავეები მეძავები ჰგონიათ, რომლებიც შეუძლიათ სახლში წაიყვანონ. უცხოელს კი ესმის, რომ ეს ბორდელი კი არა, სტრიპტიზკლუბია. ამიტომაცაა მათთან ურთიერთობა უფრო ადვილი და მეპატრონეებს აღარ უნდათ ზედმეტი პრობლემები. ქართველების დისკრიმინაცია მიდისო, რომ გაიძახიან, ერთი განახათ, ქალებს როგორ ექცევიან და ეს ქართველების კი არა, ქალების დისკრიმინაცია უფროა ქართველი კაცების მხრიდან. კლუბში შემოსვლა ფასიანია. უცხოელებმა იციან, რომ ფულის გადახდის გარეშე აქ არავინ შემოუშვებთ. ქართველი კი, რას არ იკადრებს, რომ უფულოდ შევიდეს. მიდის გაწევ-გამოწევა და მთელი ამბავი. არც იმის ღირებულების გადახდა უნდათ, რასაც დალევენ თუ შეჭამენ. ასეთ რამეში სხვა ეროვნების წარმომადგენელიც რომ შევამჩნიოთ, აღარც იმას შემოვუშვებთ.

— თქვენი კლუბის მეპატრონე რა ეროვნებისაა?

— მგონი, თურქია. მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! ხანდახან თურქები დახურულ ივენთებს აკეთებენ — დაბადების დღეს იხდიან ან რაიმე წვეულება აქვთ. ამ დროს მოდიან და კარს გვინგრევენ, შეგვიშვითო. ვერ გააგებინებ, რომ დახურული საღამოა. რესტორანში, სადაც ქორწილს იხდიან, წარმოგიდგენიათ, ვიღაცეები რომ შევიდნენ?! შემახედე ცოტა ხნითო, გვეხვეწებიან.

■

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიწისქვეშა გადასასვლელებში მოქმედი ღამის კლუბები ნარკოტიკების გავრცელების წყარო და პროსტიტუციის ბუდეა.

„დაიხუროს ის უცხოური კლუბები, სადაც ხდება ქართველების ეთნიკური და გენდერული დისკრიმინაცია. ასევე დადგეს დაცვის სამსახურის პასუხისმგებლობა, რომლებმაც იციან, რომ იქ დანაშაული ხდება და ხელს აფარებენ. უნდა გამკაცრდეს სავიზო და საემიგრაციო რეჟიმი და დაიწყოს კონკრეტული გამოძიება ამ ბარებში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით“, — ასეთია აქციის მონაწილეთა მოთხოვნები. აქციაზე, რომელიც ვარდების მოედანზე დაიწყო და აღმაშენებლის გამზირისკენ დაიძრა, გლდანის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მოძღვარი, სკანდალურობით ცნობილი მოძღვარი, მამა ბასილ მკალავიშვილი შევნიშნეთ.

მამა ბასილი: ღამის კლუბები შესყიდული აქვთ ჩინელებს, არაბებს, თურქებს, ირანელებს და იქ ხდება საშინელი გარყვნილება. ქართველი გოგონები ჰყავთ დაქირავებული და გარყვნილებაში რთავენ. ეს საშინელებაა და მე, როგორც მართლმადიდებული მღვდელი, ამას არ დავუშვებ! მოვითხოვთ მთავრობისგან, რომ სასწრაფოდ აიკრძალოს ეს კლუბები.

აქციის მონაწილე: აზიის და აფრიკის 80 ქვეყანასთან გვაქვს უკონტროლო, უვიზო მიმოსვლა. მოვითხოვთ, საქართველოს სავიზო და საემიგრაციო რეჟიმი ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდეს.

მამა ბასილ მკალავიშვილის მრევლი: პროსტიტუცია კანონით აკრძალულია, მაგრამ, ერთი ნახეთ, ასეთ ბარებში რა ხდება! სინამდვილეში ბორდელებია. თურმე საქართველოში ყველაზე იაფი ღირს ქალის მომსახურება და ამიტომაც ჩამოდიან და ასეთ ბარებს ხსნიან ვიღაც ურჯულოები. ტურისტული ბიზნესი გახადეს ქართველი ქალების ცუდი საქციელი. სააკაშვილმა კი ყველას მოქალაქეობა დაურიგა და თავზე დაგვასვა ეს ხალხი. წლებია, კანონით აკრძალულ საქმიანობას ჩადიან და არავინ სჯით, რადგან სწორედ თავად პატრონობდნენ და აქედან ალბათ სააკაშვილის ჯიბეშიც მიდიოდა ფული. ერთი უკრაინული სტრიპტიზკლუბი თუ ბორდელი გიორგი არველაძემ რომ გახსნა, ხომ გახსოვთ? რეკლამასაც კი აკეთებდნენ ტელევიზიით და ყველამ იცოდა, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ეკუთვნოდათ. როგორი თავაშვებულებიც თავად არიან, უნდათ, მთელი საქართველოც ისეთი იყოს.

„იმანელებს და თურქებს ქართველ ქალებთან ისეთი ურთიერთობა აქვთ, რაც ქართველი მამაკაცების აღშფოთებას იწვევს... თუ ისინი ამბობენ, რომ ქართველი მამაკაცები ეს იქცევიან სათანადოდ, ასეთი ფაქტები უნდა დადონ. ეს ყველაფერი აღწერილი უნდა იყოს პოლიციის მიერ“.

ახალი ხელისუფლების გამკვირვებია. ვითომ ეროვნულები არიან და ასეთ რამეებს რატომ არ აქცევენ ყურადღებას, რატომ არ არიან დღეს ჩვენ გვერდით?! წითელი ფარნების ქუჩას დაამსგავსეს ჩვენი ქუჩები. ღამის თბილისი მთლიანად საბოზეთია!

■

აქციას იურისტი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, დიმიტრი ლორთქიფანიძეც ესწრებოდა. ის ამბობს, რომ ქართველების დისკრიმინაციის პოლიტიკას აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი ახორციელებდა.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: ამ პოლიტიკას სააკაშვილის ხელისუფლება წლების განმავლობაში ატარებდა. იმედი მაქვს, ახალი პრეზიდენტი საპატიოდ შეძლებს ამ მძიმე ჯვრის ტარებას და გამოასწორებს ყველა იმ ანტისაზოგადოებრივ საკანონმდებლო აქტს, რომლის თანახმადაც, ამ ქვეყნის მოქალაქეების უფლებები უხეშად ირღვეოდა. ის, რაც დღეს არალეგალური პროსტიტუციის განვითარებას და საეჭვო ღამის კლუბების წარმოშობას უკავშირდება, მხოლოდ და მხოლოდ ხილული სახეა იმ აისბერგის, რომელიც საკანონმდებლო აქტებშია დამალული და რაც შესაძლებლობას აძლევდა სააკაშვილს, ათასობით უცხო პირი საქართველოს მოქალაქედ ექცია.

ოფიციალური წრეები ამასთან დაკავშირებით განცხადებებს არ აკეთებენ. მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს აჭარაში ჩატარებული სამუშაოებისთვის, მაგრამ სხვა შემთხვევები და განსაკუთრებით დედაქალაქში, არ დაფიქსირებულა. ვალდებულად ჩავთვალე თავი, რომ ახალგაზრდების მიერ ორგანიზებულ აქციას დავსწრებოდი.

Cyan Magenta Yellow Black

— გამოითქვა მოსაზრება, რომ ასეთმა აქციებმა შეიძლება ეთნიკური კონფლიქტის გაღვივებას შეუწყოს ხელი.

— არანაირად! ქვეყანაში არსებობენ ძალები, რომლებიც სიამოვნებით მოახდენენ კონფლიქტის გაღვივებას, მაგრამ ეს მსვლელობა არ გასცდენია კონსტიტუციით დადგენილ ნორმებს. თუ ხელისუფლების მხრიდან არ იქნება რეაგირება მსგავს მოთხოვნებზე, ამ აქციებმა შეიძლება უფრო მწვავე ფორმა მიიღოს. ამ კლუბების მეპატრონეები საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევენ. ის კერძო დაცვის სამსახურები, რომლებიც მათ უსაფრთხოებას

„ჩვენი უფლებადამცველობითი სივრცე მთლიანად ორიენტირებულია იმაზე, რომ უფლება წაართვას ქართველს, უფლება წაართვას ქრისტიან მართლმადიდებელს, მაგრამ უცნაური ზრუნვის ქვეშ ამყოფოს ის ადამიანები, ვის გამოც ხშირად საგრანტო პრემიებსაც იღებენ".

იცავენ, იღებენ შესაბამის გასამრჯელოს, რომ დაარღვიონ ეთნიკური ნიშნით ადამიანის უფლებები. მიდის ამ ღამის კლუბების ე.წ. „დაკრიშვა". გამოვლენილია ფაქტები, რომ ამ კლუბებში არასრულწლოვანი გოგონები შეჰყავთ. რა მიზნებით, ამით შსს უნდა დაინტერესდეს. ბათუმში დღესაც რჩება მსგავსი უამრავი საეჭვო დაწესებულება. ურთიერთობის ფორმატი იქაც იგივეა — არ უშვებენ მამაკაცებს, უშვებენ ქალბატონებს.

— ახალი ხელისუფლება რატომ არ დასტურეს- და ასეთი ფაქტებით?

— სწორედ ეს იწვევს ჩემს პროტესტს. ხელს იშვერდნენ საკაპშვილისკენ, რომელიც, თავის მხრივ, საბოტაჟს მიმართავდა. ახლა უკვე ახალი პრეზიდენტი გვყავს და დავაკვირდეთ, შეცვლიან თუ არა თავიანთ დამოკიდებულებას ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ. ყოფილი რესპუბლიკის მოედანთან, მიწისქვეშ განთავსებულ ასეთ კლუბებში ათეულობით შემთხვევაა დაფიქსირებული არასრულწლოვანი გოგონების მიყვანის. ეს არის პროსტიტუციის ბუდეები და არა — ჩვეულებრივი ღამის კლუბები!

■

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი, არჩილ გამზარდია, ამბობს, რომ საქართველოში არაქართველები ნებისმიერ ქმედებაში ნახალისებული არიან ქართველების შევიწროების ხარჯზე. მისი თვალთახედვით, ღამის კლუბებში გაჩენილი პრობლემა ერით მცირე გამოხატულებაა დიდი საფრთხისა — ე.წ. სხვადასხვა ნიშნით დაყოფისა, რაც ქვეყანაში მწიფდება და რაზეც ხელისუფლება ნებით თუ უსუსურობით თვალს ხუჭავს.

არჩილ გამზარდია: ამ ტიპის ბარებს უნდა ჰქონდეთ დაწესებული გარკვეული ქცევის წესები, რითაც კლიენტს გააფრთხილებს. ოპერაში რომ ხტუნაობა არ უნდა დაიწყო, ეს ხომ გარკვეული შეთანხმებაა?

— ანუ თქვენც ფიქრობთ, რომ ქართველები ამიერ ბარებში არაშესაბამისად იქცევიან და იქ მათი არშეშვების მიზეზიც ეს არის?

— როგორც ვიცი, ბარების ხელმძღვანელები ამბობენ, რომ ქართველი კაცები არასათანადოდ იქცევიან. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება ეთნიკური საზომით განსხვავება. თავიანთ სახელმწიფოებში ამის მეათედის თუ მეასედის უფლებას არავის მისცემენ. თქვენ წარმოგიდგენიათ, ქართველებმა გახსნან ბარი თურქეთსა თუ ირანში და არაოფიციალურ წესად შემოიღონ, რომ იქ ადგილობრივი მამაკაცები არ შეუშვან?! რას ჰქვია, შეუშვან ქართველი ქალი და არ შეუშვან ქართველი მამაკაცი?! თუ ისინი ამბობენ, რომ ქართველი მამაკაცები არ იქცევიან სათანადოდ, ასეთი ფაქტები უნდა დადონ. ეს ყველაფერი აღწერილი უნდა იყოს პოლიციის მიერ.

თვითმხილველები ამბობენ, რომ მეტისმეტად სპეციფიკური გარემოა აზიურ ბარებში. ირანელებს და თურქებს ქართველი ქალებთან ისეთი ურთიერთობა აქვთ, რაც ქართველი მამაკაცების აღშფოთებას იწვევს, მაგრამ რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს იქ ქართველი ქალი, მას საკუთარ თავზე აქვს პასუხისმგებლობა აღებული. აქ საუბარია იმაზე, მფლობელები რატომ აპროტესტებენ ქართველების იქ შესვლას. თუ მათ მიაჩნიათ, რომ ქართველი კაცები მასობრივად იქცევიან არასათანადოდ, ეს უნდა დაამტკიცონ! ეს უნდა დასტურდებოდეს პოლიციის ჩანაწერებით.

ვფიქრობ, წლების განმავლობაში მოხდა რელიგიური ექსტრემიზმის წახალისება, ასევე — სხვა ეთნიკური ჯგუფების დესტრუქციული ქცევების წახალისება. წლების განმავლობაში პრეზიდენტი საკაშვილი ისე არიგებდა საქართველოს მოქალაქეობას, რომ არაქართველი საქართველოს მოქალაქეები ქვეყნის მიმართ არანაირ ვალდებულებას არ გრძნობდნენ. არამხოლოდ მათზეა საუბარი, ვინც ახლა გახდნენ ამ ქვეყნის მოქალაქეები, არამედ მათზეც, ვინც დაბადებიდან აქ ცხოვრობენ. არის რეგიონები, სადაც ქართული არ იციან და არც თვლიან საჭიროდ, ისწავლონ, მიუხედავად იმისა, რომ მათი სახელმწიფო ენაა.

ჩვენი უფლებადამცველობითი სივრცე მთლიანად იმაზეა ორიენტირებული, რომ უფლება წაართვას ქართველს, უფლება წაართვას ქრისტიან მართლმადიდებელს, მაგრამ უცნაური ზრუნვის ქვეშ ამყოფოს ის ადამიანები, ვის გამოც ხშირად საგრანტო პრემიებსაც იღებენ. რეალურად საქართველოში ეთნიკური ჯგუფებია წახალისებული. ბათუმში ვერც მიხვდები, რომ ის საქართველოს ერთ-ერთი ქალაქია და ეს ხდება არამარტო ბათუმში!

საპარლამენტო არჩევნების დროს ქვემო ქართლში დაარიგეს მაისურები, რომლებსაც აზერბაიჯანულ ენაზე ჰქონდა წარწერა, ჯავახეთში — სომხურად და ა.შ. ძველი თუ ახალი

„ყოფილი რესპუბლიკის მოედანთან, მიწისქვეშ განთავსებული ასეთ ადგილებში ათეულობით შემთხვევაა დაფიქსირებული არასრულწლოვანი გოგონების მიყვანის. ეს არის პროსტიტუციის ბუდეები და არა — ჩვეულებრივი ღამის კლუბები!".

ხელისუფლების და არასამთავრობო სივრცის პოლიტიკაა ეს, რომელსაც ანტიქართული ელფერი გასდევს. გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობენ ქართველები და მათზე მეტი უფლებების მქონე სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. მათ აქვთ უფლებები, მაგრამ არ აქვთ პასუხისმგებლობა, არ აქვთ ვალდებულება. პრესაში ხშირია სათაურები, ეთნიკური ნიშნის გამო ესა და ეს გაათავისუფლეს, ეთნიკური ნიშნის გამო დაავჯარიმესო. სრულიად უპასუხისმგებლო განცხადებებია. წახალისებულია ის, რომ საქართველოში არაქართველს ყველაფრის უფლება აქვს, მათ შორის — ანარქიისაც, დესტრუქციისაც, დებოშიც მოწყობისაც ან საკუთარი კანონების დაკანონებისა, რასაც ადგილობრივი კანონმდებლობა არ ცნობს, სამაგიეროდ ყველა ცნობს მათ უფლებებს. ქართველი საკმაოდ დისკრედიტირებულია როგორც აღმსარებლობის, ისე ეთნიკური ნიშნით.

— ქართველებმა გადაწყვიტეს, თავიანთი უფლებების შელახვას აქციებით დაუპირისპირდნენ. ამით რამე შეიცვლება?

— ვფიქრობ, უფრო ცივილურად უნდა მოიქცნენ. სასამართლოში შეიტანონ სარჩელი და ა.შ. აგრესიული ქმედებებით სამართლიანობას ვერ აღადგენ.

— კონკრეტულად ამ ღამის ბარებთან დაკავშირებით რამ გააღიზიანა ქართველი მამაკაცები, იმან, რომ მათი იქ არ უშვებენ თუ იქ ქართველი ქალების დანახვამ, რომლებიც უცხოელებს სექსუალურ მომსახურებას უწევენ?

— უფრო ეთნიკურმა თავმოყვარეობამ იჩინა თავი, ვეჭვობ, რომ ქართველი ქალების ფაქტორი აღელვებდეთ. ბოლო პერიოდში ჩვენთან ძალიან ცუდი პროცესი დაიწყო — დაყოფის. საქართველოში დაიწყო რელიგიური ნიშნებით დაყოფა, რომელიც არასოდეს ყოფილა; დაიწყო კლასებს შორის დაყოფა — ვიღაც გლეხია,

„თავიანთ სახელმწიფოებში ამის მეათედის თუ მეასედის უფლებას არავის მისცემენ. თქვენ წარმოგიდგენიათ, ქართველებმა გახსნან ბარი თურქეთსა თუ ირანში და არაოფიციალურ წესად შემოიღონ, რომ იქ ადგილობრივი მამაკაცები არ შეუშვან?!".

ვიღაც თავადია... ეს ხელოვნურად შემოტანილი მექანიზმებია, რაც ძალიან საშიში ტენდენციაა. ღმერთმა გვაშოროს, აქ დაიწყოს რელიგიური თუ ეთნიკური დაპირისპირება.

საქართველოს ეკლესია კონფლიქტებს აღვივებს, ყველაფერს ანგრევსო, ამბობდნენ, მაგრამ პირიქით წარიმართა ყველაფერი. დღემდე ვერ შექმნეს ამ ნიადაგზე კონფლიქტი. რელიგიური ნიშნით რომ ვერაფერს გახდნენ, ეთნიკურზე გადავიდნენ.

— ამ თურქებს, არაბებს თუ ირანელებს, რომლებმაც ბარები გახსნეს და ამ ბიზნესით ფულს შოულობენ, რაში სჭირდებათ ქართველების არშეშვება, ამით ხომ თანხას კარგავენ?

— ფინანსურად აგებს, მაგრამ მიზანმიმართულად ვიღაცას არ იღებენ, რადგან ის არ ჯდება მათ სტრატეგიულ თუ ეთნოფსიქოლოგიურ ჩარჩოებში. თუ ქართველები არასათანადოდ იქცევიან, მაშინ დაცვა გააძლიერონ. ებრაელებს არ უშვებდნენ გერმანიაში, შავკანიანებს არ უშვებდნენ ამერიკაში, რადგან არ შეიძლებოდა, მათ მომსახურებოდნენ. ახლა რომელი საუკუნეა?! სახელმწიფომ უნდა დაიცვას მომხმარებლის უფლება და გააძლიეროს მონიტორინგი, ხომ არ ხდება იქ რაიმე კანონგარეშე ქმედება. ყველაფერი მთავრობამ უნდა მოაგვაროს. ამ დროს კი გასუსულია, რაც ეჭვებს აძლიერებს.

კაცმა არ იცის, რაში შეიძლება ეს აქციები გადაიზარდოს. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთ დაწესებულებებში ქართველ სამართალდამცავებსაც კი ჰქონდეთ წართმეული უფლება. როგორც მავთულხლართების იქით ქართული სახელმწიფო სრულიად უსუსურია, ასევეა აქაც. ეს არაოფიციალური მავთულხლართებია, მეტაფორული ოკუპაცია.

✓ **რუსუდან ადეიშვილი**

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

Cyan Magenta Yellow Black



მარგველაშვილი თუ ღარიბაშვილი — ვინ იქნება პირველი?

ავთანდილ დემეტრაშვილი: „პრემიერს ხელისუფლების უზურპაციის არანაირი საშუალება არ ექნება"



საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს — გიორგი მარგველაშვილი. მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაცია სისადავით გამოირჩეოდა, როგორც თავიდანვე ჩაფიქრებული იყო. ცერემონიალი თბილისში, პარლამენტის შენობის ეზოში გაიმართა და საღამოს „შერატონ მეტეხი პალასში" ოფიციალური მიღებით დასრულდა. მოკრძალებული ექნება პრეზიდენტს სამუშაო კაბინეტიც, რომელიც სახელმწიფო კანცელარიის მეათე სართულზე ბიძინა ივანიშვილისგან ერგო. რჩება კითხვა, ექნება თუ არა უფლებებიც ასეთივე მოკრძალებული? ახალი კონსტიტუციის ავტორს, კონსტიტუციონალისტ ავთანდილ დემეტრაშვილსთუ დავუჯერებთ, არა. მისი თქმით, პრეზიდენტის სტატუსი ისეთი უფერული ნამდვილად არ არის, როგორადაც ის ბევრს წარმოუდგენია.

— ბატონო ავთანდილ, პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები შეიზღუდა, მისი ინსტიტუტიც შესუსტდა. იქნებ მკითხველს განვუმარტოთ, რა უფლებების მქონე პრეზიდენტი გვეყოლება.

— კონსტიტუციის ახალი რედაქციით, პრეზიდენტს განსხვავებული დანიშნულება აქვს. ის კვლავ არის სახელმწიფოს მეთაური, კვლავ არის სახელმწიფო ძალების მხედართმთავარი, კვლავ უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას, არის ქვეყნის წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, ანუ ეს ყველაფერი შენარჩუნდა, მაგრამ ამოვარდა ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა პრეზიდენტის მიერ კონკრეტული პოლიტიკის განხორციელებას. ეს ნიშნავს იმას, რომ პრეზიდენტი სიმბოლური გახდა? არა და არა!

მაგალითად, ჩვენი დელეგაცია წავიდა ვილნიუსში, ვინ იქნება მისი ხელმძღვანელი? რა თქმა უნდა, პრეზიდენტი. სხვა ორგანიზაციებში, სამიტებში ვინ წავა? რა თქმა უნდა, პრეზიდენტი. უბრალოდ ის ვერ განახორციელებს პოლიტიკას მთავრობის და პარლამენტის თანხმობის გარეშე, რადგან პირდაპირ ჩაიწერა, რომ პრეზიდენტი აწარმოებს მოლაპარაკებებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით; დებს ხელშეკრულებებს მხოლოდ მთავრობასთან შეთანხმებით... ანუ იგი რეალურად პოლიტიკას დამოუკიდებლად არ ახორციელებს, მაგრამ არის ქვეყნის წარმომადგენელი.

— საშინაო პოლიტიკის წარმართვაშიც ასე შეიზღუდა?

— კი. მას არ შეუძლია შეიტანოს კანონპროექტი პარლამენტში; მას არ შეუძლია მოიწვიოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა და თავისი კანონპროექტი გაიტანოს; შეიზღუდა მისი შესაძლებლობა, დაითხოვოს პარლამენტი, მხოლოდ ერთი შემთხვევის გამოკლებით — როცა არ იქნება პარლამენტში უმრავლესობა, რომელიც საჭიროა მთავრობის ფორმირებისა და კანონთა მიღებისათვის. ანუ ჩვენ ვხედავთ, რომ ის კონკრეტულ პოლიტიკას არ ახორციელებს, მაგრამ ამავდროულად შეუძლია, გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს, თუ ამისი სურვილი ექნება და მიაჩნია, რომ პარლამენტმა არასწორი კანონი მიიღო. ვეტოს გამოყენება შენარჩუნებული აქვს. თუ თვლის, რომ აქტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, მას შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს მისი არაკონსტიტუციურად გამოცხადება. რა გამოდის? საკანონმდებლო საქმიანობაზე მას გარკვეული ზემოქმედება გააჩნია.

— მთავრობასთან მიმართებაში როგორია მისი როლი?

— ძველი რედაქციით, პრეზიდენტი რეალურად იყო მთავრობის ხელმძღვანელი, ამიტომ ამ პუნქტში მოხდა ცვლილებები. ახლა მთავრობის ხელმძღვანელს უკვე უწოდებენ მთავრობის მეთაურს, ანუ ბიციფალური სისტემა ჩაბარდა წარსულს და მთავრობის ხელმძღვანელად რჩება პრემიერმინისტრი. თუ აქამდე პრეზიდენტი იყო კაბინეტის ჩამოყალიბების დროს მთავარი ფიგურა, ის

> **„პირველი პირი არის პრეზიდენტი და პირველი ღედიც მისი მეუღლეა და არა — პრემიერი და მისი მეუღლე. ვინ იდგება მიღებაზე პირველი — მარგველაშვილის მეუღლე თუ ღარიბაშვილის? ჰა თქმა უნდა, მარგველაშვილის, არის ის მასზე დაქორწინებული თუ არა".**

წარუდგენდა საპარლამენტო ორგანოს და თუ პირველი და მეორე წარდგენის დროს არ დაამტკიცებდა პარლამენტი, მესამედ არდამტკიცების შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება ჰქონდა, დაეთხოვა პარლამენტი. აი, ეს უკვე არ არსებობს. მთავრობის ფორმირებაში არანაირი ძალაუფლება არ გააჩნია მას, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა უნდობლობას უცხადებს პარლამენტსა დამთავრობას.

ძველი რედაქციის მიხედვით, ყოველგვარი მოტივის გარეშე შეეძლო გადაეყენებინა მთავრობა და ძალოვანი მინისტრები. ასეთი უფლება მას უკვე აღარ გააჩნია. არც ის ეკითხება, რა ბიუჯეტი იქნება წარდგენილი პარლამენტში და პარლამენტი როგორ დაამტკიცებს მას. ძველი რედაქციის მიხედვით კი მას შეეძლო, თუ არ დაამტკიცებდა პარლამენტი, დაეთხოვა და თავისი დეკრეტით დაემტკიცებინა. ეს შემთხვევა უკვე გამორიცხულია.

ძველი რედაქციით, პრეზიდენტს შეეძლო მოეწვია მთავრობის სხდომა და გახსოვთ სააკაშვილი ლოპოტაზეც და ცათამბჯენზეც. მას ასეთი აქტის მიღების უფლება უკვე აღარ აქვს, მაგრამ თუ მიაჩნია, რომ სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი საქმე ან არასწორად მიმდინარეობს მთავრობის საქმიანობა, შეუძლია მოსთხოვოს ირაკლი ღარიბაშვილს მთავრობის სხდომის მოწვევა და სხდომაზე გარკვეული საკითხის განხილვა. თან ამ სხდომაზე თვითონაც მიიღებს მონაწილეობას და უშიშროების საბჭოს წევრებიც, ანუ მას შეუძლია, რადგან ძალიან მაღალი ლეგიტიმაციის ხარისხი გააჩნია — ხალხის მიერ არის არჩეული, ხოლო მთავრობა მეორადი ლეგიტიმაციის ორგანოა, თქვას, რადგან მე ხალხმა ამირჩია, ვფიქრობ, ეს ასე უნდა გადაწყდესო და, მაღალი ლეგიტიმაციიდან გამომდინარე, საკითხიც ისე გადაწყდება.

სამაგიეროდ დიდია პრეზიდენტის ძალაუფლება უშიშროებისა და უსაფრთხოების სფეროში. პარლამენტს შეაქვს ცვლილებები, რითიც სურთ, შეუზღუდონ უფლებები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი რჩება ამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე და საბჭო არის მისი სათათბირო ორგანო. შეგახსენებთ, ვინ შედის მის შემადგენლობაში — პრემიერმინისტრი, ფინანსთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრი. საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობს პარლამენტის თავმჯდომარე, ანუ ხედავთ, პრეზიდენტს გარკვეული გავლენა აქვს.

ასევე, პრეზიდენტი ერთპიროვნული მმართველი ხდება საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, როცა მისი აქტები არ საჭიროებს კონტრასიგნაციას.

— ის უფლებები, რაც ჩამოერთვა პრეზიდენტს, როგორ გადანაწილდა მთავრობასა და პარლამენტს შორის?

— საკანონმდებლო ინიციატივა ჩამოერთვა პრეზიდენტს, მაგრამ გადაეცა მთავრობას და არა — პრემიერს. საინტერესოა ისიც, რომ პარლამენტი ნდობას არა — პრემიერს, არამედ მთავრობას უცხადებს, ანუ მას არ მიიჩნევს პირველ პირად. ეუბნება, კი, მაინტერესებს შენი პიროვნება, მაგრამ უფრო მეტად შემადგენლობა და შენი სამთავრობო პროგრამაო. უნდობლობასაც არა — პრემიერს, არამედ მთავრობას უცხადებს. რა თქმა უნდა, პრემიერს გააჩნია კონტრასიგნაციის უფლება, ანუ პრეზიდენტის აქტს ხელი უნდა მოაწეროს პრემიერმაც, სხვანაირად მას არანაირი იურიდიული ძალა არ ექნება. მაგრამ კონსტიტუციამ დაადგინა, რომ ყველა საკითხზე არ არის პრემიერის კონტრასიგნაცია საჭირო და ჩამოთვლილია, მაგალითად, შეწყალება, ამნისტია, პარლამენტის დათხოვნა... მეორე, პრეზიდენტს შეუძლია ჭკვიანურად მოიქცეს, გავიდეს მთავრობაში, დაიყოლიოს მთავრობის წევრები და არ დასჭირდება პრემიერის კონტრასიგნაცია, ანუ პრემიერი არ არის მაინცდამაინც დიდი უფლებებით აღჭურვილი.

— ვინ არის ახალი კონსტიტუციით პირველი — პრემიერი თუ პრეზიდენტი?

— ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მე გკითხავთ, ვინ იქნება ამ კონსტიტუციით

Cyan Magenta Yellow Black

ქვეყანაში პირველი ლედი?

— თუ ივანიშვილს დავუჯერებთ, ღარიბაშვილის, ანუ პრემიერის მეუღლე.

— არამც და არამც! პირველი პირი არის პრეზიდენტი და პირველი ლედიც მისი მეუღლეა და არა — პრემიერი და მისი მეუღლე. ივანიშვილის ის განცხადება, როგორც უსუფაშვილი ამბობს ხოლმე, მეტაფორა იყო. როგორ წარმოგიდგენიათ, ვინ იდგება მიღებაზე პირველი — მარგველაშვილის მეუღლე თუ ღარიბაშვილის? რა თქმა უნდა, მარგველაშვილის, არის ის მასზე დაქორწინებული თუ არა. მაგალითად, საფრანგეთში ვინ წარმოიდგენს, რომ პრემიერის ცოლი პირველი ლედია?!

პოლონეთში მოხდა საინტერესო ამბავი კოაბიტაციის პირობებში. პრეზიდენტს მოუვიდა მიწვევა სამიტზე. პრემიერმა — მე უნდა წავიდეო და გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში. სასამართლომ, იცით, რა გადაწყვეტილება მიიღო? ორივე წადითო და სამიტზე ერთი სკამი დაამატეს. ჩვენს სიტუაციაში ეს გამორიცხულია, მაგრამ, აი, ბიძინა ივანიშვილი რომ იყოს პრემიერი და ნინო ბურჯანაძე — პრეზიდენტი, სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა, ანუ პოლიტიკურ პერსონებზეც არის ბევრი რამ დამოკიდებული. ამიტომ რეალურად, პირველი პირი ბიძინა ივანიშვილი რომ იქნება, ეს ფაქტია, მაგრამ შეიძლება სულაც დავით უსუფაშვილი გახდეს პირველი პირი, რატომაც არა?

— ასეთი რა უფლებები დაემატა მას, რომ ასეთი აქტუალური ფიგურა გახდა?

— გათავისუფლდა პრეზიდენტის წნეხისგან. მას გაუჭირდება უნდობლობის გამოცხადება მთავრობისადმი, მაგრამ ამავდროულად მას რჩება უფლება, გამოიძახოს პრემიერმინისტრი ან მინისტრები და მოსთხოვოს ახსნა-განმარტება. გარდა ამისა, შეუძლია, გააუქმოს მთავრობის აქტი. მთავარი კი მაინც ისაა, რომ პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ამას აკეთებს კანონების მიღებით და საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებით, ანუ ის განსაზღვრავს, როგორ იმოძრაოს ქვეყანამ შიგნით და გარეთ. ახალი რედაქციის მიხედვით, დამყარდა გარკვეული ბალანსი მთავარ ორგანოებს შორის — პრეზიდენტს აქვს შესაძლებლობები, რომ ზეგავლენა განახორციელოს პარლამენტზე, პარლამენტს აქვს უფლება, დაიწყოს იმპიჩმენტის პროცედურა და დაძლიოს პრეზიდენტის ვეტო, პარლამენტს ასევე აქვს უფლება, მთავრობაზე მოახდინოს ზეგავლენა და მთავრობას აქვს უფლება, გაასაჩივროს პრეზიდენტის და პარლამენტის მიერ მიღებული აქტები საკონსტიტუციო სასამართლოში. ანუ არც ერთ შტოს, მათ შორის — პრემიერს, ხელისუფლების უზურპაციის არანაირი საშუალება არ აქვს, რისი საშუალებაც ჰქონდა პრეზიდენტს ძველი რედაქციით.

— რა არის ის, რის დამატებასაც აპირებს ახალი ხელისუფლება ახალი საკონსტიტუციო კომისიით?

— რესპუბლიკელების ოცნებაა (უფრო ხმალაძის, ვიდრე უსუფაშვილის), საქართველოში დამყარდეს საპარლამენტო რესპუბლიკა. უნდათ, გადაიყვანონ უფრო რესპუბლიკურისკენ, ვიდრე დღეს არის. დღევანდელი კონსტიტუციის მოდელი არის შერეული მმართველობის, ანუ რაღაც ნიშნები არის აღებული სპრეზიდენტოდან და რაღაც — საპარლამენტოდან, თუმცა ჭარბობს საპარლამენტო. გუბაზ სანიკიძის და ირაკლი ალასანიას ხალხი კი არ არის საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ დღემდე არ არის შექმნილი საკონსტიტუციო კომისია.

ნაცმოძრაობა რეპრესიების მოლოდინშია

მიხეილ მაჭავარიანი: „თუ ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილი ჰოლიტიკაში აღარ იქნება, ძალიან ცდება!“

თურმე მიხეილ სააკაშვილს ხშირად უოცნებია და თავის წარმოსახვაში დაუხატავს კიდეც სურათი, როგორი იქნებოდა მის შემდგომ მომავალი პრეზიდენტის ინაუგურაცია — ის და სანდრა დახვდებოდნენ ახალ პრეზიდენტს სასახლეში, ღიმილით შეუძღვებოდნენ და გადასცემდნენ შენობას, დაუთმობდნენ პრეზიდენტის პოსტს, მერე მიშა მეგობრებთან ერთად ბედნიერი წავიდოდა სადმე სადილად, ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც ამერიკულ ოცნებაში... მაგრამ არავითარ შემთხვევაში ისე, როგორც მოხდა! ყველაფერი მიშას სცენარის საწინააღმდეგოდ წარიმართა და მან ამაში მონაწილეობა აღარ ისურვა: „სამწუხაროდ, ძალაუფლების გადაცემის არსებულმა რეალობამ ამ ოცნების ასრულება შეუძლებელი გახადა“ (17 ნოემბრის ინაუგურაციამდე ორი დღით ადრე პრეზიდენტის მიერ გავრცელებული მიმართვიდან).

ის და მისი პარტია გიორგი მარგველაშვილის ოფიციალურ გაპრეზიდენტებას არ დასწრებიან. ქვეყნის მთავარმა აწ უკვე ოპოზიციურმა ძალამ ფორმალურადაც არ ისურვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს მოვლენაში მონაწილეობა. ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ მაჭავარიანი ამ პროტესტის მიზეზად იმ „სიძულვილის ენას“ ასახელებს, რომლითაც მათ ხელისუფლება ელაპარაკება.

„ბენზინის ფასიდან ჰომ ღაჰი ჰაჰვის ჯიბეში ჰ მიდიოდა, ნეტა, დაიჯეჩეს? ნამღების მაფია თუ იყო, ახღა თვითონ მოიკითხონ, სად ჰაჰ. ჩვენ ჰასუხი ვაგეთ — ნავაგეთ ჰაჩევნები, მაგჩამ ამათ ამდენი ტყეიღი ჰომ იღაჰჰაჯეს, ვინ აგებს ჰასუხს? ჰა ნახეთ გაიაფებეღი?“.

ამ პროტესტის ერთ-ერთ ასპექტად ის, რომ ნაციონალურ მოძრაობას ეგონა, ხალხი ამ ფასდაკლებებზე ბევრ ფულს ვერ ერევა, ანუ ბენზინის ფასი ეგონა ის ბერკეტი, ხალხს ეფიქრა, ეს ბენზინი ეს ფასი ეს ფული ეს ... ეს ... ეს ...

„შეიძლება ჩვენ ზომაზე მეტად ვენდობოდით ძალოვნებს... ჩვენი შეცდომა იყო პარლამენტში ოპოზიციის არშემოსვლა, ხამაც ნეგატიური როლი ითამაშა, თუმცა თავის დროზე ასე არ ვფიქრობდით. ჩვენ ჰომ გვყოლოდა ისეთი ოპოზიცია, როგორიც ჩვენ ვართ, დამერწმუნეთ, შეცდომებიც ნაკლები იქნებოდა".

არ აქვთ ხედვა ეკონომიკაში; არ იციან, როგორი უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოება; როგორ უნდა იყოს განვითარებული საგადასახადო სისტემა. შრომის კოდექსი როგორი უნდა იყოს, ისიც არ სცოდნიათ. იმდენი ილაპარაკეს და ბოლოს რა მიიღეს? ბენზინის ფასიდან რომ ლარი არავის ჯიბეში არ მიდიოდა, ნეტა, დაიჯერეს? წამლების მაფია თუ იყო, ახლა თვითონ მოიკითხონ, სად არის. რამდენი რამე გაგიგიათ მათგან? ჩვენ პასუხი ვაგეთ — წავაგეთ არჩევნები, მაგრამ ამათ ამდენი ტყუილი რომ ილაპარაკეს, ვინ აგებს პასუხს? რა ნახეთ გაიაფებული? გაზი რომ 5 თეთრით შემცირდა, ეს არის ყველაფერი, როცა ამბობდნენ, მესამედი უნდა ღირდესო.

— საკაშვილს დაკუბრუნდეთ. თქვენ როგორ აფასებთ მისი მმართველობის ხანას?

— მე შევაფასებ ორივე მხრიდან, კრიტიკულიც ვიქნები და ვეცდები, გავიხსენო ისიც, საიდან წამოვედით. ჩვენ ვიყავით სახელმწიფო, რომელიც ითვლებოდა არშემდგარად, რომელშიც იყო კორუმპირებული პოლიცია, საგადასახადო ადმინისტრაცია. მინდა ყველას გავახსენო, რომ 2008 წელს კი არ დაიკარგა ტერიტორიები, მანამდე იყო დაკარგული. ბოლოს და ბოლოს ხომ აქვთ პრაგმატული ურთიერთობები რუსეთთან, კარგად წაიკითხონ, პუტინი და მედვედევი რას ამბობენ, როდის დაგეგმეს ეს ომი. ჩვენ ჩავიბარეთ უშუქო, უპერსპექტივო, უგაზო ქვეყანა, სადაც, უმაღლესში რომ ჩაგებარებინა, უნდა გყოლოდა ნაცნობი ან ფული უნდა გადაგეხადა. 9 წლის მერე კი დავტოვეთ ქვეყანა, რომლის ბიუჯეტია 9 მილიარდამდე, რომელსაც ენერგოპრობლემა არ აქვს, პირიქით, აწარმოებს ჭარბ ელექტროენერგიას და ვყიდით რუსეთში და არამარტო რუსეთში, კორუფცია მინიმუმამდე დავიდა.

— ესე იგი ყველაფერი იდეალურად იყო და შეცდომები არ გქონიათ?

— შეცდომებიც იყო, ბუნებრივია. შეუძლებელია ამ მმართველობის პირობებში — თითქმის 10 წელი იყო სააკაშვილი პრეზიდენტი, არ ყოფილიყო შეცდომები და ამის ფასი არის ის, რომ დღეს ჩვენ ვართ ოპოზიციაში. მაგრამ, ვიმეორებ, თუ გადავხედავთ და ისტორია აუცილებლად გადახედავს ამ ყველაფერს, იმას, რაც გაკეთდა ამ პერიოდის განმავლობაში, ძალიან ბევრი ვერ გააკეთებდა. შეადარეთ 2003-2012 და 1998-2003 წლები ერთმანეთს. მაშინ რა გაკეთდა და ახლა რა არის.

— ამას წინათ პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ ასე შეგაფასათ — რომ თქვენს მთავრობას უფრო მეტი ნეგატიური აქვს გაკეთებული, ვიდრე პოზიტიური.

— ეს მისი სუბიექტური აზრია, ფაქტებით ვილაპარაკოთ. მახსოვს, ბატონი რამაზი პარლამენტის წევრიც იყო და მერე სახელმწიფო მეთაურის მრჩეველიც. ეს მისი შეფასება და მისი გადმოსახედია. ისე კი, რამაზმა კი არ უნდა შეაფასოს, ამას შეაფასებს ისტორია და ქართველი ხალხი რაღაც პერიოდის შემდეგ.

— და მაშინ, როგორ გგონიათ, რითი შესვლით ისტორიაში?

— იმით, რომ დაიწერა, საქართველო არის სახელმწიფო და მას ანგარიში უნდა გაეწიოსო. როცა რეფორმებს ვახორციელებდით, არამარტო უკვირდათ, ამას როგორ აკეთებთო, ჩამოდიოდნენ და მოდელი მიჰქონდათ, რომ იგივე თავიანთ ქვეყნებში განეხორციელებინათ. მართლა სიამაყით ვიყავი აღვსილი, როცა მეუბნებოდნენ, რა მარტივია თქვენთან საზღვარზე შემოსვლა, რა კარგია, რომ პოლიცია გზაში არ გაჩერებსო.

— და რა ცუდია, რომ ბიზნესები ერთ ღამეში ფორმდებაო. ეს არ უთქვამთ?

— მეც ბევრი გამიგია, რომ ბიზნესი ერთ ღამეში გადაფორმდაო. იყო ეს პრობლემები, რა თქმა უნდა. შეიძლება ჩვენ ზომაზე მეტად ვენდობოდით ძალოვნებს, მაგრამ ამავდროულად ჩვენ გავაუქმეთ მეექვსე სამმართველო, რომელსაც ეუთვნოდა ეკონომიკური დანაშაულობები. უშიშროებაც კი იყო, რომელიც საერთოდ გავაუქმეთ. შეცდომა იყო პარლამენტში ოპოზიციის არშემოსვლაც, რამაც ნეგატიური როლი ითამაშა, თუმცა თავის დროზე ასე არ ვფიქრობდით. ჩვენ რომ გვყოლოდა ისეთი ოპოზიცია, როგორიც ჩვენ ვართ, დამერწმუნეთ, შეცდომებიც ნაკლები იქნებოდა.

— როგორ ფიქრობთ, რას ვერ გაპატიებთ საზოგადოება?

— არ ვიცი, ისტორია დღეს ხომ არ იწერება, დღეს იწერება ისტორიის ნაწილი და ამ ყველაფერს მერე დრო შეაფასებს. ბათუმში ხშირად დავდივარ, მეუღლე მყავს იქაური და მხვდებიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, წელს ბათუმში არაფერი აშენებულა და ეს კარგიაო. ძნელია ასეთ ხალხთან კამათი. ზოგს აღიზიანებს, რომ კანალიზაცია შეიცვალა, რაღაც გაკეთდა. ბათუმი იყო ქალაქი, რომელიც მთავრდებოდა სასტუმრო „მესხეთით", მგონი, ასე ერქვა. ახლა იქ „პილტონი" შენდება, მთელი ბათუმი იყო ჩაბნელებული და ჩაოხრებული. ბათუმი ახლა რა არის და ჩვენ იქ არჩევნებში 20 პროცენტი მივიღეთ. ეტყობა, ადამიანებს იქ კიდევ ჰგონიათ, რომ რაც გაკეთდა, არ იყო საკმარისი. მათ უნდა მივცეთ საშუალება, შეადარონ, რა მოხდა 2003-2012 წლებში და რა იქნება 2012-2016 ნლებში. ამ შეფასების მერე გაკეთდება ანალიზი. მაგრამ, როცა არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, არ აშენდა არაფერი და კარგიაო, ასეთ ხალხთან მე ვერასოდეს შევთანხმდები.

— მეც მომისმენია მსგავსი შეფასებები და ამის უკან ის მოსაზრება დგას, რომ ფაქტობრივად ყველაფრის მფლობელები არაქართველები არიან. ჩვენს რიგით მოქალაქეებს კი არა, ექსპერტებსაც აღარ მოსწონთ ოუსტიციის სახლში ცისარტყელას ფერებში გადაწყვეტილი ხალხის სიჭარბე.

— რას მეუბნებით ახლა? თუ ინვესტიცია გინდათ, როგორ გგონიათ, ისე შემოიტანს ინვესტიციას, რომ ქონება არ შეიძინოს? მაგალითად, თუ მიწა შეიძინა კონკრეტულმა ბიზნესმენმა, სამაგიეროდ, „კარფური" ააშენა. აბა, როგორ გინდა?!

— ძალიან აჭრელდა საქართველო და ამას ჩვენსაირი პატარა ქვეყანა კი არა, ევროპაც ვერ უძლებს. იდენტობის დაკარგვის შიშია.

— და ამას ამბობს ხალხი, ვინც თავისი ტოლერანტობით თავს იწონებდა? ან იცით, რამდენია უცხოელზე გაყიდული მიწების ხვედრითი წილი? პარლამენტში, სხვათა შორის, დოკუმენტაცია წარმოადგინეს და ძალიან მცირეა. ასე რომ, საფრთხე არაფერია, მაგრამ თუ ვილაცას ჰომოფობია აწუხებს, ეს უკვე სხვა საქმეა.

— რა მოლოდინი გაქვთ ახალი პრეზიდენტისგან?

— ვერაფერს გეტყვით, ჯერ მისგან რაიმე კონკრეტული ხედვა თუნდაც ეკონომიკაზე, არ მომისმენია, თუმცა არ ვარ ის ადამიანი, რომელიც წინასწარ აკეთებს დასკვნებს. ვაცადოთ და მერე შევაფასოთ.

— რამდენადაც ვიცი, გიორგი მარგველაშვილს ბავშვობიდან იცნობთ.

— კი, ასეა.

— ისიც ცნობილია, რომ თქვენი უმცროსი ძმა, ჯანო მაჭავარიანი, მასთან იმუშავებს, საგარეო პოლიტიკას გაუძღვება.

— კი, ესეც მართალია. ჩემს ძმას აქვს საკმაო განათლება მიღებული იმისათვის, რომ ამას თავი კარგად გაართვას. ალბათ იცით, რომ რაღაც პერიოდში იაპონიის ელჩიც იყო.

— სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში მყოფი ძმები ერთმანეთთან როგორ თანხმდებით, არ კამათობთ?

— თქვენ პოლიტიკაზე არ საუბრობთ და არ კამათობთ?

— რა თქმა უნდა, კი.

— ჰოდა, ჩვენც ვსაუბრობთ და ვკამათობთ, მაგრამ პოლიტიკის გამო არ ვაპირებ, საკუთარი ძმა მოვიძულო.

— ირაკლი ღარიბაშვილსა და მის კაბინეტზე რას ფიქრობთ?

— ჯერ ყველა არ დაუსახელებიათ, ამიტომ ვერაფერს ვიტყვი, თუმცა ვინც დასახელდა, მათში რამდენიმეს მიმართ კითხვა არის — ეკონომიკის მინისტრი, სასჯელაღსრულება...

— ღარიბაშვილის შემცვლელ ჭიკაიძეზე რას იტყვით?

— ვერაფერს, რადგან არ ვიცნობ, თუმცა დავამატებ, გახსოვთ, როცა საკაშვილი ახალგაზრდა მინისტრებს ნიშნავდა, რა რეაქციები იყო. მე ასეთი რეაქცია ნამდვილად არ მექნება, პირიქით, ვუსურვებ, რომ თავი გაართვას ამ თანამდებობას, შეფასებები კი შემდეგისთვის გადავდოთ.

— მომავალ მთავარ პროკურორს თუ იცნობთ?

— არა, მაგრამ რეპრესიების მოლოდინი გვაქვს.

— ახლანდელ მერაბიშვილის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნეთ პარტიაში...

— არ არის მთლად მართალი, მე ვიყავი მერაბიშვილის მოადგილე და ისედაც ვასრულებდი მის მოვალეობას მისი ციხეში ყოფნის დროს. ახლა უბრალოდ სტრუქტურა შეიცვალა და მოვალეობის შემსრულებელი მეწოდა. შეიქმნება რამდენიმე ახალი სამდივნოც, რომელთა ხელმძღვანელებსაც საბჭოს შემდეგ სხდომაზე აირჩევენ.

— რას აპირებს საცმოძრაობა ახალ რეალობაში?

— არაფერს, როგორც ვიყავით, ისე გავაგრძელებთ — ვიქნებით კონსტრუქციული ოპოზიცია და დავიწყებთ მზადებას ადგილობრივი არჩევნებისთვის. არჩევნებში კარგი შედეგები გვქონდა ზუგდიდში, სენაკში, მარტვილში.... ახლა ხდება გაანალიზება ამ ყველაფრის.

— ვიცით, რომ საკაშვილიც პოლიტიკაში რჩება.

— თუ ვინმეს ჰგონია, სხვანაირად იქნება, ძალიან ცდება.

— რა შანსი გაქვთ?

— ამას მომავალი გვიჩვენებს.

Cyan Magenta Yellow Black

რამ დაამარცხა მიხეილ სააკაშვილი

სოსო ცინცაძე: „ყველა შევთანხმდეთ, რომ სააკაშვილი უკვე ახის ისტორიული პიროვნება"

„და, აი, დასრულდა ბოლო სამუშაო დღე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სამსახურში. თითქმის 4 წელი ამ კედლებში გავატარე, სადაც ყოველდღიურად უზარმაზარი ოჯახი ფუსფუსებდა. ეს იყო ჩემი სახლი. იშვიათია ალბათ, როცა სამსახურში სიარული გიხარია ადამიანს. მე მიხაროდა. მეამყებოდა და ყოველთვის სიამაყით გავიხსენებ ამ წლებს. მინდა, ყველას გადავუხადო უდიდესი მადლობა, ვინც მომცა შანსი, ჩემი ირწმუნა და მომცა საშუალება, ქვეყნის პირველი პირის მხარდამხარ მემუშავა, მენახა უამრავი რამ, რისი შანსიც სხვა შემთხვევაში არ მექნებოდა, ვყოფილიყავი საჭირო დროს საჭირო ადგილზე, გამეცნო უამრავი საინტერესო და საჭირო ადამიანი და მესწავლა საქმის კეთება უმაღლეს დონეზე და უბრალოდ გავზრდილიყავი, როგორც პიროვნება. ძალიან დიდი მადლობა პროტოკოლის სამსახურის ყველა, უბრალოდ თანამშრომელს კი არა, საუკეთესო მეგობრებს, მჯერა, რომ ვქმნიდით სტანდარტებს, რომელიც დარჩება ჩვენ შემდეგაც; ვწერდით ისტორიას, რომელსაც ხალხი ეკრანებიდან და ახალი ამბებიდან ხედავდა. და უბრალოდ ვიყავით იქ და იმ დროს, სადაც საჭიროები ვიყავით. ყველანი მიყვარხართ. მადლობა ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს ამ წლების მეგობრული და სასიამოვნო სამუშაოსთვის.

„დემოკრატია ავიღოთ. დღეს მე თავისუფლად გელაპარაკებით მარგველაშვილის გაპრეზიდენტებაზე, მაგრამ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში ასე ვერ დაგელაპარაკებოდით".

სევდიანი შეგრძნებაა, ხედავდე, როგორც იცლება შენობა, მიდიან თანამშრომლები, ცარიელდება ოთახები... მეც ჩავალაგებ ახლა ჩემს ნივთებს", — სენტიმენტალური ოპუსით დაემშვიდობა აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე საქართველოს ინტერნეტმომხმარებელ მოსახლეობას.

მისი მმართველობის წლები სულ რამდენიმე დღეა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა და მათი შეფასებაც ისტორიის საქმეა. ჯერ რთულია თანამედროვეთაგან სუბიექტურობისგან თავის არიდება მის პიროვნებაზე საუბრისას, ობიექტური ხედვა და ანალიზი. და მაინც, ვინაიდან საქართველოს უკვე სულ სხვა პრეზიდენტი ჰყავს და სხვა რეალობაში გადავედით, საინტერესო იქნებოდა სააკაშვილ-მარგველაშვილის „შედარებითი დახასიათება", რისი გაკეთებაც „სარკემ" პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს სთხოვა.

— ბატონო სოსო, მართალია, ჯერ ადრეა ამაზე დაბეჯითებით საუბარი, მაგრამ ზოგადი შტრიხები მოგვიხაზოთ — რა სახელით შეკვა მიხეილ სააკაშვილი ისტორიაში?

— თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ სააკაშვილი უკვე არის ისტორიული პიროვნება, ის საქართველოს ისტორიაში უკვე შეივიდა, ამიტომ ისტორიული ადამიანის შეფასებები მისივე სიცოცხლეში არ ხდება. ახლა ვერაფრით გავექცევით სუბიექტურ დამოკიდებულებას. ამიტომ უმჯობესია, ისტორიის სამსჯავროს გადავცეთ და ისტორიას მივცეთ დრო იმისა, რომ შეაფასოს.

სააკაშვილი არ იყო უფერული პრეზიდენტი, როგორიც 100 პროცენტით იქნება გიორგი მარგველაშვილი და რომელიც ისტორიაში შეიძლება საერთოდ არ შევიდეს. ბრიტანეთის ენციკლოპედიაში სტალინზე მოკლედ წერია: „ჩაიბარა ხისკარიანი რუსეთი და დატოვა ატომური ბომბი". სააკაშვილზე შეიძლება ვთქვათ, რომ ჩაიბარა 500 მილიონდოლარიანი, დანგრეულბიუჯეტიანი ქვეყანა, კორუმპირებული, გახრწნილი და აყროლებული პოლიცია, ადმინისტრაცია, ჩინოსნები და დატოვა 7-8 მილიარდიანი ბიუჯეტი და არაკორუმპირებული პოლიცია. იმ ელიტურ კორუფციაზე რომ არის საუბარი, ამას დამტკიცება სჭირდება. ჯერ სასამართლო პროცესები მიდის და სანამ ვერდიქტი არ გამოუტანია, ვერაფერს ვიტყვი. მე არ ვარ პოლიტიკოსი, მოვლენებს გავუსწრო. ანუ შევთანხმდეთ, რომ ის არის ისტორიული პიროვნება და მისი შეფასება მხოლოდ ისტორიას ხელეწიფება.

— თუმცა ის ისეთ მკვეთრ და ელვისებურ ნაბიჯებს დგამდა, რასაც შედეგები — დადებითიც და უარყოფითიც — ასევე მყისიერად მოჰყვებოდა. მისი, როგორც პრეზიდენტის, მინუსად რას მიიჩნევთ?

— ჩემთვის, პირადად, მიუღებელია კოლექტიური მოქალაქეობის მინიჭება. მე არც ნაციონალისტი ვარ და არც — რასისტი, ღმერთმა დამიფაროს, არც ფობია მაწუხებს, მაგრამ ამას წინათ ვიყავი საჯარო რეესტრში და არ მომწონს, რომ ათასი ჯურის, ცისარტყელას ფერებში წარმოდგენილი ხალხი საქართველოს ყიდულობს. ასე თუ წავიდა, ქართველ მესაკუთრეთა კლასი აღარ იქნება. ეს სააკაშვილის მინუსია. ასევე მინუსია, რომ ცოტა კიდევ და, საქართველო იქცეოდა კლასიკურ პოლიციურ სახელმწიფოდ. ასევე მისი ყველაზე დიდი მინუსია, რომ ქართულ მეცნიერებას ბოლო მოუღო. კახა ლომაიამ რაც გაუკეთა ქართულ მეცნიერებას და, აქედან გამომდინარე, ქართულ სახელმწიფოებრიოებას, ეს აღა მაჰმად ხანს და ჩინგიზ ხანს, ერთად აღებულს, არ უქნიათ. მიზეზი კი ის იყო, რომ სააკაშვილი ზომაზე მეტად უგდებდა ყურს თავის დასავლელ მეზობლებს, მაგრამ ეს იყო ისეთი, რაზედაც დონ ვიტო კორლეონე ამბობდა, წინადადებას მივცემ და უარს ვერ მეტყვისო.

გვქონდა სამეცნიერო სკოლები, სამშენებლო მექანიკის სკოლა, ოთარ ონიაშვილის მიერ დაწერილი სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ ამერიკის მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში რკინაბეტონის კონსტრუქციებს. ფსიქოლოგიის სკოლა გვქონდა, გაქრა, აღარ არის. რატომ? იმიტომ, რომ სააკაშვილი აჰყვა კახა ბენდუქიძის აზრს, რომ საქართველო უნდა ყოფილიყო ტურისტული ქვეყანა და ტურისტულ ქვეყანას რაში სჭირდება მეცნიერება? სჭირდება გზები, სანატორიუმები და „გიბსოკარდონით" აშენებული ხუხულები, რომლებიც, უი, რა მშვენიერია, მაგრამ შიგნიდან დამპალია. რა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ამას ისტორია გვიჩვენებს და დაგვიმტკიცებს.

დიდი მინუსია ისიც, რომ მილიარდები ჩაიყარა არმიაში და მას თურმე არ შეეძლო სამი დღე გაეძლო რუსეთისთვის. დღესაც ვითომ გვყავს არმია, მაგრამ რა არმიაა, ფაღარათი სჭირს ნახევარს.

დემოკრატია ავიღოთ. დღეს მე თავისუფლად გელაპარაკებით მარგველაშვილის გაპრეზიდენტებაზე, მაგრამ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში ასე ვერ დაგელაპარაკებოდით.

ახლა ეკონომიკას მივუბრუნდეთ — იმ პირობებში, როცა ქარხნები არ მუშაობს, მრეწველობა არ არის, მაგრამ არის ტოტალური უმუშევრობა, ბიუჯეტი 500 მილიონიდან 7 მილიარდამდე მსოფლიოში არც ერთ ქვეყანაში არ გაზრდილა, რადგან იქ რეკეტები არ იყო. დასავლურობით გატაცებამ ძალიან უარყოფითი შედეგი მოიტანა.

„სააკაშვილი ახ იყო უფროსი პრეზიდენტი, როგორიც 100 პროცენტით იქნება გიორგი მარგველაშვილი და რომელიც ისტორიაში შეიძლება საერთოდ ახ შევიდეს".

— და ყველაზე მნიშვნელოვანი — სააკაშვილის ეპოქა ისტორიაში რუსეთთან ომით შეკვა. მაინც რა იყო ეს ომი — კანონზომიერება თუ შეცდომა?

— ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, სინამდვილეში რა მოხდა. როცა რუსეთის არქივები გაიხსნება, მერე გამოჩნდება ბევრი რამ. მოსკოვში ვიყავი, როცა სააკაშვილი პირველად შეხვდა პუტინს. მაშინ ჩემი რუსი კოლეგები მეუბნებოდნენ, მორჩა, დამთავრდა შევარდნაძის დროინდელი დაპირისპირებები და მეგობრები ვიქნებითო. სააკაშვილი თბილისში ჩამოსული არ იყო, რომ პუტინმა გააკეთა საჯარო განცხადება, ჩვენ „გადაგვაგდესო". რა მოხდა მაშინ, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ — სააკაშვილს აქ ვიღაცამ ყური აუწია და თუ ვინ, ძნელი მისახვედრი არ არის. რომ გაიხსნება რუსეთის არქივები, ბევრს გავიგებთ რუსეთთან ომზე, ანუ ვინ დააჯერა სააკაშვილი ბრიყვულად, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა სამაჩაბლოს პრობლემაში. პირადად მე მითხრა სააკაშვილმა, აფხაზეთში რუსეთი ჩაერევა, მაგრამ ოსეთი არ აინტერესებსო. ეს ყველაფერი კი მოუტანეს იმ კადრებმა, რომლებზედაც ტრაბახობდა, ჩემმა მინისტრებმა სტალინი და ლენინი არ იციან, ვინ არიანო. ამით კი ამბობდა, ჩემი მინისტრები უვიცები არიანო.

ყველაზე დიდი შეცდომა საგარეო საქმეთა მინისტრად გრიგოლ ვაშაძე იყო, რომელიც ისეთ სამსახურშია ნამუშევარი, რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის გარეშე იქ ვერ მოხვდებოდა. და ეს კადრი ომის დროსაც ინარჩუნებდა რუსეთის მოქალაქეობას.

— რა არის ის, რასაც ქართველი ხალხი ვერასოდეს აპატიებს სააკაშვილს?

— 26 მაისს, 7 ნოემბრის ამბებს. ვერასოდეს დავივიწყებ რუსთაველზე შვარცენეგერივით მოსიარულე პოლიციელს, რომელმაც იქვე მდგარი მანქანა „ოპელი" ხელკეტით დაამტვრია, როცა წაქცეულ ხალხს ურტყეს... სააკაშვილს

→20

ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი

სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გაპირდებათ...

ჩანერა ხდება წინასწარ.

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

Cyan Magenta Yellow Black

ვერ ვაპატიებ ისეთი ჩინოსნის ყოლას, რომელიც კოცნიდა ამ სპეცრაზმელებს და მადლობას უხდიდა. მოგვიანებით კი ის ადამიანი ჩინეთში საქართველოს ელჩად მიავლინა. ვერასოდეს ვაპატიებ სააკაშვილს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა კადრი, რომელმაც ერთ დღეში გაყარა 25 პროფესიონალი, ქალბატონი ზურაბიშვილი მყავს მხედველობაში და ქუჩიდან აკრიფა ხალხი იქ სამუშაოდ, მერე კი ტრაბახობდა, ძალიან ცუდი ხასიათი მაქვს, ყველამ იცოდესო. ეს ყველანი მან მოიყვანა და მერე თვითონვე გახდა იძულებული, გაეყარა.

„მიჩგვეღაშვილი შეეცადა, ისეთივე ინაუგურაცია მოენყო, როგორიც საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტს ეკადრება. ისიც თქვა, რა ვქნათ, ღარიბები ვართ, თორემ, ეი ვიცი, როგორ ინაუგურაციას მოვიწყობდიო. ამ დროს გერმანიაში, იტალიაში საერთოდ არ არის ინაუგურაცია. რა ფუნქცია აქვს საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს, ამაზე ჯარგად მეტყველებს იტალიის მაგალითი, სადაც 89 წლის კაცი აირჩიეს პრეზიდენტად".

საკადრო სელექციაში დაშვებულმა შეცდომებმა უარყოფითი შედეგი გამოიღო, თუმცა გარეგნულად ბევრი კარგი დაეტყო ქვეყანას. ამიტომ ვამბობ, რომ ეს სხვა თაობამ უნდა შეაფასოს.

— გარეგნულ დადებით მომენტებში ალბათ ქვეყნისთვის სახელმწიფოს ფუნქციის დაბრუნებას და რუკაზე ადგილს გულისხმობთ.

— რასაკვირველია. ედუარდ შევარდნაძის დროს საქართველო მთელ მსოფლიოში ითვლებოდა არშემდგარ სახელმწიფოდ. სააკაშვილის დროს საქართველო შედგა სახელმწიფოდ, მაგრამ როგორ სახელმწიფოდ? ფრანკოს დროს ესპანეთი უმდიდრესი სახელმწიფო იყო ევროპაში, მაგრამ დიქტატურა იყო.

— სააკაშვილმა კარგად დაიწყო, მაგრამ ცუდად დაამთავრა. რა იყო ის გარდამტეხი მომენტი, რამაც მას ცუდისკენ უქცია პირი?

— ობიექტური სიძნელეები. სააკაშვილი არ ელოდა იმ სიძნელეებს, რასაც ის წააწყდა. ქვეყანა შევარდნაძის დროს იმიტომ კი არ იყო ღარიბი, რომ შევარდნაძეს უნდოდა, იმიტომ იყო, რომ შევარდნაძის დროს და მანამდე იყო საშინელი შეცდომები დაშვებული.

ჩვენი ტრაგედია მოდის გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა გადავედით ყველაფრის ტოტალურ ნგრევაზე. მაშინ რომ ხუდონჰესი აშენებულიყო, დღეს ის საქართველოს საკუთრება იქნებოდა 100 პროცენტით. დღეს მაინც აშენდება, მაგრამ საქართველოსი არ იქნება. მეორე, როცა გრაჩოვმა შემოგვთავაზა აფხაზეთში სამიდივიზიის შეყვანა, გავგიჟდით. პირობა ასეთი იყო, ის შეიყვანდა სამ დივიზიას, ომი შეწყდებოდა და ქართველებს აღარ გამოყრიდნენ. მაშინ იყო ჩვენთან თაობა, რომელმაც ვენები გადაიჭრა, ეს ოკუპაცია იქნებაო. მაშინ გრაჩოვს რომ დავთანხმებოდით, ერთი დევნილი არ გვეყოლებოდა.

— პრაგმატიზმი არ გვეყო, ამის თქმა გინდათ?

— დიახ, არ გვეყო, სამაგიეროდ პრაგმატიზმი ეყო მათ, ვისაც ჩვენს ტოლადაც არ ვთვლიდით და ჩუქჩებს ვეძახდით — შუაზიელებს. პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე ჭკვიანი პოლიტიკოსი აღმოჩნდა ნაზარბაევი, რომელიც პირველი დღიდანვე რუსეთის მზეს ლოცულობს საჯაროდ, მაგრამ რეალურად ფეხებზე დაიკიდა რუსეთი და თავისი ქვეყნის და პირად საქმეს აკეთებს. რუსეთს იყენებს იმისთვის, რომ 20 წელია პრეზიდენტია და მერე შვილს დატოვებს ასევე პრეზიდენტად. ჩვენ რა ვქენით? საბჭოთა კავშირიდან დარჩენილი ქონება მთლიანად გავყიდეთ თურქეთში. ნულზე დავრჩით.

ახლა გამოვა და ვიღაც იტყვის, ცინცაძე კომუნისტურ დროს მისტირისო. თუ ვინმემ იცის კომუნისტური წყობის უარყოფითი მხარეები, ჩემზე უკეთესად არავინ, მაგრამ ისიც ვიცი, ვინ როგორ გამოიყენა კომუნისტების წასვლა. ჩვენ შედეგი რა გვაქვს? დღეს სომხეთში ბენზინი ორჯერ იაფია, ვიდრე საქართველოში, ამ დროს კი ფოთიდან შეაქვთ. ანუ ინფრასტრუქტურა საერთოდ ვერ შევინარჩუნეთ!

კარგად მახსოვს, რა მოჰყვა იმას, როცა გამსახურდიამ დაუფიქრებლად გააუქმა კოლექტივები. 15 ათასი ცხვარი, რაც დუშეთის კოლმეურნეობას ჰყავდა, ერთ დღეს დაურიგა მოსახლეობას და ჩემს მეზობელს, რომელიც იყო მასწავლებელი, 150 ცხვარი მისცეს. გაგიჟდა ქალი. ქონება კი იყო, მაგრამ არ იცოდა, რა ექნა. მერე, იცით, რა მოხდა? ორ კვირაში მთელ დუშეთში არც ერთი ცხვარი აღარ იყო. ჩამოდიოდნენ აზერბაიჯანელები და კაპიკებში ყიდულობდნენ. მერე მიწებზე გადავიდა სააკაშვილი და იმის ნაცვლად, რომ ფერმერული მეურნეობა ჩამოეყალიბებინათ, იაფი კრედიტები გაეცათ, ბენდუქიძე იმას ამტკიცებდა, საქართველოს არ სჭირდებოდა მრეწველობა, მხოლოდ ტურიზმი ეყოფაო. ეგვიპტე და შვეიცარია მარტო ტურიზმით ცხოვრობენ?! ახლა ამის ამოქაჩვას და გამოსწორებას, ვინ იცის, რამდენი წელი დასჭირდება.

— ხუდონჰესის აშენებაზე რას ფიქრობთ, მართლა ასე აუცილებელია ქვეყნისთვის?

— მე უარყოფითად ვაფასებ, რადგან მსოფლიოში გიგანტომანიამ არ გაამართლა. გიგანტური ჰესები დღეს რუსეთშიც აღარ შენდება. უკანასკნელი იყო ასვანი — 1956 წელს, მაგრამ ჩვენ პროვინციური გიგანტომანია გვაქვს, მაგალითად, დააკვირდით, მარგველაშვილი სააკაშვილთან შედარებით იქნება კვაზი პრეზიდენტი, მაგრამ ეს კვაზი პრეზიდენტი შეეცადა, ისეთივე ინაუგურაცია მოეწყო, როგორიც საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტს ეკადრება. გულდაწყვეტილმა ისიც თქვა, რა ვქნათ, ღარიბები ვართ, თორემ კი ვიცი, როგორ ინაუგურაციას მოვიწყობდიო. ამ დროს გერმანიაში, იტალიაში საერთოდ არ არის ინაუგურაცია. რა ფუნქცია აქვს საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს, ამაზე კარგად მეტყველებს იტალიის მაგალითი, სადაც 89 წლის კაცი აირჩიეს პრეზიდენტად. სამაგიეროდ ჩვენთან თითქოს ყველაფერი ისე აქვს დალაგებული საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ ერთადერთი საქმე ის ჰქონდა, ვინ ჩამოვიდოდა სტუმრად ინაუგურაციაზე. საბოლოო ჯამში, იქამდე მივალთ, რომ ამ ბიჭს თავი მართლა პრეზიდენტი ეგონება.

— სააკაშვილი რომ არ მიყიდა ინაუგურაციაზე, ამას რა ახსნა აქვს?

— ეს იყო პროტესტი. თავიდანვე იცოდა, რომ არ მივიდოდა და ამიტომაც წამოაყენა პირობები, რასაც, იცოდა, რომ არ მიიღებდნენ. რასაკვირველია, დასავლეთის თვალში მოიგებდა „ოცნება", იქ შევარდნაძეც რომ ყოფილიყო და სააკაშვილიც, მაგრამ სააკაშვილმა ასეთი სამსახური არ გაუწია ახალარჩეულ პრეზიდენტს და შეეცადა, გაეფერმკრთალებინა მისთვის ზეიმი.

— როგორ მოახერხა სააკაშვილმა, დასავლეთისთვის დემოკრატი ყოფილიყო, თავის ქვეყანაში კი — დიქტატორი?

— ეს ადვილი გამოდგა, რადგან სააკაშვილს ამისთვის აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება და ასევე მას აღმოაჩნდა ხელისუფლებისადმი არადემოკრატიული სიყვარული. ხელისუფლება ნარკოტიკივითაა და ყველა ვერ ახერხებს, ამას არ აჰყვეს. როგორ ფიქრობთ, დასავლეთმა არ იცოდა, აქ რა ხდებოდა? ჩვენზე მეტი იცოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, დასავლეთისთვის მთავარი ის იყო, რომ საგარეო ვექტორი მყარად პროდასავლური ყოფილიყო. როგორ ფიქრობთ, ივანიშვილს მთავარი დაპირება — რუსეთთან ურთიერთობის დალაგება — ასე რატომ გაუჭირდა? როგორც კი ივანიშვილმა ნორმალური ნაბიჯი გადადგა ურთიერთობის დასარეგულირებლად, ყურზე დადგნენ ცალკე ნაციონალები და ცალკე დასავლეთი. გამოვიდა ბეჟეზინსკი და პირდაპირ თქვა — საქართველომ შეცვალა თავისი საგარეო ვექტორიო.

— რამ დაანგრია სააკაშვილის მანქანა ანუ რა გახდა მიზეზი, რამაც ის დამარცხებისთვის გაწირა?

— ზომიერების გრძნობის დაკარგვამ. ყველაფერი შეიძლება აიტანოს შინაურმაც და გარეულმაც გარკვეულ ზომამდე. ერთმა ინგლისელმა ექიმმა უთხრა ნაპოლეონს, შენ მაინც ისტორიაში შეხვალ, როგორც უდიდესი ადამიანიო. ნაპოლეონმა, იცით, რა უპასუხა? არ არის საკმარისი, 40 ბრძოლა მოიგო, რომ ისტორიაში შეხვიდე, რადგან უდიდესი ადამიანი არის ის, ვისაც ზომიერების გრძნობა აქვსო. სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ გაავლო წითელი ხაზი. შეიძლება მართლა გინდოდეს, დემოკრატიის შუქურად წარმოჩინდე მსოფლიოში, მაგრამ ყველა საშუალებით არ შეიძლება.

სააკაშვილმა ბიუჯეტის შევსება რომ დაიწყო, გახსოვთ, რკინიგზის შეფს, აკაკი ჩხაიძეს, 15 მილიონი დოლარი წაართვა და პენსიები იმით დაარიგა. აღმოაჩინა, რომ თურმე უცებ შეიძლება პრობლემის გადაჭრა. მერე კი „მუხრუჭებმა" უმტყუნა. სააკაშვილმა 2004 წელს ერთხელ ჩემთან თქვა — შავი ჯიპებით რომ გაიცსო თბილისი, ნეტა, რა ფულით ყიდულობენო. მაშინ გულწრფელად თქვა. პირველად აღშფოთდა, მაგრამ მერე აუხსნეს, ფსიქოლოგიური ევოლუცია მოხდა და შეეგუა. ეს იყო სწორედ ის ფული, რითიც გამდიდრდა დავით კეზერაშვილი და სხვები. ეს იყო წართმეული ფული!

— ამ ყველაფრის მერე სააკაშვილი პოლიტიკიდან წასვლას მაინც არ აპირებს. აქვს შანსი?

— თუ ახალმა ხელისუფლებამ მთავარი ვერ შეასრულა — ხალხის ცხოვრების დონე ვერ გაუმჯობესა, მაშინ ან სააკაშვილი დაბრუნდება, ან სხვა, რადგან ხალხმა ნახა, რომ თუ სააკაშვილის დამარცხება შეიძლება, სხვისიც შესაძლებელია. ეს

„ოცა ანალიზის გარეშე გეუბნებიან, ომ ყველაფერი კარგად იქნება, შეუარაცხმყოფელია. სააკაშვილიც ამბობდა, ომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ ომგორ, პასუხი მაშინაც არ იყო. ახლაც არის მიზანი, რომელიც თითქოს მიღწევადია, მაგრამ საგზაო რუკა არც დღესაა. რატომ? იმიტომ, რომ ინტელექტუალური ანალიზის სამსახური არ არსებობს. 250 ენჯეოა და ანალიზის ნაცვლად პოლიტიკური ინტრიგებით არიან დაკავებული.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ

Cyan Magenta Yellow Black

რეანიმაციაში მყოფი ლუბა ელიაშვილი კონტაქტურია და გამართულად საუბრობს

„ჯორია, რომ ინსულტი ნერვიულობის გამო დაემართა! მაღალი წნევა ჰქონდა და თავს არ მიხედა“

„მე-9 არხის“ ყოფილი გენერალური დირექტორი და ამჟამად „ინფო 9“-ის ხელმძღვანელი, ცნობილი ტელეჟურნალისტი ლუბა ელიაშვილი, რამდენიმე დღის წინ ინგოროყვას კლინიკაში ინსულტის დიაგნოზით მიიყვანეს. ექიმებმა სასწრაფო ოპერაციის გაკეთების გადაწყვეტილება მიიღეს. ისინი ამბობენ, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და მდგომარეობა სტაბილურია.

ინფორმაცია ლუბა ელიაშვილის ავადმყოფობის შესახებ სწრაფად გავრცელდა. ჟურნალისტისთვის უცნობმა ადამიანებმა, ტელემაყურებლებმა გულთან ახლოს მიიტანეს მისი ამბავი. ბუნებრივია, ყველა წუხს და აინტერესებს, ახალგაზრდა ასაკში ინსულტი რატომ განვითარდა. ექიმების პროგნოზით დაიმედებული ახლობლები და მეგობრები იმედოვნებენ, რომ ლუბა მალე თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდება.

ჟურნალისტის ოჯახის წევრები პრესასთან დუმილს ამჯობინებენ. მისი უმცროსი და, მანანა ელიაშვილი კი დის მდგომარეობის შესახებ ყოველდღე „ფეისბუქზე“ წერს:

„ყველას დიდი მადლობა ლუბას ასეთი სიყვარულისთვის. ტელეფონები განუწყვეტლივ რეკავს და პასუხის გაცემას ვერ ვასწრებ. ვერც მესიჯებს ვპასუხობ. იმედია, იყოჩაღებს და კარგად გახდება. ექიმები ამბობენ, რომ მდგომარეობა სტაბილურია“.

„ჩემი დაიკოს გულშემატკივრებო, დღემ მშვიდად ჩაიარა და ექიმები გვპირდებიან, რომ ყველაფერი იქნება კარგად. ჰოდა, ხვალინდელი დღის იმედით გემშვიდობებით, ძალიან მიყვარხართ და ვიცი, რომ ამდენ ადამიანს ლუბას კარგად ყოფნა გინდათ. ამიტომაც აუცილებლად იქნება კარგად“.

„...ექიმები მეუბნებიან, რომ ძალიან მცირე, მაგრამ წინსვლა გვაქვს. ჩემს დაიკოზე ზრუნავენ და ყურადღებას და მოვლას არ აკლებენ. დანარჩენი კი დროის საკითხია და იმედი აქვთ, რომ ეს დრო ჩვენ სასიკეთოდ იმუშავებს“.

„უკეთ ვართ, საღამოს გიორგიმ (ლუბას შვილმა) მოინახულა და ელაპარაკა. დაცვამ გიორგის სთხოვა, იქნებ დიდხანს არ დარჩეო, თუმცა, რომ დაინახა ლუბას რეაქცია, კაი-კაიო და თავი დაანება. ჰოდა, აი, ასე ვართ — გახარებულები, ძალიან გახარებულები და აღელვებულები. იმედია, ხვალინდელი დღე კიდევ უფრო უკეთესი იქნება...“.

„ვიყავი ლუბასთან. მიუხედავად იმისა, რომ ძილ-ბურანში იყო და შეიძლებოდა მისი გაღვიძება, არ გავაღვიძე. ვიცი, რომ ასე ჯობს მისთვის და მე კი რამდენიმე დღე კიდევ მოთმინებით დაველოდები მასთან გულიან საუბარს. ისე კი, რომ გაიგო ჩემი ხმა, დამელაპარაკა აბსოლუტურად გამართულად. უბრალოდ, მე ვთხოვე, მშვიდად იყავი, მე მოგიყვები ამბებს და შენ მხოლოდ მომისმინე-მეთქი. მოკლედ, ექიმებიც გვაიმედებენ — კონტაქტურია და აქტიურიო. რასაკვირველია, მჯერა მათი და ვიცი, რომ ყველაფერს მოერევა. აი, ასეა ჩვენი საქმე...“.

■

ლუბა ელიაშვილის მეგობრებს მასთან შესვლის საშუალება არ აქვთ. ისინი ექიმებისა და ოჯახისგან იგებენ მეგობრის მდგომარეობის შესახებ.

„სარკე“ ერთ-ერთ მათგანს, ლუბას კოლეგასა და მეგობარს, **გიორგი ფოფხაძეს** ესაუბრა.

— გიორგი, რა ინფორმაცია გაქვთ ლუბას მდგომარეობის შესახებ?

— სამწუხაროდ, ლუბასთან მეგობრები ვერ შევდივართ. როგორც მითხრეს, მხოლოდ ლუბას ვაჟს, გიორგის, უშვებენ რეანიმაციაში. ექიმები ამბობენ, რომ ლუბა კონტაქტურია. რამდენად კონტაქტურია, ვერ გეტყვით, რადგან ექიმები კონტაქტურს ამბობენ მაშინაც, როცა თვალებით რაღაცას გპასუხობს. აპარატზეა შეერთებული, უმძიმესი ოპერაცია გაუკეთეს. საუბრობს თუ ვერა, ამდენი აღარ ვიცი. ექიმები იმასაც

„სანამ ინსულტი დაემართებოდა, ორი დღით ადრე ვნახე. მაშინ ვთქვი, ვაიმე, წნევა მაქვს-მეთქი. მითხრა, ჩემს წნევასთან შედარებით შენი წნევა რა არის, სანამ ეთერში შემოვიდოდით, 200 მქონდა 120-ზეო... ლუბას ამხელა წნევა ჰქონდა და ექიმთან არ მისულა“.

ამბობენ, რომ კრიზისი გადალახულია. ინსულტი ისეთი რამეა, რთულია, რამე დასკვნა გააკეთო, სანამ ბოლომდე არ აღდგება ყველა ფუნქცია. სანამ პალატაში არ გადაიყვანენ, ალბათ დალაპარაკებას ვერ მოვახერხებთ. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

— რაიმე ნერვიულობის შედეგად ხომ არ განვითარდა ეს მძიმე დაავადება?

— ვიცი, რომ მაღალი წნევა აწუხებდა. სანამ ინსულტი დაემართებოდა, ორი დღით ადრე ვნახე. ერთად ვისხედით ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში. მაშინ ვთქვი, ვაიმე, წნევა მაქვს-მეთქი. მითხრა, ჩემს წნევასთან შედარებით შენი წნევა რა არის, სანამ ეთერში შემოვიდოდით, 200 მქონდა 120-ზეო. ვუთხარი, მიხედე თავს, ასე როგორ დადიხარ-მეთქი. მიპასუხა, მე რომ გავჩერდე, მერე ჩემს საქმეებს ვინ გააკეთებსო.

ძალიან აქტიური ადამიანია. როცა ასეთი ხარ, რთულად იცლი საკუთარი თავისთვის. ქართველების უბედურება ეგ არის, რომ თავის მიხედვა არ ვიცით. საკუთარ ჯანმრთელობას ვწირავთ საქმეს და კარიერას. შედეგები კი ასეთი გვაქვს. ლუბას ამხელა წნევა ჰქონდა და ექიმთან არ მისულა. მაშინ ისიც მითხრა, ძალიან ცუდად ვარო. ის, რომ ვიღაცამ ანერვიულა ლუბა და ამიტომ დაემართა ინსულტი, ჭორი და სისულელეა. ლუბას ისეთები აქვს გადატანილი, არა მგონია, ახლა, რაიმე უბრალო სანერვიულოს გამო, დამართნოდა უცბათ რამე. უბრალოდ თავს არ მიხედა. მაღალმა წნევამ კი ასე იცის.

— ლუბა საკმაოდ ემოციური ადამიანიც არის.

— დიახ, ძალიან ემოციური და კეთილი ადამიანია. ბოლო დრომდე „მე-9 არხის“ ბავშვებს მისტიროდა. ჩიოდა, ამდენი დასაქმებულია, ამდენი — არაო. ლუბა ისეთია, სულ სხვაზე ნერვიულობს, სულ სხვის საქმეს აკეთებს.

— სად დაემართა ინსულტი?

— სახლში, აბაზანაში შესულს დამართნია. პირის დასაბანად შესულა და კარი დაკეტილი არ ჰქონია. დაყვირება მოუსწრია. კიდევ კარგი, სახლში სხვებიც იყვნენ.

— „მე-9 არხის“ დახურვის შემდეგ რას საქმიანობდა?

— საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ს ხელმძღვანელობდა. ვთვლი, რომ საკმაოდ წარმატებული პროექტი გააკეთა „ინფო 9“-ის სახით. ლუბა ამ სააგენტოს დაბადებიდან იქ არის და მისი დამსახურებაა, რომ ის რეიტინგულია. დების, მანანა და ლუბა ელიაშვილების დამსახურებაა, რასაც „ინფო 9“ აკეთებს. თუ გასულ წელს ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა, ახლა, როცა გამოისყიდეს და თვითონ იძიებენ თანხებს, საკმაოდ წარმატებული პროექტია და არც კი ეტყობა, რომ ფინანსები მოაკლდა.

„ლუბა ძალიან ემოციური და ჯეთილი ადამიანია. ბოლო დრომდე „მე-9 არხის“ ბავშვებს მისტიროდა. ჩიოდა, ამდენი დასაქმებულია, ამდენი — არაო. ლუბა ისეთია, სულ სხვაზე ნერვიულობს, სულ სხვის საქმეს აკეთებს“.

ვისურვებდი, ლუბა დაბრუნდეს თავის სააგენტოში და გააგრძელოს ის საქმე, რასაც აქამდე აკეთებდა. წარმატებული ადამიანია და კვლავ ბევრ წარმატებას ვუსურვებ.

■

„სარკის“ რედაქცია უერთდება ლუბა ელიაშვილის გულშემატკივრებს და კოლეგას მალე სრულ გამოჯანმრთელებას უსურვებს.

✓ **რუსუდან ადვაძე**

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

Cyan Magenta Yellow Black

კოტე თოლორდავას გასაოცებლად მისმა ცოლმა „სარკე“ გამოიყენა

მსახიობმა კოტე თოლორდავამ და რეჟისორმა განო მელითაურმა 7 წლის წინ შექმნეს ოჯახი, მაგრამ მათ ურთიერთობაში რომანტიზმის და სიურპრიზების დრო არ დასრულებულა. ამის მოწმე კი ჩვენი ჟურნალიც გახდა. კოტე 13 ნოემბერს მოზარდ მაყურებელთა თეატრის ჯგუფთან ერთად პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. იმედი აქვს, რომ სპექტაკლი „დეჟა ვუ“, სადაც მთავარ როლს თამაშობს, იქიდან პრიზის გარეშე არ დაბრუნდება. ქმრის გამგზავრების დღეს განომ მისგან მალულად მეგობრები თბილისის ერთ-ერთ კაფეში შეკრიბა, მერე კოტეც იქ დაიბარა და „სარკესაც“ იქ დაუთქვა შეხვედრა. სიურპრიზის შესახებ არც ჩვენ ვიცოდით და არც — კოტემ. დათქმული ინტერვიუ ლამაზი გაცილების საღამოდ იქცა.

კოტე: თავად გახდით მოწმე, როგორ ტემპში და რა ვითარებაში ხდება ჩემი გამგზავრება. გაფრენის დღეს მქონდა გადაღება, გახმოვანება, თქვენთან შეხვედრა და განოსგან ნამდვილად არ ველოდი ამ სიურპრიზს. მინდა, ამისთვის მადლობა გადავუხადო.

განო: ჟურნალი „სარკე“ ამ სიურპრიზისთვის გამოვიყენე. კოტეს ეგონა, რომ მხოლოდ თქვენთან შესახვედრად მოდიოდა... მინდოდა, მოდუნებულიყო და ჩვენთან ერთად გაეტარებინა დრო. მისმა საქმემ ქმარი წამართვა, აქედან პირდაპირ გახმოვანებაზე მიდის, მოულოდნელად დაუგეგმეს ეს ამბავი და ეჭვი მაქვს, ეს ფართი კოტეს გარეშე ჩაივლის.

— კოტე, განო ხშირად გიწყობთ სიურპრიზებს?

კოტე: დიდი ხანი ჰქონდა პაუზა. ახლა ისეთი გადამწვარი ვარ, ემოციები ვერ გამოვხატე, ისეთი სახე მქონდა, თითქოს არ გამიხარდა, არადა რეალურად ძალიან მოულოდნელი და სასიამოვნო გაცილება მომიწყო. კიდევ ერთხელ მადლობა მას, მაგარი ცოლი მყავს!

განო: კოტეს სიურპრიზებთან ჩემი მოწყობილი სიუპრიზები ახლოს ვერ მივა, მაგრამ სულ ვცდილობ, გავაოცო. კოტეს განრიგის გამო ჩემ მიერ მოწყობილი გრანდიოზული დღესასწაული ზოგჯერ მის გარეშე ჩაივლის ხოლმე. მეც ძალიან დაკავებული ვარ, გვიან ღამით ვნახულობთ ერთმანეთს.

— კოტე, გვიამბეთ იმ ფესტივალზე, რომელზეც მიემგზავრებით.

კოტე: მე, მსახიობი ნინო ლეჟავა, რეჟისორი ხათუნა მილორავა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ღვთისიაშვილი დღეს, რამდენიმე საათში, პეტერბურგში მივემგზავრებით. მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ჩვენი თეატრი გადის გასტროლზე, თანაც ქართველებისთვის ყველაზე ცხელ წერტილში. მივდივართ კამერული სპექტაკლების მეოთხე საერთაშორისო ფესტივალზე. ამ კონკურსში საქართველოდან მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი თეატრი მონაწილეობს. მიგვაქვს სპექტაკლი „დეჟა ვუ“. ეს დადგმა ქართულ და რუსულ ენაზეა. ნინო თამაშობს რუსულენოვან პერსონაჟს, მე — „გრუზინს“.

კოტე: „ვცდილობთ, სტაბილური ოჯახი გვქონდეს, საქართველოში კი ეს ძალიან რთულია. გვინდა, ერთმანეთს ხელი ჩავკიდოთ და ბევრი ვიმოგზაუროთ. განიკოს ძალიან უნდა ჰარიზში წასვლა და ამ ოცნებას აუცილებლად ავუხდენ“.

განო: „კოტეს გარეშე ცხოვრება ჩემთვის იმის ტოლფასია, სხეულის რომელიმე ნაწილი რომ მოგაჭრან“.

გასტროლებზე ხშირად ვყოფილვარ, მაგრამ თეატრალურ კონკურსში არასოდეს მიმიღია მონაწილეობა. ზეამაღლებული განწყობა გაქვს, როცა სხვა ქვეყანაში მიდიხარ არა გასართობად და დასასვენებლად, არამედ საქმის საკეთებლად. ეს ორმაგი სიამოვნებაა. თუ ჩვენი დიდი მეზობლები გვერდზე გადადებენ პოლიტიკას და ჯანსაღი კონკურენცია იქნება, მოგების იმედი გვაქვს.

— სულ რამდენი ქვეყანა მონაწილეობს ფესტივალში?

კოტე: ძალიან ბევრი, როგორც ამერიკიდან, ასევე ევროპის ქვეყნებიდან. კონკურენცია აშკარად დიდია. უკვე ვიცით, რომ ჩვენს სპექტაკლზე ყველა ბილეთი გაყიდულია. დიდი იმედი მაქვს ჩვენი დიასპორის გულშემატკივრობის, მოუთმენლად ველოდები ამ დღეს. ფესტივალი 21 ნოემბერს იხურება და, იმედია, გამარჯვებულები დავბრუნდებით.

განო: „დეჟა ვუ“ ჩემთვის ერთ-ერთი საყვარელი სპექტაკლია, რადგან ჩვენი შეუღლების პირველ წელს შედგა მისი პრემიერა, რეპეტიციებს აქტიურად ვესწრებოდი, სამუშაო პროცესში ვიყავი ჩართული. პროფესიით რეჟისორი ვარ და კოტე ყოველთვის ითვალისწინებს ჩემს აზრს, ჩემეულ ხედვას ვუზიარებ. 7 წელი გავიდა ამ სპექტაკლის დადგმის შემდეგ და დღემდე აქტუალურია. ამდენი წლის განმავლობაში რუსეთის გზა ჩაკეტილი იყო, ეს კი პირველი წინგადადგმული ნაბიჯია და ვთვლი, რომ წარმატებულიც იქნება.

— განშორებას როგორ ეგუებით?

განო: ერთმანეთის გარეშე არასოდეს წავსულვართ, უკვე მოვიწყინე.

კოტე: მთელი დღეა მეც მოწყენილი ვარ, ვნერვიულობ. განო მეხუმრება, რა გჭირს, შენ მიფრინავ პეტერბურგში, მე კი გურჯისტანში ვრჩებიო.

განო: მაქსიმალურად ვცდილობ, არ ვაგრძნობინო ჩემი განცდები, მთელი დღე ვამხნევებდი. კოტეს გარეშე ცხოვრება ჩემთვის იმის ტოლფასია, სხეულის რომელიმე ნაწილი რომ მოგაჭრან.

— განო, ჩემოდანი თქვენ ჩაულაგეთ ქმარს?

განო: კოტეს მომზადების პროცესი აუტანელია, შეიძლება ნივთი ცხვირწინ ედოს და მაინც მე მკითხოს. დღეს მთელი დღეა სამსახურში ვარ და მას თავად მოუწია ჩემოდნის ჩალაგება, თუმცა ყოველ ორ წუთში მირეკავდა და მეკითხებოდა, ეს სად არის, ის სად არისო. ძალიან დაბდურაა.

კოტე: ჩემოდანი ჯერ კიდევ არ ჩამილაგებია ბოლომდე, ამისთვისაც არ მეყო დრო.

— წარმატებას გისურვებთ. გარდა შემოქმედებითი საახლეებისა, ოჯახში სხვა სიხარულიც გაქვთ — როგორც ვიცი, ოცნება აისრულეთ და ბინა იყიდეთ.

განო: გათხოვების შემდეგ იმდენი სახლი გამოვიცვალე, სათვალავი ამერია. 7 წელი ჩემოდნებზე ვცხოვრობდით, ამ წლების განმავლობაში არაერთხელ შევიტანეთ სამშენებლო კომპანიებში თანხა, მაგრამ ბევრჯერ „გადაგვაგდეს“.

კოტე: ვოცნებობდით, რომ ახალ წლამდე ჩვენი სახლი გვქონოდა. მთაწმინდაზე დავიბადე და გავიზარდე და ძალიან მინდოდა, ჩემს უბანში გამეგრძელებინა ცხოვრება, მაგრამ ვაკეში ვიყიდეთ სახლი. ცოლმა ვაკელი გამხადა.

განო: სულ ვდაობდით, კოტე მეუბნებოდა, ჩვენი შვილები მთაწმინდელები უნდა იყვნენო, მე კი ვაკეში მინდოდა. ჩემი სახლის წინ, თამარაშვილის ქუჩაზე, სადაც გავიზარდე, ვიპოვეთ სახლი და შევიძინეთ. კოტემ ამითიც გამახარა, ერთგვარად საჩუქარი გამიკეთა, რადგან მას ეს უბანი დიდად არასდროს უყვარდა.

განო: „თუ ღმერთი მოგვცემს, მესამე შვილზე უარს არ ვიტყვი. არასდროს გავიკეთებ აბორტს“.

— ახალმოსახლეობის წვეულება მოაწყეთ?

განო: ჯერ — არა. ძალიან „დურაკი“ ტიპები ვართ, სახლი რომ ვიყიდეთ, ჩვენ თვითონ შევღებეთ კედლები, თავად გავარემონტეთ და ძალიან გავერთეთ. გვინდა, სახლი ვაკურთხებინოთ, ახალმოსახლეობას ახალ წელს დავამთხვევთ.

კოტე: არ ვიცი, ამ სახლს რამდენად შევინარჩუნებთ, ბანკიდან სესხი გამოვიტანეთ და ისე ვიყიდეთ. მეც და განოც ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ბოლომდე შევისყიდოთ.

Cyan Magenta Yellow Black

განო: ახალშექმნილი ოჯახისთვის ცოლქმრის შრომით შეძენილი სახლი ძალიან მნიშვნელოვანია. ჯერ არც ახალი ავეჯი გვიყიდია და არც დავლაგებულვართ, მაგრამ, რაც მთავარია, ოცნება ამიხდა — ნახევარი ოთახისხელა გარდერობი მაქვს.

— განო, თქვენს საკუთარ სახლში, როგორც დიასახლისს, ახლა ალბათ უფრო მეტი მოგეთხოვებათ.

განო: ძალიან გამიმართლა, კოტე კარგი ქმარია, თანამედროვე, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი, არაფერს მავალდებულებს.

კოტე: ვცდილობ, განოს შეძლებისდაგვარად კომფორტი შევუქმნა. მას თავისი სივრცეც სჭირდება — მეგობრების გარემო, სადაც განიტვირთება. არ მივეკუთვნები იმ ქმრების კატეგორიას, რომლებიც სადილვახშმების კეთებას სთხოვენ ცოლებს.

— მშობლებს გამოეყავით და ახალ სახლში ცალკე გადახვედით?

კოტე: არა. მე ასაკოვანი მშობლები მყავს და ახალ სახლში მათთან ერთად გადავედით.

— როგორია დიდ ოჯახში ცხოვრება?

კოტე: ძალიან ძნელია, შესაძლებლობა რომ გვქონდეს, აუცილებლად ცალკე ვიცხოვრებდით. ვთვლი, რომ ყველა წყვილმა მარტო უნდა იცხოვროს. როგორი იდეალურიც უნდა იყოს მშობელი, დისკომფორტი მაინც იქმნება.

განო: მეორე მხრივ, ძალიან კომფორტულია, კოტეს დედ-მამა ძალიან მეხმარებიან ბავშვების აღზრდაში. იგივე შემიძლია ვთქვა ჩემს მშობლებზეც, მაგალითად, ტასო თავიდან ბოლომდე დედაჩემმა გაზარდა, თარაში — კოტეს დედამ. ბავშვებს ყოველ დილით ასეირნებენ. მიუხედავად იმისა, რომ დედამთილ-მამამთილთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს, მათთან ცხოვრება მაინც მიჭირს, რაღაცეები ცოტა გერიდება, თამამი ვერ ხარ. ალბათ მალე დადგება ის დრო, როცა მე და კოტე ჩვენს ბუდეს ავიშენებთ და ცალკე ვიცხოვრებთ.

— 7 წლიან ოჯახურ ცხოვრებას როგორ შეაფასებდით, რა ისწავლეთ, როგორ შეიცვალეთ?

განო: ახლა უკვე იმხელა პასუხისმგებლობა გვაქვს შვილების წინაშე, რომ ფეხის გადაბრუნების უფლება არ გვაქვს. მთავარი ჩვენი შვილების მომავალია.

კოტე: ჩვენი სიამოვნება და სურვილები უკანა პლანზე გვაქვს გადადებული. ვცდილობთ, სტაბილური ოჯახი გვქონდეს, საქართველოში კი ეს ძალიან რთულია. გვინდა, მალე ის ეტაპი დაგვიდგეს, რომ ერთმანეთს ხელი ჩავკიდოთ და ბევრი ვიმოგზაუროთ. განიკოს ძალიან უნდა პარიზში წასვლა და პირობას ვდებ, რომ ამ ოცნებას აუცილებლად ავუხდენ.

განო: კოტეს გვერდით ყოველდღე ბედნიერი ვარ.

— განო, მესამე შვილის გაჩენას ხომ არ გეგმაყთ?

განო: თუ ღმერთი მოგვცემს, მესამე შვილზე უარს არ ვიტყვი. არასდროს გავიკეთებ აბორტს, თუმცა ამ ეტაპზე ბავშვის გაჩენას არ ვგეგმავ.

კოტე: ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ასაკში შესულს პატარა გოგო მყოლოდა. 40 წლის რომ გავხდები, მინდა, განომ შვილი გამიჩინოს, ბაღში მასთან ერთად ვისეირნო და ამით ვიამაყო.

✓ ლანა კინაძე

სამშობლოდან შორს

მსახიობი ხათუნა იოსელიანი ამერიკის მოქალაქე გახდა

„ინგლისური ენის სწავლა ჰომ დავიწყე, ჩემს ქალიშვილს ეცინებოდა"

ქართველი მსახიობი ქალი, ხათუნა იოსელიანი, 7 წლის წინ, როცა სამშობლოში თეატრის გარეშე დარჩა და თავი უფუნქციოდ იგრძნო, საქართველოდან შორს, ამერიკაში წავიდა და იქ ახალი ცხოვრება დაიწყო. ნიუ იორკში მოძებნა სცენა, სადაც თამაშობს და სპექტაკლებს დგამს. სულ ახლახან, 14 ნოემბერს კი მას ამერიკის მოქალაქეობა მიანიჭეს. ისე გამოვიდა, რომ ეს სასიხარულო ამბავი მისი დაბადების მრგვალ თარიღს დაემთხვა — ქალბატონი ხათუნა მალე, ორ თვეში, 70 წლის ხდება. მსახიობს ამერიკაში დავუკავშირდით და მან „სარკესთან" საუბარი სწორედ ამ ახალი ამბით დაიწყო:

— ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ. სიტყვები არ მყოფნის, იმდენად დიდია ჩემი ემოცია. 7 წელია, რაც ნიუ იორკში ვცხოვრობ. ამერიკაში არსებობს ასეთი სტატუსის მოქალაქეობა — „ქვეყნისთვის საჭირო ადამიანები". 5 წლის წინ, როდესაც „მწვანე ბარათი" მომცეს, ამ სტატუსის მოქალაქეობაც მომანიჭეს. ამერიკაში რომ წავედი, თან წავიღე ჩემი დამსახურებები, ჯილდოები, პრიზები. ნანა ჯორჯაძის ფილმში „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი" ერთ-ერთ მთავარ როლს მეც ვთამაშობ. ეს ფილმი ამერიკაში „ოსკარზე" იყო წარდგენილი და ამანაც იქონია დიდი გავლენა. ამერიკაში ჩათვალეს, რომ მე საჭირო ადამიანი ვიყავი და მომიღეს. ხუთწელიწადნახევარი რომ გავიდა, ანუ 14 ნოემბერს, ამერიკის მოქალაქეობის ლურჯი პასპორტიც გადმომცეს.

> **„ამერიკაში არსებობს ასეთი სტატუსის მოქალაქეობა — „ქვეყნისთვის საჭირო ადამიანები". ჩათვალეს, ჰომ მე საჭირო ადამიანი ვიყავი და მომიღეს".**

— ქალბატონო ხათუნა, გაიხსენეთ, როგორი იყო ემიგრანტობის პირველი წლები?

— პირველად ყველას უჭირს, მაგრამ იქ მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა ილია ბარამიძემ და მისმა მეუღლემ თავის სტუდიაში მომიღეს, ძალიან დამეხმარნენ. არასოდეს მინანია აქ ჩამოსვლა. აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ამერიკაში ყველა ასაკში დაფასებულია ადამიანი. აქ ყოველთვის შეგიძლია ცხოვრების თავიდან დაწყება. მთავარია მოინდომო და შენი საქმე გიყვარდეს.

— რამ გიბიძგათ, შეახნის ასაკში სამშობლოდან შორს წასულიყავით?

— ჩემი წასვლის მიზეზი სოციალური პრობლემები იყო. რუსთავის თეატრში ვმუშაობდი, როდესაც მთავარი რეჟისორი გოგი ქავთარაძე რუსთავის თეატრიდან წავიდა, რამდენიმე მსახიობიც მასთან ერთად წამოვედით. თბილისში თეატრის გარეშე, უმუშევარი დავრჩი. ამას დაემატა სახლის პრობლემებიც. მოგეხსენებათ, ბინა თაღლითებმა მომყიდეს. რემონტი რომ დავიწყე, ბინის პატრონი მოვიდა და... თბილისში ბინაც აღარ გვქონდა. დღესაც ჩემი შვილი, მაკა, ნაქირავებში ცხოვრობს. ბოლოს გადავწყვიტე, ამერიკაში წამოვსულიყავი. ინგლისური ენის სწავლა რომ დავიწყე, ჩემს ქალიშვილს ეცინებოდა. ამერიკაში ჩემი ნათესავი ცხოვრობდა და მას დავუკავშირდი, შევეკითხე, ცოტა ხნით მიმიღებდა თუ არა. რაღაც პერიოდი წავედი, მერე ჩამოვედი, საბუთები გავაკეთე და ისევ წავედი.

— როგორც ვიცი, თეატრს არ ჩამოშორებიხართ და საყვარელ საქმეს იქ აკეთებთ.

— კი, ნიუ იორკში ქართული თეატრია, რომელსაც ასე ჰქვია „ნიუ იორკის ქართული თეატრი". ჩასვლისთანავე დავდგი ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები", რომელსაც დიდი წარმატება მოჰყვა. ამ სპექტაკლის რეჟისორიც ვიყავი და მთავარი გმირის დედის როლსაც ვასრულებდი. ახლა მსურს, დავდგა „შთამომავლობა" და „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი". აქვე მინდა გითხრათ, რომ 9 იანვარს 70 წელი მისრულდება და თეატრი ჩემთვის შემოქმედებითი იუბილეს გადახდას აპირებს. მინდა, ამ დღესთან დაკავშირებით ფატი გურიელის როლი ვითამაშო სპექტაკლში „შთამომავლობა". მოგეხსენებათ, გიგა ლორთქიფანიძემ მარჯანიშვილის თეატრში რომ დადგა ეს სპექტაკლი, ფატი გურიელის როლი ვერიკო ანჯაფარიძემ შეასრულა. რუსთავის თეატრში რომ ვიყავი, მაშინ „შთამომავლობა" გოგი ქავთარაძემაც დადგა და იქ ფატი გურიელის როლი მე შევასრულე.

— 70 წლის გადასახლედიდან როცა

→24

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

Cyan Magenta Yellow Black



ბებია და შვილიშვილი

უყურებთ თქვენს ცხოვრებას, რა გახსენდებათ ყველაზე მძაფრად?

— ბავშვობა. მაშინ ძალიან ლაღი და ბედნიერი ვიყავი. დედა, ნინო წეროძე, ექიმი-თერაპევტი იყო. თავიდან კონსერვატორიაში სწავლობდა, მერე კი სამედიცინო ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. დედას ყველა ინსტრუმენტზე შეეძლო დაკვრა. მამა, გივი იოსელიანი, „დინამოს“ მეკარე გახლდათ, მერე სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა. მშობლებმა ერთმანეთი ინსტიტუტში გაიცნეს. დედაც და მამაც ძალიან განათლებული ადამიანები იყვნენ. მათი მშობლებიც ერუდირებული პიროვნებები გახლდნენ. დედაჩემის დედა, მარო ვადაჭკორია და მამა, ნიკოლოზ წეროძე, შეძლებული ადამიანები იყვნენ. ბაბუაჩემმა მთელი სანათესაო გურიიდან თბილისში ჩამოიყვანა და აქ დაასახლა. თავად კი რუსთაველზე ცხოვრობდა.

მამის დედას, გოგოლა ყიფიანს, ქუთაისის ქალთა გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. ბაბუა, ალექსანდრე, უაღრესად კეთილშობილი ადამიანი იყო. ჩვენს ოჯახში სულ სტუმრიანობა და ხალხმრავლობა იყო. ბავშვობიდანვე შემაყვარეს ხელოვნება. ჩვენს ოჯახში ბევრი გამოჩენილი მსახიობი მოდიოდა. ამიტომ გადავწყვიტე, ბავშვობის ოცნება ამესრულებინა და თეატრალურში ჩავბარე.

— როგორც ვიცი, ბევრი და-ძმა გყავთ.

— მამაჩემს 3 ცოლი ჰყავდა, 4 დედმამიშვილი მყავს. მამაჩემისთვის დედაჩემი პირველი მეუღლე იყო. მათ 2 შვილი ეყოლათ — მე და ალექსანდრე (საშკა იოსელიანი — აფხაზეთის ომში დაღუპული მსახიობი. ავტ.), მეორე ცოლისგან ერთი ქალიშვილი — მედიკო, მესამისგან კი — 2 შვილი, მიშიკო და გოგოლა. ის, რომ ჩვენ დედით ერთნი არ ვიყავით, არაფერს ნიშნავდა. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ერთი ოჯახი ვართ და დღემდე სიყვარულით გაგვაქვს ცხოვრება.

საშკასა და ჩემ შორის ასაკობრივი სხვაობა 8 წელი იყო. შვილივით გავზარდე. მისი დაკარგვა მოუნელებელი ტკივილია ჩემთვის. საშკა ჩემი ნაწილი იყო. როცა პატარა იყო, ყველგან თან დამყავდა. ჩემს მომავალ ქმართან პაემანზე რომ მივდიოდი, ისიც თან მიმყავდა. საშკა რაინდი იყო და დღემდე მას სითბოთი და სიყვარულით ვიხსენებთ.

— თუმცა მის ოჯახთან ურთიერთობა აღარ გაქვთ.

— ასე საშკას მეუღლემ, ანა რატიანმა გადაწყვიტა, ეს ჩემი მიზეზით არ მომხდარა. მარტო ჩვენთან კი არა, მამის მხრიდან არც ერთ ნათესავთან არ აქვთ კონტაქტი. საშკას ორი შვილი დარჩა — ნინო და გიორგი. გიორგი ცოლ-შვილთან ერთად ინგლისში ცხოვრობს, ნინო მსახიობია.

— თქვენმა რძალმა მეორედ რომ შექმნა ოჯახი, უთანხმოების მიზეზი ეს ხომ არ იყო?

— არა, ჩვენ ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ გვქონია. ანა გათხოვდა და მესამე შვილიც შეეძინა, მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზები იყო, რომლებიც ჩვენგან არ იყო გამომდინარე. დაკონკრეტებას არ ვაპირებ.

— თქვენ ერთი ქალიშვილის დედა ხართ. როგორ შექმენით ოჯახი?

— როცა შეყვარებული ხარ, არაფრის გეშინია, არც არაფერზე ფიქრობ. მე და ზურა შენგელიამ ერთმანეთი სკოლის პერიოდში გავიცანით. მე მე-6 სკოლაში ვსწავლობდი, ზურა კი — 39-ე სკოლაში. ჩემს მეგობარს ზურა მოეწონა და მითხრა, ძალიან მაგარი ბიჭი ვნახეო. ზურასთვის კი ვიღაცას უთქვამს, მე-6 სკოლაში ძალიან მაგარი გოგო სწავლობსო და ჩემ სანახავად მოვიდა. ბიბლიოთეკაში ვიჯექი, ზურა რომ შემოვიდა და გამიცნო. დანახვისთანავე მოვიხიბლე მისი ცისფერი თვალებით. მაშინ ზურა ფეხბურთზე დადიოდა და მომხიბვლელი ბიჭი იყო. ერთმანეთი ერთი ნახვით შეგვიყვარდა. იმ დღის მერე სულ ერთად ვიყავით. სკოლა რომ დავამთავრეთ, მაშინვე გავთხოვდი. მშობლებმა ძალიან მძიმედ გადაიტანეს ჩემი გათხოვება. მე და ზურა დროებით ნაქირავებში ვცხოვრობდით, მერე კი მშობლებთან გადავედით.

ხათუნას ქალიშვილი მაკა შენგელია

პირველ ბავშვზე რომ ვიყავი ორსულად, 7 თვის მუცელი მომეშალა. ექიმებმა ბავშვი ვერ გადაარჩინეს. 23 წლის ვიყავი, როდესაც მაკა გავაჩინე. ის ჩემი თილისმაა.

— მიუხედავად ასეთი სიყვარულისა, ოჯახი ვერ შეინარჩუნეთ?

— მაკა 11 წლის იყო, როდესაც მე და ზურა დავშორდით. არც გვიჩხუბია და არც

„ახასოდეს მინანია აქ ჩამოსვლა. ამერიკაში ყველა ასაკში დაფასებულია ადამიანი. აქ ყოველთვის შეგიძლია ცხოვრების თავიდან დაწყება“.

გვიკამათია. ამის მიზეზი ალბათ მისდამი დიდი პატივისცემა და სიყვარული იყო. როცა რაღაც მთავრდება, აუცილებელია, ადამიანებმა ეს იგრძნონ და ცალ-ცალკე იცხოვრონ. ვამბობ ხოლმე, რომ ჩვენ არ დავშორებულვართ, დავრჩით, როგორც ქალი და კაცი და არა — როგორც ერთმანეთის მოსიყვარულე და ერთგული მეგობრები. რატომღაც ეს საქართველოში წარმოუდგენლად მიაჩნიათ და კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ვერ ახერხებენ. თვლიან, რომ თუნდაც ერთმანეთი არ უყვარდეთ, ოჯახი არ უნდა დაანგრიონ, თუნდაც ბავშვების სტრესების ხარჯზე.

ზურა სიცოცხლის ბოლომდე პატივს მცემდა, მის მიმართ მეც ასე გახლდით. განქორწინებულები კი ვიყავით, მაგრამ სულ ჩვენთან იყო. მერე ვხუმრობდი, ამ კაცს რატომ დავშორდი-მეთქი. ზურამ მეორე ცოლი, ნატო ხარჭავანიძე რომ მოიყვანა და თამუნა შეეძინათ, მაშინაც კარგი ურთიერთობა გვქონდა. თამუნა ჩემი და მაკას გაზრდილია. მაკა თამუნაზე 25 წლით უფროსია. ნატო რომ მუშაობდა, ერთი კვირის თამუნა ჩემთან მოჰყავდა (მაშინ მე არ ვმუშაობდი) და ჩვიოს მე და მაკა ვუვლიდით.

თამუნა 21 წლისაა, მსახიობია, თანაც ძალიან ნიჭიერი. ღვიძლი შვილივით მიყვარს, ვამბობ, რომ ორი ქალიშვილი მყავს: მაკა და თამუნა. ნატოს მადლობელი ვარ, თამუნა რომ მომივლინა ამქვეყანაზე.

— თქვენ რატომ არ მოინდომეთ, ოჯახის შექმნა ისევ გეცადათ?

— ამის სურვილი არ მქონია. ვიცოდი, რომ ბავშვისთვის მამინაცვალთან შეგუება ცოტა რთული იქნებოდა, თუმცა, ეს ნაბიჯი რომ გადამედგა, დარწმუნებული ვარ, მაკა გამიგებდა, რადგან ის ყოველთვის გვერდში მედგა. მას ბავშვობიდან ვთვლიდი პიროვნებად, ყოველთვის ვეკითხებოდი აზრს. ჯერ კიდევ პატარა იყო, გვერდით რომ მოვისვამდი და ყველაფერზე ერთად ვიღებდით გადაწყვეტილებას. თაყვანისმცემლებიც მყავდა და მეგობარიც. სიყვარული იყო, აბა, უსიყვარულოდ როგორ ვიარსებებდი?!

— მაკამ რა გზა აირჩია, რა პროფესიისა?

— თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა, თეატრმცოდნეა, მაგრამ ამჟამად 195-ე საჯარო სკოლაში ხელოვნების მასწავლებლად მუშაობს. მისი ყოფილი ქმარი კახა კალმახელიძეა. ჩემი შვილიშვილი, საშკა კალმახელიძე, 3 თვეში 19 წლის გახდება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის ფაკულტეტზე სწავლობს. მისმა დაბადებამ ჩემის ძმის დაკარგვა გადამატანინა. ძალიან განათლებული ახალგაზრდაა.

— რამდენიმე წლის წინ ჯანმრთელობის პრობლემები გქონდათ. ახლა როგორ გრძნობთ თავს?

— გმადლობთ, ახლა კარგად ვარ. 2 წლის წინ თბილისში ჩამოვედი. აქ რომ დავბრუნდი, პრაღაში გადაღებებზე მიმიწვიეს, სადაც შვილიშვილთან ერთად წავედი. მანამდე გული კი მაწუხებდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთი პერიოდი წამლებს ვსვამდი, მერე თავი დავანებე. გადაღებების მომენტში რამდენიმე დღე შესვენება მქონდა და თბილისში ჩამოვედი. სახლში დამემართა ინსულტი, არადა 2 დღეში უკან მივფრინავდი. ექიმების დროულმა ჩარევამ შედეგი გამოიღო და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. საავადმყოფოდან ერთ კვირაში გამოვედი. ძალიან ძლიერი პიროვნება ვარ, იმდენად ოპტიმისტი ვარ, ყოველთვის მჯერა, კარგად რომ ვიქნები. უფლის წყალობით, ახლა თავს კარგად ვგრძნობ.

— საქართველოში ისევ ჩამოსვლას როდის აპირებთ?

— მინდა, გასტროლებზე ჩამოვიდე და თბილისში ვითამაშო სპექტაკლები. ჩვენს თეატრს საკმაოდ საინტერესო რეპერტუარი აქვს და ძალიან მინდა, ჩვენი შემოქმედება თბილისის მაყურებელსაც გავაცნოთ.

✓ ლია ოსაძე

Cyan Magenta Yellow Black

ბუმბულებით მხატვარი

ნელი ჯვახაძე: „მშია, მაგრამ ჩემს ნახატებს გასაყიდად ვეჭ ვიმეტებ"



■ რუსთაველის ფრესკა

დიდ დიღომში, 16 კვადრატული მეტრი ფართის მქონე ავტოფარეხში, ორიგინალური მხატვრული ნამუშევრები ინახება. ნახატები სხვადასხვა ჯიშის ბუმბულითაა შექმნილი. მათი ავტორი 60 წლის ნელი კვახაძეა.

მხატვარი ქალი წლებია ვაჟიშვილთან ერთად ავტოფარეხში ცხოვრობს. არც აბაზანა აქვს, არც გათბობა და ხშირად არც ჭამა. მიმდინარე წლის აპრილში ეროვნულ ბიბლიოთეკაში „არტ ფონდმა", რომელიც სოციალურად დაუცველ ადამიანებს ეხმარება თავიანთი ხელოვნების გამომზეურებაში, ნელი კვახაძის პერსონალური გამოფენა მოაწყო. გამოფენაზე მისული სტუმრები ნანახით განცვიფრდნენ. იმავე დღეს სრულიად მოულოდნელად ქალბატონ ნელის აკადემიკოსის წოდებაც მიანიჭეს და მხატვართა კავშირშიც მიიღეს.

■ ნელი კვახაძე

— ქალბატონო ნელი, ამ საოცარი ნამუშევრების ავტორი ავტოფარეხში რატომ ცხოვრობთ?

— თბილისში, ვორონეცოვზე დავიბადე და გავიზარდე. დიდი სახლი გვქონდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყანაში დიდი განუკითხაობა რომ სუფევდა, ჩემმა დამ ყველასგან დაუკითხავად ვალები დაიდო. მევალეებმა იარაღიანი ხალხი დაიქირავეს და მუქარით გამოგვყარეს სახლიდან. დედაჩემს, რომელიც მაშინ 75 წლის იყო, რაღაც საბუთებზე ისე მოაწერინეს ხელი, ვერც გაიგო, რას აწერდა. ასე დავრჩით ყველანი გარეთ, რასაც დედაჩემმა და ჩემმა და-ძმამ ვერ გაუძლეს და მალევე გარდაიცვალნენ. ჩემი ქმარი, რომელიც თავს კარგად გრძნობდა ჩვენს დიდ სახლში, როგორც კი უსახლკაროდ დავრჩით, ჩემგან წავიდა და ორი შვილი დამრჩა საპატრონო. მას შემდეგ უამრავი ბინა გამოვიცვალე, ვქირაობდი. ვერ ვიხდიდი და ისევ გარეთ ვრჩებოდი. წლებია მერიაში ვწერ განცხადებებს, მიშველეთ, რამე თავშესაფარი მომეცით-მეთქი, მაგრამ მხოლოდ ახლახან მომივიდა მერიიდან მამუკა ქაცარავას პასუხი, თქვენ არანაირ აღრიცხვაზე არ ხართო. მასხრად ამიგდეს!

ქალიშვილი გავათხოვე, მე და ჩემი ბიჭი კი, როგორც ხედავთ, ამ ავტოფარეხში ვცხოვრობთ. პენსიას, რასაც ვიღებ, ქირაში ვიხდი. სოფელი არ მაქვს, რომ წავიდე და იქ მაინც ვირჩინო რამით თავი. უმწეოთა სიაში რომ მოვხვედრილიყავი, შემამოწმეს და დიდი ქულა მომანიჭეს. მხოლოდ მგზავრობის დროს მეხება ფასდაკლება და სხვა არაფერი.

— ბუმბულებით საოცარ ნამუშევრებს ქმნით. ხატვა თქვენი პროფესიაა თუ თვითნასწავლი ხართ?

— თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი დავამთავრე. 7 წელია, რაც ბუმბულებით დავიწყე მუშაობა. ერთ დღეს მწყრის გაპუტვა მთხოვეს. ბუმბულები ერთმანეთზე დავადე და ისეთი მშვენიერება გამოვიდა, ვიფიქრე, რომ ამით კარგი ნამუშევრის შექმნა შეიძლებოდა. იმ დღიდან სულ ბუმბულის ძებნაში ვარ.

რუსთაველის საზოგადოებიდან იყვნენ მოსული და მთხოვეს, იქნებ „ვეფხისტყაოსნის" თემა გააკეთოო. შოთა რუსთაველი, მისი ფრესკა და თამარ მეფე შევქმენი ერთად. ახლა მინდა, ვეფვხისა და მოყმის ორთაბრძოლის სცენა შევქმნა, მაგრამ ჯერ მაგდენი ბუმბული არ მაქვს. საოცარია ბუმბულების წყობა. ბუნებრივ ფერებს ვიყენებ, არ ვღებავ. მხოლოდ ახლა, როცა ფიროსმანზე ვმუშაობ, წითლად შევღებე ბუმბული, რადგან ძალიან ითხოვდა და ამ ფერის ვერსად ვიშოვე. წელს ფიროსმანის და თამარის წელია და მინდოდა, ეს ნახატები შემექმნა.

— ბუმბული ადვილად დასამორჩილებელია?

— ურთულესია მუშაობის პროცესი. ძალიან ფაქიზად უნდა იმუშაო, შუქჩრდილი ზუსტად უნდა გააკეთო...

— ამდენი ფერის ბუმბულს სად და რიგორ შოულობთ?

— გარშემო ვისაც ვიცნობ და არ ვიცნობ, ყველას ვეხვეწები, მომიტანონ. ფრინველების ბაზრობაზე დავდივარ და გამყიდველებს ვეხვეწები, დაცვენილი ბუმბულები მომცენ. მონადირეებს ვიცნობ და მათაც ვთხოვ. ყველას ვეხვეწები, თუ ვინმე ქათამს დაკლავს, მე მომიტანონ და გავუპუტავ. ჩემი შვილების მეგობრები თუ სადმეს ნახავენ, მოაქვთ. დღეს ორი ღერი მომიტანეს. ისეთი კარგებია, პირდაპირ დააწებებ და ხეები გამოვა. აქვე ჩემს მეზობელს 300 თუთიყუში ჰყავს ავტოფარეხში და მაძლევს ბუმბულს. ზოოპარკშიც ვიყავი სათხოვნელად, მაგრამ არ მომცეს. მითხრეს, სხვას ვაძლევთო. ერთი წითელი ბუმბული ეგდო ფრინველების გალიაში. ძალიან ვთხოვე, მაგრამ არაფრით მომცეს.

— ამ პატარა სათავსოში სატავეთ, რომელიც ამავდროულად სამზარეულოც არის და საძინებელიც?

— კი. 42 წლის ვიყავი, უსახლკაროდ რომ დავრჩი. შემეძლო, საზღვარგარეთ წავსულიყავი, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემი ქვეყნის გარეშე ვერსად გავძლებდი. ჩემი ნამუშევრებიც ძირითადად საქართველოს კუთხეებს, ტაძრებს ეხება.

გამოფენის წინა ღამეს საოცრება დამემართა. უცბათ გამეღვიძა და ვიგრძენი, რომ რაღაც სინათლე მედგა თავზე. გარეთ გავიხედე და ცა მთლიანად ღრუბლიანი იყო. ვიფიქრე, ზეციური რაღაცაა-მეთქი. მეორე დღეს რაც გამოფენაზე მოხდა, მივხვდი, ამ სინათლის სხივით უფალმა გამამხნევა და ნიშანი მომცა.

— რა მოხდა გამოფენაზე?

— მხატვართა კავშირში მიმიღეს და აკადემიკოსის წოდება მომანიჭეს. მხატვართა კავშირში რომ მიგიღონ, 7-8 გამოფენა მაინც უნდა გქონდეს გაკეთებული. კავშირის თავმჯდომარემ, ცისანა მჭედლიძემ რომ ნახა ჩემი ნახატები, გამოაცხადა, ასეთი რამ ჯერ არ მინახავს და დღეიდან ქალბატონი ნელი მხატვართა კავშირშია მიღებულიო.

— საქართველოს სხვადასხვა მხარე დაგისატავთ. ნამყოფი მაინც თუ ხართ შატილსა თუ სვანეთში?

— არა, სად ვარ ნამყოფი! ორი ათეული წელია, თბილისის იქით არსად წავსულვარ. ყველაფერი ტელევიზორში მაქვს ნანახი. სვანეთის სურათი წიგნში ვნახე. მერე ჩემი ფანტაზიით ზოგი დავუმატე, ზოგი გამოვაკელი და ასეთი გამოვიდა.

— მთიელების სახე შეგიქმნათ.

— პორტრეტების შექმნა მიყვარს. ფილმი ვნახე, სადაც კომუნისტებს მიჰყავთ სასულიერო პირი და ხვრეტენ. რამაზ ჩხიკვაძე ასრულებდა ამ როლს. გადავწყვიტე, ის, ვინც დახვრიტეს, რეალობაში წარმომედგინა და ისე შემექმნა მისი სახე.

მერიდება და მეშინია წმინდანებთან შეხება, მაგრამ ალბათ ამის დროც მოვა.

— თამარ მეფის სახე გაქვთ შექმნილი, ისიც ხომ წმინდანია.

— შოთა რუსთაველს ვხატავდი და ამ ნახატმა მოითხოვა. მომიტევოს, თუ ამით შევცოდე. წმინდანს თუ ეხები, უნდა მარხულობდე, კურთხევა უნდა გქონდეს. ჯერჯერობით ამისთვის მზად არ ვარ.

— ნამუშევრებს ყიდით?

— არა. ჯერ გაყიდვა არ შემიძლია. მხოლოდ 50-მდე ნამუშევარი მაქვს და გამოფენა რომ მოვაწყო, ამისთვის ძალიან ცოტაა.

— ფული რომ ძალიან გჭირდებათ?

— კი, მაგრამ მაინც ვერ გავყიდი. მიყვარს, ჩემი შვილებივით არიან და თან გამოფენისთვის ვაგროვებ. ერთხელ ვიფიქრე, რომ ჩემი ნამუშევარი გამეყიდა და ამით ცოტა ამომესუნთქა. ერთი ქალი, რომელიც საკმაოდ მდიდარია, მთხოვდა, ერთი დიდი ნამუშევარი მიმეყიდა. ვუთხარი, ყველაზე ცოტა, 400 ლარად მოგცემ, თორემ ამათი ფასი ბევრად მეტია-მეთქი. ვიცი, ამ ქალბატონისთვის ეს თანხა არაფერია, იმდენი აქვს, მაგრამ, რომ იცოდა, ძალიან მიჭირდა, ცდილობდა, 50 ლარად ეყიდა. მერე კიდევ მომაკითხა და უფრო მეტი თანხა შემომთავაზა, მაგრამ აღარ მივყიდე.

— რამდენად დაცულია ეს ნამუშევრები, დროს გაუძლებს?

— აუცილებლად გაუძლებს. თუ ბუმბულს თავიდან არ შეჰყვა ჩრჩილის კვერცხი, მერე აღარ გაუჩნდება. საღებავს იმიტომ არ ვაკარებ ბუმბულს, რომ მინდა, სულ ბუნებრივი იყოს და დროს გაუძლოს. ბებიაჩემის ნაჩუქარი ბუმბულის ბალიში ახლაც მაქვს და ნახატმა რატომ არ უნდა გაძლოს?! ბალიშს გაამზეურებ და მორჩა, მეტი არაფერი უნდა. ძვირი ღირს ჩრჩილის საწინააღმდეგო საშუალება — 100 გრამი 5 ლარი ჯდება. ხშირად მთელი დღე საჭმელი არ მიჭამია და პურის მაგივრად ეს მიყიდია. სოციალურმა აგენტმა ჩემი ნახატები რომ დაინახა, არ დაიჯერა, რომ მიჭირს. მითხრა, შენ ბიზნესი გექნებაო.

ვერ წარმოიდგენთ, რა ტიტანური შრომაა ამ ყველაფერში ჩადებული. სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩემი ნახატებიც ჩემთან ერთად იქნებიან. გამოფენას რომ მოვაწყობ, მინდა, მთავრობის წევრებიც მოვიწვიო. იქნებ საჭიროდ ჩათვალონ, რომ ერთი პატარა სახელოსნო მაინც მომცენ, ან თავშესაფრის აღრიცხვაზე მაინც ამიყვანონ, რომ ქირის ფულს არ ვიხდიდე.

✓ **რუსუდან ადვაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ — ფილმი, სადაც ეროსიმ მეგობრისთვის როლი დათმო

გუგული მგელაძე: „პიროდი ტრაგედიების მიუხედავად, ჩემმა ფილმებმა ზღაპრებში მაცხოვრეს“

„სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ — 1969 წელი
დამდგმელი რეჟისორი: ყარამან (გუგული) მგელაძე
სცენარის ავტორი: სულიკო ჟღენტი
დამდგმელი ოპერატორი: გივი რაჭველიშვილი
დამდგმელი მხატვარი: გივი გიგაური
კომპოზიტორი: ნუგზარ ვაწაძე
ხმის რეჟისორი/ოპერატორი: თენგიზ ნანობაშვილი
მონაწილეობენ: დოდო აბაშიძე (ალექსანდრე), გრიგოლ წიტაიშვილი (გერასიმე), ლეილა ყიფიანი (მარინე), ლალი მესხი (ლია), რუსუდან კიკნაძე (ტატა), თამაზ თოლორაია (ბიძინა), თეიმურაზ წიკლაური (ნოდარი-ბელაფონტე), ნანული პირველი (გალინა), ლიანა ასათიანი (ბიძინას დედა), ილია ბაკაკური (ილო), თამარ თვალიაშვილი (ალექსანდრეს დედა), მალხაზ გორგილაძე, მანანა დაშნიანი, ი. ჭავჭავაძე, მალხაზ ჭეიშვილი (მალხაზი), ბ. თოფურიძე, გ. გაბაშვილი, გია ნარიმანიძე (ჯაბა), ზოზო (იასონ) ბაქრაძე.

■ დოდო აბაშიძე

■ გრიგოლ წიტაიშვილი

■ თამაზ თოლორაია

■ თეიმურაზ წიკლაური

ასული საუკუნის 60-იანი წლები, მშენებლობაზე მომუშავე ახალგაზრდები, რომლებიც გზის დასაწყისში დგანან და საკუთარი თავის ძიებაში არიან, მომავალს თამამად შეჰყურებენ, ჯერ არ უგემიათ ცხოვრების სიმწარე, უბედურება. მეგობრის მოულოდნელი დაღუპვა ხდება მათი პირველი სერიოზული ტკივილი და გამოცდა.

„სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ გუგული მგელაძემ თითქმის 45 წლის წინ გადაიღო. თბილი, მხიარული და ამავე დროს სევდიანი, რეალიზმის პრინციპებით გადაღებული ფილმი უპირველესად მასში მოთამაშე მსახიობებით გახდა ფასეული. ცნობილი რეჟისორი, რომელიც მაშინ თავადაც ახალგაზრდა გახლდათ, თავისი შემოქმედების წლებს „სარკეში“ იხსენებს.

მეგობრისთვის დათმობილი როლი

გუგული მგელაძე:

— 44 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ ტელეეკრანებზე გამოვიდა. რას ვიფიქრებდი, რომ გავიდოდა 4 ათეული წელი და ეს ფილმი ხალხში ისევ იცოცხლებდა. ტყუილად არ მიშრომია.

სცენარის ავტორი არის სულიკო ჟღენტი. ერთხელ ცკ-ის მესამე მდივანმა ქალბატონმა (სამწუხაროდ, მისი სახელი და გვარი ზუსტად არ მახსოვს) დამიბარა და მკითხა, ბატონო გუგული, რამე ახალი სიუჟეტი ხომ არ გაქვთ, რომ გადაიღოთო. ვუპასუხე, რომ ორი იდეა მქონდა. ვუამბე ჩემი მეგობარი სცენარისტის სულიკო ჟღენტის შესახებ. მაშინ ის ბათუმში იყო.

„გრიგოლ წიტაიშვილი განსაკუთრებით მომწონდა, იადგან სხვა ტიპაჟი იყო, სხვა სტანდარტულ მსახიობებს არ ჰგავდა. ერთხელ გურამ ლორთქიფანიძემ დამირეკა და მითხრა, გრიშა სწორად შეარჩიე გერასიმეს როლზე, ისე ითამაშა, მოსკოველ მსახიობებს აჯობა“.

დავურეკე და მალე ჩამოვიდა. მივაწოდე იდეა, რა თემაზე მინდოდა ფილმის გადაღება. შემდეგ წავიდა და თვითონ დაწერა. რაღაცეები შევცვალე, დავუმატე, ძირითადი სცენარი კი იგივე დარჩა. მას შემდეგ სულიკო ჟღენტთან ერთად კიდევ რამდენიმე ფილმზე მომიწია მუშაობა.

ალექსანდრეს ანუ მთავარი გმირის როლზე ორი მსახიობი მოიაზრებოდა: ეროსი მანჯგალაძე და დოდო აბაშიძე. ორივე გავსინჯეთ, მაგრამ ეროსიმ რომ გაიგო, დოდოც ამ როლისთვის გავსინჯეთ, უარი გვითხრა. მეგობრები იყვნენ და არ უნდოდა, დოდოს რამეში შეეცილებოდა. ეროსის რომ ეთამაშა, ალბათ სულ სხვანაირ პერსონაჟს შექმნიდა და ფილმიც სხვანაირი გამოვიდოდა. რაც შეეხება დოდო აბაშიძეს, მან მართლაც კარგად ითამაშა და დასამახსოვრებელი სახე შექმნა. ორივე მსახიობის გასინჯვის მერე გადავწყვიტე, რომ ამ როლზე დოდო დამემტკიცებინა.

ვახსოვრავური გენი

— პირველი რეჟისორი ვიყავი, ვის ფილმშიც თაზო თოლორაიამ ითამაშა. ეს იყო 1967 წელს გადაღებული „ცისკრის ზარები“. ფილმში „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ თემურ წიკლაურის დებიუტი შედგა. ნოდარის ანუ ბელაფონტეს როლზე სხვა მსახიობი მყავდა შერჩეული, მაგრამ თემური რომ გავსინჯე, ძალიან მომეწონა. ახალბედა და ძალიან ახალგაზრდა იყო, ამის მიუხედავად, სინჯებზე არაჩვეულებრივად ითამაშა. გრიგოლ წიტაიშვილმა ამ ფილმში გერასიმეს როლი შეასრულა. ეს მსახიობი განსაკუთრებით მომწონდა, რადგან სულ სხვა ტიპაჟი იყო, სხვა სტანდარტულ მსახიობებს არ ჰგავდა. ერთხელ გურამ ლორთქიფანიძემ დამირეკა და მითხრა, გრიშა სწორად შეარჩიე გერასიმეს როლზე, ისე ითამაშა, მოსკოველ მსახიობებს აჯობა.

სოხუმური ისტორიები

— გადაღებები სოხუმში მიმდინარეობდა. ისე დაემთხვა, რომ იქ იმ დროს საცხოვრებელი კორპუსი შენდებოდა, თითქოს სპეციალურად ჩვენი სურათისთვის. ფილმზე მუშაობის პროცესი ყოველთვის საინტერესოა, მით უმეტეს, როცა ასეთ ლამაზ ადგილას ხარ. თან ვისვენებდით და თან ვმუშაობდით.

თავიდან, სანამ გადაღებები დაიწყებოდა, გარემოს ვათვალიერებდით, რომ ფილმისთვის კარგი კადრები შეგვერჩია. ერთ დღეს ზღვაზე გავედით. დოდოც ჩემთან ერთად წამოვიდა. ეს აბობოქრებული ტალღები რომ დაინახა, ტანზე გაიხადა და წყალში შევარდა. ვიფიქრე, მსახიობი შევიდა და რეჟისორი გარეთ ხომ არ დარჩებამეთქი და მეც გავცურე. უკან დოდო მშვიდობით გამოვიდა, მე კი ტალღებმა მიმახეთქა და ძლივს გადავრჩი. ნაპირზე რომ გამოვედი, თავზე ორი თეთრხალათიანი ქალი მადგა და მიყვიროდა, რას აკეთებ, ვერ ხედავ, რამხელა ტალღებია, ლამის თავი დაიღუპეო.

ფილმში ეპიზოდური როლი აქვს ლიანა ასათიანს, რომელიც ბიძინას დედას თამაშობს. ერთხელაც ზღვაზე გავედით მე, დოდო და ლიანა. გადავწყვიტეთ, რომ გაგვეცურა. დოდო ძალიან კარგად ცურავდა, მეც — ნორმალურად. ისე ღრმად შევედით ზღვაში, უცებ რომ მოვიხედე, ნაპირი აღარ ჩანდა. შემეშინდა, მაგრამ ემოცი-ებისგან თავი შევიკავე. ჩვენ გვერდით ულამაზესი ქალი იყო და ხომ არ შევაშინებდი. დოდოს ვუთხარი, უკან მივბრუნდეთ, გადაღებისთვის უნდა მოვემზადო, შენც წამოდი, ხომ იცი, გუშინდელი ნაქეიფარი ვარ და შენი იმედი მაქვს-მეთქი. დოდომ ღიმილით მიპასუხა, საკუთარი თავის იმედი მე არ მაქვს და შენც ნუ გექნება ჩემი იმედიო. როგორც იქნა, ნელ-ნელა უკან დავბრუნდით. ნაპირი გამოჩნდა და შვებით ამოვისუნთქე.

როცა გადაღებები არ გვქონდა, ან ზღვაზე გავდიოდით, ან პოკერს ვთამაშობდით, ან კიდევ ვქეიფობდით. ზომიერების ფარგლებში ვსვამდით, რადგან მეორე დღეს გადაღებისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით. ერთხელ მაინც იყო შემთხვევა, რომ რეჟისორიან-მსახიობიანად ყველანი კარგად დავთვერით. მეორე დღესაც არ ვიყავით საკმარისად გამოფხიზლებული და ამიტომ გადაღება ჩაიშალა.

საყვახელი ეპიზოდი

— ფილმიდან გამორჩეულად მომწონს ის ეპიზოდი, როცა სანაპიროზე დოდოს გმირი ვეტერანებს ხვდება. ბოლოს ის და ორი კაცი მარტო რჩებიან და მხოლოდ ჯოხის კაკუნი ისმის. ამ სცენას კუს ტბაზე ვიღებდი. ვინც კი ვეტერანი იყო საქართველოს მასშტაბით, მგონი, ყველა მოვიწვიე. გადაღებაზე მისულს კი მხოლოდ 5 კაცი დამხვდა. ზოგადად ბრაზიანი და მკაცრი

„ქართულ დეეგბასიაში გახდდით მე, მიშა ჯობახიძე და ხეზო ჩხეიძე. სამივეს ფაქთხუნა შახვლები გვეცვა, იადგან ჩვენთან მაშინ ასეთები იყო მოდაში. ლონდონში ყველას ვინხო შახვალი ეცვა, ჩვენ ჯი იმ შახვლებში სასაცილოები ვჩანდით. ახადა გვეგონა, ჩვენი სტილით იქაურებს განვაცვიფრებდით“.

რეჟისორი არ ვარ, მაგრამ მაშინ ძალიან გავბრაზდი და ამან გაჭრა. ერთი კვირის შემდეგ ხელახლა დავნიშნე გადაღება და პარტკომის უფროსმა ყველა ვეტერანი დამახვედრა.

სცენა, სადაც გერასიმე უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება და ხარაჩოებიდან ვარდება, მონტაჟურად გადავიღეთ. ეს ფილმში ყველაზე დრამატული მომენტია.

საოცარი დოდო

— ფილმის პრემიერა მოსკოვის კინოთეატრ „როსიაში“ გაიმართა. მე და დოდო აბაშიძე წავედით. სანამ ჩვენება გაიმართებოდა, პატარა

Cyan Magenta Yellow Black

ბარათი მივიღე, სადაც ეწერა: „გუგული, გთხოვ, სეანსის შემდეგ შემხვდე. ჟორა არტუნიანცი“. რამდენიმე წლით ადრე ვითამაშე ფილმში „ახალგაზრდა გვარდია“, სადაც ჟორა არტუნიანცი განვასახიერე. ის ამ გვარდიის წევრი, ლეიტენანტი იყო. გარეგნობით მაღალი, გამხდარი კაცი გახლდათ, მე და დოდოს კი მსუქანი კაცი დაგვხვდა, ვერც ვიცანი. თურმე ის ყოფილა ჟორა.

თავის სახლში დაგვპატიჟა. სანამ წავიდოდით, დოდომ მითხრა, ქართველები ვართ, ხელცარიელები ხომ ვერ მივალთო. კინოთეატრის ბუფეტში ჩავედით და საუკეთესო კონიაკი „ნაპოლეონი“ შევიძინეთ. გამყიდველ ქალს ხელიდან გაუვარდა და გაუტყდა, ამიტომ მეორე ბოთლი მოგვცა, დოდომ კი ორი ბოთლის ფასი გადაიხადა. გამყიდველმა იუარა, ორის საფასურს ნუ მაძლევთ, ერთი ხომ მე გავტეხეო. მან უპასუხა, არა უშავს, ჩათვალეთ, რომ ორივე ბოთლი ჩვენ ვიყიდეთო. ასეთი კეთილი და საოცარი ადამიანი იყო დოდო აბაშიძე.

ძველმოდური ქართველები ლონდონში

— 1971-72 წელს „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ ლონდონში ქართული მხატვრული ფილმების რეტროსპექტიულ ჩვენებაზე წაიღეს. ლონდონის ნომერი პირველი კინოკრიტიკოსი, გვარად გილეტი, საქართველოში ფილმების ასარჩევად ჩამოვიდა. რამდენიმე ფილმის ნახვის შემდეგ მოუთხოვია, რამე თანამედროვე მინდაო. შემთხვევით აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ მექანიკოსს ჩემი ფილმის ფირი ჰქონდა. ინგლისელ

„600 ლოხეს სცენიდან თავი დავუხახე ისე, ხომ ჩემი სიმელოტე ჯახგად შეემჩნიათ და ასეთი სიტყვები ვთქვი: „ახ გეგონოთ, ხომ ჩემი ფილმები ისეთივეა, ხოგოხიც ჩემი თავი. ფილმები ბევხად უჯეთესია“. ამ სიტყვებზე დახბაზში ხახხახი ატყდა“.

კინოკრიტიკოსს „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ აჩვენეს. კინომცოდნე კორა წერეთელი ინგლისურად უთარგმნიდა. თურმე ძალიან მოეწონა და შემდეგ მთელი 40 წუთის განმავლობაში ამ ფილმზე ლაპარაკობდა. ეს ყველაფერი ოთარ იოსელიანმა მითხრა. მანვე მაცნობა, შენი ფილმი ლონდონში მიაქვს, ასე თქვა, იქაურ მაყურებელს ძალიან მოეწონებაო. მართლაც წაიღეს ფილმი და მეც წავედი. იმ დროისთვის პოპულარული რამდენიმე სხვა ქართული ფილმიც წაიღეს საჩვენებლად.

ქართულ დელეგაციაში გახლდით მე, მიშა კობახიძე და რეზო ჩხეიძე. ამ ტურნეს თან ბევრი სახალისო და დასამახსოვრებელი მომენტი ახლდა. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ სამივეს ფართხუნა შარვლები გვეცვა, რადგან ჩვენთან მაშინ ასეთები იყო მოდაში. ლონდონში ყველას ვიწრო შარვალი ეცვა, ჩვენ კი იმ შარვლებში სასაცილოები ვჩანდით. არადა გვეგონა, ჩვენი სტილით იქაურებს განვაცვიფრებდით. თუმცა ჩვენი ჩაცმულობისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ინგლისი თავისუფალი ქვეყანაა, რაც გინდა, ჩაიცვი და რაც გინდა, გააკეთე.

სტუმრად ლოხეებთან

— დარბაზის შესასვლელში, სადაც კინოჩვენება გაიმართა, ასეთი წარწერა იყო: „ინგლისური, ფრანგული, იტალიური და ქართული ფილმების ფესტივალი“. ჩვენებას 600 ლორდი ესწრებოდა. მე სიტყვით გამოსვლის ნიჭი არასდროს მქონია. რატომღაც რეზომ მითხრა, ახლა სცენაზე ახვალ და სიტყვას იტყვი, სხვა გზა არ მქონდა და ცოტა დაბნეული ავედი. იმ დროს უკვე 40 წელს გადაცილებული ვიყავი და გამელოტებული გახლდით. დამსწრე საზოგადოებას თავი ისე დავუხარე, რომ ჩემი სიმელოტე კარგად შეემჩნიათ და უცებ ასეთი სიტყვები ვთქვი: „არ გეგონოთ, რომ ჩემი ფილმები ისეთივეა, როგორიც ჩემი თავი. ფილმები ბევრად უკეთესია“. ჩემს სიტყვებზე დარბაზში ხარხარი ატყდა და ტაშს მიკრავდნენ. ასე გავაცინე 600 ინგლისელი ლორდი.

სხვათა შორის, ინგლისელებმა დიდი პატივი გვცეს. სასტუმრო, კვება, წასვლა-წამოსვლა ხომ უფასო გვქონდა და რომ ჩავედით, სამივეს სათითაოდ 100 ფუნტი გვაჩუქეს. გარდა ამისა, ძალიან ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი მოგვატარეს — თეატრები, მუზეუმები. მათ წაგვიყვანეს ლონდონის ვესტ ენდის თეატრში, სადაც იმ დროისთვის ყველაზე პოპულარული როკოპერა „იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი“ გვანახეს. ხშირად გვაქეიფებდნენ. ლამანშის სრუტეზეც კი წაგვიყვანეს. აგრეთვე სტუმრად ვიყავით კინოაკადემიის დირექტორის აგარაკზე. ვისკით და ბუტერბროდებით გაგვიმასპინძლდნენ და ამ დროს გაისმა ქართული მუსიკა. ძალიან გაგვიკვირდა, რადგან იმ აგარაკზე ქართველები მხოლოდ მე, მიშა და რეზო ვიყავით. თურმე გილეტი თბილისში რომ იყო, ქართული მრავალხმიანი სიმღერების ფირფიტა აჩუქეს, მან კი აგარაკზე ჩართო. მოკლედ, ნამდვილ ზღაპარში ვიყავით — ლონდონის უმაღლესი კინოსაზოგადოების გარემოცვაში ქართულ სიმღერას ვუსმენდით და კარგ დროს ვატარებდით.

„85 ნლის ვახ. ჯიდევ შემიძლია ფილმი გადავიღო, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჩემი ბიჭი, გიო მგელაძე, ხეჟისოხია, შვილიშვილი ლუკაც ასევე ამ ჰროფესიის ახის. ახლა მე ხომ ფილმის გადასაღებად ფული მოვითხოვო, სინდისი ახ მაძლევს ამის საშუალებას“.

ჩვენი სასტუმროს რესტორანში პირველ დღეს რომ შევედით, უგემრიელესი ლორი მოგვიტანეს. მანამდე ასეთნაირად მომზადებული ლორის ხორცი არც გვქონდა გასინჯული. არ ვიცოდით, კვებაში ფული უნდა გადაგვეხადა თუ არა. რეზო ჩხეიძე ჩემთან და მიშასთან შედარებით საზღვარგარეთ უფრო მეტჯერ იყო ნამყოფი. მან თქვა, რომ ზოგჯერ სასტუმროს ხარჯებში კვებაც შედიოდა, ზოგჯერ — არა. მოდით, ავდგეთ და გავიდეთ, თუკი დაგვიძახეს და შეგვაჩერეს, ესე იგი, ფული ჩვენი გადასახდელიაო. მოკლედ, სამივე წამოვდექით და ნელ-ნელა წავედით კარისკენ, თან აქეთ-იქით ვიყურებოდით. რადგან არავინ შეგვაჩერა, დავრწმუნდით, რომ კვებაც უფასო გვქონდა. იმ დღის შემდეგ ყოველდღე ჩავდიოდით რესტორანში და გემრიელად ვსადილობდით. ასე მომატარა ინგლისი ფილმმა „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“. იქიდან დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით.

„მოქითამული“ ჟიური

— კულტურის მინისტრის მოადგილე აკაკი დვალიშვილი ჩემი სიმამრის მეგობარი იყო. ერთხელ დავურეკე და ხუმრობით ვუთხარი, ბატონო კაკო, რა არის, სულ სხვისი ფილმები რომ მიგაქვთ საზღვარგარეთ და ჩემი არა-მეთქი. მიპასუხა, შენ რომ გძინავს, ამ დროს ისინი ჩემს კაბინეტთან კონიაკის ბოთლით დგანანო. მართლაც, ასეთი რაღაცეები ხშირად ხდებოდა. მე კიდევ მიჭირდა ჩემი ფილმის გამო ვიღაცის შენუხება.

ერთხელ მეც გავბედე და „ქრთამის“ გადაცემა გადავწყვიტე. შუა აზიაში, კინოფესტივალზე ვიყავი, სადაც ფილმი „ძახილი“ წავიღე. თან ქართული ღვინო მქონდა. ერთი ბოთლი ავიღე და ვიფიქრე, ჟიურის თავმჯდომარეს გადავცემ-მეთქი. ვიკითხე, რომელი იყო თავმჯდომარე და ვიღაცამ ერთ კაცზე მიმანიშნა. მეც მივედი და სიხარულით ვაჩუქე ღვინის ბოთლი. მერე მითხრეს, ეგ კი არა, თავმჯდომარე მეორე კაცი იყო, მაგის გვერდით რომ იდგაო. ჩემს თავზე ბრაზი კი მომივიდა, ეს როგორ შემეშალა-მეთქი, მაგრამ გამიხარდა, რომ თუნდაც უცხო კაცს მცირედი სიკეთე გავუკეთე. სიკეთე კი არ იკარგება.

გავიდა წლები. ერთხელ ესპანეთში მივდიოდი კინორეჟისორთა ჯგუფთან ერთად. მოსკოვში შევიკრიბეთ და ავტობუსით უნდა წავსულიყავით. ავტობუსთან რომ მივედი, ის კაცი მომიახლოვდა. „მგელაძე, შენ ხარ?“ — დამიყვირა გახარებულმა. თურმე ამ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო.

ჯუს ტბაზე ნაპოვნი სპონსორები

— ქვეყანაში კინოს გადასაღებად ფული რომ აღარ იყო, ლექსების წერა დავიწყე. პირველად ეს დავწერე: „შავ-თეთრი გახდა ჩვენი ცხოვრება და ვეღარ ვიღებთ სანუკვარ ფილმებს, აპარატს სტენი ფერადი ფირით, ის კი ჯიუტად შავ-თეთრად იღებს“. რეჟისორმა საკუთარ ფილმს თავად უნდა მოუაროს. ხომ იცით, საქართველოში როგორც ხდება: რაც უნდა კარგი ფილმი გადაიღო, თუ არ იაქტიურე, შენთვის არავინ გაირჯება.

ბოლო ჩემი ფილმი, „გაჭედილები“, ჩემი ხარჯებით და კეთილი ადამიანების დახმარებით გადავიღეთ. გივი სიხარულიძე ძალიან მეხმარებოდა. კუს ტბაზე სავარჯიშოდ ერთად დავდიოდით ხოლმე. ხომ იცით, გივი როგორი აქტიურია. ჰოდა, ამ სირბილ-სირბილში მეტყოდა, აი, იქით რომ კაცი მირბის, ის ფულიანი ჩანსო. მივირბენდით მასთან, ფილმიდან რომელიმე ეპიზოდს მოვუყვებოდით და თუ გაეცინებოდა, ფულს ვართმევდით. ასე შევაგროვეთ გადაღებისთვის საჭირო თანხა.

ცხოვრება ზღაპარში

— ხელისშუშლა, უარყოფითი დამოკიდებულებები ხშირი იყო, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ იმით, რომ უამრავ კეთილ ადამიანთან მომიწია ურთიერთობა. ზღაპარში ვცხოვრობდი ჩემი პროფესიისა და ჩემი ფილმების დამსახურებით. ყველა ზღაპარს კი ბოლო ერთი აქვს.

უკვე 85 წლის ვარ. კიდევ შემიძლია ფილმი გადავიღო, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჩემი ბიჭი, გიო მგელაძე, რეჟისორია. შვილიშვილი ლუკაც ასევე ამ პროფესიის არის, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს. ახლა მე რომ ფილმის გადასაღებად ფული მოვითხოვო, სინდისი არ მაძლევს ამის საშუალებას. მირჩევნია, ჩემს შვილს ან შვილიშვილს მისცენ ფული.

ერთხელ რეზო ჭეიშვილმა მითხრა, შენი ფილმები მომწონსო და ძალიან გამიხარდა. ჩემი აზრით, კაცმა ამ ხანმოკლე სიცოცხლეში რაღაც კვალი მაინც უნდა დატოვოს. ბოლოს და ბოლოს ბერდები და შენი საქმიანობაც მთავრდება. როცა რაღაც მნიშვნელოვანს ტოვებ, ამქვეყნიდან უფრო დამშვიდებული მიდიხარ და შენი დაბადებაც გამართლებულია.

ბევრი ტრაგედია გადავიტანე. ამის გარეშე ცხოვრება არ არსებობს, მაგრამ იმას გამოვყავდი მდგომარეობიდან, რომ გვერდით კარგი ხალხი მედგა. სულიკო ჟღენტი ჩემზე ასე ხუმრობდა ხოლმე, გუგული წვერს მოუშვებს და ისე ჩაიცვამს, რომ ვერავინ იცნოს. მერე მივა კინოთეატრში, სადაც მისი ფილმი გადის და გამომცდელად ჰკითხავს ვინმე მაყურებელს, ფილმი როგორია, თუ ღირს შესვლაო. ერთხელაც ასე ჰკითხა ერთს, რომელმაც იცნო გუგული და უპასუხა, რაღას მეკითხები, არ იცი, რა ნაგავიც გადაიღეო. სინამდვილეში ასეთი რამ არ მომხდარა, უბრალოდ სულიკოს ძალიან კეთილი იუმორი ჰქონდა. მაშინ კი ვბრაზობდი, მაგრამ ის ხომ ჩემი მეგობარი იყო.

✓ თეონა კენჭიაშვილი

Cyan Magenta Yellow Black

„ძმაკაცმა ჯიბიდან ფული ამომაცალა“

14 წლის ბიჭი ვარ. 3 წლით უფროსი ძმა მყავს და მის ძმაკაცებს ძალიან კარგად ვიცნობ. ისინი არაჩვეულებრივი ბიჭები არიან. ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ, გვერდში დგომა იციან. ვოცნებობ, მეც ასეთი მეგობრები მყავდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას ბედი უნდა, რაც მე არ გამაჩნია.

სკოლაში ოთხ ბიჭთან ვმეგობრობ, წლებია ერთად ვართ. არ არსებობდა საკითხი, მათთვის არ გამეგო, მაგრამ ამ ბოლო დროს თითქოს სხვა ადამიანებად იქცნენ. ისეთ რაღაცეებს აკეთებენ, რაც არ მომწონს.

ამას წინათ სკოლაში ექსკურსიის ფული წავიღე. ჯიბეში მედო და უცებ გამიქრა. მეგონა, გზაში დავკარგე და მისი ძებნა დავიწყე. სკოლასთან ახლოს მაღაზიაა, იქაც კი შევედი და ვიკითხე, ფული ხომ არ გიპოვიათ-მეთქი.

ძებნას რომ თავი არ დავანებე, ერთ-ერთმა ძმაკაცმა მითხრა, კარგი, რას ეძებ, რა თავს გვჭრი, ჩვენ ამოგაცალეთ, გაგეხუმრეთო. თავიდან მეგონა, მართლა გამაშაყირეს და უაზროდ მაძებნინეს, მაგრამ მაინც გავბრაზდი. ვუთხარი, ეგ რა ხუმრობა იყო-მეთქი. მერე რომ მოვთხოვე, ხომ იცინეთ, ახლა ფული დამიბრუნეთ-მეთქი, მითხრეს, ვალი გვქონდა და გადავიხადეთო. აი, აქ კი გონება გადამეკეტა და მათთან სერიოზული ჩხუბი მომივიდა. ვუთხარი, რომ არაკაცურად მოიქცნენ და ფაქტობრივად გამძარცვეს. მათ კი ეს ითაკილეს, რას ჰქვია, ქურდები გვიწოდეო. ჩვენი ჩხუბი ხელჩართულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, ძლივს გაგვაშველეს სკოლელებმა.

ახლაც ვფიქრობ, რომ ეს იყო ქურდობა. ადამიანს, თუნდაც ის მეგობარი იყოს, ჯიბეში ხელი რატომ უნდა ჩაუყო და ფული ამოაცალო? ამას სხვა სახელი რა ჰქვია? იქნებ ვინმემ ამიხსნას.

ჩემმა ვითომ მეგობრებმა ვიღაც ბიჭები მომიყვანეს და მათ დამიწყეს ახსნა, რომ ძმაკაცობაში ასეთი რამ „მოსულა“, რომ ძმაკაცს თუ დასჭირდება, არათუ ფული, გულიც კი უნდა მისცე. მაშინ მითხარი, მჭირდებაო და იქნებ გული მართლაც მოგცე, დაუკითხავად რატომ მაცლი?! ძალიან დიდხანს მიხსნიდნენ, რომ მე მართალი არ ვიყავი, მაგრამ ამ წუთშიც ვთვლი, რომ ისინი შეცდნენ.

ჩემი ძმის ერთ-ერთ მეგობარს მოვუყევი ეს ამბავი და გადაირია, ასეთი რამ როგორ გაგიბედეს, მეგობრად თუ გთვლიან, მსგავსი რამ არ უნდა გაეკეთებინათო. მითხრა, მაგ ბიჭებს ჩამოშორდი, რამე ცუდს არ გადაეყაროო. მართალიც არის. ეგეთი ძმაკაცობა შემირცხვენია! თანაც კარგად იცოდნენ, რომ ექსკურსიაზე წასვლა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან იქ ჩემი შეყვარებულიც იქნება. მშობლებს ჩემი გაშვება არ უნდოდათ და ბევრი ხვეწნის შემდეგ მომცეს ფული. მეგობრებმა კი მომპარეს. კიდევ ბევრი წვრილმანი იყო, რასაც არ მოვყვები.

ამდენი მკითხველის წინაშე ვიმეორებ, ძმაკაცობაში ქურდობა არ „მოსულა“! ეგეთი მეგობრები ნამდვილად არ მჭირდება და კიდევ, ვიღაცეების გასაგონად — მე არავისი მეშინია!

თქვენი მკითხველი

„დედა ჩემს ნახევარ და-ძმასთან ურთიერთობას მიკრძალავს“

დედა ძალიან ცდება, ჩემს ნახევარძმასთან ურთიერთობას რომ მიკრძალავს, მაგრამ ამას ვერ ვაგებინებ. ვუხსნი, რომ ბავშვები მშობლების ურთიერთობაში არ უნდა ჩავერიოთ, მაგრამ არაფერი ესმის. ამბობს, რომ თუ ასე გავაგრძელებ, სახლიდან გამაგდებს.

დედისერთა გოგო ვარ, 16 წლის. ყოველთვის ვოცნებობდი, უფროსი და ან ძმა მყოლოდა. უფრო მეტად ძმას ვნატრობდი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ვიცოდი, ნახევარდაც მყავდა და ნახევარძმაც, მათ უცხო ადამიანებად ვთვლიდი. იმის განცდა არ მქონდა, რომ ისინი ჩემი ნაწილი იყვნენ.

ჩემს და-ძმასთან ურთიერთობა იმიტომ არ მქონდა, რომ ჩვენი დედები ერთმანეთს ვერ იტანდნენ და ახლაც ასეა. იმ ქალმა მაინც შეძლო ჩემი მიღება, დედაჩემი კი კატეგორიული წინააღმდეგია, რომ მათთან რაიმე სახის ურთიერთობა მქონდეს. ჩემი და-ძმა „ფეისბუქის“ საშუალებით მოვძებნე. თავიდან გამიჭირდა, მათთვის მეთქვა, ვინც ვიყავი, მაგრამ მერე გავბედე და ძმას მივწერე. მას ძალიან გაუხარდა, მომწერა, შენი გაცნობა ყოველთვის მინდოდაო. სწორედ აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

მამაჩემი და მათი დედა ერთად ცხოვრობდნენ, როცა მამას დედაჩემი შეუყვარდა. იმ ქალმა კი ეს არ აპატია და ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდნენ. მერე მამამ დედაზე იქორწინა და მე გავჩნდი. მისი ყოფილი ცოლი და შვილები კი რამდენიმე წლის შემდეგ უცხოეთში გაემგზავრნენ და დღემდე იქ ცხოვრობენ. ჩემი ძმა ძალიან კარგი ადამიანია. ის ფეხბურთელია და იქაურ გუნდში თამაშობს. ამით ძალიან ვამაყობ. და ცოტა ძნელად შემოვიდა ჩემთან კონტაქტში, მაგრამ ახლა მასთანაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. რამდენჯერმე საჩუქრები, ტანსაცმელი გამომიგზავნეს. დედა კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ ამეღო, მაგრამ მეც შეუვალი ვიყავი და ვთქვი, უკან არ დავაბრუნებ-მეთქი.

მამას უხარია, რომ მის შვილებთან ასეთი კარგი ურთიერთობა მაქვს. დედა კი ამის გამო უფრო ნერვიულობს, ამბობს, ორივენი წადით სახლიდან, არ მჭირდებითო. ვუხსნი, რომ ჩვენს ურთიერთობაში ამით არაფერი იცვლება, მაგრამ ჩემი მოსმენა არ სურს. მე კი არ მინდა, და-ძმასთან კავშირი გავწყვიტო.

მამას ყოფილი ცოლი იქ არის გათხოვილი. მეორე ქორწინებიდან შვილი არ შეეძინა, მაგრამ შესანიშნავი მეუღლე ჰყავს. ბუნებრივია, დედას არ უნდა აშინებდეს, რომ მამა თავის ყოფილ ცოლს დაუბრუნდება, ამიტომ ჩემთვის ძალიან გაუგებარია ის რეაქცია, რაც მას აქვს. ბებიაც, ანუ დედის დედაც, მის მხარესაა, უმადურს მეძახის. ამბობს, დედა ყველაფერს აკეთებს შენთვის, მის სიკეთეს კი ვერ ხედავო. ვერ ვხვდები, რას ვაშავებ, თუ ჩემს და-ძმას ვეკონტაქტები.

იქნებ „სარკის“ მკითხველებმა მაინც მითხრათ, მართლა ცუდ რამეს ვაკეთებ, მართლა უმადურად ვექცევი დედას? ძალიან გთხოვთ, ნუ დაიზარებთ და თქვენი აზრი მომწერეთ.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„შეყვარებული ჩემს სიურპრიზებს თურმე აბუჩად იგდებდა“

16 წლის ბიჭი ვარ. ორი წლის წინ გოგო შემიყვარდა, ვისთვისაც ყველაფერს ვაკეთებდი. თავიდან ჩემთან ურთიერთობა არ უნდოდა, მაგრამ მერე მისი გული მოვიგე, ყოველ შემთხვევაში, მეგონა, რომ მოვიგე, ის კი თურმე სხვა თვალით მიყურებდა.

ვერ ჩამოვყვები ყველა იმ სიურპრიზს, რასაც მისთვის ვაკეთებდი. დილა რომ თენდებოდა, იმაზე ფიქრს ვიწყებდი, ჩემი გოგოსთვის რა გამეკეთებინა, იმ დღეს რითი გამეხარებინა. ზოგჯერ სიურპრიზი ძალიან ბავშვური, მაგრამ ლამაზი გამოდიოდა, მაგრამ დიდ სიურპრიზებსაც ვუწყობდი, რაშიც ზოგჯერ მთელ ჩემს საძმაკაცოს და სანათესაოს ვრთავდი. ახლა კი ძალიან ვნანობ, რომ შეყვარებულს ასე ვანებივრებდი. მან ჩათვალა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო, რომ ის ამას იმსახურებდა და ჩემი აბუჩად აგდება დაიწყო.

ერთ დღეს მის კლასში მოულოდნელად შევედი. სწორედ იმ დროს ჩემზე ლაპარაკობდა. დამცინოდა, მისმა უაზრო სიურპრიზებმა თავი მომაბეზრა, უკვე ძალიან სასაცილოა, ვეღარ ხვდება, რომ არ მსიამოვნებს და საერთოდაც აღარც მიყვარსო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ერთბაშად დავცარიელდი. ფეხებში ძალა გამომეცალა. მერე ბავშვებმა მითხრეს, სახეზე ფერი არ გედოო. მართლა მერჩივნა, რომ მოვმკვდარიყავი, ვიდრე ეს სიტყვები გამეგო.

იმ გოგოს, რა თქმა უნდა, მაშინვე დავშორდი და ის სიყვარულიც, რასაც მის მიმართ ვგრძნობდი, საერთოდ გაქრა. ახლა ვერც ვხვდები, ასეთი ადამიანი რამ შემაყვარა, მისთვის ასე რატომ ვიხარჯებოდი. თუ არ მოსწონდა ის სიურპრიზები და მეც არ ვუყვარდი, რატომ არ მითხრა? ეთქვა, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდაო და მეც გავჩერდებოდი. ვერ ვხვდები, ასე რატომ მოიქცა და ჩემი გრძნობები ყველას თვალწინ ასე მასხრად რატომ აიგდო. ძალიან ვნანობ იმ ორ წელს, რაც ამ გოგოზე ფიქრში გავატარე.

თქვენი მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანკაუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru
ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„დაფიქრდი, იქნებ დედაშენს ჭორები მოუგონეს“

ჟურნალ „სარკის“ 46-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „დედას ვერ ვაპატიებ, რომ მამას უღალატა“. ეს გოგონა დაწვრილებით აღწერს თავისი ოჯახის ისტორიას და იმაშიც დარწმუნებულია, რომ დედამისმა მართლაც უღალატა ქმარს. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ვურჩევ, დაფიქრდეს, იქნებ დედამისს ჭორი მოუგონეს.

ამას იმიტომ ვწერ, რომ თავად გავხდი ბოროტი ადამიანების მსხვერპლი. მაზლის ცოლმა უბინძურესი ჭორი მომიგონა, რომ მე სხვა კაცი მიყვარდა. სხვებიც აიყოლია და ლამის ოჯახი დამინგრიეს. მაშინ შვილები გვერდით დამიდგნენ და ჩემი თავი არავის დაუბრიყვებინებს, თორემ ამ პრობლემას მარტო ვერ მოვერეოდი.

ჩემო გოგონა, დაფიქრდი, იქნებ დედაშენიც ამ მდგომარეობაშია და შენი თანადგომა სჭირდება. ამიტომ მის მიმართ ცუდად ნუ განეწყობი. შენც გახდები ქალი და მიხვდები, რომ ქალის ტვირთი ასე იოლი სატარებელი არ არის.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„მამიდაშვილები დამცინიან, სოფელი ხარო“

ჩემს მამიდაშვილებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ გასულ ზაფხულს ყველაფერი აირია. მე გოგო ვარ, ისინი კი და-ძმა არიან. თბილისში დაიბადნენ და გაიზარდნენ. მეგობრებიც თბილისელები ჰყავთ. მათთან ხშირად ჩავდიოდი სტუმრად და ძალიან კარგ დროსაც ვატარებდით. თითქმის თანატოლები ვართ და ერთმანეთის გაგება არასოდეს გვიჭირდა. და-ძმასავით ვიზრდებოდით და ეს ყველას ძალიან უხაროდა. მათგან არასოდეს მიგრძვნია, რომ მე სოფელში ვცხოვრობდი, ისინი კი ქალაქელები იყვნენ. სითბოთი და სიყვარულით მექცეოდნენ.

ერთი წლის წინ მამიდა ქმარს გაშორდა და შვილებთან ერთად ჩვენთან ჩამოვიდა საცხოვრებლად. ჩემმა მშობლებმა გულითადად მიიღეს. სამივეს უთხრეს, არაფერზე ინერვიულოთ, ერთ ოჯახად ვიცხოვრებთ და არაფერი გაგვიჭირდებაო. უფროსები ერთმანეთთან კი კარგად არიან, მაგრამ შვილებს ურთიერთობა დაგვეძაბა. მამიდაშვილები დამცინიან, რომ სოფელი ვარ, უფრო მეტიც, სოფლური გამოხდომები მაქვს. საკმარისია, რამე სიტყვა ვთქვა, რომ მაშინვე პირში მეცემიან და მაკრიტიკებენ. ყველაზე საშინელი ის არის, რომ ხშირად დამცინიან. ჩემს ფრაზებს ჩემი ინტონაციით იმეორებენ და თან სიცილით კვდებიან. წარმოიდგინეთ, ისინი სიცილით იხოცებიან, მე — ტირილით, მაგრამ ეს სულაც არ ანაღვლებთ. ყოველდღე ერთი და იგივე მეორდება.

მამიდა ატირებულს რომ მხედავს, თავის შვილებს მკაცრად სჯის. ისინი კი უარესად იქცევიან. მეუბნებიან, „ჩამშვები“ ხარო. სკოლის ბავშვებთანაც ლაპარაკობენ, რომ მე მაბეზღარა ვარ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, საშინელ დღეში მაგდებენ. მათთან ერთად ცხოვრება აღარ შემიძლია. დედა კი აქეთ მეჩხუბება, მამტყუნებს, ეგოისტი ხარ, მათ რომ ყურადღებას ვაქცევთ, არ გსიამოვნებსო. სულაც არ არის ასე! არ მჭირდება არც ჩასაცმელი, არც საჭმელი, წიგნებიც კი, ყველაფერი მათ მისცენ, ოღონდ მე თავი დამანებონ, ყელში ამოვიდა მათი დაცინვა!

დედა მეუბნება, შენს მამიდაშვილებს უნდა გაუგო, მამა ძალიან უყვარდათ, ახლა კი მისგან შორს არიან, ამიტომ გაღიზიანებულებმა შეიძლება რაღაც უხეშად გითხრან, თანაც მამაშენს და ბებიაშენს აწყენინებ, თუ მათ ცუდად მოექცევიო. ეს ყველაფერი ვიცი, ვითვალისწინებ მათ მდგომარეობას, მაგრამ მამიდაშვილებს უფლება არ აქვთ, ნერვები ასე მომიშალონ. მეც ხომ ადამიანი ვარ, რატომ მექცევიან ასე?

მკითხველი, 14 წლის

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

www.abdiibrahim.com.tr

ეეფუთნეთ „ზაქთრის ინფექციეზი“ თქვენი ოჯახის ერთგული ეეგოზრეზის დახმარეზით

ბენეტი ორალური სპრეი

ბენეტი პლიუსი ორალური სპრეი

ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო მკურნალობა

- სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- აუმჯობესებს ღეჭვისა და ყლაპვის ფუნქციებს
- გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზმულებში
- აქვს სასიმოვნო გემო

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III

PSP №1

ABDIIBRAHIM

ბენეტი ბენზიდამინი

ბენეტი პლიუსი ბენზიდამინი/ქლორჰექსიდინი

Cyan Magenta Yellow Black

ნოდიკო ტატიშვილს სიყვარულმა ოჯახის შექმნა გადაანყვეტინა

ჟომღერალი ნოდიკო ტატიშვილი ყურებამდეა შეყვარებული. თავის გრძნობებზე საჯაროდ პირველად „სარკესთან“ საუბრობს. მისი გულისსწორი ზუსტად ისეთი გარეგნობის და ბუნებისაა, როგორიც თავის გვერდით წარმოედგინა. თუმცა მის ვინაობას საგულდაგულოდ ასაიდუმლოებს, რადგან შეყვარებულს პირობა მისცა, რომ გარკვეულ დრომდე არ გაამხელდა, თუ ვინ არის მისი საყვარელი ქალი.

ნოდიკოს შემოქმედებაშიც სიახლეებია. მომღერალ სოფო გელოვანთან ერთად ევროტურისთვის ემზადება. მომავალი წლიდან კი ამერიკაში წასვლას გეგმავს.

ნოდიკო ტატიშვილი:

— მე და სოფო გელოვანი ევროტურისთვის ვემზადებით, რომლის ორგანიზატორიც გახლავთ „არტ ტრანსფერი“ და ლაშა ონიანი თავის მეუღლესთან ერთად. ეს არის ქართულიპროექტი, სახელწოდებით „საქართველო ევროპის ნაწილია“. ერთი მხრივ, ეს პროექტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისთ, რომ ქართველი ემიგრანტებისთვის ტარდება, მეორე მხრივ, იმიტომ, რომ ევროვიზიაზე შეძენილი ბევრი გულშემატკივარი დაესწრება კონცერტებს. მე და სოფო ვიმღერებთ დუეტებს და სოლო სიმღერებსაც.

3 დეკემბერს კონცერტს გავმართავთ ლუქსემბურგში, 5 დეკემბერს — პარიზში, 7-ში კი — დიუსელდორფში. ეს ბოლო კონცერტი საქველმოქმედო იქნება და შემოსული თანხა ქართული ტაძრის აშენებას მოხმარდება. ჩვენ გვაქვს დასავლეთ ევროპის ეპარქია, რომელსაც მეუფე აბრაამი ხელმძღვანელობს, თითქმის ყველა ევროპის ქალაქში არსებობს ქართული სამრევლოები, ერთ-ერთი ასეთი სამრევლოა დიუსელდორფში, მაგრამ ტაძარი არ აქვთ. ახლა ზრუნავენ, რომ რამენაირად აშენდეს. მიხარია, რომ მე და სოფო ცოტაოდენ წვლილს შევიტანთ ამ საქმეში.

— ქველმოქმედებას ხშირად ეწეკით?

— მე არც ბიზნესმენი ვარ და არც მდიდარი ადამიანი, ამიტომ ხშირად ვცდილობ, ჩემი საქმით გავაკეთო ეს. ამ სახის ღონისძიებებში თითქმის ყოველ კვირა ვმღერი. ხანდახან უაზრო საქველმოქმედო კონცერტებიც არის, რადგან რეალურად ამის შედეგს ვერავინ ნახულობს.

— ევროტურის შემდეგ რას გეგმავთ?

— იანვრიდან მოგვიწევს იტალიაში გამგზავრებაც. ჩემი ჰობია ფრენა, მოგზაურობა და გასტროლებზე სიარული. როგორც კი თვითმფრინავში ვჯდები, მეორე სუნთქვა მეხსნება, ისეთ ტურბულენტულ ზონაში მოვხვედრილვარ, სადაც ყურადღების გადატანის მიზნით ბორტგამცილებლებმა გასაფერადებლები მოგვიტანეს, მაგრამ მე სულაც არ მეშინია მსგავსი რაღაცეების. მომწონს ექსტრიმი, მაგრამ სიცოცხლეს არ ვეთამაშები, საკუთარი თავი ძალიან მიყვარს. წელს ფრენის რეკორდი მოვხსენი, 12 ქვეყანა მოვიარე, მოგზაურობა თებერვლიდან დავიწყე და აგვისტოში დავამთავრე, ახლა კი ევროტური იწყება.

— პირად საუბარში მითხარით, რომ ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ცხოვრებას შეძლებთ. შტატებში გადაბარგებას ხომ არ აპირებთ?

— წლების წინ, როცა გასტროლებზე მივდიოდი, ერთი კვირის შემდეგ ნოსტალგია მიპყრობდა და ტემპერატურა მაღლა მიწევდა. ახლა კი მივხვდი, რომ შემიძლია დიდი ხნით

„ესიტყვოდ, ეთი გადახედვით გვესმის ეთმანეთის. ისეთია, როგორი ქალიც წარმომედგინა ჩემ გვერდით — შრომისმოყვარე, მოწესრიგებული, ზრდილი, მოსიყვარულე და ულამაზესი“.

გავჩერდე უცხო ქვეყანაში. სიმართლე გითხრათ, წასვლას ვაპირებ. ეს არ იქნება სამუდამოდ გადახვეწა, მაგრამ ახალი წლის შემდეგ ვგეგმავ, ამერიკაში ვცადო ბედი. იქ ნინი შერმადინი დამხვდება, ბევრი ჩემი მეგობარიც ცხოვრობს იქ. თავდაპირველად რამდენიმე თვით წავალ და შევეცდები კარიერის აწყობას.

„მას ბევრი ნელია ვიცნობ, მაგრამ რამდენიმე ხნის წინ აღმოვაჩინე, რომ მიყვარს“.

მინდა, მკითხველის წინაშე გულწრფელი ვიყო და ვთქვა: ჩვენს ქვეყანაში ისე ვერ ვმუშაობ, რომ თავი ვირჩინო. ყველას გავეჯიბრები ჩემი ქვეყნის სიყვარულში, მაგრამ მინდა, განვვითარდე, არ მინდა, თვეში 5 კონცერტი მქონდეს, მინდა 20 და მეტი, ბევრი ალბომი, კონცერტი და კლიპი მინდა.

— ამ ყველაფერს საზღვარგარეთ შეძლებთ?

— თუ მიზანს დაისახავ და სწორად ივლი, ყველაფერს მიაღწევ. მიზანი თუ არ გაქვს, ვერაფერს იზამ ვერც საქართველოში და ვერც მის ფარგლებგარეთ. ჩემთვის ლანგრით არავის არაფერი მოურთმევია, ვიცი, ყველაფრის ნულიდან დაწყება მომიწევს, მაგრამ ამისთვის მზად ვარ. ამერიკის ბაზარი ასჯერ დიდია, ვიდრე საქართველოსი. ვიცი, რომ ამერიკაში მიღწეული ჩემი წარმატება ქართველ ხალხს ძალიან გაახარებს. როცა საერთაშორისო კონკურსებში გავდიოდი და „ჯორჯიას“ გამოცხადებდნენ, საოცარი ემოცია იყო ჩემთვის. ახლაც ეს მიზანი მაქვს, რომ ამერიკაში ვასახელო ჩემი საქართველო.

— ნინა შერმადინი გპირდებათ, რომ დაგეხმარებათ გზის გაკეთებაში?

— ამერიკაში ნინი ძალიან კარგად აეწყო, კარგი სამსახურიც აქვს და ძალიან მაგარ მენეჯერებთანაც აქვს მოლაპარაკებები. რასაკვირველია, ნინი დამეხმარება, შეიძლება ერთადაც ვიცხოვროთ. სამსახურს ჩემი მეგობრები დამახვედრებენ, ეს საკითხი უკვე მოგვარებული მაქვს, ერთ-ერთ კლუბში ვიმღერებ.

— ცოტა ხნის წინ „სარკესთან“ ამბობდით, რომ შეყვარებული ხართ. ეს მდგომარეობა გრძელდება?

— შეყვარებულზე მეტი ჰქვია იმ მდგომარეობას, რაც მჭირს. მარტივად არასოდეს მიყვარდება. ერთადერთი შემთხვევა იყო ბავშვობაში, როცა დავინახე და მივხვდი, რომ ვაფრენდი, ისე მიყვარდა და ეს გაფრენა 7 წელი გაგრძელდა. ახლა იმ მდგომარეობაში ვარ, რომ ვფიქრობ მასთან ერთად ცხოვრებაზე — როგორ ოჯახს შევქმნით, სად ვიცხოვრებთ, როგორი შვილები გვეყოლება და სხვა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხვალ ცოლს მოვიყვან, აქამდე რაღაცეები მაკლია. ჩემი რჩეული ულამაზესი, ჭკვიანი დადებითი პიროვნებაა. მართლა ძალიან ლამაზია.

— სად გაიცანით ერთმანეთი, თქვენი სფეროს წარმომადგენელია?

— ჩემი სფეროდან შორს არ არის, ხელოვანია. მას ბევრი წელია ვიცნობ, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ აღმოვაჩინე, რომ მიყვარს. მას უზომოდ ვაფასებ. ესიტყვოდ, ერთი გადახედვით გვესმის ერთმანეთის. მიხარია და ბედნიერი ვარ. კარგ ოჯახშია გაზრდილი, სხვანაირად აზროვნებს. როცა დრო მოვა, საზოგადოება გაიცნობს. ისეთია, როგორი ქალიც წარმომედგინა ჩემ გვერდით — შრომისმოყვარე, მოწესრიგებული, ზრდილი, მოსიყვარულე და ულამაზესი.

— სრულყოფილი ქალი გიპოვიათ.

— ნამდვილად ასეა! თავისი საქმე აქვს, რეალიზებული პიროვნებაა, ჭკვიანი გოგოა. მინდა, მას ჩემი ცხოვრება დავუკავშირო.

— როგორ გამოხატავთ მის მიმართოთ სიყვარულს?

— რომანტიკულად. ადრე უფრო სენტიმენტალური ვიყავი, ახლა ასეთი აღარ ვარ. ადრე ლექსებს ვწერდი, ახლა შემიძლია თვალები დავხუჭო და მხოლოდ მას ვუმღერო.

— როდის აპირებთ დაოჯახებას?

— ვერ გეტყვით, შეიძლება 6 თვეში, შეიძლება ერთ წელში. მინდა, მასზე ბევრი მოგიყვეთ, მაგრამ არ შემიძლია, რადგან

„ეს ახ იქნება სამუდამოდ გადახვეწა, მაგრამ ახალი ნლის შემდეგ ვგეგმავ, ამერიკაში ვცადო ბედი. სამსახურს ჩემი მეგობრები დამახვედრებენ, ეს საკითხი უკვე მოგვარებული მაქვს, ერთ-ერთ კლუბში ვიმღერებ“.

მოვილაპარაკეთ, რომ ამ თემაზე ჯერ არ ვისაუბრებდით.

— ამერიკაში ერთად წახვალთ?

— არ ვიცი, ვნახოთ. ახლა ჩვენი ცხოვრება ძალიან საინტერესოა და ვერ გეტყვით, მომავალში რა იქნება.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

სალომე ქათამაძე: „კონკურსმა ქმართან დამაშორა“

ომღერალი სალომე ქათამაძე თავის მომავალს ამერიკაში ხედავს. თვლის, რომ კარიერა სწორედ ამ ქვეყანაში უნდა აიწყოს. ამისთვის ემზადება, ერთდროულად ორ ალბომზე მუშაობს, თავისი ბენდიც ჰყავს. მანამდე კი ერთი ოცნება უნდა აისრულოს — დედა გახდეს, თუმცა ჯერ ერთი პატარა გამოცდაც აქვს გადასალახი — ისევ კონკურსში მონაწილეობს. ამჟამად მთელი მისი დრო პროექტს „ერთი ერთში“ მიაქვს. ეს პირველი კონკურსია, როცა მოგებისთვის არ იბრძვის და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, მაყურებელს კარგი შოუ აჩვენოს.

— სალომე, ისევ უკვე მერამდენედ, კონკურსის მონაწილე ხართ. რატომ გადაწყვიტეთ ამ პროექტში მონაწილეობა?

— როცა გავიგე, რომ „ჯიდიესში“ ეს პროექტი მზადდებოდა, ძალიან გამიხარდა. მის ანალოგ უცხოურ პროექტებს ხშირად ვუყურებდი, ყოველთვის მომწონდა და მსგავს კონკურსში მონაწილეობა მინდოდა. შემოთავაზება ტელეკომპანიისგან მივიღე და დავთანხმდი. ამ პროექტისთვის მიღირდა დაღლა. მონაწილეებმა პირველ ტურში თავად ავარჩიეთ პერსონაჟები, მე ტოტო კუტუნიოზე შევჩერდი.

— რატომ ტოტო კუტუნიო? მასზე იურმალამ კარგი მოგონებები დავიტოვათ თუ საერთოდ მოგწონთ ეს მომღერალი?

— ტოტო კუტუნიო ჩემი ფავორიტი არ არის, მის მუსიკას, როგორც წესი, არ ვუსმენ, მაგრამ მისაბაძად იმიტომ ავარჩიე, რომ იურმალას კონკურსზე დაბალი ქულა დამიწერა და ამით მთელი საქართველო გააბრაზა.

— თქვენი გარდასახვათ სამაგიერო გადაუხადეთ?

— ეს არ იყო სამაგიერო, უბრალოდ გავერთე, ვიხალისე და მაყურებელი ვახალისე.

— შემდეგი იყო ლელა წურწუმიას მიბაძვა. გაგიჭირდათ?

— ძალიან გამიხარდა, ლელას მიბაძვა რომ მომიხდა. ამ მომღერალს ძალიან ვაფასებ, არაჩვეულებრივი პიროვნება და მუსიკოსია. რაღა დაგიმალოთ და, მისი პაროდია მეგობრების წრეში ხშირად გამიკეთებია. როცა ლოტოტრონზე მისი ფოტო ამომივიდა, უკეთ დავამუშავე, ბევრი ვივარჯიშე და შედეგიც კარგი მივიღე.

— ამ ნომრის შემდეგ ლელა ხომ არ შეგეხმაანათ?

— მამულიჩამ დამირეკა და მითხრა, მეც და ლელასაც ძალიან მოგვეწონაო. მათმა შეფასებამ ძალიან გამახარა.

— როგორ ფიქრობთ, პროექტის ორგანიზატორებმა თქვენ რა ნაშნით შეგარჩიეს?

— ყველა მიცნობს, ხალხის ფავორიტი ვარ და ჩემი პერსონა ალბათ მისაღები იყო მათთვის. იფიქრეს, რომ ჩემი გარდასახვა მაყურებლისთვის საინტერესო იქნებოდა.

— ჟიურის შეფასებებით კმაყოფილი ხართ?

— პინკი რომ განვასახიერე, მათი შეფასებებით კმაყოფილი დავრჩი. ლელას მიბაძვა ერთი ერთში მოვახერხე, მაგრამ ჟიურიმ სათანადოდ არ შემაფასა და უკმაყოფილო დავრჩი. არა უშავს, ხდება ხოლმე.

— სამუშაო პროცესი ალბათ ძალიან საინტერესოა.

— კი, ნამდვილად ასეა. არაჩვეულებრივი პედაგოგები გვყავს როგორც ვოკალში, ასევე ქორეოგრაფიაში. მათთან მუშაობა მსიამოვნებს. საშინელებაა გრიმის სქელი ფენა სახეზე, მაგრამ იმდენად საინტერესოა, არც ამაზე ვწუწუნებ. ხან პარიკებს მიკეთებენ, ხან პულვერიზატორით მღებავენ, მაგრამ მთავარია, რომ არც სახის კანი მიზიანდება და არც თმა.

— კონკურენტებთან ურთიერთობები დაძაბულია?

— არა, რას ამბობთ! პირიქით, ჩვენთან კონკურენტული გარემო არ არის, ერთმანეთის გამოსვლებზე ბევრს ვხალისობთ. ჯერჯერობით უსიამოვნება არ ყოფილა, ერთმანეთს ვამხნევებთ და შეძლებისდაგვარად გვერდში ვუდგავართ.

— საბოლოოდ ყველა ხომ მაინც მოგებისთვის იბრძვით?

— პროექტიდან არავინ ვარდება, გამარჯვებული დეკემბრის ბოლოს გამოვლინდება. პრიზები პირველი, მეორე და მესამე ადგილებისთვისაა დაწესებული. რა თქმა უნდა, გამიხარდება, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, გამარჯვების მოლოდინი არ მაქვს. ამ ყველაფერს ხალხის სიამოვნებისთვის ვაკეთებ. „ჩაციკლული“ არ ვარ, რომ საპრიზო ადგილი დავიკავო.

— თქვენგან ამის მოსმენა გასაკვირია. მაყურებელი ხომ კონკურსებზე მებრძოლ სალომეს იცნობს.

— „ახალი ხმა“ და იურმალა ვოკალური კონკურსები იყო და ეს ის სფეროა, სადაც მინდა, რომ პირველი ვიყო. „ერთი ერთში“ კი არ არის ვოკალური კონკურსი და ამიტომაც პრეტენზიები არ მაქვს. ისე, აღმოვაჩინე, რომ მსახიობის მონაცემები მქონია.

— ამ პროექტმა თქვენს საქმიანობას ხომ არ ჩამოგაშორათ?

— არა მარტო საქმეს, ჩემს ქმარს გიგისაც. დრო აღარაფრისთვის მრჩება. ერთდროულად ორ ალბომზე ვმუშაობდი და ახლა ორივე გაჩერებულია. ერთ ალბომს ჩემს ბენდთან ერთად ვწერდი, მუსიკას და ტექსტებს ერთობლივად ვქმნით. რაც შეეხება მეორე ალბომს, მუსიკას თავიდან ბოლომდე დათო ფორჩხიძე მიკეთებს და მის სტუდიაში ვწერ. ეს ალბომი უცხოელი მსმენელისთვისაა გათვლილი.

— „ახალ ხმაში“ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობა მოიგეთ პრიზად. გამოიყენეთ ეს შანსი?

— კი, ერთი თვის წინ ვიმყოფებოდი ამერიკაში, მოვინახულე კალიფორნია და ლოს ანჯელესი, სადაც „იუნივერსალ სტუდიო“ დავათვალიერე. მათი ცხოვრების ტემპით მოვიხიბლე. ეს ის ქვეყანაა, სადაც ჩემს მომავალ კარიერას ვხედავ. „ახალი ხმის“ პროდიუსერ დავით იმედაშვილთან ერთად გავემგზავრე და იქ 8 დღე დავყავით.

„ოგორც ჯი ეს შოუ დამთავრდება, დედობისთვის დავინყებ მზადებას. ამდენი ხანი შვილის ყოლისგან თავს იმიტომ ვიკავებდით, რომ დრო არ მქონდა.

**— ბევრ ადამიანს, ალბათ, ეგონა, ალბათ, ეგონა, ალბათ, ეგონა

ეთერ კაკულია და ანრი ჯოხაძე ბიძინა ივანიშვილის დედასთან ჭორვილაში ჩასვლას აპირებენ

ორი ეთერ კაკულია ერთ სცენაზე და ერთ დარბაზში, ერთი — სიცილისგან ატირებული, მეორე კი — მიკროფონით ხელში... მომღერალ ანრი ჯოხაძის ნომერმა მუსიკალურ ტელეპროექტში „ერთი ერთში“, სადაც ეთერ კაკულიას მიბაძა, ნამდვილი ფურორი მოახდინა. ამ ვიდეოს ინტერნეტსივრცეში უკვე ათასობით მნახველი ჰყავს.

ამ ორ, სხვადასხვა თაობის მომღერალს მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებს. ამიტომაც ანრისთვის ძნელი არ აღმოჩნდა, ეთერის მანერებით ემოძრავა და ემღერა სცენაზე. შედეგით კი ისეთი აღფრთოვანებულია, მგონი, სურვილიც აღარ აქვს, საკუთარ თავს დაუბრუნდეს. „სარკესთან“ ამბობს კიდეც, დღემდე ამ როლში ჩავრჩიო.

— ქალბატონო ეთერ, რა რეაქცია გქონდათ, როცა დარბაზში იჯექით და თქვენს ორეულს ხედავდით სცენაზე?

ეთერი: სრულიად გაოგნებული ვიყავი და დღემდე ასე ვარ. ანრის ბავშვობიდან ვიცნობ და ვიცი, რომ ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ახლა ნიჭი სრულად გადმოანთხია და ჩემში ის თვისება აღმოაჩინა, რაც მე ეთერ კაკულიად მხდის.

ანრი: გამიმართლა, რომ ლოტოტრონში ეთერ კაკულია ამომივიდა. როცა ჟიურის წევრმა ნანუკა ხუსკივაძემ მკითხა, შენ თვითონ თუ ისიამოვნეო, ვუპასუხე, ამ შოუში ყველაზე შესაშური ნომერი მე შემხვდა-მეთქი. არ არსებობს ამ შოუს მონაწილე, რომელსაც ეთერ კაკულიას განსახიერება არ მოუნდებოდა.

ეთერი: მაგრამ ბევრი ვერ გააკეთებდა.

ანრი: გარდა იმისა, რომ ეს ნომერი გამომივიდა და მართლაც კარგი ვიყავი, ლიდერიც გავხდი. ისეთი დივას განსახიერება, რომელიც მთელ საქართველოს უყვარს, რომლის მეტყველებაც ხალხისთვის სიმღერაზე არანაკლებ საინტერესოა, ძალიან საპასუხისმგებლო იყო.

— ერთმანეთის მეგობრები რომ არ ყოფილიყავით, ეს ნომერი მაინც ასე კარგი გამოვიდოდა?

ანრი: რა თქმა უნდა, არა. ეთერს ბოლომდე რომ არ ვიცნობდე და მასთან ათეული წელი არ მაკავშირებდეს, ეს ნომერი ასეთი კარგი, ასეთი დამაჯერებელი და ბოლომდე შეტოპილი არ გამომივიდოდა. დღემდე ეთერის როლში ჩავრჩი.

ეთერი: დარბაზში ვტიროდი. მსგავსი ემოცია დიდი ხანია არ მიმიღია. როგორ მგავდა, გავგიჟდი! ეთერს ვეძახდი, საოცარი მსგავსება იყო. როცა ანრიმ გაიარა, სულ გავგიჟდი. მეც ბრჭყვიალა კაბაში ვიყავი და ისიც. სიარული, ხელები, ფეხები, სახის მიმიკა, მეტყველება — ანრი აბსოლუტურად ეთერი იყო.

ანრი: ჩანაწერს რომ ვუყურე, ერთ-ორ ადგილას ისეთი ბგერა მაქვს აღებული, ეთერი ერთი ერთში მოხსნილი მყავს. რასაკვირველია, ეს მთლიანად ვერ შევძელი, რადგან კაცის ხმა მაქვს, მაგრამ ერთ-ორ ადგილას კარგად გავარტყი. ტონალობა დაახლოებით ტონნახევრით დაბლა დავწიე, ხმა ამიტომაც ჟღერდა ასე კარგად.

ეთერი: ვერ მოვითმინე და ავდექი. ეთერი-მეთქი, ყვიროდი. აი, რა ვქნა, ანრის მსგავსს ვერავის ვხედავ. ჯერ როგორ კლიპებს იღებს, ჭკუაზე აღარ ვარ!

— რეპეტიციებს ერთად ხომ არ გადიოდით?

ანრი: წინა დღეს მივედი ეთერთან. ვამპირივით ვიყავი, მისგან ინფორმაცია კარგად მივიღე. სცენაზე რომ ვიდექი, დედას გეფიცებით, შეგრძნება მქონდა, რომ ეთერ კაკულია ვიყავი და ეთერის ცხოვრებით ვცხოვრობდი, იმ მომენტში ეთერი განვიცადე. კონცერტის წინა დღეს კაკულიასთან რომ არ მივსულიყავი, ასეთ შემოვარდნას ვერ გავაკეთებდი. ეთერ, იმ დღეს, იცი, შენგან რამდენი წავიღე? შენი ენერგეტიკა მივიღე, შენი მანერები კარგად დავიმახსოვრე. წინა დღეს ერთად ვიმღერეთ, როიალზე დავუკარით. ჩემთვის ეს მუხტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ეთერი: ანრის ეს გამოსვლა ჰოლივუდის დონის იყო.

ანრი: ეს მსოფლიო პროექტია. თუ არ ვცდები, მსოფლიოში 24-ე ქვეყანა ვართ, რომელმაც ამ პროექტის ლიცენზია იყიდა. თითქმის ყველა ნანახი მაქვს, მაგრამ ასე ისტერიკულად მაგარი ტრანსფორმაცია არ მინახავს, როცა ნამდვილი დივა დარბაზში ზის და კონკურსანტი მას განასახიერებს. სხვათა შორის, საზოგადოება ყოველთვის ბარომეტრია, თავისი რეაქციით პირდაპირ გეუბნება, რა გააკეთე. ეთერი ეკრანზე რომ გამოჩნდა, იქაურობა ტაშით დაინგრა.

ეთეი: „ანრი ისე ძაღიან მგავდა, დამავიწყდა, ეთეი ჩომ ვიყავი“.

ანრი: „სცენაზე ჩომ ვიდექი, დედას გეფიცებით, შეგჩძნება მქონდა, ჩომ ეთეი ჯაჯელია ვიყავი და ეთეჩის ცხოვჩებით ვცხოვჩობდი, იმ მომენტში ეთეჩი განვიცადე... აი, დამაჯვიჩდით, ახღაც ხელებს ეთეჩივით ვამოძჩავებ“.

— ანრი, დარბაზში ქალბატონი ეთერის გამოჩენით უფრო ხომ არ ინერვიულეთ?

ანრი: მიხაროდა, ეთერი რომ ძალიან ბედნიერი იყო. აი, დამაკვირდით, ახლაც ხელებს ეთერივით ვამოძრავებ. ხომ გეუბნებით, ამ როლში ვარ ჩარჩენილი-მეთქი.

სხვათა შორის, გაგიმხელთ: არ მინდოდა, ეთერი დარბაზში მჯდარიყო. მაშინებდა, რომ მის ნამდვილ დიდებას არ გავეფუჭებინე. ერთი კი ვთქვი, იქნებ არ მოიყვანოთ, რომ არ გავფუჭდე-მეთქი, მაგრამ გვანცა კილასონიამ, ჩვენი პროექტის მუსიკალურმა მენეჯერმა, კარგად ამიხსნა, რომ ეს სუპერგრანდიოზული შოუ გამოვიდოდა. ასეც მოხდა. იმაზე ნამდვილად შევთანხმდეთ, რომ ორივენი სუპერშოუმენები ვართ. ეთერმაც იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და მეც. ერთმანეთს უსიტყვოდ გავუგეთ. ძალიან მეეჭვება, ამ პროექტში ასეთი კულმინაცია განმეორდეს, გამორიცხულია, ვერავინ დამაჯერებს! სულ რომ ამერიკელი ვარსკვლავი ჩამოიყვანონ, ასეთი აჟიოტაჟი არ ატყდება.

ეთერი: ანრი ისე ძალიან მგავდა, დამავიწყდა, ეთერი რომ ვიყავი. კონცერტზე მე და ჩემი ძმა ვიყავით, ჩემი ძმაც გაოგნებული იჯდა. თავშეკავებული კაცია, მაგრამ მართლა გაოცებული იყო. ბოლოს ხალხი სკამებზე იდგა, კიოდა. მიხარია, რომ ასეთი ნიჭიერი ადამიანი, როგორიც ანრი ჯოხაძეა, საქართველოში ცხოვრობს.

— ანრი, ვის ვერ მიბაძავთ, ვის არ გინდათ, რომ ლოტოტრონში ამოგიყიდეთ?

ანრი: ვერ წარმომიდგენია, მერილინ მონრო როგორ შეიძლება გავაკეთო. ამისთვის არც ფიგურა მიწყობს ხელს და არც ღიმილი. არ მინდა, ისეთი ქალი გავაკეთო, რომელიც „ნაშაა“. ინტელიგენტი, დახვეწილი ქალები უფრო გამომივა. ახლა ელ ჯერო ამომივიდა და ძალიან მიხარია. ეს ძალიან ინტელექტუალური ნომერი იქნება, თან ჯაზური იმპროვიზაციის გაკეთება მომიწევს, რაც ძალიან მახარებს.

— ანრი, თქვენთვის ქალის პაროდიის გაკეთება პირველი არ არის. კლიპში ნინო ბურჯანაძის, ლელა წურწუმიას, ინგა გრიგოლიას პაროდიებიც გაგიკეთებიათ. რა არის იმისთვის საჭირო, რომ საპირისპირო სქესის მიბაძვა შეძლოთ?

ანრი: საერთოდ, არტისტისთვის მთავარია, იმ ადამიანის დამახასიათებელი, თუნდაც ერთი თვისება, წერტილი იპოვოს, რომელსაც განასახიერებს.

— ასე კარგად შეისწავლეთ ნინო ბურჯანაძე, ლელა წურწუმია, ინგა გრიგოლია?

ანრი: რა თქმა უნდა. ინგა გრიგოლიაზე უფრო შარჟი იყო, მაგრამ ხარისხიანი. ნინო ბურჯანაძე ერთი ერთში იყო გაკეთებული, მაგრამ ეთერის ნომერი შოკი იყო. არასდროს მახასიათებს, დავჯდე და ჩემი ნამუშევრებით „ვიკაიფო“, მაგრამ ეს გამოსვლა რომ ვნახე, ალბათ ჩემს ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როცა ბოლომდე „ვიკაიფე“. ბოლოს სცენაზე რომ დუეტი შევასრულეთ, ორ ხმაში გავშალეთ სიმღერა, ეს ნამდვილი შოუ იყო. ქართულ ტელესივრცეში ყველაზე მაგარი შოუ გავაკეთეთ, შოუს კეთების „პლანკა“ აბსოლუტურად ავწიეთ.

— როცა ქალს განასახიერებთ, ამ დროს ყველაზე მეტ დისკომფორტს რა გიქმნით თუნდაც ჩაცმულობაში?

ანრი: არც არაფერი. რა თქმა უნდა, ბიუსტჰალტერში ღრუბლები მქონდა ჩატენილი, თან ცოტა მიჭერდა კიდეც. ფეხსაცმელი კი ცოტა დიდი შემიკერეს, მძვრებოდა, ამიტომ სხვა ფეხსაცმლიდან ამოვიღეთ ჩასაფენები და ის ჩავდეთ, მაგრამ ამან ნამდვილი ეთერ კაკულიას სიარულის მანერა გამაკეთებინა. მიხვდით, რატომ? ფრთხილად დავდიოდი, სიარული გამინაზდა. ჩემი კაცური სიარულის მანერა აბსოლუტურად ჩაკლა ქუსლიანმა ფეხსაცმელმა, რომელიც ფაქტობრივად მძვრებოდა.

დანარჩენი არაფერი ყოფილა არაკომფორტული, არც — კოლგოტი. არაკომფორტული იყო, როცა ხელებზე მალამო წამისვეს და თმა მომაძვრეს, თუმცა ეს ამად ღირდა.

Cyan Magenta Yellow Black

ამ ნომრისთვის თავსაც გადავიპარსავდი, იმდენად მაგარი გამოვიდა!

ეთერი: რა ლამაზი ფეხები ჰქონდა, არა? ლარივით სწორი. თურმე ამასაც ლარები ჰქონია.

— ქალბატონო ეთერ, ანრის რა ასაკიდან იცნობთ?

ეთერი: ანრი 10 წლის იყო, რომ გავიცანი. დედამისი, რუსიკო, ჩემი მეგობარი იყო, მათთან სახლში მივდიოდი. ანრის ძალიან კარგი მამა ჰყავდა.

ანრი: ეთერთან სტუმრად მისვლა ყოველთვის მიყვარდა. მის ბიჭთან ვმეგობრობდი, თანატოლები ვართ. მინდა გითხრათ, რომ ასეთი სიყვარული სამყაროში არ იკარგება, ეს დღემდე მოდის. ეთერი ჩემთან ძმაკაცურად არის, მაგრამ სუბორდინაციის შეგრძნება არ იკარგება, რაც კარგად აღზრდილ ადამიანს სულ აქვს. ეთერი იმდენად გახსნილია, მასთან არც ფამილარობა მოგიდგება და არც დიდ ღობეს გაგივლებს მეგობრობაში. სადაც საჭიროა, იქ მიგიჩენს ადგილს.

■ ორი ეთერი

ანრი: „ოთივენი სუპერსტარები ვართ. ეთერმაც იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და მეც. ერთმანეთს უსიტყვოდ გავუგეთ. ძალიან მეეჭვება, ამ პროექტში ასეთი ჯენერაცია განმეორდეს, გამორიცხულია!"

— ქალბატონო ეთერ, თქვენ კარგად იცნობთ ანრის ნასიათს, მის პიროვნულ თვისებებს?

ეთერი: პუნქტუალური არ იყო და ახლა გახდა. ერთხელ კონცერტზე არ წამოვიდა. ოტელომ დეზდემონა რომ დაახრჩო, ისე უნდა დამეხრჩო! თან ზუგდიდში მივდიოდით. სიცხე მაქვსო, მომატყუა და არ წამომყვა.

— რადგან ასე ახლოს ხართ, საცოლესაც ხომ არ ურჩევთ ხოლმე?

ანრი: ეთერს თავისი შვილისთვის არ უძებნია და... ეს კარგი ჩვევაა, რომ „გრუზინულად" თავს არ მოახვიო, ეს კარგი გოგოა, ის ცუდიო და ა.შ.

— ქალბატონო ეთერ, სულ ეპატაჟურ, ხმაურიან მამაკაცებთან მეგობრობთ, მაგალითად, როგორიცაა გიგი სანარულიძე, ანრი ჯოხაძეა. რა გიზიდავთ მათკენ?

ეთერი: ასეთები არიან და რა ვქნა?!

ანრი: ჩვენ ცხოვრება, ადამიანები, ურთიერთობები, ნიჭიერება, ბევრი სიცილ-ხარხარი გვიყვარს.

ეთერი: ვისაც სიცილი უყვარს და იუმორი აქვს, დადებითი პიროვნებაა. დღემდე იუმორით მოვდივარ. ისეთი ადამიანი, რომელსაც იუმორი არ აქვს, მეცოდება, ის დაჩაგრულია. ისეთ ადამიანებთან ვმეგობრობ, ვისაც ნიჭი, კარგი გარეგნობა აქვს. რა ვქნა, ჩემთვის ვიზუალს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

— ანრი, ეთერ კაკულიას მთელი საქართველო მხიარულ ადამიანად იცნობს, თუმცა ასეთი პიროვნებები ხშირად სეკვდასაც მალავენ. როგორია სინამდვილეში ეთერ კაკულია?

ანრი: ეთერი წარმატებული და უბედნიერესი ქალია. უსაყვარლესი შვილიშვილი ჰყავს. ვფიქრობ, ეთერი დღეს არის ის ფიგურა, რომელსაც თამამად შეგიძლია ცოცხალი ლეგენდა უწოდო. გამორიცხულია, მას პრობლემები არ ჰქონოდა, ასე რომ იფიქრო, ბრიყვი უნდა იყო. მას ათასი წვრილმანი თუ დიდი პრობლემა ექნება, მაგრამ ამას ვერასდროს შეამჩნევ. ეს ეთერის პიროვნული შტრიხია. სხვათა შორის, ამას ეთერისგან ვსწავლობ. თუმცა მას ისე კარგად ვიცნობ, უცებ ამოვიკითხავ ხოლმე, რომ რაღაც ისე ვერ აქვს, როგორც უნდა ჰქონდეს. ვხედავ, რომ რაღაც მომენტში ცოტას წაითამაშებს ხოლმე. თვითონაც ასე კარგად მიცნობს. ხომ გაიგონეთ, როცა კონცერტზე არ წავედი და „გადავაგდე", ვერ მოვატყუე. არ დაიჯერა, რომ სიცხე მქონდა.

დავპირდი, რომ 29 ნოემბერს, მის დაბადების დღეზე, ჭორვილაში წავყვები.

— იქ რა ხდება?

ანრი: ძალიან კარგ საღამოს უკეთებენ, აუცილებლად წავყვები და ვუმღერებ.

ეთერი: მინდა, ჩემი დაბადების დღე ჭორვილაში აღვნიშნო.

— ჭორვილაზე ბიძინა იყანაშვილი გამახსენდა და რამე კავშირშია ამასთან თქვენი დაბადების დღე?

ეთერი: ქალბატონი ციცინო, ბიძინას დედა, რომელიც 91 წლისაა, ჩემი მეგობარია და მინდა, დაბადების დღე მასთან ერთად აღვნიშნო.

— როდის დამეგობრდით?

ეთერი: ორი თუ სამი წლის წინ, ზუსტად არ მახსოვს. საჩხერეში მქონდა კონცერტი. მითხრეს, რომ ქალბატონ ციცინოს ძალიან ვუყვარდი და იქ მომიყვანეს გასაცნობად. მას შემდეგ დავმეგობრდით, მაგრამ ხშირად ვერ ვნახულობ. ასაკის მიუხედავად, არაჩვეულებრივად გამოიყურება. სიცოცხლე ისე უყვარს, ვგიჟდები!

— დაბოლოს, ქალბატონო ეთერ, გავრცელდა ხმები, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემა გქონდათ. ამ ხმებს რაიმე საფუძველი ჰქონდა?

ეთერი: ერთი წლის წინ კისტა ამომაჭრეს, ალბათ ამიტომ გავრცელდა ეს ჭორები. ჯერჯერობით ცოცხალი ვარ. სხვათა შორის, ოპერაციის შემდეგ ვამბობდი, ეს 102 წელი ხომ არ შევამცირო, 80-ზე ხომ არ ჩამოვიდე-მეთქი, მაგრამ ასეთი რამ არ თქვაო, მითხრეს.

✓ ეკა ლემონჯავა

თაკო ჩხეიძე: „კულტურის სამინისტროში არ ესმით, რა მნიშვნელობა აქვს მოდას"

„ბუჰამ ოდიშახია თანახმა იყო, მაგრამ ალბათ მოადგილეებმა უჩრეს, ხომ მოდის ჯვიჰეული ჰიოოჰიტეტი ახ ახის"

ოდელი თაკო ჩხეიძე შემოდგომის სეზონზე თბილისის მოდის კვირეულს ვეღარ ატარებს. მას არც ბიზნესსექტორი დაუდგა გვერდით და არც სახელმწიფო. კულტურის სამინისტროდან უარით გამოისტუმრეს, მაგრამ იმედს არ კარგავს, რომ გაზაფხულზე კვირეულს მაინც ჩაატარებს. 4 წლის წინაც, როცა ამ წამოწყებას მოჰკიდა ხელი, ბევრი სირთულე უშლიდა ხელს, მთავარი დაბრკოლება კი მის გზაზე თურმე პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის ცოლი, მაკა მეტრეველი იყო, რომელიც, თავის მხრივ, თბილისის მოდის კვირეულის პარალელურად საქართველოს მოდის კვირეულს ატარებდა და თაკო ჩხეიძის პირდაპირი კონკურენტი იყო. მოდელი ახლა პირდაპირ ამბობს, რომ მაშინ ძალიან ავიწროვებდნენ. ამის შესახებ ხმამაღლა პირველად „სარკესთან" ალაპარაკდა.

— თაკო, უკვე ცნობილია, რომ თბილისის მოდის კვირეული ამ შემოდგომაზე აღარ ჩატარდება, რადგან სახელმწიფო აღარ აფინანსებს. ესე იგი წინა წლებში ამ ღონისძიების ჩატარებაში ხელისუფლება გეხმარებოდათ?

— ეს ისეთი ღონისძიებაა, რომელსაც ნაწილობრივ სახელმწიფო უნდა დაუდგეს გვერდით. მოდის კვირეული ქვეყნის პრესტიჟია, როგორც მინიმუმი, →34

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ქალაქის მუნიციპალიტეტი და კულტურის სამინისტრო უნდა ეხმარებოდეს. ადრე იყო მინიმალური ხელშეწყობა, მაგალითად, მერია ხანდახან განათების და გახმოვანების აპარატურით გვეხმარებოდა, მიზერულად, მაგრამ მაინც კულტურის სამინისტროც ჩვენ გვერდით იდგა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. წელს რატომღაც ყველამ თავი შეიკავა — ბიზნესსექტორმაც და სახელმწიფომაც. ბატონ გურამ ოდიშარიას პირადად ბევრჯერ შევხვდი, ერთად ბევრი საკითხი განვიხილეთ, მაგრამ საბოლოოდ მისი მოადგილეებისგან უარყოფითი პასუხი მივიღე. როცა ბატონ გურამს ვესაუბრებოდი, ის თანახმა იყო, ამ ღონისძიებას გვერდში დასდგომოდა, მაგრამ ალბათ მოადგილეებმა ურჩიეს, რომ მოდის კვირეული არ არის პრიორიტეტი. თბილისის მერიაშიც მივედი და მათაც უარი მითხრეს, ამ პროექტისთვის ბიუჯეტი არ გვაქვსო.

— რა მოლოდინები გქონდათ შემოდგომის მოდის კვირეულისგან?

— წინა კვირეულებთან შედარებით, ორჯერ მეტ უცხოელ სტუმარს ველოდით, თანაც მაღალი სტატუსის მქონეთ, მაგრამ მათთვის ბოდიშის მოხდა მოგვიწია.

— ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი რამენაირად პოლიტიკასთან არის დაკავშირებული?

— პოლიტიკისგან შორს ვარ. ვიღაცეებმა მკითხეს, საპრეზიდენტო არჩევნებმა ხომ არ შეგიშალათ ხელიო. არანაირად! ეს არჩევნები ყველაზე მშვიდი იყო, რაც კი ბოლო დროს მახსოვს. იმიტომ ჩაიშალა, რომ არ ესმით, რა მნიშვნელობა აქვს მას ქვეყნისთვის.

— ბევრს გაუჩნდება კითხვა, გაჭირვებულ ქვეყანაში რა საჭიროა ბიუჯეტის ფულის ხარჯვა ისეთი ღონისძიებისთვის, რომელიც მხოლოდ ვიწრო წრისთვის იმართება.

— ეს არ არის გართობა, არც შოუბიზნესი. ეს არის მოდის ინდუსტრიის განვითარებისთვის ხელშეწყობა. ყველა განვითარებად ქვეყანაში მოდის კვირეულები უშუალოდ დაკავშირებულია ტურიზმის აღორძინებასთან. იმ დროს შეუძლებელია სასტუმროს დაჯავშნა, ვერ შეხვალ კაფერესტორნებში. იტალიაში, მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკის შემოსავლის 70 პროცენტი ამ ბიზნესიდან არის. ჩვენს ქვეყანასაც აქვს ამის პოტენციალი. საქართველოს არ აქვს ნათობი, არ აწარმოებს „მერსედესს“, ჩვენი ქვეყნის სახელის საზღვრებგარეთ გატანა ჩვენი კულტურით, ქართული სიმღერით, ცეკვით, თეატრით თუ სამოდელო სფეროთი შეგვიძლია.

მოდის კვირეულის ჩატარება რომ დავიწყეთ, მაშინ 4-5 დიზაინერი გვყავდა. სწორედ ამიტომ გავაკეთეთ ახალბედა დიზაინერების კონკურსი და უკვე ბევრი კარგი დიზაინერი გვყავს — აკა ნანიტაშვილი, გოლა, პეპელა, ნიკოლოზ გრიგორიანი... ისინი დღეს ინდივიდუალურად მუშაობენ, ქმნიან ატელიეებს, ქირაობენ მკერავებს, ასაქმებენ ხალხს. მოდის კვირეული რომ არ ჩატარდეს, ეს ყველაფერი გაჩერდება.

ამ პროექტის ეგიდით მოდის სხვადასხვა ინსტიტუტებიდან ჩამოგვყავს პროფესორები, რომლებიც დამწყებ დიზაინერებს მასტერკლასებს უტარებენ. გაჩნდნენ მოდის ჟურნალისტები. როცა ამ პროექტის გაკეთება დავიწყეთ, პრიორიტეტული იყო, რეგიონში დაგვემკვიდრებინა თავი და ამას მივაღწიეთ. აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, რუსეთის, ყაზახეთის წარმომადგენლები გვიკავშირდებიან და უნდათ, თბილისში თავიანთი კოლექციები აჩვენონ. მათთვის თბილისის მოდის კვირეული უკვე პრესტიჟულია.

„საქართველოს მოდის კვირეულს დავით ბაქრაძის ცოლი რომ აკეთებდა, ამიტომაც ხდებოდა ბევრი უსამართლობა“.

— რა შედეგი მიიღეთ, მიაღწიეთ საქართველოს და ქართული მოდის პოპულარიზაციას, მსოფლიო მოდამ ჩვენზე რამე შეიტყო?

— როდესაც მოდის პირველი კვირეული ჩავატარეთ, პარიზიდან ჩამოვიდა ცნობილი ბაიერი. თბილისში რომ მოდიოდა, არ იცოდა, სად იყო ეს ქალაქი ან რა დახვდებოდა, მაგრამ კვირეულით ისე მოიხიბლა, აღტაცებას ვერ მალავდა. მეკითხებოდა, პარიზის მოდის კვირეულზე ვარ თუ სადო. ძალიან მოეწონა ქართველი დიზაინერები. შემდეგ რომ მიმოიხედა და საზოგადოების ჩაცმულობა დაინახა, აღფრთოვანდა. გვითხრა, ქართველ დიზაინერებს ელეგანტურობა ახასიათებთ, რაც მოდის სამყაროში გამქრალია, ამ ნიშით შეგიძლიათ თავის დამკვიდრება მსოფლიო მოდის ინდუსტრიაშიო. ჩვენ მოვხვდით მოდის საერთაშორისო კალენდარში, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მასშტაბებს გავცდით.

— თქვენ პარალელურად საქართველოს მოდის კვირეულიც ტარდებოდა. მაშინ თქვენს დაპირისპირებაზე კულუარებში ლაპარაკობდნენ, მაგრამ თქვენ დუმდით. არც ახლა გაქვთ სათქმელი?

— აბსურდი იყო, რაც მაშინ ხდებოდა. ვცდილობდი, ამაზე ხმამაღლა არასდროს მელაპარაკა, არადა ბევრი უსამართლობა შეგვხვდა. ძალიან არაჯანსაღი კონკურენცია იყო, შევიწროებაც... არ არის საჭირო, ამ ყველაფერზე ვილაპარაკო.

— რა სახის შეკიწროებაზე საუბრობთ?

— სპონსორებს ეუბნებოდნენ, მათი ღონისძიება არ დააფინანსოთო. ჩვენ დიდ უსამართლობას გავუძელით. ახლა, ამ ჯერზე, არ მეგონა, კულტურის სამინისტროს მხრიდან ხელშეწყობა თუ არ გვექნებოდა. როცა კულტურის სამინისტროში გეუბნებიან, რომ მათი პრიორიტეტი არის სოფლის განვითარება, ეს ჩემთვის გაუგებარია. მინდა, საქართველოს ყველა რეგიონი აყვავებული იყოს, მაგრამ მისი აყვავება სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმეა და არა — მათი.

— საქართველოს მოდის კვირეულს პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის მეულლე აკეთებდა...

— ჰოდა, ამიტომაც ხდებოდა ბევრი უსამართლობა.

— არსებობს ამ კვირეულის აღდგენის შანსი?

— იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფო მხარში დაგვიდგება. გაზაფხულისთვის დიდი გეგმები გვაქვს.

— ახალ პრეზიდენტს „ფეისბუქით“ გამარჯვება მიულოცეთ, ბიძინა ივანიშვილი დადებითად მოიხსენიეთ. პოლიტიკურმა ადამიანმა რატომ გადაწყვიტეთ, ასე გამოხმაურებოდით ქვეყანაში მომხდარ ცვლილებას?

— როგორც რიგით მოქალაქეს, ყოველთვის მქონდა ჩემი აზრი, რომელსაც საჯაროდ ვაფიქსირებდი. ვერასდროს ვეგუებოდი უსამართლობას. ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, ამ ქვეყანას არაფერი ეშველებოდა. საოცარი პოლიტიკური რეალობა გვქონდა — ადამიანების დევნა-შევიწროება, გაუთავებელი დაჭერები, დასმენები. ამიტომაც მივულოცე გიორგი მარგველაშვილს გამარჯვება. იქვე ისიც დავწერე, იმედია, იმედები ისევე არ გაგვიცრუვდება, როგორც წინა ხელისუფლების დროს მოხდა-მეთქი. ბიძინა ივანიშვილზე კი დავწერე, რომ მაგარი ადამიანია, რომ არ არის სკამზე ჩაბღაუჭებული პიროვნება. კულტურის სამინისტროს რომ ვაკრიტიკებ, ეს მთავრობის კრიტიკას არ ნიშნავს.

„წელს რატომღაც ყველამ თავი შეიკავა – ბიზნესსექტორმაც და სახელმწიფომაც. თბილისის მერიაშიც მივედი და მათაც უარი მითხრეს, ამ პროექტისთვის ბიუჯეტი არ გვაქვსო“.

— თქვენი ქმარი, რუსლან აბაშიძე, სწორედ წინა ხელისუფლებაში დაწინაურდა, ესტონეთში საქართველოს ელჩი გახდა. ახლა რას საქმიანობს?

— მაისში მისი ელჩობის ვადა ამოიწურა. ედუარდ შევარდნაძის მმართველობიდან მოყოლებული ის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და დღემდე ასეა. ჩემი ქმარი ძალიან წარმატებული დიპლომატია.

— თქვენი უახლოესი გეგმები რას უკავშირდება?

— იმ საქმის გარეშე, რასაც ახლა ვაკეთებ, ჩემი მომავალი ვერ წარმომიდგენია. ჩემი სამოდელო სააგენტოს საქმიანობაში აქტიურად ვარ ჩართული. მალე ნიუ იორკში გავემგზავრები, სადაც საქმიანი შეხვედრები მექნება.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

იოანე არაბულის ფანებმა მის შეყვარებულს ომი გამოუცხადეს

ახალბედა მომღერალი იოანე არაბული მას შემდეგ, რაც შარშან ტელეკონკურს „ახალი ხმიდან“ გაიცნო საზოგადოებამ, გოგონებში ძალიან პოპულარული გახდა, თუმცა მისი გული ახლა მხოლოდ ერთს ეკუთვნის და ის „ერთიც“ ასევე „ახალი ხმის“ კონკურსანტი, 17 წლის ელენე საბიაშვილია. ის მაია დარსმელიძის გუნდში მოხვდა და ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. საქმე ის არის, რომ იოანე მაიას და სტეფანეს მეგობარია და ჩათვალეს, რომ ელენე კონკურსში სწორედ მისი დახმარებით, „ჩაწყობით“ მოხვდა. ამ ყველაფერზე წყვილს, რა თქმა უნდა, შეკითხვები დავუსვით, ინტერვიუ კი თავიანთი სიყვარულის ისტორიის მოყოლით დაიწყეს.

ელენე: მე და იომ ერთმანეთი თეატრ „ბრავოში“, ამერიკული მიუზიკლის კასტინგზე გავიცანით. მანამდე მისთვის თვალიც კი არ მქონდა მოკრული. ორივე აგვიყვანეს და შეყვარებულების როლი მოგვცეს. პრემიერამდე ვერ მოითმინა და თავის გრძნობებში გამომიტყდა. სამი დღის შემდეგ დადებითი პასუხი მივეცი.

იოანე: მიუზიკლის სცენარშიც ასე იყო, ერთმანეთი გვიყვარდა და ვერ ვუტყდებოდით გრძნობებში. ერთმანეთი რომ გავიცანით, ელენე 15 წლის იყო, მე — 20-ის. მისმა გარეგნობამ მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. მერე ელენე ჩემი ბენდის ივენთზე მოვიდა კლუბში. იქ შევთავაზე, ჩემთან ერთად ემღერა და სიამოვნებით დამთანხმდა.

ელენე: ჩვენი სიმღერის დროს კლუბში შუქი ჩაქრა და ძალიან რომანტიკული გარემო შეიქმნა. მანამდე არასდროს ვმღეროდი, გამოდის, რომ იოანემ ამამღერა. მისგან ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ იმავეთი ვერ ვპასუხობდი, რადგან იმ პერიოდში მას შეყვარებული ჰყავდა.

— მათი დაშორების მიზეზი თქვენ ხომ არ გახდით?

ელენე: ალბათ. ერთ-ერთი რეპეტიციიდან გამიყვანა და მითხრა, შეყვარებულს დავშორდიო. იქვე ისიც მოაყოლა, შენ მიყვარხარო.

იოანე: იმ დღის შემდეგ მივხვდი, რომ ელენეს გარეშე ცხოვრება აღარ შემიძლია. ერთადერთი გოგო იყო, რომელსაც არ ვეპრანჭებოდი. თეატრში რეპეტიციის დროს რემონტი მიმდინარეობდა, ფაქტობრივად სულ გაჯში ამოსვრილს მიწევდა ყოფნა. შემეძლო, გამომეცვალა, მაგრამ მინდოდა, ისეთ ფორმაშიც ვენახე ელენეს. შეყვარებულები რომ გავხდით, მას მერე ძალიან შევიცვალე. უკვე 2 წელია ერთად ვართ.

— იოანე, სკოლის მოსწავლესთან ურთიერთობა არ გაგიჭირდათ?

იოანე: ასაკის მიუხედავად, ძალიან ჭკვიანი, საზრიანი, ჩამოყალიბებული გოგო იყო. თუ რამეზე ვჩხუბობდით, ყოველთვის მე ვთმობდი. ჩემს ადგილას სხვა მის ახირებებს ვერ გაუძლებდა. ასაკით პატარა შეყვარებული რომ გყავს, მტყუან-მართლის გარჩევა რთულია, ვერასოდეს მივდიოდით საერთო დასკვნამდე.

ელენე: ჰო, მე ძალიან ცვალებადი ხასიათი მაქვს, იოანემ კი მასწავლა, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება სიმშვიდეშია.

— ელენე, სიმღერა იოანეს რომ არ შემოეთავაზებინა, თქვენ არასოდეს იფიქრებდით გემღერათ?

ელენე: რაც თავი მახსოვს, მსახიობობაზე ვოცნებობ. აბიტურიენტი ვარ და ვფიქრობ, რომ მსახიობობას ავირჩევ. მუსიკალური შვიდწლედიც მაქვს დამთავრებული, მაგრამ სიმღერის მიმართ სერიოზული ინტერესი იოანემ გამიჩინა. ვოკალის პედაგოგი არასდროს მყოლია, არც დიდ სცენაზე გამოსვლის პრაქტიკა გამაჩნია. „ახალი ხმა“ პირველი პროექტია, სადაც თავის წარმოჩენა შევძელი. ეს კი იოანეს დამსახურებაა. სხვათა შორის, ვიდრე შეყვარებულები გავხდებოდით, იოანემ გიტარაზე დაკვრაც მასწავლა.

— იოანე, თქვენი გამოცდილებით შეყვარებულსაც ეხმარებით?

იოანე: „ახალმა ხმამ“ დიდი გამოცდილება შემძინა, მუსიკალური ხედვა შემიცვალა. არაჩვეულებრივი მწვრთნელების ხელში მოვხვდი. მაო და სტეფანე თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან. მათნაირი მუსიკოსები საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი არიან. სტეფანე მსოფლიო დონის პროდიუსერია. ამერიკული „ვოისის“ ჟიურიში რომ დასვა ქრისტინა აგილერას და აშერის გვერდით, არაფერი შეეშლება. მაომ მუსიკალურად გამზარდა. ახლა ვცდილობ, ის ყველაფერი, რაც მათგან ვისწავლე, ელენეს გავუზიარო. მაიასთან და სტეფანესთან მეგობრობაზე მეტი მაკავშირებს.

ელენე: იო სტეფანეს მამას ეძახდა.

— ელენე, კონკურსში მონაწილეობაც იოანემ გირჩიათ?

ელენე: იოანეს უნდოდა, რომ მასთან ერთად პირველ სეზონზე მეც გავსულიყავი, მაგრამ მაშინ ამ კონკურსისთვის მზად არ ვიყავი. მას რომ ვუყურებდი, ძალიან მომწონდა და გადავწყვიტე, მომავალ სეზონში მეც მეცადა ბედი. ყოველთვის მქონდა იმის ამბიცია, რომ პოპულარული გავმხდარიყავი, ამის შანსი მომეცა და გამოვიყენე.

— და ბეკრმა ჩათვალა, რომ ჟიურისთან იოანემ „ჩაგიწყოთ“. თქვენს გამოჩენას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა სოციალურ ქსელებში.

ელენე: სოციალურ ქსელში ბევრი წერს ამაზე, მაგრამ ანონიმურად, თავიანთ თავს რატომღაც არ ამჟღავნებენ. ვინც კარგად მიცნობს, იცის, რა პრინციპების ადამიანი ვარ. საკუთარ თავს არასდროს ვაკადრებდი, ჟიურისთან მივსულიყავი და მეთქვა, მე ამ სიმღერას ვმღერი და შემომიტრიალდით-მეთქი.

— იქნებ იოანემ იაქტიურა ამ მხრივ?

ელენე: არა, რას ამბობთ?! ბრმა კასტინგამდე სამი ტური უნდა გაიარო. ბევრს ჰგონია, რომ პირდაპირ ბრმა კასტინგზე მიდიხარ, რეალურად კი მანამდე ერთი თვეა მოსამზადებელი პერიოდი. სტეფანე, მაია და ლელა მომიბრუნდნენ და სამ ადამიანთან ჩაწყობა არარეალურად არ გეჩვენებათ? ბოლო 25 მონაწილეს შორის ვიყავი, დათოს გუნდი შევსებული ჰყავდა... უსამართლობაა, ასეთ რამეს რომ მაბრალებენ!

იოანე: „ფეისბუქზე“ ისეთი ამბავი ატყდა, რომ პასუხის გაცემაც კი არ ჩავთვალე საჭიროდ. წერდნენ, ვითომ მე ჩავუწყვე საქმე, არადა პირიქით, სტეფანეს და მაიას ვუთხარი, არ მკითხოთ, ელენე რა სიმღერას იმღერებს-მეთქი. „იმედში“ ელენეს რეპეტიციებზე რომ დავყვებოდი, სტეფანესაც და მაიასაც თავს ვარიდებდი, რომ საუბარში რამე არ წამომცდენოდა. შეიძლება ეს ბევრმა არ დაიჯეროს, მაგრამ ჩემი სიმართლე ესაა.

ელენე: პროექტში მომუშავე ადამიანებმა მირჩიეს, ინტერვიუების დროს იოანე არაბული მეხსენებინა, მეთქვა, რომ ჩემი შეყვარებული იყო. ისიც მითხრეს, მისი ფანები შენი თაყვანისმცემლები გახდებიანო. რეალურად კი პირიქით მოხდა, იოს ფანების 60 პროცენტი აგრესიულად განეწყო ჩემ მიმართ. საოცარი რაღაცეები დამიწერეს. თუმცა შავმა პიარმა იმხელა რეიტინგი მომიტანა, რომ ყველაზე მეტი ნახვა ჩემს ვიდეოს აქვს.

ელენე: „მიჩანს, ინტერვიუების დროს იოანე ცალბელი მეხსენებინა, მეთქვა, რომ ჩემი შეყვარებული იყო. ისიც მითხრეს, მისი ფანები შენი თაყვანისმცემლები გახდებიანო. ბოლოს ეს ბიჭებმა ომი მოხდა, იოს ფანების 60 პროცენტი აგრესიულად განეწყო ჩემ მიმართ".

— პროექტის დასრულების შემდეგ რა გეგმები გაქვთ, უახლოეს მომავალში შეუდღლებას ხომ არ აპირებთ?

იოანე: ამაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია. გვინდა, მომავალი შევიქმნათ და მერე ვიფიქროთ ოჯახზე.

ელენე: 17 წლის ასაკში ოჯახის შექმნა დიდი სისულელე მგონია.

— ერთმანეთის თაყვანისმცემლებზე ხომ არ ეჭვიანობთ?

ელენე: როცა იო „ახალ ხმაში“ მონაწილეობდა, არავინ იცოდა, რომ შეყვარებული ჰყავდა. ეს მისი რეიტინგისთვის იყო საჭირო. ჩემთვის არცთუ სასიამოვნო იყო, როცა გოგოები სოციალურ ქსელში წერდნენ, იო ჩემი ბიჭიაო. თუმცა ამ ყველაფერს ჩვენს ურთიერთობაზე ცუდად არ უმოქმედია. ეჭვიანობა თავმოყვარეობას შემილახავს, მე კი ძალიან ამაყი ვარ.

იოანე: ელენე სულ მეუბნება, ეჭვიანი ხარო, არადა რეალურად საეჭვიანო არაფერია, მთავარი ურთიერთნდობაა. ელენეს თაყვანისმცემლებს კი სათანადოდ ვუმკლავდები.

✓ ლანა კიკნაძე

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

593-44-58-65. ექიმი — ქალბატონი დეა
მის.: აღმაშენებლის 154.

Cyan Magenta Yellow Black

ეკა აბშილავას მამაკაცი მძღოლები ავტორბოლაში იწვევენ

„ჯომედი გრუპის“ მსახიობს, იუმორისტ ეკა აბშილავას, ისეთი მანქანა ჰყავს, მამაკაცების ყურადღებას იქცევს და მას ხშირად შეჯიბრში იწვევენ. სპორტული წითელი „ბეემვე“ — ბიჭების საყვარელი მოდელი — ქალურად მორთო, სალონის სარკესთან ფუმფულა სათამაშო დაკიდა, ჭერზე კი პატარ-პატარა ვარსკვლავები მიაკრა. 2 წელია, რაც საჭესთან ზის. თავი უკვე გრძელ გზაზეც მოსინჯა — თბილისიდან ბათუმამდე ჩავიდა, მაგრამ, აი, იქიდან უკან გამობრუნება ვეღარ გარისკა. თვლის, რომ ნორმალური მძღოლია და საჭესთან პატარ-პატარა „ეშმაკობების“ უფლებასაც აძლევს თავს.

— ეკა, ბიჭებისთვის საყვარელ მოდელზე რატომ შეაჩერეთ არჩევანი?

— ჩემი „ბეემვე“ შეიძლება ბიჭის ავტომობილია, მაგრამ იმდენად საყვარელია, გოგოსაც ძალიან უხდება. თავიდან მექანიკური მართვის მანქანის ყიდვა მინდოდა, სიჩქარეების გადართვის პროცესი მაგრად მომწონს, მაგრამ მერე ეს მირჩიეს. მართვის მოწმობა ძალიან მარტივად ავიღე, თეორიის ჩაბარება არ გამიჭირდა, მაგრამ პრაქტიკაში პირველ ცდაზე ჩავიჭერი. არადა ყველა ეტაპი გავლილი მქონდა, ერთი მანევრი მაპატიეს, მაგრამ როცა ბოლოში მანქანა ჩამიქრა, უკან გამომაბრუნეს. მეორე ცდაზე უპრობლემოდ ჩავაბარე.

— მანქანას ყიდვის სურვილი როდის მოგიმწიფდათ?

— მანქანის ყიდვაზე არც ვფიქრობდი, უბრალოდ მართვის მოწმობის აღების მუღამი მქონდა. სხვათა შორის, მოტოციკლის ა კატეგორიის მართვის მოწმობის აღებაც მინდოდა, მაგრამ ასე მითხრეს, ჯერ მანქანის უნდა აიღო და მერე — მოტოციკლისო. იმედი მაქვს, მოტოციკლს მომავალ ზაფხულს ვიყიდი. მისი მართვა არ ვიცი, მაგრამ მინდა, მყავდეს. მართვის მოწმობა რომ ავიღე, ერთი წელი ჯიბით დამქონდა, რადგან მანქანა არ მყავდა. სხვათა შორის, სერიაც წინასწარ მაჩუქა მეგობრის ქმარმა.

— „ბეემვე“-ს საჭესთან დაჯდომა ახალბედა მძღოლისთვის სარისკო არ იყო?

— ყველა მირჩევდა, ჯერ პატარა, „მალალიტრაჟკა“ რამე იყიდე, მიარტყ-მოარტყამ და მალე გააფუჭებო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ჩემი მანქანა სპორტულია, ვიზუალითაც ძალიან მომწონს და არც ძვირადღირებულია. დამწყებმა მძღოლმა შეიძლება მანქანა გაუსვ-გამოუსვას, ასეთი შემთხვევები მეც მქონდა, მაგრამ გამოცდილება უკვე მივიღე და ასეთი რამ აღარ მემართება. პირველად რომ დავჯექი საჭესთან და ქალაქში გავედი, ყველაზე შოკისმომგვრელი, იცით, რა იყო? გამოცდაზე რაც ჩავაბარე, იმ თეორიისგან განსხვავებით, ქალაქში სულ სხვა ამბები ხდებოდა. მახსოვს, პირველად ჩემი და მოვისვი გვერდით, მეორე დღეს კი სრულიად მარტო მივუჯექი საჭეს. ახალბედა მძღოლი ვიყავი, როცა ბათუმში წავედი, მაინტერესებდა, როგორ „გავქაჩავდი“. უკან გამობრუნებისას აღარ დავჯექი, რადგან მივხვდი, რომ ახალბედა მძღოლისთვის ამხელა გზაზე წასვლა-წამოსვლა სარისკო იყო და მეგობარი დავსვი.

— ახლა როგორი მძღოლი ხართ?

— ვთვლი, რომ მანქანას ნორმალურად ვმართავ. მოძრაობის დროს მესიჯიც ამიკრეფია და დამირეკავს კიდეც, მაგრამ არაფერი მაბნევს. ჩემს მანქანაში ყველა მშვიდად ზის. მამაჩემი კი, თუ ჩემ გვერდით ჯდომა უწევს, ყოველთვის მსაყვედურობს, ახლა იმას რატომ გაუსწარი, დათმობა ხომ შეგეძლოო. მისგან სულ შენიშვნებს ვიღებ. არადა სინამდვილეში ძალიან დამთმობი მძღოლი ვარ, ფეხით მოსიარულეებსაც ყურადღებას ვაქცევ. სწრაფი რეაგირების უნარიც გამომუშავებული მაქვს, რაც მძღოლისთვის აუცილებელია.

— ხომ არ გაღიზიანებთ, როცა კაცები ქალებზე ამბობენ, მანქანას ცუდად მართავენო?

— ქალები მართლაც ცუდად მართავენ. მანევრირებაზე ვხვდები, რომ საჭესთან ქალია. არ იცი, მეორე ხაზიდან როდის ჩაგიჭრის გზას. გოგოების უმრავლესობას პარკირება ძალიან უჭირს, მე კი ამის პრობლემა არ მაქვს. მანქანას ვგრძნობ, ზუსტად ვიცი, სად ან როგორ უნდა ჩავაყენო. რამდენიმე დღის წინ ქალმა მძღოლმა ჩემს მანქანას გაუსვა და, როცა მივხვდი, ეს ქალების ავარია იყო, ძალიან მომერიდა. ის გოგო პანიკაში ჩავარდა, არ გაანძრიო მანქანა, დაზღვევა მაქვსო. საპატრულო პოლიცია მოვიდა და მართალი აღმოვჩნდი.

— თქვენ არ შეგიქმნიათ ავარიული სიტუაცია?

— კი, როგორ არა. ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა მეგობრებთან ერთად თბილისის ზღვაზე ავედით. გვინდოდა, სუფთა ჰაერზე დავმსხდარიყავით. გასაჩერებელ ადგილს ვეძებდით. უცებ ჩასახვევი დავინახე და მოულოდნელად გზა ისე მოვჭერი, საპირისპირო მხრიდან მომავალმა მანქანამ ისე ჩამიარა, ლამის დაგვეჯახა.

— გიყვართ სწრაფი საარული?

— კი, მიყვარს, მაგრამ არასოდეს ვმაიმუნობ მანქანით, მით უმეტეს, თუ გვერდით ვინმე მიზის, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, საიდანღაც გვიან წამოვსულვარ და რაღაც მანევრები გამიკეთებია. რალიში მონაწილეობა რომ შემომთავაზონ, სიამოვნებით დავთანხმდებოდი და გულს იქ ვიჯერებდი. თბილისში ფიზიკურად აღარ არის ადგილი იმისათვის, რომ გაზის სატერფულს ფეხი დააჭირო და 200 კმ/სთ სიჩქარით გავარდე, მით უმეტეს, საღამოს საათებში, როცა ხალხი

„ჯანონმოიჩიღი მძღოლი ჯი ვარ, მაგრამ ოცა ვიცი, ომ ეით ქუჩაზე შესასვლელად დიდი ნიე უნდა დავაჩტყა და მაქვს შანსი, მოკლეზეც შევაჭრა, მოძრაობის წესებს ვარღვევ“.

სამსახურიდან ბრუნდება, ამ დროს ფაქტობრივად 20-ით ვმოძრაობ.

— „ბეემვე“-ს საჭესთან გოგოს რომ ხედავენ, მამაკაცები რბოლაში ხომ არ გიწვევენ?

— სხვათა შორის, ასეთი გამოწვევა ხშირია, თან, იცით, როგორი? წინ გამისწრებენ და ფანჯრიდან ხელს მიქნევენ, გამოგვყევიო, მაგრამ რა სისულელეა, მათ არასოდეს ავყვები! ასეთი ტიპები ხულიგნები და უსაქმურები არიან.

— მოძრაობის წესებს მკაცრად იცავთ?

— კანონმორჩილი მძღოლი კი ვარ, მაგრამ მოძრაობის წესები დამირღვევია. როცა ვიცი, რომ ერთ ქუჩაზე შესასვლელად დიდი წრე უნდა დავარტყა და მაქვს შანსი, მოკლეზეც შევაჭრა, ვარღვევ, მაგრამ ისე არა, რომ სულ ერთი იყოს, წითელი ენთება თუ მწვანე. იცით, მოძრაობის დროს ყველაზე მეტად რა არ მიყვარს? როცა ყვითელი ანთია, შემიძლია წითელი შუქნიშნის ანთებამდე გავიარო და ამ დროს წინ ვიღაც ჩერდება.

— ამ დროს ბრაზდებით?

— არა, ნერვული მძღოლი არ ვარ. გოგოებმა რაღაცეების მიძახება რომ იციან, ასეთი რამ არ მჩვევია და საჭესთან არც ვბილწსიტყვაობ.

„ქალმა მძღოლმა ჩემს მანქანას გაუსვა და, ოცა მივხვდი, ეს ქალების ავარია იყო, ძალიან მომეხიდა. ის გოგო პანიკაში ჩავარდა, პატრული მოვიდა და მართალი მე აღმოვჩნდი“.

საცობში თუ მოვხვდი, არც ამ დროს ვღიზიანდები, მუსიკას ვუსმენ.

— პატრული ხშირად გაჩერებთ?

— სხვათა შორის, პატრული ხშირად მაჩერებს, განსაკუთრებით კი საღამოს საათებში. დიდი ბოდიშის მოხდით ალკოჰოლზეც მამოწმებენ. ეს მათი მოვალეობაა და არ ვაპროტესტებ.

ერთხელ ძალიან სასაცილო სიტუაციაში აღმოვჩნდი. ჩემი დაქალი ნახალოვკაში დავტოვე და რომ გამოვბრუნდი, პატრულმა ოთხჯერ გამაჩერა. ბოლოს რომ გამაჩერეს, ისტერიკული სიცილი ამიტყდა, რა ხდება, ხომ მშვიდობაა, საეჭვო მანქანაზე ხომ არ ვზივარ-მეთქი, ვიკითხე. ამიხსნეს, რომ იმ საღამოს ყველას ამოწმებდნენ. როცა მაჩერებენ, ისე ვიძაბები, სულ მგონია, რაღაც დავაშავე. ჯარიმები თითქმის არ მაქვს.

— ძველი ავტომობილი გყავთ, პროფილაქტიკაში საარული ხშირად გიწევთ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. ძრავიდან დაწყებული ყველაფრით კმაყოფილი ვარ. მანქანის გამოცვლა კი მინდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ძველია და არაკომფორტულობას ვუჩივი, უბრალოდ უკეთესი მინდა და ალბათ ისევ „ბეემვე“-ს ვიყიდი.

— როგორც მივხვდი, უკვე მანქანის ნაწილებშიც ერკვევით.

— ძალიან კარგად — არა, მაგრამ რაღაცრაღაცეები უკვე ვიცი. მაგალითად, ამას წინათ ზეთი ჰქონია გამოსაცვლელი და ვერ მივხვდი. ამის გამო კი სხვა ნაწილიც გავაფუჭე.

— მანქანას სალონს აქსესუარებით თუ ამშვენებთ?

— აქსესუარების რა მოგახსენოთ, მაგრამ „ცაზე“ ვარსკვლავებს უხვად შენიშნავთ. მეგობრები რომ მისხდებიან მანქანაში, მეუბნებიან, ხვალ შენს მანქანაში რა მაგარი ამინდი იქნებაო. ჩემს „ბეემვე“-ში მეგობრები ვარსკვლავებს თავიანთ სახელებს აწერენ, მოკლედ, ყველას თავისი ვარსკვლავი აქვს „გახსნილი“. თავიდან სალონის სარკესთან უამრავი ძონძი მეკიდა, ბრელოკები, ნამდვილი „ბუბლიკებიც“. ერთხელ ჩემი 6 წლის ბიძაშვილი ჩამიჯდა მანქანაში. „ბუბლიკი“ რომ დაინახა, მოგლიჯა და პირში იტაკა. ბოლოს მივხვდი, რომ სარკესთან ამდენი ხარახურა აღარ შეიძლებოდა და ჩამოვხსენი. ახლა ეს ფუმფულა სათამაშო მიკიდია.

საერთოდ, რასაც შევიძენ, მისი მოვლა და მოწყობა ძალიან მიყვარს. ამ მანქანას თავიდან ისტერიკულად ვუვლიდი, ჩემი ხელით ვრეცხავდი, სერიოზულ „უბორკას“ ვატარებდი, ახლა კი ასე აღარ ვარ. სალონში განსაკუთრებულს არაფერს ვინახავ. თქვენ წარმოიდგინეთ, საბარგულიც სულ ცარიელი მაქვს. ქუსლიან ფეხსაცმელს არ ვატარებ და შესაბამისად არც მანქანით დამაქვს.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

თემიკო ჭიჭინაძე სალათების იმპროვიზატორია

ბატონი თემიკო ჭიჭინაძეს არამარტო სცენაზე უყვარს იმპროვიზიაციები, არამედ სამზარეულოშიც. კულინარიული ფანტაზიები მაშინ სტუმრობენ, როცა სახლში მარტო რჩება. ამ დროს უგემრიელეს კერძებს ამზადებს. ქათმის ხორცს და ბოსტნეულს განსაკუთრებით სწყალობს. დიდ თავყრილობებს მეგობრების ვიწრო წრეში ქეიფი ურჩევნია, მრავალფეროვან სუფრას კი — მჭადი და ყველი.

თავისი ოჯახის დიასახლისის, მსახიობ ნინო თარხან-მოურავის კულინარიული ნიჭით კმაყოფილია, მაგრამ აღიარებს, რომ მისი ერთადერთი გოგონა, ლიზა, დედაზე უკეთ ამზადებს.

— ბატონი თემიკო, სასამ თქვენს კულინარიულ შესაძლებლობებში გაგერკვიყოთ, გკითხავთ, რიგი-რი დამოკიდებულება გაქვთ ქართული სუფრის ტრადიციების, სამზარეულოის მიმართ.

— სამზარეულო ქვეყნის კულტურის სახეა. მიხარია, რომ დღემდე გვაქვს შემორჩენილი ის ადათ-წესები, რაც ჩვენი წინაპრებისთვის მნიშვნელოვანი იყო. რაღაცეები იცვლება, მაგრამ ძირითადი მაინც რჩება. ალბათ ყველა ქვეყნის სამზარეულოს სწორედ ასეთივე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ სახელმწიფოების ისტორიაში.

— თუმცა ძალიან ხშირად აღნიშნავთ იმასაც, რომ ქართველებმა არც სმაში ვიცით ზომიერება და ზედმეტად კალორიული კერძებიც გვაქვს.

— დიეტოლოგებს თუ დავუჯერებთ, არც ერთი ქვეყნის სამზარეულო არ არის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო. ინდური სამზარეულოდან ბევრი კერძი არის ჩვენთან გადმოსული, მათ შორის — საცივიც. ვერ ვიტყვი, რომ ინდური კერძები სასარგებლო კომპონენტებისგან შედგება, მაგრამ გემრიელია. ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანელების ცხარე ქაბაბები ან სომხების ტოლმა რომ ავიღოთ, არც ეს კერძებია ჯანსაღი. ყველაფერი, რაც გემრიელია, ორგანიზმისთვის მავნებელია. ასე რომ, მხოლოდ ქართველები არ გამოვირჩევით ცხიმიანი საკვების მოხმარებით.

რაც შეეხება ალკოჰოლს, გეთანხმებით, რომ ქართველებმა ზომა არ ვიცით, მაგრამ მინახავს ფრანგი, რომელიც უფრო მეტ ღვინოს სვამდა, ვიდრე ქართველი. ჩვენ ღვინისადმი დამოკიდებულებაშიც ქართულ ხასიათს ვავლენთ. ვცდილობთ, საკუთარი თავი წარმოვაჩინოთ, ცოტა ვიტრაბახოთ. ყველას გვიწევს ისეთ სუფრებთან მოხვედრა, სადაც განსხვავებული სასმისებით ვსვამთ ღვინოს.

— თუ ადამიანს კარგი სიმთვრალე აქვს რა უჭირს, მაგრამ...

— სიმთვრალეში ყველას კარგი ხასიათი ვერ ექნება. ყველა ქართველი ძალიან ინდივიდუალისტია და ყველა თავისებურად აფრენს.

— თემიკო ჭიჭინაძე სიმთვრალეში როგორ „აფრენს"?

— როგორც ოჯახის წევრები და მეგობრები მეუბნებიან, წყნარი და მშვიდი სიმთვრალე მაქვს. ხანდახან ალბათ მეც მჭირს „გამოვარდნები", მაგრამ არც ისე ხშირად, რომ ეს აღნიშვნის ღირსი იყოს. ალკოჰოლს იმიტომ ვეძალები, რომ კარგ ხასიათზე ვიყო. ძირითადად მეგობრებთან ერთად მიწევს სუფრასთან მოხვედრა, იქ კი იუმორის, სიმღერის, პოზიტიური განწყობის მომხრე ვარ.

— მსახიობების სუფრა ალბათ სპექტაკლივით არის.

— ვერ ვიტყვი, რომ დიდი სხვაობაა მსახიობებისა და არახელოვანი ადამიანების ქეიფებს შორის. ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ. მყავს მეგობრები, რომლებსაც მსახიობობასთან არანაირი შეხება არ აქვთ, მაგრამ ჩვენზე უკეთესადაც მღერიან და ჩვენზე უკეთესადაც ხუმრობენ. თემიკო ჩირგაძე განთქმული თამადა და ძალიან კარგი ადამიანი იყო, მაგრამ მსახიობი არ გახლდათ. მის წაძღოლილ სუფრას არაფერი სჯობდა, იუმორის, მუსიკის ფეიერვერკი იყო. საბედნიეროდ, რამდენჯერმე მომიწია მის სუფრებთან ყოფნა და ეს ნამდვილი შოუ იყო.

— ჩვენს ძირითად თემას, კულინარიას მიუბრუნდეთ. გურმანი ხართ?

— რაღაც კერძები განსაკუთრებით მიყვარს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გურმანი ვარ.

— ეს „რაღაც კერძები" ხორცეულისგან მზადდება?

— არამარტო ხორცეულისგან. ყველი, მჭადი, სალათი და ერთი ბოთლი ღვინო ჩემთვის აბსოლუტურად საკმარისია. თუ კარგი, მრავალფეროვანი სუფრაა, ნაკლებად მინდება რამის გასინჯვა. თვალს რომ გადავავლებ, თითქოს მინდა რაღაცის გადაღება, მაგრამ ბოლოს ისევ ყველს და პურს ან მჭადს თუ შევჭამ. ვიწრო წრეში უფრო გამოდის გემრიელი პურისჭამა. არაქართული კერძების დაგემოვნებაც მიყვარს.

— მაგალითად, რომელი ქვეყნის სამზარეულოი მოგწონთ?

— იტალიურ სამზარეულოს გამოვარჩევდი. ჩინურიც ძალიან გემრიელია, მაგრამ ჩინურ კერძებზე ქეიფი და ღვინის დალევა არ მოგინდება. იტალიურ კერძებს დიდი სიამოვნებით ვაყოლებ თეთრ ღვინოს. ძალიან ძლიერი სამზარეულო აქვთ.

დიდ ბრიტანეთში დიდხანს მომიწია გასტროლებზე ყოფნა. მათი ტრადიციული კერძები ჩემთვის უინტერესო აღმოჩნდა. ისეთი არაფერი აქვთ, რომ ადამიანს დაგამახსოვრდეს. იქ რასაც ვჭამდით, ფრანგული საჭმელები იყო ან „მაკდონალდსს" ვსტუმრობდით.

— სამაგიეროდ, ჩვენი სამზარეულოთი ყოველთვის ამბიციებით უკეთესელები.

— ძალიან მოსწონთ, ეგზოტიკურად თვლიან, მაგრამ მათთვის ქართული კერძები ზედმეტად ცხიმიანია. ბოლო დროს ხომ ჯანსაღი საკვების მოხმარების ტენდენცია წამოვიდა, იკრძალება გაზიანი სასმელები და რეკომენდაციას უწევენ ბოსტნეულს, ხილს. მე კი ვფიქრობ, რომ ადამიანს რაც უწერია, ის არ ასცდება. ყველა წარმავალი ვართ, ასე რომ, ჩემი აზრით, ამხელა სიამოვნებაზე უარი ნამდვილად არ უნდა ვთქვათ.

— თავად რა კერძების მომზადება შეგიძლიათ?

— სახლში მარტო რომ ვიყო, მშიერი ნამდვილად არ დავრჩები. კვერცხსაც შევიწვავ, სალათსაც გავაკეთებ და სხვა კერძებსაც. მაგალითად, შემიძლია ქათმის ფილესგან ძალიან გემრიელი რაღაცეები მოვამზადო, ნაირ-ნაირი სალათები. ბადრიჯნის გაკეთებაც ვიცი. წვნიანი კი არასოდეს გამიკეთებია. სამზარეულოში ტრიალის დრო არ მაქვს და ამის არც აუცილებლობა არსებობს, რადგან სახლში კარგი კულინარები მყავს და მათ საქმიანობაში არ ვერევი.

— ქათმის ფილესგან რას ამზადებთ?

— ბევრი რამის, გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ. ჩამოწერილი რეცეპტებით არ ვხელმძღვანელობ, არც კულინარიულ გადაცემებს ვუყურებ. ჩემს ფანტაზიას მივყვები და იმპროვიზაციებს ვაკეთებ. ქათმის ფილეს ძალიან უხდება ბოსტნეული. ფილეს მოხარშავთ, ოღონდ ბოლომდე — არა. ტაფაზე მოშუშავთ ხახვს, წვრილად დაჭრილ სტაფილოს, ბულგარულ წიწაკას, მწვანილს, მერე კი ფილეს ნაჭრებს ჩაყრით. შეგიძლიათ არაჟანი დაასხათ, მაიონეზიც უხდება და ძალიან საინტერესო კერძი გამოდის.

— მამაკაცების ნახელავი მოგწონებათ?

— ჩემს რამდენიმე ძმაკაცს ისეთი გემრიელი ხელი აქვს, რომ ჯობს, კეთების პროცესში არავინ გაეკაროს. ისეთი რაღაცეების კეთება შეუძლიათ, ბევრი დიასახლისი ვერ დაიკვეხნის. კაცები სხვანაირად უდგებიან საჭმელების მომზადებას, მას არაფერს აკლებენ. ზოგადად, ხორცეული კაცის საქმეა და არა — ქალის. ოჯახში ხორცის დამუშავება მე მევალება.

— თევზეულზე არაფერი გითქვამთ. ნუთუ არ ვიყვართ?

— დიდი მოყვარული არ ვარ. სუფრაზე თევზეულს აბსოლუტურად გულგრილად შემიძლია ვუყურო. ზღვის პროდუქტები არც კი გამისინჯავს. ჩემი მეუღლე გიჟდება იმ ყველაფერზე, რაც ზღვაში მოიპოვება.

— ნაყიდ მზა საჭმელებს ან ნახევარფაბრიკატებს მოიხმართ ოჯახში?

— ნაყიდს სახლში გაკეთებული მირჩევნია, მაგრამ არის სიტუაციები, როცა სტუმრები მოდიან და მომზადებას ვერ ასწრებ, ამ დროს მაღაზიაში ნაყიდი მზა კერძები საუკეთესო გამოსავალია. სახლში დიდი სუფრების კეთების ტრადიცია ნელ-ნელა მივიწყებას მიეცა. არის ისეთი რესტორნები ან სამზარეულოები, სადაც ისე ამზადებენ, რომ სახლში გაკეთებულისგან ვერ გაარჩევ. ჩემი მეუღლეც მსახიობია და ისიც დაკავებულია, მაგრამ მზარეულობას მაინც ასწრებს. ასე რომ, ოჯახში ამის პრობლემა არ დგას.

> „ჩემმა შვილმა ჯულინარიაში დედამისს აჯობა".

— როგორც ვიცი, თქვენს შვილს, ლიზასაც ეხერხება კულინარობა.

— ჩემი შვილის გაკეთებული კერძები მიჭამია და შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ძალიან გემრიელი გამოსდის. როცა ხასიათზეა და თან სცალია, რაღაცეებს აკეთებს და დედამისზე უკეთესადაც კი. ლიზას ეს საქმე ძალიან აინტერესებს. ერთხელ გამოაცხადა, კულინარიის კურსებზე მინდა სიარული, მაგრამ გადაუარა ამ სურვილმა. ლიზას ცხობაც კარგად ეხერხება.

✓ ქეთი დინოშვილი

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ᲜᲣᲙᲐ ᲒᲕᲐᲚᲘᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

„ᲒᲝᲒᲝ ᲒᲕᲔᲒᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲑᲘᲭᲡ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗ!“

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲜᲣᲙᲐ ᲒᲕᲐᲚᲘᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ — ᲓᲔᲓᲘᲡ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚ ᲔᲙᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲙᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲪᲑᲐᲗ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲜᲢᲐᲜᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ. ᲒᲐᲘᲐᲠᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲤᲘᲥᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲝᲜᲓᲘᲜᲘᲡ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ.

ᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ — ᲛᲐᲚᲛ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲓᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ. ᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ, ᲜᲘᲙᲣᲨᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘ, ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲡᲣᲚ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲬᲧᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡᲐᲪ ᲫᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲔᲜ.

— ᲜᲣᲙᲐ, ᲥᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲒᲐᲥᲕᲗ, ᲛᲐᲚᲔ ᲞᲐᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲜᲔᲑᲐᲗ. ᲗᲣ ᲡᲐᲐᲓᲣᲛᲚᲝᲓ ᲐᲠ ᲢᲝᲕᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲡᲥᲔᲡᲘ ᲐᲪᲘᲗ?

— ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲕᲐᲠ, ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲗ. ᲑᲘᲭᲘᲐ. ᲡᲐᲛᲝᲗᲔ ᲗᲕᲔᲛᲓᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲡ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲡ, ᲒᲕᲔᲒᲝᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲒᲝ ᲘᲧᲝ. ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲗᲕᲔᲖᲔ ᲐᲚᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲭᲘᲐ. ᲜᲘᲙᲣᲨᲐᲡ, ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲑᲘᲭᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲣᲮᲐᲠᲓᲐ.

— ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲣᲙᲒᲣ ᲨᲔᲣᲠᲩᲘᲗ?

— ᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲨᲔᲕᲐᲠᲩᲘᲗᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡᲘ ᲕᲔᲠ ᲕᲣᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲗ. ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲓᲐᲕᲐᲠᲩᲕᲐᲗ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲥᲛᲐᲠᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ, ᲨᲔᲕᲔᲮᲔᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲕᲐᲠᲩᲕᲐᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲓᲔᲓᲐ ᲐᲑᲝᲜᲡ, ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐᲝ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲜᲘᲙᲣᲨᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲠᲩᲛᲔᲕᲗ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲚᲔᲥᲡᲝ ᲐᲜ ᲐᲚᲔᲙᲡ ᲓᲐᲣᲫᲐᲮᲝᲜ, ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲗᲐᲕᲡ ᲕᲘᲙᲐᲕᲔᲑ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ.

— ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲔᲠᲝᲑᲖᲔ ᲨᲠᲣᲜᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲗ?

— ᲑᲔᲑᲘᲝᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲕᲘᲧᲘᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲚ ᲙᲐᲠᲒᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ. ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔᲑᲘ ᲩᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ ᲠᲣᲛ ᲓᲐᲒᲕᲔᲬᲧᲝ, ᲕᲐᲠᲓᲘᲡᲤᲔᲠᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲒᲠᲝᲕᲓᲔᲑᲝᲛᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲒᲝᲒᲝ ᲘᲧᲝ. ᲜᲘᲙᲣᲨᲐᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲣᲒᲠᲐᲖᲕᲘᲡ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲠᲘ ᲕᲣᲧᲘᲓᲔ, ᲓᲐᲗᲣᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲢᲘᲐ.

— ᲮᲛᲝ ᲐᲠ ᲜᲔᲠᲕᲘᲝᲣᲚᲝᲑᲗ ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲑᲐᲖᲔ?

— ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲕᲜᲔᲠᲕᲘᲝᲣᲚᲝᲑᲓᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲕᲘᲓᲔᲝᲔᲑᲡ ᲕᲣᲧᲣᲠᲔ, ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲔᲙᲘᲗᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲛ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲒᲐᲕᲘᲗᲐᲕᲐᲡᲘᲗ, ᲠᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲘᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲩᲘᲜᲝᲡᲗ ᲨᲕᲘᲚᲘ.

— ᲤᲔᲮᲔᲛᲫᲘᲛᲝᲑᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲩᲕᲔᲣᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲖᲔ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲐ?

— ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲡᲣᲜᲖᲔ ᲓᲐᲛᲔᲬᲧᲝ. ᲡᲘ�გᲐᲠᲔᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲒᲓᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲣᲜᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲔᲒᲣᲣᲑᲔᲜ, ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲔᲜᲔᲕᲐ. ᲛᲫᲐᲤᲠᲘ ᲡᲣᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲡ. ᲩᲔᲛᲓᲐᲣᲜᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘᲪ ᲒᲐᲕᲮᲓᲘ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲔᲪᲔᲕᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲬᲕᲘᲙᲘᲗᲮᲗ ᲓᲐ ᲐᲚᲛᲝᲕᲐᲩᲘᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲡᲐ.

— ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲜᲐᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ. ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲪᲚᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲠᲣᲜᲐᲕᲘᲪ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ.

> „ᲕᲣᲠᲐᲓᲔ, ᲨᲔᲘᲠᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲠᲑᲐᲨᲘ, ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲘ ᲩᲔᲛᲘᲗ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲘᲚᲐ, ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲠᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ“.

— ᲓᲘᲐᲮ, ᲑᲘᲜᲐ ᲒᲐᲕᲧᲘᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲗ ᲜᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲨᲘ. ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲜᲐᲓ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲒᲘᲠᲐᲕᲔᲑᲨᲘ. ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲜᲐᲓ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲓᲐᲑᲐᲠᲒᲔᲑᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲑᲐᲠᲒᲘᲡ ᲩᲐᲚᲐᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲜᲔᲠᲜᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲓᲐᲕᲐᲚᲐᲒᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐ ᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲯᲓᲝᲗ.

ᲕᲔᲠ ᲕᲘᲪᲘᲗᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲓᲘᲕᲐᲠ, ᲒᲐᲪᲘᲔᲑᲐᲡ ᲕᲔᲠᲘᲓᲔᲑᲘ. ᲝᲠ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲣᲨᲐᲛ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲰᲐᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ. ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲘᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲕᲐᲠ. ᲗᲣ ᲠᲐᲛᲔᲐ ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ, ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ, ᲛᲔ ᲓᲐᲕᲐᲩᲣᲥᲔᲑᲘ.

— ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲛᲐᲗᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲠᲗᲝᲑᲗ. ᲪᲐᲚᲙᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲮᲓᲘᲗ?

— ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲩᲜᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲜᲓᲝᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲛᲐᲛᲗᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲨᲚᲘᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲗᲐᲮᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲐᲪ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ.

— ᲜᲘᲙᲣᲨᲐ ᲠᲘᲗ ᲐᲜᲑᲘᲝᲣᲠᲔᲑᲡ ᲤᲣᲮᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲪᲔᲚᲡ?

— ᲡᲣᲚ ᲪᲐᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲪᲐᲜᲐᲡ ᲕᲗᲮᲕᲝᲗ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲙᲐᲜᲤᲔᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ. ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲜᲐᲓ ᲛᲝᲕᲘᲛᲐᲪᲔ. ᲠᲛᲘ ᲓᲐᲕᲤᲣᲮᲛᲓᲘᲛᲔ, 44 ᲙᲘᲚᲝ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ 60 ᲙᲘᲚᲝ ᲕᲐᲠ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲭᲐᲛᲐ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲛᲔᲢᲧᲝᲛᲝᲑᲓᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲠᲒᲔᲑᲐ.

— ᲐᲚᲑᲐᲗ ᲒᲐᲠᲓᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲭᲘᲠᲓᲐᲗ.

— ᲒᲐᲠᲓᲔᲠᲝᲑᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲛᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲧᲘᲓᲔ, ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲚᲘ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲧᲝᲤᲜᲘ. ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲘᲡ ᲢᲘᲪᲐᲯᲘ, ᲨᲝᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲠᲣᲛ ᲛᲘᲖᲘᲓᲐᲕᲓᲔᲑᲐ.

— ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲧᲒᲐᲠᲔᲚ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡ ᲗᲣ ᲐᲡᲛᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲡ?

— ᲕᲘᲪᲓᲘᲚᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲟᲐᲜᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲬᲧᲓᲔᲑᲐ.

— ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲰᲐᲠᲔᲑᲗ ᲗᲣ ᲠᲐᲖᲔ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲗ?

— ᲫᲘᲫᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲝᲓᲔᲣᲚ ᲛᲔᲧᲝᲚᲝᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲕᲔᲜᲓᲠᲝᲑᲘ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲦᲐᲪᲔᲔᲑᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲜᲐᲜᲐᲮᲘ. ᲫᲘᲫᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲕᲚᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲮᲐᲜ ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐᲛᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ, ᲮᲐᲜ ᲜᲘᲙᲣᲨᲐᲡ ᲓᲔᲓᲐ. ᲣᲪᲮᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲐᲖᲠᲓᲔᲕᲘᲜᲔᲑᲓᲐ.

— „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲨᲘ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲘᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲘᲪᲧᲔᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ?

— „ᲓᲘᲤ ᲤᲐᲠᲤᲚᲘᲡ“ ᲢᲣᲠᲜᲖᲔ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲡᲣᲚᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲕᲘᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲔ, ᲠᲐᲓᲓᲒᲐᲜ ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲕᲔᲬᲔᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲓᲐᲕᲚᲘᲔ ᲙᲘᲓᲔᲣᲚ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲓᲐ, ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲮᲔᲑᲐᲝ. ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲢᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲭᲘᲠᲓᲐ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲗᲕᲔᲑᲛᲐ? ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲐ ᲮᲚᲚᲛᲔ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

— ᲡᲐᲛ ᲗᲕᲘᲗᲛᲔ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲣᲚ ᲫᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ. ᲕᲘᲗᲕᲐᲛᲓᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲗᲕᲔᲑᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲦᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲧᲔᲜᲔᲑ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲬᲘᲜ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲗᲕᲔᲑᲛᲐ? ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲐ ᲮᲚᲚᲛᲔ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

— ᲡᲐᲛ ᲗᲕᲘᲗᲛᲔ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲣᲚ ᲫᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ. ᲕᲘᲗᲕᲐᲛᲓᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲗᲕᲔᲑᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲦᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲧᲔᲜᲔᲑ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲬᲘᲜ.

— ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲗᲕᲔᲑᲛᲐ? ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲐ ᲮᲚᲚᲛᲔ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

— ᲡᲐᲛ ᲗᲕᲘᲗᲛᲔ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲣᲚ ᲫᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ. ᲕᲘᲗᲕᲐᲛᲓᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲗᲕᲔᲑᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲦᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲧᲔᲜᲔᲑ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ ᲬᲘᲜ.

— ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲗᲕᲔᲑᲛᲐ? ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲐ ᲮᲚᲚᲛᲔ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

— ᲡᲐᲛ ᲗᲕᲘᲗᲛᲔ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲣᲚ ᲫᲘᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ. ᲕᲘᲗᲕᲐ

ხათუნა ხოფერია: „უკვე მეცხრე ბინა გავარემონტე“

შინ

ს აქართველოს პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა, ხათუნა ხოფერიამ, წყნეთში ახალ აგარაკზე — ოროთახიან ბინაში თავისი სამყარო მოიწყო. ყველაფერი საკუთარი გემოვნებით გააკეთა — აბაზანა ჩვეულებრივ ოთახს დაამსგავსა, სამზარეულო ბუნებრივი ქვით მოაპირკეთა, საყვარელი ნახატები კი არ დაკიდა, პირდაპირ კედლებში ჩასვა... ქალბატონ ხათუნაზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ექსტერიერ-ინტერიერის ექსპერტია. წყნეთის ბინა მისთვის უკვე მეცხრე სახლია, რომელიც თავისი გემოვნებით გაარემონტა. მართალია, ეს საქმე შრომატევადია და ბევრ ენერგიასაც ართმევს, მაგრამ კმაყოფილია, რადგან, როცა კი ბინის გაყიდვა დასჭირდა, სწორედ დიზაინის გამო ყოველთვის მაღალი ფასი გადაუხადეს.

— ქალბატონო ხათუნა, როდის გადმოსვლით ახალ ბინაში?

— წელს, აგვისტოში. რამდენიმე ადამიანი გავერთიანდით და ეს სახლი ერთობლივი ძალებით ავაშენეთ. ამხანაგობის თავმჯდომარე მე ვიყავი. პირველი „ღია კარის“ დღე 29 აგვისტოს, ჩემს დაბადების დღეზე მქონდა, მეგობრები მოვიდნენ. ბინა ბოლომდე არ არის დასრულებული, პატარ-პატარა რაღაცეები კიდევ აკლია, მაგალითად, მისაღებ ოთახში ტელევიზორი არ მაქვს. ყველა ბინა, რომელიც კი მქონია, თავიდან ბოლომდე ჩემი გაკეთებული იყო და ძალიან მიყვარდა. ეს სახლი, ოთახების დაპროექტებიდან დაწყებული ფერების შერჩევით დამთავრებული, მე გავაკეთე. ჩემი მეგობრები აქ გამოყენებულ სხვადასხვა დეტალებს ძალიან წარმატებულად ნერგავენ თავიანთ სახლებში.

— კონკრეტულად რაში გბაძავენ?

— მაგალითად, მიყვარს კედლებში ჩემი ნახატების კოლექციის ჩასმა. ამას გარდა, ძალიან მომწონს რესტავრირებული ძველი ავეჯი. არ მიყვარს, როდესაც ავეჯს ყრიან. რატომ უნდა გადავყარო, როცა შემიძლია გადავაკეთო? მისაღებში რომ დივანი და სავარძლებია, განვაახლე და ისეთი გამოვიდა, როგორიც სააგარაკო სახლს შეეფერება.

— ეს სახლი ისე გაქვთ მოწყობილი, მხოლოდ სააგარაკოდ კი არა, მუდმივ საცხოვრებლადაც გამოდგება.

— ფაქტობრივად სულ აქ ვარ. წყნეთში მეორე ბინაც მაქვს და ისიც ძალიან ორიგინალურია. იქ დიდი აივანი მაქვს, სადაც ბუხარიცაა. მწვადის სეზონს იქ ვხსნით და იქ ვამთავრებთ ხოლმე. ამ სახლში კი მაყალი აივანზე მაქვს და მწვადს აქ ვწვავ. აივანი დაახლოებით ორი მეტრით უნდა გავადიდოთ და ბარბექიუს გავაკეთებ. მე და მწვადები ერთმანეთისგან განუყოფლები ვართ. მწვადის შეწვის პროცესი მიყვარს და ძალიან კარგიც გამომდის. ეს თითქოს კაცის საქმეა, მაგრამ, ცეცხლის დანთებიდან დაწყებული შამფურიდან მწვადის ჩამოცლით დამთავრებული, ყველაფერს მე ვაკეთებ. ჩემი შვილი ბექაც ძალიან კარგად წვავს. უნდოდა თუ არა, მაინც „შემოესწავლა“.

— ამ სახლში ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც გინდოდათ, საკუთარ თავს უარი არაფერზე უთხარით?

— კი, ასეა. ვფიქრობ, რომ ბინა უნდა მოირგო და შენი ცხოვრების წესს

→40

BAYER
150 Years
Science For A Better Life

ბიპანთენი პლიუსი – ცწარეთი ლიზინოფიქცია და შეხორცება!

- არ იწვევს წვის შეგრძნებას
- არ შეიცავს ანტიბიოტიკებსა და ჰორმონებს

შემადგენლობა: დექსპანთენოლი (B5 ვიტამინი) ქლორჰექსიდინი 0,5%

მწარმოებელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მოარგო. იმის გამო, რომ რაღაც არ გაგიფუჭდეს, არ შეიძლება შენი ცხოვრების წესზე უარი თქვა. სახლის გაკეთების დროს ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი. ახლა ტექნიკა წინ წავიდა და არსებობს საუთოო მაგიდები, რომელთა დამონტაჟება კარადაში შეიძლება, ასაკეცია და ადგილს არ გართმევს. საუთოო მაგიდა ყველა დიასახლისს სჭირდება, ამიტომ მისი სამალავი ადგილი აუცილებლად უნდა გაითვალისწინო. რემონტს რომ აკეთებ, უნდა იცოდე, მტვერსასრუტს სად დადებ, უამრავი ისეთი ნივთია, რომელიც სულ თვალში გეჩხირება იმის გამო, რომ მისთვის განკუთვნილი ადგილი არ არის.

— ესე იგი ფანტაზიაც აუცილებელია, რა რიგორ უნდა გააკეთო.

■ ოლეგ ტიმჩენკოს ნახატი

— მე ვიტყოდი, რომ ეს ფანტაზია კი არა, ცხოვრების გამოცდილების შედეგია. აბაზანამ სიცივის შეგრძნება არ უნდა დაგიტოვოს, კაფელით არ უნდა გააცივო. იქ ისე უნდა შედიოდე, როგორც შენი ბინის ნაწილში, რადგან აბაზანაში ჩვენი ცხოვრების ძალიან დიდ ნაწილს ვატარებთ. მინდოდა, აბაზანა სახლის გაგრძელება ყოფილიყო. თანაც რატომ უნდა გადამეხადა ზედმეტი ფული იმაში, რასაც არც სითბო აქვს და არც პრაქტიკულია? ჭაღიც რომ დავკიდე? ანტიკვარული კომოდიც დავდგი, რომელიც გალაქულ ქვაშია ჩასმული. გემებს რომ ღებავენ, ის ლაქი გამოვიყენე. ძალიან კარგი ფერი გამოვიდა. იატაკი მეტლახია, რომელსაც პარკეტის ფაქტურა აქვს. ამან მომცა საშუალება, რომ ჩვეულებრივ ოთახს დამსგავსებოდა.

რაც შეეხება სარკეს, ვერაფრით ვარჩევდი. თან რემონტის პროცესი მთავრდებოდა და ფულის დეფიციტი მქონდა. ეს სარკე ჩემს დაბადების დღეზე, როცა „ღია კარის“ დღე მოვაწყვე, ნინო ქადაგიძემ (გარდაცვლილი პრემიერმინისტრის, ზურაბ ჟვანიას ცოლი. ავტ.)

■ სამზარეული

„12 ჯაკიანი მოოქროვილი სეხვიზიც ანტიკვარია. ძალიან მაღალხარისხიანი, ხელით მოხატულია. მას განსაკუთრებულად ვუფრთხილდები, მაგრამ ჩემს თავს დავდე პატივი და ვიყენებ. ვფიქრობ, იმდენი დავიმსახურე, რომ მეც და ჩემმა ახლობლებმაც ამ სეხვიზიდან მივიღოთ".

მომიტანა. გავოგნდი, ვერაფრით გავარკვიე, როგორ მიხვდა, რომ სარკე მჭირდებოდა. ისეთი ბედნიერი ვიყავი... თან ამ სარკემ აბაზანა დაათბო და გააკეთილშობილა.

— რემონტის პროცესში ვინ გეხმარებოდათ, ვინ გეფდგათ გვერდით?

— არავინ! სასტიკად არ მიყვარს, როცა ვინმე ერევა ამაში. როცა ვინმე ცდილობს, თუნდაც მასალების მოტანის პროცესში ჩაერიოს, საშინელი დისკომფორტი მექმნება. ქვიშა, გაჯი იმ პიროვნებამ მომიტანა, ვისაც ძალიან ვენდობი, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი ჩემი შერჩეულია. საღებავებიც თავად ვიყიდე. ეს ჩემი პირველი რემონტი არ იყო, დაახლოებით მეცხრე ბინაა, რომელიც გავარემონტე. მინდა, ისიც გითხრათ, რომ ჩემი გარემონტებული ბინები ძალიან კარგად იყიდება.

— თქვენი ხელით გაკეთებულ სახლებს რომ ყიდით, გული არ გწყდებათ?

— ჩემი ბინები სწორედ ინტერიერის გამო საკმაოდ ძვირად ფასობს. ადრე თქვენს ჟურნალში ბექას ბინის ინტერიერის ფოტოებიც დაიბეჭდა. ის ბინა ვაჟა-ფშაველას გამზირზე იყო. იმ კორპუსში თუ კვადრატული მეტრი 1000 დოლარი ღირდა, ჩემი ბინა 1450 დოლარად გაიყიდა. როგორია?

— მართლაც მაგარია. კედლების ფერებად თეთრი და ყურცხლისფერი რატომ შეარჩიეთ?

— ვცდილობ, აქცენტი ჩემთვის ყველაზე ძვირფასს ნახატებზე გავაკეთო, ამიტომ ყველაფერს მათ ვუხამებ. მისაღებში რომ დიდი ნახატი მაქვს, პირდაპირ კედელშია ჩასმული, →42

სუპრადინი კოენზიმ Q10 14 ვიტამინი + 12 მინერალი + კოენზიმ Q10
ბიოლოგიურად აქტიური დანამატი
მწარმოებელი: ბაიერ სანტე ფამილიალე (საფრანგეთი)

სუპრადინი ენერჯი 13 ვიტამინი + 12 მინერალი
მწარმოებელი: როტენდორფ ფარმა გმბჰ (გერმანია)
ბაიერ კონსუმერ ქეარ აგ (შვეიცარია)

BAYER
ბაიერი
150 წელი
მეცნიერება უკეთესი ცხოვრებისათვის

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

■ საძინებელი

„თითოეული ნივთი ჩემი ცხოვრების ჰაღაც ეტაპს მახსენებს. ზოგი მშრალ ხიდზე მაქვს ნაყიდი, ზოგი საჩუქარია, ზოგი დეპრესიულ განწყობაზეა ნაყიდი და ამას რომ ვიხსენებ, ეგეც სასიამოვნოა".

■ მოლოტოვის ქალიშვილის ნაჩუქარი ჩაის სერვიზი

■ სააბაზანო

ანუ სურათი კედლის ნაწილია. როცა ასე გაკეთება განვსაზღვრე, სხვა ფერის კედელი უკვე გამოირიცხა. მეორე ბინაც სწორედ ასეთ ფერებში მაქვს გაკეთებული, ოღონდ იქ სულ შავ-თეთრი ნახატებია.

— სამზარეულო რა პრინციპით მოაწყეთ?

— ძალიან მიყვარს ქვა, კაფელს კი ვერ ვიტან. კაფელი სამზარეულოს აბაზანას ამსგავსებს, სითბოს აკლებს. ქვა სრულიად სხვაა, ის ბუნებასთან ახლოსაა, ძალიან თბილი, ყოფითია. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ სახლის დიზაინში ქვის გამოყენებას. სამზარეულოს კარადა აბსოლუტურად ჩვეულებრივია, ჩემი ხელით შევლებე. არის რაღაცეები, რაც თვითონ ვერ გავაკეთე და ბექა დამეხმარა, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ „გიფსოკარდონის" გაკეთება თავისუფლად შემიძლია. ის კუთხე, რომელიც მისაღებშია და ზედ ფოტოების ჩარჩოები და ბალიშები ალაგია, „გიფსოკარდონია". ძნელი წარმოსადგენია ამ კუთხეში ტელევიზორის მაგიდა ან სხვა რამ, რადგან დიდ ადგილს წამართმევს, აქ სხვადასხვანაირ ბალიშებს დავამატებ. ჩემი შვილიშვილი, ნინა (თიკა ჯამბურიას და ბექა ხოფერიას შვილი. ავტ.), ამ ადგილზე გიჟდება. აქ რომ მოდის, წვება და ამბობს, დამაფარე, ეს ჩემი საწოლიაო. ნინასთვის გამოყოფილი კუთხეა.

— ჭაღები საკმაოდ ძველებური ჩანს.

— ანტიკვარი არ არის, მაგრამ დაახლოებით 60 წლის წინანდელია.

— ამ ყველაფრის გაკეთებაში დიზაინერის რჩევები დაგჭირდათ?

— გემოვნებასთან დაკავშირებით არავინ მაძლევს რჩევებს. არავის აზრს არ ვითვალისწინებ, გარდა იმ პიროვნებისა, ვინც ჩემთან ერთად საღებავებზე მუშაობს. მასთან ფერებს ვათანხმებ ხოლმე.

„აბაზანამ სიცივის შეგრძნება არ უნდა დაგიტოვოს, ჯაფეღით არ უნდა გააცივო. იქ ისე უნდა შეღიოდე, როგორც შენი ბინის ნანილში, ჰადგან აბაზანაში ჩვენი ცხოვრების ძაღიან დიდ ნანილს ვატარებთ. მინდოდა, აბაზანა სახლის გაგრძეღება ყოფილიყო".

— ფოტოებიც ძალიან გეყვარებიათ.

— ძალიან! ამ ორიგინალურ ჩარჩოებში საკმაოდ დიდი თანხა მაქვს გადახდილი. მათში არასოდეს მენანება ფული. ზოგი აქ არის ნაყიდი და ზოგი — უცხოეთში. ასევე ძალიან მიყვარს ლარნაკის დასაფენები. მისაღების მაგიდაზე რომ მოქარგული დასაფენია, ჩინეთიდან ჩამოვიტანე. საფრანგეთში, რუსეთში ამის საოცარი კულტურა აქვთ. ყოველთვის მიყვარდა ასეთი პატარ-პატარა რაღაცეების ყიდვა.

ჩემი დიდი ბინა რომ გავყიდე, ნივთები ყუთებში მელაგა. ამ სახლისთვის რომ ამოვალაგე, მივხვდი, რამდენი კარგი რამ მქონია. თითოეული ნივთი ჩემი ცხოვრების რაღაც ეტაპს მახსენებს. ზოგი მშრალ ხიდზე მაქვს ნაყიდი, ზოგი საჩუქარია, ზოგი დეპრესიულ განწყობაზეა ნაყიდი და ამას რომ ვიხსენებ, ეგეც სასიამოვნოა. არ მესმის იმ ქალების, ვისაც სახლისთვის საჭირო ნივთების ყიდვა არ უყვართ. არიან ქალები, ვისაც ურჩევნიათ ტანსაცმლის, კოსმეტიკის ყიდვა. რაც მაქვს, არამხოლოდ ჩემი შენაძენია, დედამთილის დატოვებული ანტიკვარი მაქვს, დედამაც ბევრი რამ დამიტოვა.

— ყველაზე საყვარელი ნივთების ისტორიები შეგიძლიათ ჩვენც მოგვიყვეთ?

— ძმები კორნილოვების ჩაის სერვიზი მამამთილ-დედამთილმა დამიტოვეს. საბჭოთა კავშირის ცკ-ში იყო ძალიან ძლიერი პიროვნება — მოლოტოვი. მოლოტოვის ქალიშვილი ჩემი მამამთილის მეჯვარე იყო და სერვიზი მან აჩუქა. საკმაოდ ძვირფასი სერვიზია, ჩემთვის კი განსაკუთრებულად ღირებულია, რადგან საინტერესო ისტორია აქვს და მეორეც, ეს არის ის სერვიზი, რომელიც ჩემს შვილიშვილებში უნდა განაწილდეს. ნინას, ნიკოლოზს და ლუკას უნდა დავუტოვო.

— თქვენი პორტრეტის ისტორია როგორია და მას ვის დაუტოვებთ?

— ეს ოლეგ ტიმჩენკოს ნახატია და მას უფროს შვილიშვილს, ლუკას ვუტოვებ. ჩემი შვილიშვილი, ნინა, გარდა იმისა, რომ ჩემს სახელს ატარებს (ქალბატონი ხათუნას ოფიციალური სახელი ნინაა), ჩემი ყოფილი ქმრის ბებიის, ნინა ხოფერიას მოსახელეცაა. დიდი ნინას დატოვებული ძველთაძველი ხის ჩინური თეფში თავისი დასადგმელებით ნინას ვაჩუქე და თიკას სახლშია. სურათებიც განაწილებული მაქვს, შვილიშვილებმა იციან, ვისი რა არის. ნინას წაღებული აქვს დაახლოებით 22 ნახატი, დანარჩენი სურათები, რაც აქ და წყნეთის მეორე სახლშია, ნიკოლოზის და ლუკასია. თუ კიდევ შემომემატებიან შვილიშვილები, მათზე მერე ვიზრუნებ, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაფერი ჩემს სამ შვილიშვილს ეკუთვნის.

ძალიან მინდა, ნინა ხოფერიას მიერ დაწერილი „საოჯახო წიგნი" გამოვცე, რომ ბავშვებს დიდი ბებიისგან სახსოვრად ჰქონდეთ. არ მინდა, დაიკარგოს, რადგან ძალიან ძლიერი პიროვნება იყო. მომავალ წელს ამას თავს აუცილებლად მოვაბამ.

12 კაციანი მოოქროვილი სერვიზიც ანტიკვარია. ძალიან მაღალხარისხიანი, ხელით მოხატულია. მას განსაკუთრებულად ვუფრთხილდები, მაგრამ ჩემს თავს დავდე პატივი და ვიყენებ. ვფიქრობ, იმდენი დავიმსახურე, რომ მეც და ჩემმა ახლობლებმაც ამ სერვიზიდან მივირთვათ.

✓ ქეთი დინოშვილი

შვეიცარული გლუკომეტრი 29ლარი!
ქოლესტერინის აპარატი 40 ლარი!

ვცვლით ძველ აპარატებს ახალზე 15 ლარის დამატებით!!!

აკონტროლეთ თქვენი ჯამრთელობა!
უარი უთხარით მიოკარდიუმის ინფარქტს და ათეროსკლეროზს!
გაიზომეთ დამოუკიდებლად ქოლესტერინი და გლუკოზა!

მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)
ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge

ბექა ჩხაიძე: „ეგვიპტეში ექვსჯერ ვიყავი და პირამიდები არ მინახავს“

„კახეთში ქეიფს, კახურ იუმორს, რთველსა და „ზავოდობას“ რამე შეედრება?“

ყვარტეტ „ალილოს“ წევრის, მომღერალ ბექა ჩხაიძისთვის მოგზაურობა ქართული ღვინისა და გიტარის გარეშე წარმოუდგენელია. მისთვის ნებისმიერი ვოიაჟი ქეიფით იწყება და მთავრდება. გამოგვიტყდა, რომ ქეიფს გადაყოლილი, უცხო ქვეყნის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას ნაკლებად ახერხებს და ამ საკითხში საკმაოდ ზარმაციცაა. სამაგიეროდ კლუბების მონახულება, გართობა და შოპინგი არასოდეს ავიწყდება. დათუნა სირბილაძე და ლევან როსტოშვილი ის ადამიანები არიან, ვის კომპანიაშიც ყოველთვის სიამოვნებით ატარებს დროს. ამ სამეულისთვის საქართველოში მოგზაურობაც არანაკლებ საყვარელი საქმიანობაა, მით უმეტეს, თუ კახეთში ღამისთევით მიდის სანადიროდ.

იანვარში ბექა ამერიკაში გეგმავს წასვლას, სადაც ჯერ არ უმოგზაურია და ძალიან აინტერესებს, იმ „სამყაროდან“ რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდება.

— ბექა, გიყვართ მოგზაურობა?

— მოგზაურობა ძალიან მიყვარს. მარტო წასვლა არსად მიწევს, კვარტეტ „ალილოსთან“ ან მეგობრებთან ერთად ვმოგზაურობ და ორივე შემთხვევაში დიდ სიამოვნებას ვიღებ. 2005-2007 წლამდე მოსკოვში ხშირად დავდიოდით. მართლა დაუვიწყარი წლები იყო. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტიც გავმართეთ და, სხვათა შორის, დიდი წარმატებით.

— რითი იყო ეს წლები მოგზაურობის მხრივ გამორჩეული?

— მომღერლებთან ერთად სადაც უნდა იყო, ის ვოიაჟი უკვე გამორჩეულია. მოსკოვში ჩვენი მეგობრები, წარმატებული ბიზნესმენები გვხვდებოდნენ და, ხომ წარმოგიდგენიათ, იქ

„ამსტერდამში სიგარეტში გადახვეული მარიხუანა მოგვიტანეს. გურამ თამაზაშვილი ვერ მიხვდა, რა იყო და მონია. ცხონებული სიცილისმომგვრელი მარიხუანა შეხვედრია და გათენებამდე იმდენი იცინა, კაცს ნნევამ აუნია“.

„ოტელიდამიდან ისეთი მუხტით დავბრუნდით... იქ მცხოვრებ ქართველებს ალბათ 30 წლის სიცოცხლე მაინც ვაჩუქეთ. წლების განმავლობაში საქართველო რომ არ აქვთ ნანახი, „მრავალჟამიერს“ რომ უმღერეს და ქართულად იქეიფეს, მათთვის ეთი ჰამედ ღიჰს“.

რა მოხდებოდა. კონცერტი, სიმღერა, აღფრთოვანებული რუსები... მახსოვს, რესტორანში ვქეიფობდით, დავთვერით და დავიწყეთ სიმღერა. გვერდით მაგიდასთან კოსტიუმიანი ტიპები ისხდნენ და ქეიფობდნენ, ერთ-ერთმა დაგვიძახა, მოგვეფერა, ქართველი ძმაკაცები მყავსო. შემდეგ, როცა ეს ადამიანი მოკლეს, გავიგეთ, რომ ცნობილი კრიმინალი ყოფილა.

იმ წლებში მოგზაურობა ხშირად გვიწევდა. ტაშკენტშიც ვიყავით, სადაც საქართველოს დღეები გაიმართა და ვიმღერეთ. ბიზნესმენი დიტო აბდუშელიშვილი წლებია, იქ ცხოვრობს, თავზე გვევლებოდა. 7 წლის განმავლობაში წვეთი სასმელი არ ჰქონდა დალეული, მაგრამ რესტორანში რომ წაგვიყვანა და „მრავალჟამიერი“ დავაგუგუნეთ, ღვინო დიდი ჭიქით შესვა. ის ერთი კვირა არ გამოვფხიზლებულვართ.

მოკლედ რომ გითხრათ, ჩვენი მოგზაურობა ქეიფით იწყება და მთავრდება. აქედან აუცილებლად მიგვაქვს ქართული ღვინო და გიტარა, დანარჩენს იქ ვაგრძელებთ, სადაც ჩავდივართ.

— რუსეთის გარდა კიდევ სად იმოგზაურეთ?

— 2007 წელს ამსტერდამში ვიყავით. იქაც სოლო კონცერტი გავმართეთ. მაშინ ჩვენი ანსამბლის ხელმძღვანელი ცხონებული გურამ თამაზაშვილი იყო. იქ ხომ მარიხუანა ლეგალიზებულია. დავსხედით და მოგვიტანეს სიგარეტში გადახვეული მარიხუანა. გურამი ვერ მიხვდა, რა იყო, არც მიაქცია ყურადღება და მოწია. ცხონებულს სიცილისმომგვრელი მარიხუანა შეხვედრია და გათენებამდე იმდენი იცინა, კაცს ნნევამ აუწია. აბაზანაში შევიდა და საპონს პერანგის ზემოდან ისვამდა. ბოლოს ვიღაცამ გვასწავლა, არაყი დაალევინეთ, სიმთვრალეში გადავა და დამშვიდდებაო. კაცი სიცილისგან გალურჯდა, ძლივს მოვაბრუნეთ. მის სიცილზე ჩვენც ვიხოცებოდით სიცილით.

— თქვენ რით ერთობოდით ამსტერდამში?

— ჩემი გასართობი მხოლოდ და მხოლოდ ალკოჰოლია — ღვინო, არაყი და ვისკი. ამსტერდამშიც ვიყავით და როტერდამშიც. მონატრებულ ქართველებს ჩავეხუტეთ. ყველას სახლში სუფრა იყო გაშლილი და ყველა აცრემლებული თვალებით გვეხვეწებოდა, ჩემთან წამოდითო. იქიდან ისეთი მუხტით დავბრუნდით... იქ მცხოვრებ ქართველებს ალბათ 30 წლის სიცოცხლე მაინც ვაჩუქეთ. წლების განმავლობაში საქართველო რომ არ აქვთ ნანახი, „მრავალჟამიერს“ რომ უმღერეს და ქართულად იქეიფეს, მათთვის ერთ რამედ ღირს.

— უცხო ქალაქში კლუბებს ხშირად სტუმრობთ?

— ღამის კლუბებში მშვენივრად ვერთობი საზღვარგარეთაც და აქაც. ამსტერდამში რაღაც სასწაულ კლუბში მოვხვდი! ოთხსართულიანი იყო. ყველა სართულზე სხვადასხვა სამყარო და „გულაობა“ მიდიოდა. ამ დროს ალკოჰოლს ვსვამ და კარგადაც ვერთობი.

— ქალაქის დათვალიერებას რა დროს უთმობთ?

— დიდად მოძრავი არ გახლავართ. ეგვიპტეში ექვსჯერ ვიყავი და პირამიდები არ მინახავს. ექსკურსიებზე სიარული მეზარება. იქ მეგობრებთან ერთად დასასვენებლად ვიყავი. კაცმა ღირსშესანიშნაობები რომ არ ნახო, სირცხვილია, მაგრამ ამ საკითხში ზარმაცი ვარ. როცა დასასვენებლად მივდივარ, აუზი, ზღვა, ვისკი და მეგობრები ჩემთვის ყველაზე დიდი კომფორტია. როცა აქ სიცივეა, 3 საათში ეგვიპტის 38 გრადუსიან სიცხეში შეგიძლია აღმოჩნდე. ჩემი ჭკუის მეგობრებიც მყავს. როცა სხვები დასათვალიერებლად გადიოდნენ, ისინი ჩემთან რჩებოდნენ. ეგვიპტე ჩემთვის ამითაა გამორჩეული. სხვათა შორის, იქ კარგი კლუბებიც ვნახე.

— ვინ არიან თქვენი ჭკუის მეგობრები?

— დათუნა სირბილაძესთან და როსტოსთან (ლევან როსტოშვილი. ავტ.) ერთად მოგზაურობა ძალიან მიყვარს. ზუსტად ერთი ჭკუის ვართ! სამივე დალევის „სასტავი“ ვართ და სხვა არაფერი გვაინტერესებს. თუ მივდივართ, ერთად მივდივართ, თუ არა და, სამივე სასტუმროში ვრჩებით. პირველად ეგვიპტეში სწორედ მათთან ერთად გახლდით. თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოში მოგზაურობის დროსაც არანაკლებ დროს ვატარებთ.

— საქართველოს კუთხეებიდან სად ხართ ნამყოფი?

— სად აღარ! შემიძლია საქართველოში უკეთესი დრო ვატარო, ვიდრე საზღვარგარეთ. კახეთში ქეიფს, კახურ იუმორს, რთველსა და „ზავოდობას“ რამე შეედრება?! როსტო

■ მარცხნიდან: ბექა ჩხაიძე, ლევან როსტოშვილი და დათუნა სირბილაძე სანადიროდ კახეთში

გურჯაანელია, გენიალური ოჯახი აქვს. მამამისი კარგი მონადირეა. იქ ხშირად ჩავდივართ სანადიროდ, რაც ჩემთვის მოგზაურობაცაა და გართობაც. ერთი დიდი სატვირთო მანქანით მივდივართ ხოლმე, ყველაფერი მიგვაქვს, ღამით საძილე ტომრებში გვძინავს, ვქეიფობთ და არნახულ დროს ვატარებთ. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, ეს რა მაგარია! ალაზანზე სათევზაოდაც დავდივართ და სანადიროდ ლაგოდეხის ნაკრძალსაც ხშირად ვსტუმრობთ.

→44

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

■ „ალილო“ სტამბულში

— საქართველოში ალბათ ბევრ კონცერტს მართავთ. რით განსხვავდება ქართველი მსმენელი უცხოელისგან?

— ქართველი მსმენელი ძალიან კრიტიკულია. მაგალითად, იმერეთში თუ სიმღერა არ მოეწონათ, ტაშს არავინ დაგიკრავთ. უფალს მადლობა, ასეთი შემთხვევა არ გვქონია. გურულ მსმენელსაც ვერაფერს გამოაპარებ, თუ რამე შეგეშალა, ტაშს ხათრის გამო არ დაგიკრავენ. რუსეთს ძალიან ემოციური მსმენელი ჰყავს. კულისებში გამოდიოდნენ და ტიროდნენ. ზოგს მამა ჰყავდა ქართველი და ზოგსაც ცოლი.

— რომელიმე უცხო ენა იცით?

— რუსულად ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, მიჭირს. ძირითადად მეგობრებთან ერთად გავდივარ ხოლმე და ამ მხრივ პრობლემები არ

„მოსკოვიდან გამობრუნებისას მიშა ცაგარელმა იძახა, ნეგატიური დღეა და ბილეთები გადავცვალოთო, მაგრამ არ დავუჯერეთ და მაინც გამოვფრინდით. თვითმფრინავს თბილისის აეროპორტში დაჯდომა ისე გაუჭირდა... საქართველოს ორი წრე დავარტყით და ძლივს დავჯექით. ჯინაღამ დავიხოცეთ“.

მექმნება. ჩემი „თარჯიმანთა ბიურო“ მშველის. მარტო თითქმის არსად გავდივარ, არ მიყვარს. უცხო ქალაქში ყოველთვის ვიღაც გვხვდება, ასე რომ, დაკარგვითაც არსად დავკარგულვარ. ჩვენი ვოიაჟები ძირითადად კონცერტიდან კონცერტზე წასვლით ან რესტორნებში სიარულით შემოიფარგლება. გასეირნებაც და შოპინგიც დაგეგმილია ხოლმე და ყოველთვის ვიღაც დაგვყვება.

— გიყვართ შოპინგი?

— ვგიჟები! ეს პროცესი ალბათ ყველაზე მეტად მიყვარს. აქედან რომ მივემგზავრები, ჩემოდნის ჩალაგება კი მიყვარს, მაგრამ იქიდან იმდენი ბარგი მიგროვდება, უკვე მეზარება ჩალაგება. საყიდლებზე სიარული ყველგან მიყვარს, გააჩნია, ჯიბეში როგორ მაქვს საქმე, მაგრამ, რომ ჩავდივართ, ჰონორარიც გვაქვს და შესაბამისად საყიდლებზეც ვახერხებ სიარულს. უამრავი ტანსაცმლის ყიდვა შემიძლია. იტალიაში არ ვყოფილვარ და ვიცი, რომ იქ შოპინგს არაფერი შეედრება. ძირითადად სტამბულით ვკმაყოფილდები. მეგობრებისთვის საჩუქრების ყიდვა მიყვარს. ეკოსთვის (ეკო ფანგანი. ავტ.) საჩუქრები ხშირად მომქონდა. მისთვის რაც კი ტანსაცმელი ჩამომიტანია, ყველაფერი მოსწონებია.

— სტამბულში ხშირად დადიხართ?

— საკმაოდ. სასწაული რესტორნებია თავისი ვერანდებით. ისტორიული ძეგლების მონახულებით დიდად არ ვარ დაკავებული. კლუბებისა და რესტორნების ხშირი სტუმრები ვართ.

— ამდენი ქეიფი და ღამისთევა ხმაზე არ მოქმედებს?

— თუ ასეა, მაშინ ზაფხულში ცივი წყალი არ უნდა დავლიო და ზამთარში შეფუთულმა ვიარო. მე კი ასე ნამდვილად არ ვიქცევი. არც პლაჟს ვერიდები, არც მზეს და სასმელსაც გადასარევად ვირგებ. არ მინდა, რომელიმე მომღერალმა ჩვენგან მაგალითი აიღოს, უბრალოდ სოლო არიებს არ ვმღერი და შესაბამისად, არც ჩემს ხმას სჭირდება განსაკუთრებული მოვლა.

— რადგანაც რესტორნების ხშირი სტუმარი ხართ, უცხო ქვეყნების სამზარეულოზეც მოგვიყვეთ.

— სტამბულში ისეთი თევზის რესტორანია, ვერ გადმოგცემთ, იქ რას როგორ ამზადებენ. ეს რესტორანი ბოსფორის სრუტეს გადაჰყურებს. ზღვის პროდუქტები მიყვარს და იქ ყველანაირი სახის თევზს ამზადებენ. ამსტერდამშიც ბევრი კარგი თევზის რესტორანია. იქიდან თევზეული დიდი ყუთებით გამოგვატანეს, სასწაული სათალი აქვთ. ჩინური სამზარეულოც ძალიან მომწონს, თან არაკალორიულია.

მოგზაურობის დროს წონას ვაკონტროლებ. ცომეულს საერთოდ არ ვეკარები, მით უმეტეს, სხვა ქვეყანაში. თურქული სამზარეულო და ცხვრის ხორცის სუნი არ მიყვარს, მხოლოდ აირანს ვსვამ სიამოვნებით, რომელიც მაწვნისგან მზადდება.

— ასსამბლთან ერთად მოგზაურობა თავგადასავლებით იქნება აღსავსე. გაასხენეთ რომელიმე მათგანი ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის.

— გეთანხმებით, ერთმანეთთან უამრავი თავგადასავალი გვაკავშირებს.

მოსკოვში ვიყავით, საღამოს უნდა გამოვფრენილიყავით, არც ერთს კაპიკი აღარ გვქონდა და ფეხით დავსეირნობდით ბიჭები. ფრენამდე 9 საათი იყო დარჩენილი და არ ვიცოდით, ამდენი დრო უფულოდ როგორ გაგვეყვანა. ამ ნერვიულობაში ვიყავით და ვიღაცამ ქართული აქცენტით დამიძახა, ბექაო. მოვტრიალდი და ჩემი მეგობრის მამა არ შემრჩა?! ეს ადამიანი წლებია იქ ცხოვრობს, საკუთარი ბიზნესი აქვს. ჩავეხუტე და დიდი სითბოთი მოვიკითხე. თავისი ტელეფონის ნომერი მომცა, ხვალ დამირეკე და გნახავთო. დღეს ღამით მივფრინავთ-მეთქი, რომ ვუთხარი, 600 დოლარი ამოიღო და ჯიბეში ჩამიდო, სტუმრები მყავდა და ამაზე მეტი აღარ მაქვს ხელზეო, მითხრა. სადღაც შევძვერით და დარჩენილი დროც გემრიელად გავატარეთ.

— ახლო მომავალში რა გეგმები გაქვთ, სად აპირებთ გამგზავრებას?

— იანვარში კვარტეტი „ალილო“ 2 კვირით ამერიკაში მივდივართ. ნიუ იორკსა და ვაშინგტონში გვაქვს კონცერტები დაგეგმილი. ქართული სათვისტომოდან მოწვევა მივიღეთ და მათთვის კონცერტებს გავმართავთ. ამერიკა ძალიან მაინტერესებს. ჩემი მეგობრები იყვნენ და, რომ ჩამოვიდნენ, შთაბეჭდილებებს ვერ გვიზიარებდნენ, იქ სულ სხვა სამყაროო.

— თვითმფრინავშიც სასმელით იქცევთ თავს თუ სხვა მეთოდს მიმართავთ?

— ფრენის სიყვარულის რა მოგახსენოთ, მაგრამ შიში ნამდვილად არ მაქვს. ავფრინდებით თუ არა, დალევასაც ვიწყებთ. მახსოვს,

„იმერეთში თუ სიმღერა არ მოეწონათ, ტაშს არავინ დაგიკრავთ. გურული მსმენელსაც ვერაფერს გამოაპარებთ, თუ რამე შეგეშალა, ტაშს ხათრის გამო არ დაგიკრავენ“.

მოსკოვში ჩვენი ერთ-ერთი კონცერტი ასტროლოგმა მიშა ცაგარელმა წაიყვანა. უკან გამობრუნებისას იძახა, ნეგატიური დღეა და ბილეთები გადავცვალოთო, მაგრამ არ დავუჯერეთ და მაინც გამოვფრინდით. თვითმფრინავს თბილისის აეროპორტში დაჯდომა ისე გაუჭირდა... საქართველოს ორი წრე დავარტყით და ძლივს დავჯექით. კინაღამ დავიხოცეთ. დაგვეჯერებინა, მიშა, შენთვის-თქო, ყველა ამას ვამბობდით.

✓ სოფიო ბოჭორიძე

კარლოვი ვარი — კურორტი, სადაც ფულის დახარჯვა არ გეშინებათ

ჩეხეთის ყველაზე დიდი და ცნობილი საკურორტო ქალაქი, კარლოვი ვარი, დასავლეთ ბოჰემიაში, მდინარე ტეპლის შესართავთან მდებარეობს. ქალაქი განთქმულია თავისი მრავალრიცხოვანი თერმული წყაროებით. ის მე-14 საუკუნეში მეფე კარლ მეექვსემ დააარსა და ქალაქს სახელი სწორედ მის პატივსაცემად დაერქვა.

კარლოვი ვარი მე-19 საუკუნეში მნიშვნელოვან საკურორტო ზონად გადაიქცა, სადაც მრავალი სანატორიუმი და სასტუმრო აშენდა. არაერთი სახელგანთქმული ადამიანი სტუმრობდა ქალაქს სხვადასხვა დროს — ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, ფრედერიკ შოპენი, იოჰანეს ბრამსი, გოეთე, ფრიდრიხ შილერი და ა.შ.

Cyan Magenta Yellow Black

■ კარლოვი ვარის პანორამა

■ კარლოვი ვარის ქუჩებში

ჯიმატი

კარლოვი ვარისათვის ზომიერად ნოტიო ჰავაა დამახასიათებელი. ზაფხული თბილია, ამ დროს ჰაერის საშუალო ტემპერატურა 18 გრადუსია. ზამთარი კი ცივი და სუსხიანია. ამ პერიოდში ტემპერატურა -2 გრადუსამდე ეცემა.

წელიწადის ნებისმიერ დროს ქალაქში ხშირია წვიმები, თოვლი კი იშვიათად მოდის და ძალიან მალე დნება.

ფული

კარლოვი ვარიში მიმოქცევაშია ჩეხური კრონა. 1 კრონა 100 ჰელერისაგან შედგება. 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კრონა ჩეხურმა კრონამ ჩაანაცვლა. ამერიკული დოლარით ან ევროთი სარგებლობას საკურორტო ქალაქში ჩვეულებრივ შეძლებთ და არც გადახურდავება წარმოადგენს პრობლემას.

ქალაქში საკვები საკმაოდ ძვირია, რომ აღარაფერი ვთქვათ წყალზე. ერთი ნაჭერი პურის ფასი 15 კრონაა, ხოლო რესტორანში თუ წყალს მოითხოვთ, სულ მცირე, 30 კრონა გათვალისწინებული უნდა გქონდეთ. ამ საკურორტო ქალაქში 10 დღიანი დასვენება, სულ მცირე, 1500 ევრო დაგიჯდებათ, თუმცა, როგორც ამბობენ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დახარჯული ფული არ დაგენანებათ.

ენა

კარლოვი ვარის სახელმწიფო ენა ჩეხურია, რომელიც ინდოევროპული ოჯახის სლავურ ჯგუფს მიეკუთვნება. 1993 წელს ქვეყნის ორ დამოუკიდებელ რესპუბლიკად, ჩეხეთად და სლოვაკეთად გაყოფამ ენებზე უდიდესი გავლენა იქონია, თუმცა ორივე რესპუბლიკამ ერთმანეთის ენები კარგად იცის.

სლოვაკეთში მოსახლეობა გაცილებით კარგად ფლობს ჩეხურს, ვიდრე ჩეხები სლოვაკურს. ეს ორი ენა ერთმანეთს საოცრად ჰგავს. გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქი ტურიზმის ხარჯზეა აყვავებული, ინგლისურით თავს უპრობლემოდ გაიტანთ. ტურისტულ ადგილებში ინგლისურის შემდეგ გერმანული ყველაზე პოპულარულია.

გადაადგილება

საერთაშორისო აეროპორტი კარლოვი ვარიდან 6 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. პრაღიდან კარლოვი ვარიში გადაფრენა დაახლოებით 70 ევრო დაგიჯდებათ. რაც შეეხება სახმელეთო ტრანსპორტს, შეგიძლიათ აირჩიოთ ავტომობილი, ავტობუსი ან მატარებელი. მატარებლით მგზავრობა ყველაზე კომფორტული და იაფია. პრაღიდან კარლოვი ვარამდე ავტობუსით მატარებელზე ერთი საათით ადრე, ზუსტად 2 საათში მოხვდებით და 160 კრონა დაგიჯდებათ.

რაც შეეხება ქალაქის შიდა გადაადგილებას, ყველაზე კომფორტული და მოსახერხებელი მოტოციკლი ან ველოსიპედია, რომელთა დაქირავება ყოველ ნაბიჯზე განთავსებულ სააგენტოებში მიზერულ ფასად შეგიძლიათ.

სამზარეულო

ჩეხურ სამზარეულოს საკმაოდ მდიდარი წარსული აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ის ავსტრიული, უნგრული და ბავარიული სამზარეულოს ნაზავს წარმოადგენს. ჩეხეთი საქვეყნოდაა აღიარებული ღუდისა და ძეხვეულის წარმოების ტრადიციით. ადგილობრივები კერძებს ყოველთვის იმ პროდუქტებისაგან ამზადებენ, რომელთა შინაურ პირობებში მოყვანა არ გაუჭირდებათ, ამიტომაც პოპულარულია კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, კარტოფილი და სხვა ბოსტნეული. გაითვალისწინეთ, რომ კარლოვი ვარიში ფასტ ფუდი ნაკლებპოპულარულია.

ადგილობრივებს ძალიან უყვართ წვნიანი კერძები. ჩეხური წვნიანების მეფედ ბრამბორაჩკას მოიხსენიებენ, რომელიც კარტოფილით, სტაფილოთი, კომბოსტოთი და სოკოთი მზადდება. ხშირად მას გულამოღებულ პურში ათავსებენ და ისე სთავაზობენ სტუმარს. ბრამბორაჩკას არაფრით ჩამოუვარდება კულაიდა — სოკოს სუპი ნაღებითა და კვერცხით.

ჩეხურ სამზარეულოში ყველაზე ფასეული მაინც ხორცისგან მომზადებული კერძებია. უგემრიელესია შემწვარი ღორის ხორცი კომბოსტოს გარნირით. გულიაში კი ეროვნულ სიამაყედ ითვლება. ეს გახლავთ ხორცის წვნიანი, რომელიც შესქელებულია ფქვილით და დამატებული აქვს ღუდი.

ჩეხები სოკოს ღარიბების ხორცს უწოდებენ, მიუხედავად ამისა, მას ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. აღსანიშნავია სოკოს გულიაში, ღვეზელები და სოუსი.

რაც შეეხება სასმელს, ჩაი და ყავა ერთნაირად პოპულარულია, ხოლო ალკოჰოლიდან პირველ ადგილზეა სამკურნალო ლიქიორი „ბეხეროვკა“.

ღირსშესანიშნაობები

ევროპის უძველესი, პოპულარული კურორტი გარშემორტყმულია ულამაზესი მთებით. კარლოვი ვარი რომანტიკული არქიტექტურის ქალაქია. ეს არის საკმაოდ მყუდრო დასასვენებელი ადგილი, სადაც შეგიძლიათ ბევრი ისეირნოთ. გარდა ამისა, კინოფესტივალების, კონგრესების, საზოგადოებრივი შეხვედრების, სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქიცაა.

კარლოვი ვარიში მიწიდან მოედინება 12 ბუნებრივი წყარო, რომელთაც სამკურნალო დანიშნულება აქვთ. ქალაქი ასევე ცნობილია მთელ მსოფლიოში განთქმული ფაიფურის, ბროლის და მინის ნაკეთობებით, კარლოვი ვარის ორიგინალური ვაფლით, სამკურნალო კოსმეტიკითა და უნიკალური მარილით, თუმცა არ გეგონოთ, რომ ეს ყველაფერი იაფია, პირიქით — საკმაოდ ძვირია.

ბუნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქალაქში ულამაზესი სანატორიუმები, შუა საუკუნეების ელფერის მქონე ქუჩები და ულამაზესი პარკებია, სადაც ლიტერატურული კაფეებია განთავსებული.

უსაფრთხოების წესები

კარლოვი ვარიში ჩასვლა, ამერიკის მოქალაქეების გარდა, ვიზის გარეშე შეუძლებელია. კრიმინალური თვალსაზრისით, ქვეყნის სხვა ქალაქებთან შედარებით, საკმაოდ დაცული და უსაფრთხოა. მიუხედავად ამისა, საღამოობით საზოგადოების თავშეყრის ადგილებში სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ. მთავარ საშიშროებას, რა თქმა უნდა, ჯიბის ქურდები წარმოადგენენ.

ადგილობრივები ძალიან მეგობრულები არიან და, თუ დაგიახლოვდნენ, სახლში აუცილებლად მიგიწვევენ, რაზეც უარი არ უნდა უთხრათ, თორემ გაგინაწყენდებიან.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — ჩეხეთის რესპუბლიკა;
ქალაქი — კარლოვი ვარი;
ფართობი — 59,1 კვ.კმ;
ოფიციალური ვალუტა — ჩეხური კრონა;
ოფიციალური ენა — ჩეხური.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

„ძმის ცოლი ჩემი ქმრისგან დაორსულდა“

„აფეთქება“ ოჯახში

ყველა ნორმალური ადამიანი ოჯახს თავის ნავსაყუდელად, მთავარ საუნჯედ მიიჩნევს, სადაც ურთიერთობები წმინდათაწმინდაა, საიდანაც სითბოს, ერთგულებას, სიმყუდროვეს, უანგარო სიყვარულს იღებს და თავადაც იმავეს გასცემს. და რაოდენ სამწუხაროა, როცა ეს წმინდა კერა ღალატით იბღალება. ერთი ხელის მოსმით ყველაფერი ინგრევა, თითქოს ატომური ბომბი აფეთქდაო — ურთიერთობები, ნდობა, მომავლის იმედი, სულიერი სიმშვიდე.

ჩვენს რესპონდენტს, ახალგაზრდა ქალს თინიკოს, გაუგონარი რამ შეემთხვა: სიყვარულით შექმნილი ოჯახი თავზე დაენგრა. საშინელ სიმართლეს, რომელიც შემთხვევით გაიგო, ვერ ამხელს ტრაგედიის დატრიალების შიშით. ნამდვილი ტრაგედია კი მის სულში ხდება. გამწარებულმა ქალმა, რომელსაც თავი ბედნიერი ცოლი ეგონა, არ იცის, რა მოიმოქმედოს... ამ ისტორიაში, ანონიმურობის დაცვის მიზნით, რესპონდენტის ნაამბობში ცალკეული დეტალები შეცვლილია.

თინიკო:

— თავი ბედნიერი ქალი მეგონა. არაჩვეულებრივი ქმარი მყავდა. სიყვარულში, სიმშვიდესა და ჰარმონიაში ვიყავი, მაგრამ ცხოვრება ვერაგი ყოფილა, ბრძოლას გიცხადებს და ყურადღებას თუ მოადუნებ, უსათუოდ გაიწირები.

26 წლის ასაკში გავთხოვდი, ჩემს ქმარს, აკოს, სიყვარულით გავყევი ცოლად. ჩამოყალიბებული და რაფინირებული ახალგაზრდა იყო, ურთიერთობის ხელოვნებას ფლობდა, არავისთან არაფერი ეშლებოდა.

— სად გაიცანით?

— თეატრი ძალიან მიყვარს, სპექტაკლს არ ვტოვებდი. აკოც დადიოდა მეგობრებთან ერთად. სპექტაკლებზე იმდენჯერ შევხვდით ერთმანეთს, რომ მისალმების ნიშნად ვუღიმოდით, თუმცა არ ვიცნობდით. ერთხელაც ჩემ გვერდით აღმოჩნდა — შემთხვევით ხომ არაფერი ხდება. გაცნობისთანავე მომხიბლა და მიმიზიდა. თავადაც იგივე იგრძნო. მოგვეჩვენა, რომ ერთმანეთისთვის ვიყავით დაბადებული და მალევე დავახლოვდით. ცოტა ხანში თავის წრეში საცოლედ მაღიარა... ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, დაფიქრება ვერც მოვასწარი.

— მისი მშობლები და ოჯახის წევრები მოულოდნელ სარძლოს როგორ შეგხვდნენ?

— აკოს მშობლები და და-ძმა დიდი ხანია უცხოეთში ცხოვრობენ. თავად ბავშვობაში ქვეყნის დატოვება არ ინება და თბილისში დარჩა, ბებომ გაზარდა. მშობლებთან არდადეგებზე ჩადიოდა. უმაღლესი კი უცხოეთში დაამთავრა, საქართველოში დაბრუნდა, თბილისს ვერ შეელია. ჯვრისწერის შემდეგ აკომ ბებოსთან სახლში მიმიყვანა — შესანიშნავი ქალბატონი გახლდათ, ანიკო ერქვა (მის პატივსაცემად ჩემს შვილს ანა დავარქვი). ოჯახის სული და გული იყო, არისტოკრატული და პეწიანი, დილიდან საღამომდე შრომობდა, ბინას აწკრიალებდა, თავს არ ზოგავდა. შვილების მოვლაშიც მეხმარებოდა. მის მიმართ დიდი პატივისცემა და მოკრძალება მქონდა. მე და აკო ვმუშაობდით, ოჯახი კი ანიკო ბებოს იმედად იყო.

— თქვენს მშობლებსა და ოჯახის წევრებზეც გვიამბეთ.

— ჩემი მშობლები, სამწუხაროდ, ცოცხლები აღარ არიან. თბილისში ცხოვრობდნენ. ჩემს ძმაზე იყვნენ თავგადაკლული, მე იმდენ ყურადღებას ვეღარ მაქცევდნენ, თუმცა არც მწყინდა და არც ვითხოვდი — ანიკო ბებო საჭიროებისამებრ ყველაფერს მიკეთებდა.

ჩემი ძმა, თემო, ცოტა პრობლემური იყო, მშობლებს „სიურპრიზებს“ უწყობდა, ხშირად აბრაზებდა. ცოლიც მოულოდნელად შეირთო — 18 წლის მელანო, თავად 21-ის გახლდათ. მელანო სოფლიდან იყო. თემოს ძმაკაცმა იქაური გოგო ითხოვა და ქორწილი სოფელში გადაიხადეს. თემო მეჯვარედ

„ჩემი ძმა აღარ მელაპარაკება, თითქოს მის წინაშე უპატიებელი დანაშაული ჩამედინოს. მთელი ის სიკეთე, ჩასაც ნლობით მათთვის ვაკეთებდი, ნყალში ჩამეყარა“.

წაიყვანა. სუფრასთან გაიცნო მელანო — გოგომ „განდაგანა“ იცეკვა, მოეწონა და ერთ კვირაში თბილისში ჩამოგვიყვანა, ჩემი ცოლიაო.

— ასე სპონტანურად შექმნილმა ოჯახმა გაამართლა?

— ჩემი მშობლები ძალიან უწყობდნენ ხელს. მელანო ჯიშიანი ქალი გამოდგა, ზედიზედ სამი შვილი გააჩინა. თემო სულ თავგადასავლების ძიებაში იყო, ცოლ-შვილი მალე მობეზრდა და გარე-გარე დაიწყო სირბილი. სამსახურიდან სულ სადღაც მიდიოდა და გვიან ღამით ბრუნდებოდა. დედაჩემმა რძალი შვილიშვილებთან ერთად გამოზარდა, გამოთალა, თბილისური ცხოვრება ასწავლა. მელანო ისეთი ქალი დადგა, რომ იტყვიან, ავ თვალს არ ენახვებოდა, ჩემს ძმას კი გული ჰქონდა მასზე აყრილი, ზედაც არ უყურებდა. დედაჩემს ეცოდებოდა რძალი და ძალიან ეხმარებოდა, ჩიტის რძეს არ აკლებდა.

— მელანო თუ ემადლიერებოდა და უფასოდ დედამთილს ამაგს?

— დედა რომ შეუძლოდ გახდა და ჩავარდა, ნაქებმა რძალმა არც მიხედა. მე გადმომაბარა, სამი შვილი მყავს მოსავლელი და დედაშენს მიხედეო. დედა გაჭირვეულდა და სახლში არ წამომყვა, ასე რომ, ორ ოჯახშუა ვიყავი გადებული. ძალიან ვწვალობდი. არაფერს ვჩიოდი, ნეტა, დედას გადარჩენა შემძლებოდა.

ექიმების თქმით, მისთვის აუცილებელი იყო მშვიდი გარემო, რაც ოჯახში, ჩემი ძმის გადამკიდე, ვერ ექნებოდა. თემო გამუდმებით უქმნიდა პრობლემებს, რძალი ჩხაოდა, ბავშვები ჭიჭყინებდნენ... ის კი არა და, მელანომ იმ უდროო დროს რემონტი წამოიწყო. ძალიან წამხედური იყო, სხვას თუ რამე ახალს დაუნახავდა, თავს მოიკლავდა, სანამ თვითონ არ შეიძენდა — ეს ყველაფერი კი მამამთილის ფულებით ხდებოდა, რადგან მის ქმარს თავისი შემოსავალი შინ არ მოჰქონდა. იმხანად მეზობელმა ბინა გაარემონტა და მელანომაც დაიჟინა, ჩვენც გავახლოთ ბინა, ამ ნაგავსა და სიძველეებში როდემდე ვიცხოვროთო (დაავიწყდა, სად გაიზარდა, სოფელში მის ოჯახს ძღივს გაჰქონდა თავი, მამაჩემი ეხმარებოდა). კანში ვერ ეტეოდა, ყველაფერი საუკეთესო და ძვირფასი უნდოდა. ისე იქცეოდა, თითქოს პარიზიდან იყო, სოფლიდან კი არა.

დედა ისე გარდაიცვალა, რემონტის დამთავრებაც ვერ მოასწრეს. მამამ ცოლის დაღუპვა ძალიან განიცადა და თვალსა და ხელშუა გაიღია. დედაჩემის წლისთავზე გული გაუსკდა. ორმოცზე ანიკო ბებოც მიჰყვა, რომ იტყვიან, სიკვდილმა ჩვენი ოჯახებისთვის მოიცალა...

ჩემი ძმა მშობლების სიკვდილში თავს იდანაშაულებდა და დარდისგან სმას მიეძალა. ცოტაც და, გალოთდებოდა. გადასხმები გაუკეთეს და მოკეთდა. მერე გულის გადასაყოლებლად კაზინოს ხშირი სტუმარიც გახდა. ამას რა შედეგი მოჰყვებოდა, მოგეხსენებათ. ყველაფერი დაკარგა, რაც კი ებადათ, უბინაოდ დარჩნენ. მეც უმუშევარი დავრჩი და ვეღარ ვეხმარებოდი.

— ბინადაკარგული ოჯახი რა გზას დაადგა?

— ჩემი ქმარი ძალიან კეთილი კაცია, მაშინვე შემომთავაზა, სანამ გზას ეწევიან, ჩემი მშობლების ბინა დავუთმოთო (ჩვენ ანიკო ბებოს სახლში ვცხოვრობდით). თემოს ოჯახი შევიკედლეთ. წელიწადნახევრის შემდეგ ჩემს მაზლიშვილს დასჭირდა ბინა, უცხოეთიდან ჩამოვიდა ცოლ-შვილთან ერთად. თემოს და მელანოს ქირით გასვლა არც უფიქრიათ. იმედოვნებდნენ, რომ იმ ბინიდან არავინ გაყრიდა. უხერხული სიტუაცია შეიქმნა. აკოს მოერიდა, ერთი მხრივ, ძმისშვილის და, მეორე მხრივ, ცოლისძმის, რომელსაც კვლავ ქუჩაში მოუწევდა ყოფნა და თემოს შესთავაზა, ჩემს სახლში გადმოდით, რამენაირად ერთად ვიცხოვროთო.

Cyan Magenta Yellow Black

— თქვენს ბინაში ორი ოჯახი ეტეოდით?

— ეს ორი ოჯახი ერთად ცხრა სულს შეადგენდა — ოთხი უფროსი და ხუთი ბავშვი. სულ ოთხი საცხოვრებელი ოთახი და ერთი დიდი ლოჯია გვქონდა. როგორღაც მოვთავსდით, მაგრამ საღამოობით, ყველა ერთად რომ შეიყრებოდა, შინ გაჩერება აღარ ღირდა. ისეთი ყაყანი იყო, ყურსაცობიც ვერაფერს გიშველიდა. ჩემს ქმარს თავად რომ არ შეეთავაზებინა თემოსთვის ჩვენთან გადმოსვლა, ამას არ გავაკეთებინებდი. მერჩივნა, ბინის ქირაში დავხმარებოდით და ცალკე ყოფილიყვნენ.

ჩემი შვილები და უფროსი ძმისშვილი სკოლის მოსწავლეები იყვნენ, ბოლო ორი კი ბაღში დადიოდა. ყველა ხარჯი მე და ჩემს ქმარს დაგვაწვა კისერზე. თემოს თავისი ცოლ-შვილი არ ენაღვლებოდა და ჩვენზე იდარდებდა? მელანოსთან მთელი დღე სახლში ყოფნა, სამზარეულოში ფუსფუსი და გაუთავებელი წუწუნის მოსმენა ჩემთვის აუტანელი იყო. მისი მანერები ძალიან მაღიზიანებდა. იმისთვის, რომ ამ ჯოჯოხეთისთვის თავი დამეღწია, კიდევ იმიტომ, რომ ქმარს ფინანსურად დავხმარებოდი, მუშაობა დავიწყე. ჩემი შვილები დამოუკიდებლები იყვნენ და თავს მიხედავდნენ — ამით მშვიდად ვიყავი.

— სამსახურში გასვლამ რაიმე შეცვლა მოგვარათ?

— თითქოს ყველაფერი დალაგდა. მელანოს მარტო ყოფნა მოუხდა, დამშვიდდა, დაწყნარდა, გალაღდა. მზარეულის და დიასახლისის ამპლუა მშვენივრად მოირგო. რაც მთავარია, მის წუწუნს აღარ ვისმენდი — უბრალოდ აღარც წუწუნებდა. ვცდილობდი, ყველაფერი გულის იქით გამეტარებინა და ნერვებს მოვფრთხილებოდი. მერე რაღაცნაირად ინერტული გავხდი — თითქოს ბევრი რამ სულ ერთი გახდა ჩემთვის.

— ერთად ცხოვრება რამდენ ხანს მოგიწიათ?

— სამი წელი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ცხოვრებაში ძირეული ძვრები მოხდა — სამწუხაროდ, მე ქმარი დავკარგე, მელანო კი...

— ვხედავ, გიჭირთ ამ თემაზე საუბარი, მაგრამ თან გულის გადაშლაც გინდათ. მელანოს თავს რამ მოხდა?

— ჩემი ქმრისგან დაფეხმძიმდა.

— ?!

— როგორც ჩანს, შინ მარტო დარჩენილმა მელანომ დრო არ დაკარგა. აკოს შესვენებაზე სჩვეოდა ხოლმე სახლში შემორბენა და, როგორც ჩანს, ჩემი რძალიც სათანადოდ უმასპინძლდებოდა. ცხადია, ყველაფერი სამსახურში ჩემი გასვლის მერე მოხდა. არ ვიცი, ეს როგორ იკადრეს. მელანოსგან არაფერი გამიკვირდება, მაგრამ აკოს საქციელმა ნამდვილად შოკში ჩამაგდო. რაც მოხდა, ჩემს წარმოსახვას აჭარბებს. კაცის პატიოსნებასა და ერთგულებაზე სამუდამოდ შემერყა წარმოდგენა.

— სანამ ფაქტის წინაშე არ დადექით, ქმარს ცვლილებას ვერ ამჩნევდით?

— ბოლო ხანებში აკო აფორიაქებული და გაღიზიანებული იყო. ვერც მე მელაპარაკებოდა რიგიანად, ვერც — შვილებს, თემოს ხომ საერთოდ გაურბოდა. როგორც ჩანს, ცოდვა აწვალებდა. საღამოობით, შინ რომ ბრუნდებოდა, საძინებელი ოთახიდან არც გამოდიოდა, წამოწვებოდა და ტელეეკრანს არ სცილდებოდა, თითქოს არც ვარსებობდით. რამეს თუ ვკითხავდი, ისე მიპასუხებდა, არც შემომხედავდა. მელანოს საერთოდ არ ეკონტაქტებოდა. ვფიქრობდი, ჩემი ძმის ოჯახი ყელში ამოუვიდა, მათი ატანით დაიღალა-მეთქი. მინდოდა, ეს ორი ოჯახი კეთილად გავყრილიყავით, სანამ ჩვენ

„ჩემი ქმარი სინანულშია ჩავარდნილი, მაგრამ არ ვიცი, რამდენად ვენდო. არც ის ვიცი, მიღირს თუ არა ასეთ ქმართან შერიგება. ის ნდობა, ბედნიერება და სიხარული, რაც ოჯახში გვქონდა, აღარასოდეს დაბრუნდება. ამგვარ თანაცხოვრებას რა აზრი აქვს?

ნანა კობახიძე

შორის უსიამოვნება იფეთქებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, დავაგვიანეთ.

— როგორ მახვდით ამ ღალატის შესახებ?

— ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი. ერთ დღეს საპატრულოში ცრუ შეტყობინება შევიდა, თითქოს იმ დაწესებულებაში, სადაც ვმუშაობდი, ბომბი იყო. ამის გამო თანამშრომლები სამსახურიდან გამოგვიშვეს. შინ რომ მივედი, ნამდვილი ბომბი იქ დამხვდა — მელანოს ჩემი ქმარი კედელზე ჰყავდა აყუდებული... ერთი აფეთქებით დაინგრა ჩემი ოჯახი. ფსიქიკა ისე შემერყა, არ მეგონა, თუ გადავრჩებოდი.

— ქმარს რა რეაქცია ჰქონდა?

— ისე დაიბნა, რომ სხვა ვერაფერი მოიფიქრა — მელანოს სილა გააწნა. ქალმა კი ისტერიკული ტირილი დაიწყო და ჩემს ქმარს გადააბრალა — ასეთები ხართ კაცები, არ მოისვენებთ, სანამ უმწეო ქალს არ აცდუნებთ, ჟინს მოიკლავთ და მერე მიაგდებთო. მერე ფეხებში ჩამივარდა, ბავშვებს გაფიცებ, თემოს არ უთხრა, თორემ არც მე მაცოცხლებს და არც შენს ქმარსო. ერთხანს გაშეშებული ვიდექი, თავი სიზმარში მეგონა. მერე გონს მოვედი და იქაურობა დავტოვე. დაქალთან წავედი. საღამოს შვილებიც წავიყვანე.

— ასპარეზი მოღალატე ქმარს და რძალს დაუთმეთ?

— არა, ამით ჩემს თავს მივეცი საშუალება, გამეცნობიერებინა, რაც მოხდა და სამოქმედო გეგმა დამესახა, რომ ამ ამოყირავებული ურმის ქვეშ არ მოვყოლილიყავი და არც შვილები დამეზარალებინა.

— რა მოიმოქმედეთ?

— მელანოს ვუთხარი, ან ჩემი ოჯახიდან გუდანაბადს აიკრავ, ან თემოს სიმართლეს ვეტყვი-მეთქი. წარმოიდგინეთ, იმ ყველაფრის შემდეგ წასვლა არ უნდოდა. ურცხვად მეფიცებოდა, აღარ გამეორდებაო. მერე გამომიტყდა, ფეხმძიმედ ვარო, მაგრამ არ იცოდა, ბავშვის მამა ვინ იყო — თემო თუ აკო. ამან სულ გადამრია, მისი დანახვა და ატანა უკვე აღარ შემეძლო. ვუბრძანე, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ჩემი ოჯახი. სად წავიდოდა, ეს უკვე ჩემი პრობლემა აღარ იყო. ბოლოს ნაქირავებში გადავიდნენ, არ ვიცი, თემოს როგორ აუხსნა, ალბათ უთხრა, შენმა დამ სახლიდან გამოგვყარაო. მას შემდეგ ჩემი ძმა აღარ მელაპარაკება, თითქოს მის წინაშე უპატიებელი დანაშაული ჩამედინოს. მთელი ის სიკეთე, რასაც წლობით მათთვის ვაკეთებდი, წყალში ჩამეყარა.

— ძმას სამართლე დაუმალეთ?

— გავუფრთხილდი, პირველ რიგში — მას, თავი ხათაბალაში რომ არ ჩაეგდო, მერე — ჩემს შვილებს, ძმისშვილებს, ქმარს და იმ უტვინო მელანოსაც, რომელიც მუცლით ჩემი ქმრის შვილს ატარებს. მე კი გული გახეთქვაზე მაქვს.

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ შვილი თქვენი ქმრისგან ეყოლება?

— ვგრძნობ, რომ ასეა. ამას ჩემი ქმარიც ეჭვობს. თვითონ მელანო კი ამაში დარწმუნებულია, მაგრამ ბოლომდე არ ტყდება.

— აკომ თქვენ წინაშე დანაშაული მოინანია?

— მას შემდეგ ღრმა სინანულშია ჩავარდნილი, მაგრამ არ ვიცი, რამდენად ვენდო. არც ის ვიცი, მიღირს თუ არა ასეთ ქმართან შერიგება. ის ნდობა, ბედნიერება და სიხარული, რაც ოჯახში გვქონდა, აღარასოდეს დაბრუნდება. ამგვარ თანაცხოვრებას რა აზრი აქვს?

ეს იცოდით?

❖ მთქნარების დროს ტვინის უჯრედების ნაწილი იღუპება.

❖ დამტკიცებულია, რომ გენიოსი ადამიანების თმები მეტ სპილენძსა და თუთიას შეიცავს.

❖ ადამიანს სალაპარაკოდ 72 სხვადასხვა კუნთის ამუშავება სჭირდება.

❖ ადამიანის ცერა თითი და ცხვირი ერთი ზომისაა.

❖ ადამიანის ტვინი ზრდას 18 წლის ასაკში წყვეტს.

❖ ქერათმიანების თავზე დაახლოებით 150 000 ცალი თმის ღერია, ხოლო შავგვრემანებისაზე — დაახლოებით 100 000.

❖ ადამიანს, რომელიც თავს ანებებს თამბაქოს მოწევას, დღე-ღამეში ერთი საათით ნაკლები ძილი სჭირდება.

❖ ამერიკაში ყოველწლიურად 35 000 ადამიანი კვდება ორგანიზმის გადაცივებისგან.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ვიხსნათ მკერდი მასტოპათიისგან!



თემა წინასამსივნური მდგომარეობის შესახებ ქალებს ძლიერ აღელვებთ. სარძევე ჯირკვლების ყველა დაავადება შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად: 1. არაანთებითი დაავადება ანუ მასტოპათია, 2. ანთებითი დაავადება ანუ მასტიტი.

მასტოპათია (ფიბროზულ-კისტოზური დაავადება) — ეს არის სარძევე ჯირკვლების დისჰორმონული დაავადება, რომლის დროსაც შემაერთებელი და ჯირკვლოვანი ქსოვილის გაზრდა-გაბარდვა ხდება. თან ახლავს მკერდში სხვადასხვა ზომის გამაგრების ან კისტის წარმოქმნა.

საჭიროა ამ მდგომარეობის განსხვავება სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნისგან — ფიბროადენომისგან. ისინი სხვადასხვა დაავადებებია. ყველაზე ხშირად მასტოპათია 30-50 წლის ასაკში გვხვდება.

სიმპტომები

მასტოპათია დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს, თუმცა ადრე თუ გვიან ქალები ექიმთან მიდიან ასეთი ჩივილებით: ტკივილი სარძევე ჯირკვლებში (მუდმივი, ყრუ, ციკლის დაწყებამდე ძლიერდება), მკერდში გამკვრივებები.

მიზეზები

ჰორმონული დისბალანსი. დაავადებას ასევე ხელს უწყობს საკვერცხეების ანთება, ფარისებური ჯირკვლის დაავადებები, აბორტები, 30 წლამდე ორსულობის არარსებობა და ლითონის შესაკრავებიანი ვიწრო ბიუსტჰალტერის მუდმივი ტარება.

როგორ შევამციროთ ალბოს რისკი?

სარძევე ჯირკვლის სიმსივნის (კეთილთვისებიანი ან ავთვისებიანი) ძირითად ნიშნად უმტკივნეულო ახალწარმონაქმნის არსებობა ითვლება. თუ ხელის შეხებით ბურთულის ან კენჭის მსგავსი რაღაც იპოვეთ, დაუყოვნებლივ ექიმს მიმართეთ. ნუ გადადებთ ორშაბათისთვის, შვებულებამდე და ა.შ.

დროული გამოვლენა და სწორი მკურნალობა კარგ პროგნოზს იძლევა. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, განსაზღვრული პერიოდულობით ექიმმა-მამოლოგმა მკერდი გასინჯოს. და კიდევ, ასევე მნიშვნელოვანი მომენტია სარძევე ჯირკვლის თვითგასინჯვა.

ძუძუთი ალების უპირატესობა

ნორმალური ფეხმძიმობა და მშობიარობა ქალის ორგანიზმში ჰორმონულ გადახრებს აწესრიგებს. ამიტომ ასეთი შერწყმა — ფეხმძიმობა-მშობიარობა-ძუძუთი კვება — ჯირკვლოვან ქსოვილზე მხოლოდ სასიკეთოდ მოქმედებს. ხშირად ლაქტაციის (ძუძუთი კვება) შემდეგ მასტოპათია უკვალოდ ქრება, მაგრამ არაანთებითი კვანძი სარძევე ჯირკვალში რჩება. სამწუხაროდ, ფეხმძიმობამ და ლაქტაციამ, რომელიც დადებით გავლენას ახდენენ დიფუზურ მასტოპათიაზე, კვანძოვანის დროს შეიძლება ლოკალური წარმონაქმნის განვითარების პროცესი აამოქმედოს. ამიტომ საჭიროა კვანძოვანი მასტოპათიისგან ფეხმძიმობამდე გათავისუფლდეთ.

როგორ ან გავხდეთ ავად მასტოპათიით?

დაავადების პროფილაქტიკური ზომები — ეს არის ფეხმძიმობა და მშობიარობა, ძუძუთი კვება, რეგულარული სქესობრივი ცხოვრება. თავად ბუნების მიერ ჩადებულ ამ ფუნქციებს ქალის ორგანიზმის დაცვა შეუძლიათ. გახსოვდეთ, იმის მიუხედავად, გაქვთ თუ არა გამკვრივება და წარმონაქმნები მკერდში, გაქვთ თუ არა ტკივილი, რეგულარულად უნდა ეწვიოთ გინეკოლოგს პროფილაქტიკური მიზნით. ნუ შეგეშინდებათ დიაგნოზის მოსმენის. ადრეული დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მკურნალობისა და გამოჯანმრთელების შანსი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე პატარა ზომის სიმსივნის აღმოჩენისას.

თვითგასინჯვა

თვითგასინჯვა უნდა ჩაიტაროთ დიდი სარკის წინ. წელამდე გაშიშვლდით და ინსტრუქციის მიხედვით იმოქმედეთ.

1. სარკის წინ დადექით, ხელები სხეულის გასწვრივ ჩაუშვით და სარძევე ჯირკვლებს ყურადღებით დააკვირდით. ერთნაირი, სიმეტრიული უნდა იყოს.

2. ხელები ასწიეთ და გასინჯვა გააგრძელეთ.

3. მარჯვენა სარძევე ჯირკვლის გამოკვლევისას მარჯვენა ხელი კეფაზე დაიდეთ, მარცხენა ხელის თითებით სარძევე ჯირკვალს მსუბუქად დააწექით, მთელი ზედაპირი სპირალისებურად მოისინჯეთ. იგივე გააკეთეთ მარცხენა მკერდთან. დარწმუნდით, რომ სარძევე ჯირკლის ქსოვილებში გამკვრივება არ არის.

4. მოსინჯეთ ძუძუს თავები: ორი თითი მოუჭირეთ და შეამოწმეთ, გამონადენი ხომ არ არის.

5. ზურგზე დაწექით და თვითგასინჯვა გაიმეორეთ მესამე პუნქტის მიხედვით.

6. გასინჯვა დაამთავრეთ იღლიის ქვეშ მიდამოს მოსინჯვით, შებერილობა ან სიმსივნე ხომ არ არის.

თვითგასინჯვა ჩაიტარეთ ყოველთვე და პირველივე საგანგაშო ნიშნებზე დაუყოვნებლივ ექიმს მიმართეთ.

ხალხური მედიცინა

ფიბროზულ-კისტოზური მასტოპათიის დროს ეხმარება კალენდულას ნაყენი. 30 წვეთი ნაყენი და 50 მლ წყალი აურიეთ და ერთ მიღებაზე დალიეთ. დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე მიიღეთ. მკურნალობის კურსი ერთი თვე. შესვენება 10 დღე. და ასე მთელი წლის განმავლობაში. შეგიძლიათ გაიკეთოთ კომპრესი ღამით. 1 ჩაის კოვზი კალენდულას ნაყენი თბილი ანადუღარი წყლით (თანაფარდობა 1:1) გააზავეთ და სველი საფენის სახით მკერდზე დაიდეთ, ზემოდან ჯერ პოლიეთილენი დაიფარეთ, შემდეგ შალი. შენიშვნა: კალენდულას შიგნით მიღება უკუნაჩვენებია დაბალი არტერიული წნევის დროს.

წყალი — ცხოვრების წყარო

ადამიანის ჯანმრთელობა და უქეიფობა დამოკიდებულია წყალზე, იმაზე, ყოველდღიურად მას საკმარისი რაოდენობით ვიღებთ თუ არა. ბიოქიმიური თვალსაზრისით, დაავადებები და სიბერე ეს არის უჯრედების მიერ სინოტივის დაკარგვა და უჯრედშორისებში წყლის რესურსების გამოლევა. წყალი ორგანიზმის დამანგრეველი დაავადებების თავიდან აცილებისა და მკურნალობის უსაფრთხო ბუნებრივი საშუალებაა. ორგანიზმს წყალი რომ აკლია, ამას მოწმობს: მძიმედ სუნთქვა, პირის ღრუს, ენის სიმშრალე, სპაზმები, ყაბზობა, მშრალი კანი, თავის ტკივილი, სწრაფად დაღლა.

ორგანიზმში წყლის ბალანსის შესანარჩუნებლად საჭიროა დღეში 1,5-2 ლიტრი წყალი. აუცილებელია წყლის მიღება დილით, გაღვიძებისთანავე. საღამოს, ძილის წინ და დღის განმავლობაში ჭამამადე ნახევარი საათით ადრე. ყოველ მიღებაზე თითო ჭიქა წყალი (სხეულის ტემპერატურის) დალიეთ, არა ერთბაშად, არამედ ყლუპებით. დილით წყალი ორგანიზმს ასტიმულირებს, საღამოს — ამშვიდებს, საჭმლის კარგად მონელებას და ძალის ნორმალურად აღდგენას ეხმარება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

როგორ შევაჩვიოთ ბავშვი ღამის ქოთანს

რა ასაკიდან უნდა მიაჩვიოთ ბავშვი ღამის ქოთანს? ეს კითხვა ბევრ მშობელს აწუხებს და ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებაც აქვთ. ნაწილის აზრით, რაც უფრო ადრე, მით უკეთესია. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ 2 წლამდე ბავშვისთვის ღამის ქოთანი საჭირო არ არის. საინტერესოა, რომელი მიდგომაა სწორი.

დასავლელი პედიატრები თვლიან, რომ ღამის ქოთნის საკითხი პრობლემური არაა და მას მარტივად უნდა მივუდგეთ. მოვა დრო და ბავშვი თავად მოგთხოვთ ქოთანზე დაჯდომას. და კიდევ, პატარებს საკმაო დრო სჭირდებათ იმისათვის, რომ სიახლეს შეეჩვიონ.

პედიატრები გვირჩევენ, რომ ბავშვი ქოთანზე 1,5-2 წლის ასაკიდან დავსვათ. სპეციალისტები დედიკოებს აფრთხილებენ, ნუ მოინდომებენ, შვილები ამ ნივთს 1 წლის ასაკამდე მიაჩვიონ. ეს დროისა და ძალების ფუჭი ხარჯვა იქნება. ასევე დიდია ალბათობა, რომ ადრეულ ასაკში ქოთანთან მიჩვევის მცდელობამ უკურეაქცია გამოიწვიოს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც პატარას ინდივიდუალიზმი და ხასიათი უნდა გაითვალისწინოთ. ბავშვი იმდენად უნდა „გაიზარდოს“, რომ საკუთარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების კონტროლი შეეძლოს. ეს კი ზოგ შემთხვევაში 1 წლის ასაკში ხდება, ზოგჯერ უფრო გვიან.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქოთანთან მიჩვევის პროცესი არ იყოს იძულებითი, რამდენიმე ფუჭი მცდელობის გამო პატარა არ გაკიცხოთ, არ გაუმახვილოთ ყურადღება წარუმატებლობაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ეს „სერიოზული საქმე“, პირველ რიგში, სათანადო ქოთნის შეძენით უნდა დავიწყოთ და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს წარმატების ნახევარია. ქოთანი უნდა იყოს კომფორტული და მოსახერხებელი როგორც ზომის, ისე ფორმის მიხედვით, რადგან, თუ ბავშვი მასზე ჯდომის პროცესში თავს კომფორტულად არ იგრძნობს, ბუნებრივად დაეკარგება მასთან „მეგობრობის“ სურვილი.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ყოველთვის უნდა გვახსოვდეს — ქოთანი სათამაშო არაა, ამიტომ ხმოვანი, მუსიკალური სახეობების შეძენა საჭირო არ არის. ასეთი ტიპის ქოთანს ბავშვი სათანადოდ ვერ აღიქვამს და მორიგი სათამაშო ჰგონია.

სანამ ბავშვს ქოთანზე დაჯდომას მივაჩვევთ, სასურველია, ისეთ ადგილზე დავდოთ, სადაც პატარა ხშირად დაინახავს, ნელ-ნელა მიეჩვევა და მასზე დაჯდომის სურვილი გაუჩნდება.

ღამის ქოთანთან მიჩვევის პროცესში გარკვეული თანმიმდევრობის დაცვა გვმართებს:

- გავხადოთ ბავშვს პამპერსი;
- ქოთანი ისეთ ადგილზე მოვათავსოთ, რომ პატარა ხშირად ხედავდეს და დამოუკიდებლადაც შეეძლოს მასზე დაჯდომა;
- მიჩვევის პროცესში უნდა ვეცადოთ, ბავშვს მინიმალური რაოდენობის სამოსი ეცვას, რათა მისი გახდა ადვილი იყოს და დისკომფორტს არ უქმნიდეს;
- არავითარ შემთხვევაში დავაძალოთ ქოთანზე ჯდომა, თუ მას სურვილი არ აქვს. ასეთ შემთხვევაში შეჩვევის პროცესი აბსოლუტურად დაკარგავს ყოველგვარ აზრს;
- მუდმივად ყურადღებით უნდა ვიყოთ, როცა ბავშვი ქოთანზე ზის. თავიდან მარტო არ უნდა დავტოვოთ და შორიახლოდან ვაკონტროლოთ პროცესი. ეს პატარას უსაფრთხოებისთვისაა საჭირო;
- სასურველია, თუ შეჩვევის პროცესი თბილ სეზონს დაემთხვევა, მაგრამ თუ ეს არ გამოდის, აუცილებელია, სახლში (ბავშვის ოთახში) სათანადო ტემპერატურა იყოს (23-25 გრადუსი);
- ყოველი ჭამისა და გამოღვიძების შემდეგ ბავშვი ქოთანზე უნდა დავსვათ;
- აუცილებელია შექება. თუ შვილს ყველაფერი კარგად გამოუვიდა და ჩვენი მცდელობა წარმატებით დასრულდა, არ უნდა დაგვავიწყდეს ამის აღნიშვნა. ეს ერთგვარი სტიმულია, რომ მსგავსი ქმედებით კიდევ დაიმსახუროს დედიკოს შექება;
- ქოთანთან შეჩვევის პროცესზე უარი არც მაშინ უნდა ვთქვათ, როცა პატარა შეუძლოდაა, მაგალითად, კბილები ამოსდის და ჭირვეულობს;

დაბოლოს, ყველა ბავშვი ინდივიდუალურია. ზოგი სიახლეებს იოლად ითვისებს და ეჩვევა, ზოგი კი — შედარებით რთულად. სტატისტიკურად, რატომღაც, ღამის ქოთანს გოგონები უფრო იოლად ეჩვევიან, ვიდრე ბიჭები.

ცეკვა და მასაჟი სტრესის დასამარცხებლად

სტრესი შიშის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა. არცთუ იშვიათად ნერვიულობა შესაძლოა გამოწვეული იყოს არარეალური მოვლენებით, შიშით, რომ შესაძლოა რამე ცუდი მოხდეს. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ თუ ასეთ შემთხვევაში საკუთარ თავს გარკვეული დახმარება არ აღმოუჩინეთ, ეს ყველაფერი სერიოზულად გაგიუარესებთ ცხოვრების ხარისხს და ნეგატიურად აისახება ჯანმრთელობაზე.

სპეციალისტები გვთავაზობენ 7 რჩევას სტრესის დასამარცხებლად:

1. აკვიატებული ფიქრები — ვერ ახერხებთ დაძინებას და თავში ათასი პრობლემა გიტრიალებთ? მოუსმინეთ თქვენს სუნთქვას (ხელი გულზე დაიდეთ, რათა გულისცემა შეიგრძნოთ). ეს ყურადღებას გადაგატანინებთ, დაგამშვიდებთ და დაძინებაში დაგეხმარებათ.

2. თუ ნერვიულობამ აგიტანათ — ძლიერი დაძაბულობის დროს ეცადეთ, დაჭიმული ხელ-ფეხი, მუცლის პრესი მოადუნოთ. ღრმად ჩაისუნთქეთ, შემდეგ ამოისუნთქეთ და ეს რამდენჯერმე გაიმეორეთ. მოკლე დროში იგრძნობთ, რომ სხეულში სითბო ჩაგეღვარათ, დამშვიდდით და დაძაბულობისგან გათავისუფლდით.

3. ხელ-ფეხის კანკალი — ნერვიულობის გამო ხშირად ხელ-ფეხი გიკანკალებთ? ასწიეთ მაღლა ჯერ ერთი ფეხი და მთელი ძალით დაფერთხეთ. იგივე გაიმეორეთ მეორე ფეხითაც. ეს სავარჯიშო შვიდჯერ გააკეთეთ. ფეხების შემდეგ ხელებზე გადადით და იგივე მოძრაობები შეასრულეთ.

4. საკუთარი თავით უკმაყოფილება — აუცილებელია უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლება და ორგანიზმიდან დროულად გამოდევნა. ამაში ცეკვა დაგეხმარებათ. ჩართეთ საყვარელი მუსიკა და იცეკვეთ, რათა სულიერი ჰარმონია აღიდგინოთ.

5. ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება — ხანდახან სტრესთან ბრძოლისას სავსებით საკმარისია თბილი (ან ცხელი) აბაზანის მიღება. ეს მთელი დღის განმავლობაში დაგროვილი უარყოფითი „ტვირთისგან“ გათავისუფლებში დაგეხმარებათ.

6. გაღიზიანება — ამ შემთხვევაში დამხმარე მასაჟია, ასევე ტრენაჟორებზე ვარჯიში. გახსოვდეთ, სასურველი შედეგის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ რეკომენდაციებს მონდომებით შეასრულებთ.

7. კუნთების მართვა — ეცადეთ, ენერგია იმ ორგანოსკენ მიმართოთ, სადაც აშკარად გრძნობთ ყველაზე მეტ სიმძიმეს. რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქეთ და გონებრივად ჰაერის ნაკადი „დამძიმებული“ ორგანოებისკენ გაგზავნეთ. შემდეგ ჰაერი ღრმადვე ამოისუნთქეთ და კვლავ გონებრივად ამოაყოლეთ ყველაფერი უარყოფითი. სასურველია, ამ ვარჯიშის დროს თვალები დახუჭული გქონდეთ.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

რაზე ფიქრობენ მამაკაცები?

მამაკაცის ასაკი

მამაკაცები მთელი ცხოვრება დიდი ბავშვები არიან. ეს მთავარია, რაც მათ შესახებ ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, მაგრამ მაინც, ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული პრიორიტეტები, შეხედულებები და სურვილები აქვთ. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. მამაკაცის ქცევებზე გავლენას ახდენს ბევრი ფაქტორი: სოციალურ-ეკონომიკური, პირადული (რომელიც სათავეს ბავშვობიდან იღებს). თუ თქვენი პარტნიორი არასრულ ოჯახში გაიზარდა, დიდი ალბათობაა, რომ მისწრაფება ექნება, იგივე სცენარი გაიმეოროს.

25 წლამდე

უკან მოიტოვა ინსტიტუტი და არმია, მაგრამ ამ ასაკში სამყაროში საკუთარი თავის, ადგილის, „თავისი“ ქალის და, რა თქმა უნდა, გართობების ძებნა გრძელდება.

ფსიქოლოგის რჩევა. ნუ შეეცდებით, ახალგაზრდა ადამიანი სიმყუდროვის შექმნითა და გემრიელი კერძებით მიიტყუოთ — სულ ერთია, ვერ შეაფასებს, მაგრამ ორიგინალური უიქენდი, ექსტრემალური გასეირნება, კლუბებში სიარული სწორედ ისაა, რაც ესაჭიროება და, რა თქმა უნდა, სასიყვარულო გართობა. ნუ აიძულებთ, სერიოზული გახდეს. ეს მას მხოლოდ გააღიზიანებს და მალე იპოვის სხვას, უფრო გულისხმიერს.

25-30 წელი

როგორც წესი, ამ ასაკში ყველაფერი აქვს — სამუშაო, სახლი, გრანდიოზული გეგმები და პოტენციალი მათი რეალიზაციისთვის. ამავდროულად ცხოვრებაზე საკმაოდ საღი შეხედულება ჩამოუყალიბდა. სწორედ ახლა იწყებს წყნარი ოჯახური ურთიერთობის, გემრიელი შინაური კერძების დაფასებას. ამ ასაკში სასიყვარულო გართობა მისთვის ცხოვრების სიმბოლო აღარ არის.

ფსიქოლოგის რჩევა. გამოკვებეთ, გიყვარდეთ, მასზე იზრუნეთ, ხშირად უთხარით კომპლიმენტები და ოჯახში ყველაფერი მშვენივრად გექნებათ.

30-40 წელი

ცხოვრებისეული გამოცდილებით სავსე საუკეთესო წლებია. ცხოვრების მიმართ ადეკვატური დამოკიდებულება აქვს, ფიზიკური ძალა და ჯანმრთელობა არ ღალატობს. მთავარი — იცის, რა სურს და რისი გაკეთება შეუძლია. ოჯახი მისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ის ადგილია, სადაც საღამოს სიამოვნებით ბრუნდება. სამწუხაროდ, ამ ასაკში მამაკაცი ახალგაზრდა გოგოებს აქტიურად უთვალთვალებს, მით უფრო, თუ თანატოლზეა დაქორწინებული. სასიყვარულო გართობის მიმართ დამოკიდებულება ისევ ეცვლება, სურს, ცხოვრებისგან რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღოს. ცოლი უყვარს, მაგრამ ის ახალგაზრდა გოგო უბრალოდ მოსწონს.

ფსიქოლოგის რჩევა. მართალია, მამაკაცის გვერდზე გართობა ოჯახს დანგრევით არ ემუქრება, მაგრამ მაინც, ქმრის სასიყვარულო თავგადასავლების მიმართ ყურადღებას ნუ მოადუნებთ, ფხიზლად იყავით.

40-45 წელი

საშუალო ასაკის კრიზისია. რა თქმა უნდა, 40-45 წელი პირობითი ციფრია. ზოგჯერ კრიზისი 30 წლის ასაკში იწყება, ვიღაცას — 60 წლისას, ზოგსაც საერთოდ არ აქვს. სწორედ ამ წლებში მამაკაცი განვლილი ცხოვრების შეჯამებას იწყებს და ხშირად არასანუგეშო დასკვნებს აკეთებს: დიახ, შედგა როგორც ექიმი (მფრინავი, ინჟინერი...), მაგრამ ბავშვობაში ოცნებობდა, მეხანძრე ყოფილიყო. ახლა უკვე ვერასდროს გახდება. ან, როგორც პროფესიონალი, საერთოდ ვერ შედგა და რაღაცის შეცვლის მცდელობა იწყება, რასაც ზოგჯერ დეპრესიამდე და ლოთობამდე მიჰყავს. ცოლის მიმართ გულცივი ხდება.

ფსიქოლოგის რჩევა. არ გაცხარდეთ, უბრალოდ ამ მძიმე პერიოდის გადალახვაში დაეხმარეთ. გახსოვდეთ: ოჯახის დანგრევის ყველაზე მაღალი ალბათობა სწორედ საშუალო ასაკის პერიოდშია.

45-55 წელი

საშინელი კრიზისი უკან დარჩა. ეს ათწლეული შეიძლება ძლიერი სქესის წარმომადგენლის მეორედ აყვავების პერიოდად ჩაითვალოს. ჯანმრთელობას ჯერ კიდევ არ უჩივის, მაგრამ არის შავი ლაქა — მამაკაცის კლიმაქსი (ეს ფაქტი მეცნიერულად დამტკიცებულია). ტესტოსტერონის გამომუშავება მცირდება, ჰორმონული ფონი იცვლება. ცოლი დასცინის, მოხუცს ეძახის, თუმცა მამაკაცს დაბერება არ სურს.

ფსიქოლოგის რჩევა. ფხიზლად იყავით, მამაკაცი აეჭვიანეთ, მაგრამ ქმრის ასაკზე არასდროს იხუმროთ — სერიოზულად გაანაწყენებთ.

55-65 წელი

ამ ათწლეულში მამაკაცმა შეიძლება თავისთვის იცხოვროს (ბავშვები დაიზარდნენ, სახლი-ცოლი-აგარაკი-სამუშაო — ყველაფერი აქვს). მით უფრო, რომ სოლიდური ცხოვრებისეული გამოცდილება და ჯანმრთელობა ამის საშუალებას აძლევს. მამაკაცი ახალ ნაცნობებს, ახალ ჰობის იჩენს, ცოლს ახლებურად უცქერის.

ფსიქოლოგის რჩევა. მამაკაცი წაახალისეთ და მის ასაკზე არ იხუმროთ.

65 წლიდან

ამ ასაკში, როგორც ფსიქოლოგები უწოდებენ, მამაკაცი შეიძლება შინაგან ემიგრაციაში წავიდეს: ოჯახს ტოვებს და მარტოდ ცხოვრებას იწყებს, მაგალითად, აგარაკზე ან პრაქტიკულად ცოლთან ურთიერთობას წყვეტს — დღეში ორ ფრაზას თუ მიუგდებს.

ფსიქოლოგის რჩევა. შინაგანი ემიგრაციის თავიდან აცილებას ეხმარება საერთო საქმე: აგარაკის მშენებლობა, შვილიშვილებთან ერთად სეირნობა, საერთო ჰობი.

ცხელი შოკოლადი აახალგაზრდავებს

ცხელი შოკოლადი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კარგი განწყობისთვის, რასაც განაპირობებს მის შემადგენობაში არსებული ინგრედიენტები. კაკაო შეიცავს თეობრომინს — ტვინის ბუნებრივ სტიმულატორს. ლათინური სიტყვა „თეობრომა“ (კაკაო) „ღმერთების საკვებს“ ნიშნავს. კაკაოში არსებული ფენილეთილამინი სასიცოცხლო ტონუსს ამაღლებს. ანტიმჟანგავები, რომლითაც მდიდარია ეს სასმელი, ონკოლოგიურ და გულის დაავადებებს თავიდან აგაცილებთ, კანის ასაკობრივი დეგენერაციის პროცესს ანელებს, ორგანიზმს მავნე თავისუფალი რადიკალებისგან ათავისუფლებს. ხოლო ფლავონოიდების მაღალი შემცველობა უჯრედებს პარაზიტულ ორგანიზმებთან, ვირუსებთან, სიმსივნის განვითარებასთან ბრძოლაში ეხმარება. ასევე დამტკიცებულია, რომ ცხელი შოკოლადი სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და წნევას აქვეითებს.

თქვენი დღე არა ყავით, რომელიც სისხლძარღვებისა და კუჭისთვის არცთუ ძალიან სასარგებლოა, არამედ ფინჯანი ცხელი შოკოლადით დაიწყეთ.

Cyan Magenta Yellow Black

თუ თანამოსაუბრეს თვალებში ვერ უცქერით

ზოგიერთი ადამიანი საუბრისას თანამოსაუბრეს თვალებში ვერ უცქერის, არა იმიტომ, რომ ეშინია, უბრალოდ დისკომფორტს განიცდის. როგორ მოიქცეთ ასეთ სიტუაციაში?

თუ თანამოსაუბრე თვალებში პირდაპირ ცქერას გაურბის, ნამდვილად იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს რაღაცას მალავს, იტყუება. როდესაც ვიზუალური კონტაქტი არ არის, არც დიალოგია სრულყოფილი. პირველ რიგში, საჭიროა გაიაზროთ, რატომ განიცდით უხერხულობას. მიზეზი ბანალურია — თავის რწმენის არქონა. ხშირად, როდესაც ადამიანი პირდაპირ თვალებში ცქერას თავს არიდებს, ცდილობს, უცხო თვალს დაემალოს. მუშაობს პროგრამა „მე არასაკმარისად კარგი ვარ“. დაფიქრდით იმაზე, ურთიერთობისას რომელი ასაკის ჯგუფი ან რომელი სქესის ადამიანები იწვევენ თქვენში ყველაზე მეტ დისკომფორტს. ამით ზუსტად განსაზღვრავთ, რომ თვითშეფასებასთან რაღაც ისე არ გაქვთ. კონკრეტულად რისი გაკეთება შეიძლება?

პირველ რიგში, იმუშავეთ თავზე, რათა თვითშეფასება აიმაღლოთ, თავდაჯერებული გახდეთ. საუკეთესო გადაწყვეტილებაა ფსიქოლოგთან ინდივიდუალური მეცადინეობა. მაგრამ ასევე კარგ შედეგს იძლევა საზოგადოების წინაშე გამოსვლები, როდესაც თქვენი პერსონის მიმართ გარშემომყოფების დაჟინებული ყურადღებაა მიპყრობილი.

მეორე, ივარჯიშეთ თვალებში ცქერაზე. ეცადეთ, თანამოსაუბრეს თვალებში შეგნებულად უცქიროთ. პირველად პატარა ფანდი გამოიყენეთ. მზერა ჯერ თანამოსაუბრის წარბებსა და წამწამებზე მიაპყარით, შემდეგ თანდათან თვალებისკენ გააპარეთ. მალე ჩვევაში გადაგივათ.

სასიამოვნო აზრები აბების ნაცვლად

ჩვენს აზრებზე ნამდვილად დამოკიდებულია განწყობა და ჯანმრთელობა. ფიქრი — უნივერსალური და ყველასთვის ხელმისაწვდომი წამალია. სხეული ჯანმრთელი რომ იყოს, უბრალოდ უნდა ეცადოთ, სულის სიმშვიდე შეინარჩუნოთ. ამიტომ სტრესის დროს მაშინვე პოზიტიურ აზრებზე გადაერთეთ. სახელდობრ, რაზე იფიქროთ, აქ ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არის. იფიქრეთ იმაზე, რაც ნერვიულობისგან გათავისუფლებაში დაგეხმარებათ.

და მაინც, რამდენიც უნდა ეცადოთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ, ზოგჯერ ავად მაინც ხდებით. მაშინ სწორი ფიქრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

გადაძაბვისა და დაღლილობისგან თუ თავი გტკივათ, დაიწყეთ ფიქრი იმაზე, როგორი იქნება თქვენი მომავალი შვებულება ან გაიხსენეთ ყველაფერი, რაც დაგამშვიდებთ და გაგახარებთ. სასიამოვნო აზრები თანდათან დაიწყებს მოქმედებას, როგორც სპაზმის მომხსნელი საშუალებები. დაძაბულობა ჯერ ხერხემლის, კისრის განყოფილებაში გაქრება, შემდეგ კი ტკივილი მალე გაივლის.

ეს იცოდით?

❖ ნაურუ ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც დედაქალაქი არ აქვს.

❖ შვეიცარიაში 1515 წლის შემდეგ ომი არ ყოფილა.

❖ ჰოლანდიის ტერიტორიის მეოთხედი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს.

❖ 1925 წლის 1 იანვარს ნორვეგიის დედაქალაქს სახელი გადაერქვა — ქრისტიანიას ოსლო უწოდეს.

❖ ციფრები, რომლებსაც ჩვენ არაბულს ვუწოდებთ, სინამდვილეში ინდოეთში გამოიგონეს.

❖ დედამიწაზე 7.600 სხვადასხვა ენა არსებობს.

❖ ოქრო დანამატების გარეშე ისეთი რბილია, რომ მისი ფორმის შეცვლა ხელითაც შეიძლება.

❖ წვიმის წყალი ვიტამინ B_{12}-ს შეიცავს.

❖ თოვლის ფიფქში 95% ჰაერია, სწორედ ამიტომ მოფარფატებს ციდან ასე ნელა, დაახლოებით 0,9 კმ/სთ სიჩქარით.

❖ თერმომეტრი გალილეო გალილეიმ 1607 წელს გამოიგონა.

❖ 100-ზე მეტი ვირუსი არსებობს, რომელთაც სურდოს გამოწვევა შეუძლიათ.

❖ ადამიანის სხეულში 75 ტრილიონი უჯრედია.

❖ სტატისტიკის მიხედვით, ადამიანი დღეში მხოლოდ ხუთჯერ იცინის.

❖ თვალის გუგა 45%-ით ფართოვდება, როდესაც ადამიანი რაიმე სასიამოვნოს უყურებს.

როგორ მოვიქცეთ გაციების პირველი ნიშნების დროს

რა არის აუცილებელი პირველად ყელში ფხაჭნის, ცხვირში ღიტინის, ცხვირის ცემინებისა და სისუსტის შეგრძნების დროს?

სითბო, სითბო და ისევ სითბო! პირველ რიგში, ეს ფეხებს ესაჭიროება. ცხელი აბაზანა მდოგვის ფხვნილით ფეხებისთვის ძველი ნაცადი საშუალებაა, რომელზე უკეთესიც არაფერი მოუგონიათ. აბაზანის შემდეგ შალის წინდები ჩაიცვით და საწოლში ჩაწექით.

რაც შეიძლება მეტი წყალი დალიეთ. საუკეთესო ვარიანტი ასეთია: 2 ლიტრ თბილ წყალში 0,5 ჭიქა ლიმონის წვენი და 6 სუფრის კოვზი თაფლი გააზავეთ.

კიდევ ერთი სასმელი, რომელსაც სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აქვს — ეს არის კოჭას ჩაი. კოჭა ორგანიზმს შიგნიდან აძლიერებს, იმუნიტეტს სწრაფად აღადგენს და ვირუსების საწინააღმდეგო თვისებებით არის მდიდარი. უმჯობესია ჩაი ქორფა ძირებზე მოამზადოთ. 3-4 სმ-ის სიგრძის ნაჭერს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით.

სურდოს ნუ დაელოდებით, ინჰალაცია გაიკეთეთ. ქვაბში წყალი აადუღეთ, ევკალიპტის ან სოჭის ზეთი ჩააწვეთეთ და ორთქლი შეისუნთქეთ.

თუ გაციებას ფეხზე გადაიტანთ, შეიძლება გამოსაჯანმრთელებლად ერთ კვირაზე მეტი დაგჭირდეთ.

გაციების თავიდან აცილების ყველაზე კარგი საშუალება იმუნიტეტის გამოწრთობაა. ჭამეთ ნიორი, ხახვი, დამწნილებული კომბოსტო, თაფლი.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ლევან ახვლედიანი: „ჩემი მეწყვილეების გამო ცოლს ვჩაგრავ“

„თუ ოჯახი არ მექნება, არც კარიერა მინდა!“.

29 წლის მოცეკვავე ლევან ახვლედიანი რამდენიმე თვეში მეორე შვილის, ამჯერად გოგონას მამა გახდება. პირველი კი ვაჟი ჰყავს — წლის და 4 თვის ლუკა. ლევანს წლები დასჭირდა, რომ თავის კონკურენტ ლელა ბაზალში ცხოვრების თანამგზავრი ამოეცნო. ისინი შეჯიბრებებზე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის გრძნობა წლების შემდეგ გაჩნდა. მანამდე ლევანის ცხოვრებაში იყო გატაცებები, მაგრამ სერიოზული — არაფერი. ქალში ინტელექტი ხიბლავს, ასევე — შრომისმოყვარეობა. პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ სამ განსხვავებული ხასიათის ქალთან მოუხდა ცეკვა. კრისტი ყიფშიძე ლევანს თავისი სიურპრიზებით აკვირვებდა, ეკა ნიჟარაძე — შრომისმოყვარეობით, ნანა ნებიერიძე კი პუნქტუალობით აოცებს.

— ლევან, პირველ რიგში, თქვენი ცხოვრების თანამგზავრ ქალზე გვიამბეთ.

— სხვათა შორის, ინტერვიუს ჩაწერის დღე ძალიან ლამაზ თარიღს, ჩვენი შეუღლების 2 წლისთავს დაემთხვა, ოღონდ ეს მე არ მახსოვდა და ჩემმა მეუღლემ, ლელამ შემახსენა. ლელა ბაზალის ცეკვას ბავშვობიდან ვაკვირდებოდი. ორივე სხვადასხვა სტუდიებში ვცეკვავდით. მაშინ მე 20 წლის ვიყავი, ის — 13-ის. იმ დროს მას, როგორც მოცეკვავეს, ისე ვაკვირდებოდი. პატარა იყო, მაგრამ მეწყვილის გამო დიდების კატეგორიაში ცეკვავდა. ერთი პერიოდი ჩემი კონკურენტიც კი იყო, ერთმანეთს შეჯიბრებებზე ვხვდებოდით და მიგებდა კიდეც. დღეს ვეღარ მიგებს. მას მაშინ დავუახლოვდი, როცა მეწყვილე დამჭირდა. მაშინ მე „თელაში“ ვვარჯიშობდი, თუმცა ჩემი სტუდიის „არტ დენსის“ სახელით გამოვდიოდი, ლელა კი აბიტურიენტი იყო. მისი აცეკვება ძალიან ცუდ დროს მომიწია, მაგრამ მაინც დავიყოლიე.

— როდის შეხედეთ ლელას, როგორც ქალს?

— მაშინ, როცა წყვილში ცეკვა შევთავაზე და შეხვედრა მოგვიწია. მახსოვს, მანქანაში ჩავისვი და სასაუბროდ ერთ-ერთ კაფეში დავსხედით. 3 წლის უნახავი მყავდა და, რომ ვნახე, უკვე ჩამოყალიბებული იყო. მაშინ შევხედე სხვა თვალით. იმ პერიოდიდან ერთად ცეკვაც დავიწყეთ.

— რითი მოგწიბლათ ლელამ?

— მანამდე სულ სხვანაირ გოგონებთან მქონდა ურთიერთობა. ლელა უფრო ლმობიერი ხასიათის, თავდაჯერებული და წყნარია. ბევრს არ ლაპარაკობს, სიტყვაძუნწია. გოგოს ზოგჯერ ენის ტლიკინი კი უხდება, მაგრამ ხშირად გამაღიზიანებელიცაა. ამ მხრივ, ლელა არასოდეს მაღიზიანებს, მან ყოველთვის იცის, რა უნდა თქვას. ალბათ ამ ნიუანსმაც დიდი როლი ითამაშა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ლელა ჩემს ცხოვრებაში კარგ პერიოდში გამოჩნდა. 25 წლის ბიჭი ოჯახის შესაქმნელად უკვე მზად ვიყავი. გართობა თითქმის მობეზრებული მქონდა და სერიოზული ურთიერთობა მჭირდებოდა, თუმცა ძალიან რთული აღმოჩნდა ცხოვრების ისეთი თანამგზავრის მოძებნა, როგორიც ჩემ გვერდით წარმომედგინა. ლელა ჩემს ცხოვრებაში ლამაზი ფერებით შემოვიდა. ჩვენი სერიოზული, ოღონდ საქმიანი საუბარი სიყვარულის დღეს, 14 თებერვალს დაემთხვა. ამ ადამიანს, როგორც პიროვნებას, ისე შევხედე და ისეთმა თვისებებმა მომხიბლა, რაც სხვა გოგონებში არ შემხვედრია.

— უკვე გავიგეთ, რომ ბევრი ლაპარაკის მოყვარული გოგონები არ მოგწონთ. კიდევ რა გაღიზიანებთ ქალში?

— უაზროდ თავდაჯერებული გოგოები, რომლებიც რაღაც აზრს ჩაჯინდებიან და გიმტკიცებენ, რომ დაიჯერო. ასეთი ნერვებს მოგიწამლავს და შეიძლება წყობიდან გამოვიდე. მირჩევნია, ასეთ გოგოს გავერიდო, თორემ მართლა არ ვიცი, რას ვიზამ. სიგარეტს არ ვეწევი და რატომღაც არც მწეველი ქალი მომწონს. ლელა არ ეწევა და, მგონი, ამის სურვილი არასოდეს ჰქონია. ეჭვიანობაც მავნე ჩვევად მიმაჩნია, ეს ყველანაირ ურთიერთობას ხელს უშლის. კარგია, ლელა რომ ეჭვიანი არ არის. უამრავ ფოტოს დებენ ინტერნეტში, სადაც შეიძლება ვინმესთან ისეთ პოზაში დამიჭიროს, რომ... იმ დროს იქ არ არის და ხომ შეიძლება რაღაც იფიქროს? შეყვარებული ადამიანი ეჭვიანიც უნდა იყოს, მაგრამ ზომიერების ფარგლებში, მთავარია ურთიერთნდობა, რაც მე და ლელას გვაქვს.

„სამივე სეზონზე სრულიად სხვადასხვანაირ ქალთან მომინია ცეკვა. ჯერ — კრისტი ყიფშიძესთან, შემდეგ — ეკა ნიჟარაძესთან, ახლა ნანა ნებიერიძის მეწყვილე ვარ. სამივე აბსოლუტურად სხვადასხვა ადამიანია. ვერ ვიტყვი, რომ ერთმანეთს ჰამით მაინც ჰგვანან, მაგრამ სამივეში ძალიან გამიმართლა“.

ვაკვირდები და ვხვდები, რომ გოგოებს ვერ გაუგიათ, რა უნდათ. არასრულწლოვნები ქორწინდებიან და მერე ოჯახებს მალევე ანგრევენ. თითქოს ევროპისკენ მივდივართ, მაგრამ გაპარვა და მოტაცება ისევ არსებობს. არ მომწონს, დაუფიქრებელ ნაბიჯებს რომ დგამენ. მინდა, ყველა ახალგაზრდამ იგემოს სტუდენტური და თავისუფალი წლები.

— რაც ცოლ-ქმარი ხართ, თქვენსა და ლელას შორის გაუგებრობა არასოდეს ყოფილა, იდეალურად უგებთ ერთმანეთს?

— თქვენ წარმოიდგინეთ, დღემდე უპრობლემოდ ვცხოვრობთ. ყველა ოჯახში არსებობს რაღაც საკამათო საკითხი, მაგრამ ჩვენ დიდი ჩხუბი არასოდეს მოგვსვლია. ისე კი, ამ გიჟური გრაფიკის გამო, აუტანელი გავხდი. სულ სადღაც მეჩქარება, სადღაც მაგვიანდება, სულ მსაყვედურობენ. ეს ყველაფერი კი ჩემზე ისე მოქმედებს, დღის ბოლოს სახლში ვიმშვიდებ ნერვებს.

— ამ დროსაც ლმობიერია თქვენი ცოლი?

— რომ არა ლელა, შეიძლებოდა, ოჯახი დამნგრეოდა. უკვე მესამე სეზონია პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მონაწილე ვარ. მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც მოცეკვავეა, ასე ცხოვრება მისთვის მაინც რთულია, მაგრამ ძალიან მიგებს. მესამე სეზონში მინდოდა, მას ეცეკვა, მაგრამ კასტინგის პასუხებმა დააგვიანა და მოთხოვნა ისევ ჩემზე გაკეთდა. მოგვიანებით კი ლელასაც გამოეხმაურნენ და მოითხოვეს, რომ მასაც ეცეკვა. ამასობაში გავიგეთ, რომ პატარა გოგონას ველოდებით. წლის და 4 თვის ლუკა გვყავს, ჩვენი გოგო რამდენიმე თვეში გაჩნდება და ოჯახში გენდერული თანასწორობაც აღდგება.

— ესე იგი გენდერული ბალანსის მომხრე ხართ?

— სიტყვა „გენდერი“ კი ვახსენე, მაგრამ არ მიყვარს. მე მაინც მგონია, რომ ოჯახში კაცმა თავის უფლება-მოვალეობები უნდა შეასრულოს, ქალმა — თავისი. ლელა პირველი მშობიარობის შემდეგ ცოტა პასიურობდა, მაგრამ ჩემი ინიციატივით, ახალი ფილიალი მას ჩავაბარე. ჩემს სტუდიაში კი მუშაობს, მაგრამ მინდოდა, საკუთარი თავის რეალიზებაც მოეხდინა. ახლა უკვე მეჯიბრება კიდეც, თავის მოსწავლეებს ჩემებს აჯიბრებს. ეს ძალიან მომწონს. ლელა უკვე ერთი წელია დამოუკიდებლად მუშაობს და ღირსეულ კონკურენციასაც მიწევს.

— ორსულობა ხელს არ უშლის მუშაობაში?

— თქვენ წარმოიდგინეთ — არა. პირველი ორსულობის პერიოდშიც მშობიარობის ბოლო წუთამდე იმუშავა, მგონი, ახლაც ასე აპირებს. ჯერ 4 თვის ორსულია. პირველ ბავშვზე 3 თვის ორსული იყო, როცა პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ პირველი სეზონის კასტინგზე დამეხმარა და ამ სეზონის გახსნაზეც ერთად ვიცეკვეთ. იმ დროისთვის ლელა ორსულობის მეორე თვეში იყო.

— ფეხმძიმე ცოლის ჭირვეულობების შესრულება გიწევთ?

— უნიკალურ სიტუაციაში ვარ! ჯერჯერობით არაფერზე უთქვამს, მინდაო, თუმცა მე ნებისმიერ დროს, თუნდაც შუაღამეს, მზად ვარ, ავდგე და ნებისმიერი სურვილი შევუსრულო. მორიდებული კი არის, მაგრამ, მგონი, ორსულობის პერიოდში ისე უნდებათ რაღაც საჭმელები, ვერ ითმენენ. პირველ ბავშვზეც არაპრეტენზიული იყო. როცა თავისუფალი ვარ, შემიძლია სამზარეულოში შევიდე და განსაკუთრებული რამ მოვამზადო, ძირითადად ხორცეულთან მაქვს ხოლმე საქმე. ლელას ჩემი გაკეთებული კერძები ყოველთვის მოსწონს, უბრალოდ კორექტივები შეაქვს, რასაც აუცილებლად

Cyan Magenta Yellow Black

ვითვალისწინებ. თვითონაც კარგი მზარეულია, არაჩვეულებრივ ტოლმას აკეთებს.

— ლელას რამე თუ არ მოსწონს, წყენას როგორ გამოხატავს?

— შეიძლება ბევრი რამ სწყინს, მაგრამ მეორე დღეს აღარ ახსოვს. ზოგმა ქალმა შეიძლება წყენა გულში ისე ჩაიტოვოს, მეორე, მესამე დღესაც გაახსენდეს და ამაზე მთელი კონფლიქტი აეწყოს. მე უფრო ბუტია ვარ, ვიდრე ლელა, თუმცა დიდხანს არ ვებუტები. შეყვარებულობის პერიოდში გავბრაზებულვარ, დიდხანს არ შევხვედრივარ, მომნატრებია და მერე მინახავს.

ჩემთვის პირველ ადგილას ოჯახი დგას. ჩემი სახე ჩემი ოჯახია. თუ ის არ მექნება, არც კარიერა მინდა! ორივემ ვიცით, რომ ეს ყველაფერი დროებითია და ისეთი ცხოვრების რიტმს აუცილებლად დავუბრუნდები, როცა ცოლ-შვილისთვის მეტი დრო მექნება. ლელას ჩემდამი დამოკიდებულებას ძალიან ვაფასებ და ეს კიდევ უფრო მაძლიერებს.

— პროექტის სამ სეზონზე მეწყვილედ სამი სხვადასხვა სფეროდან და სხვადასხვა ხასიათის მქონე ქალით გყავდათ. ვისთან უფრო კომფორტული იყო ცეკვა, ვის უკეთ ეწყობოდით?

— სამივე სეზონზე სრულიად სხვადასხვანაირ ქალთან მომიწია ცეკვა. ჯერ კრისტი ყიფშიძესთან, შემდეგ ეკა ნიჟარაძესთან ერთად ვცეკვავდი. ახლა კი ნანა ნებიერიძის მეწყვილე ვარ. სამივე აბსოლუტურად სხვადასხვა ადამიანია. ვერ ვიტყვი, რომ ერთმანეთს რამით მაინც ჰგვანან, მაგრამ სამივეში ძალიან გამიმართლა. კრისტი სიურპრიზების დიდი მოყვარული იყო. რეპეტიციებზე შემაშინებდა, მანერვიულებდა, ეს არ გამოგვივაო და სცენაზე ისეთ რაღაცას გააკეთებდა, საერთოდ რომ არ ველოდი და ყბაჩამოვარდნილი ვრჩებოდი. კრისტი სცენას კარგად ფლობდა, თუმცა რეპეტიციებზე დიდად ვერ მხიბლავდა.

ეკა ნიჟარაძეს უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, ყველაფრის ახსნა, დაკონკრეტება სჭირდებოდა და ზედმიწევნით უყვარდა სწავლა. ვფიქრობ, ასეთმა მიდგომამ და შრომისმოყვარეობამ მიგვაღწევინა იმას, რომ სამეულში მოვხვდით.

ნანას ცეკვის დიდი ნიჭი აღმოაჩნდა. უცაბედად ძალიან კარგი ნაბიჯები გადადგა, მაგრამ უფრო მეტი განვითარებისთვის ბევრი შრომა გვჭირდება. ნანა ძალიან დამჯერია. ის ჩემზე პუნქტუალური აღმოჩნდა. მუშაობს იმაზე მეტს, ვიდრე შეუძლია. ვფიქრობ, რომ ბევრს მიაღწევს. როგორც აღმოჩნდა, ის არამარტო წყალში, სცენაზეც არაჩვეულებრივად გამოიყურება. საერთო ჯამში, ეს პროექტი ვარსკვლავებისაა, მე კი მაქსიმალურად ვცდილობ, მათ ხელი შევუწყო, დავაწყნარო და დავამშვიდო. ამის გამო კი ოჯახისთვის ნერვები ნაკლებად მრჩება და ლელას ვჩაგრავ.

— მეწყვილეები ერთმანეთს უთანხმებთ, როგორ კოსტიუმებს ჩაიცვამთ, რა აჯობებს იმ კონკრეტული ნომრისთვის?

— სხვათა შორის, ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. ამ საკითხში ნანა უჩემოდ ნაბიჯს არ დგამს. სულ მითანხმდება, ასეთი ფორმის ჩაცმას ვაპირებ და შენ რას ფიქრობო. ჩემი რჩევითაც ჩაუცვამს და მაყურებელს მოსწონებია კიდეც.

✓ სოფიო ბოჭორიძე

ოლიმპიური ჩემპიონისთვის თაყვანისმცემელთან შეხვედრა ტრავმით დამთავრდა

ბურვაში ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა რაიან ლოხტემ მუხლის ტრავმა თაყვანისმცემელ გოგონასთან შეხვედრის შემდეგ მიიღო.

ინციდენტი 4 ნოემბერს ფლორიდის შტატის ქალაქ გეინსვილის აუზის მახლობლად მოხდა, სადაც ლოხტე მორიგ ვარჯიშს ატარებდა. ქუჩაში გამოსულ მოცურავესთან უცნობმა გოგონამ მიირბინა. სპორტსმენმა გოგონას შეჩერება სცადა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა, მასთან ერთად დაეცა და მუხლი ბორდიურს დაარტყა. გოგონა კი ამ ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა.

საავადმყოფოში გადაყვანილ მოცურავეს ექიმებმა მედიალური კოლატერიალური მყესების დაწყვეტა და წინა ჯვარედინი მყესების დაჭიმვის დიაგნოზი დაუსვეს. ჯერჯერობით უცნობია, როდის შეძლებს 29 წლის რაიან ლოხტი გამოჯანმრთელებას.

შეგახსენებთ, რომ, გარდა 5 ოლიმპიური ოქროს მედლისა, ლოხტის ანგარიშზე კიდევ 3 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს ოლიმპიური მედალია. ასევე მას 15 ოქროს, 4 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი აქვს მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატებზე. გარდა ამისა, ამერიკელმა მოცურავემ მსოფლიოს ჩემპონატების 20 ოქროს მედალი მოიგო ე.წ. მოკლე წყალზე. ასევე მის აქტივშია ამ ტურნირების 6 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი.

მაქს მოსლის ორგიის ჩანაწერებს გაანადგურებენ

საფრანგეთის სასამართლომ კომპანია „გუგლს“ დაავალა, ინტერნეტიდან მოხსნას ყველა ის ფოტოსურათი, რომელზეც ფორმულა 1-ის ყოფილი ბოსის, მაქს მოსლის მონაწილეობით სექსუალური ორგიებია ასახული.

„გუგლს“ უბრძანეს, დაბლოკოს ყველა ის გზავნილი, რომლის საშუალებითაც ფრანგი მომხმარებლებისთვის ასეთ მასალებზე გასვლა იქნება შესაძლებელი. ამისთვის კომპანიას 2 თვის ვადა მიეცა და ასევე დაევალა, 5 წლის განმავლობაში თვალი ადევნოს მათ ინტერნეტსივრცეში გამოჩენას. ასევე კომპანია 5.000 ევროს გადაიხდის სასამართლოს ხარჯების ასანაზღაურებლად.

კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამგვარმა ცენზურამ შესაძლოა ინტერნეტ-თავისუფლების სახიფათო სამართლებრივი შეზღუდვის პრეცედენტი შექმნას. ისინი ამტკიცებენ, რომ საძიებო სისტემა მხოლოდ ერთგვარ პლატფორმას წარმოადგენს, ამიტომ „გუგლს“ პასუხისმგებელი არ უნდა იყოს ამ გზავნილების შინაარსზე.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული სკანდალური ფოტოსურათები მოსლის მონაწილეობით სდექ-კადრებია, რომლებიც გამოცემა „ზე ნიუს ოვ ზე უორლდმა“ გააკეთა. მანამდე მოსლიმ ევროსასამართლოში პროცესი წააგო, სადაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას იცავდა.

ოლიმპიური ჩემპიონი ნაკრებიდან გარიცხეს

ჩინური სააგენტო „სინხუანი“ იუწყება, რომ ცურვაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სუნ იანი გაურკვეველი ვადით გარიცხეს ჩინეთის ნაკრებიდან.

პროვინცია ჩეჯიანის კოლეჯის (სადაც სუნ იანი ვარჯიშობს) ვიცეპრეზიდენტმა ჩჟან იადუნმა განაცხადა, რომ შეჯიბრებებიდან ჩამოშორება სპორტსმენს უნდა დაეხმაროს, სასამართლოს მიერ გამოტანილ სასჯელს თავი გაართვას. იადუნის თქმით, სუნ იანმა კანონი არ უნდა დაარღვიოს, ვინაიდან ის ჩინეთის სპორტის გმირია.

მიმდინარე წლის 4 ნოემბერს სასამართლომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 2.000 იუანით (328 დოლარი) დააჯარიმა და 7 დღით პატიმრობა მიუსაჯა მართვის მოწმობის გარეშე ავტომობილის მართვისთვის. ცნობილ სპორტსმენს მანქანის მართვის მოწმობა რომ არ ჰქონდა, 3 ნოემბერს გაირკვა, როდესაც ის ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე გახდა — 21 წლის მოცურავე თავისი „პორშეთი“ ავტობუსს შეეჯახა. სუნ იანმა გარკვეული დრო პოლიციის განყოფილებაში გაატარა, რის შემდეგაც სახლში გაუშვეს. სასამართლომ ავტოსაგზაო შემთხვევაში დამნაშავედ ავტობუსის მძღოლი ცნო.

სააგენტო „სინხუა“ აღნიშნავს, რომ სუნ იანი პირველი ჩინელი სპორტსმენი არ არის, რომელიც დისციპლინის დარღვევისთვის დაისაჯა. მაგალითად, 2011 წელს შორტ-ტრეკში ოლიმპიური ჩემპიონი ვან მენი მთვრალ მდგომარეობაში მოწყობილი ჩხუბისთვის 400 დღით იქნა დისკვალიფიცირებული.

შეგახსენებთ, რომ სუნ იანმა 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლები 400 და 1.500 მეტრ დისტანციებზე თავისუფალი სტილით გაცურვაში მოიგო, მან ასევე ვერცხლის მედალი აიღო 200 მეტრ დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ესტაფეტაში ოთხი 200 მეტრ დისტანციაზე თავისუფალი სტილით გაცურვაში.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

მსოფლიო რეკორდი — პატარძალი 126 მეჯვარით

შრილანკელმა სიძე-პატარძალმა, ნისანსალიმ და ნალინიმ გადაწყვიტეს, მსოფლიო რეკორდი მოეხსნათ ქორწილში მეჯვარების რაოდენობით. ასეთი არატრადიციული და სარეკორდო ქორწილის ორგანიზების იდეა აზრად ნისანსალის ნახევარდას მოუვიდა.

ქორწილი ბანგკოკში გაიმართა და მართლაც არაჩვეულებრივი გამოვიდა. სიძის 23 მეგობარი ბიჭი, პატარძლის 126 მეჯვარე, 23 თაიგულიანი გოგონა აბსოლუტურად ერთნაირ სამოსში იყვნენ გამოწყობილი, რაც ნამდვილად უჩვეულო სანახაობა იყო. ქორწილს თვით შრი ლანკის პირველი ლედიც კი დაესწრო.

ინფორმაციისთვის, აქამდე მსოფლიო რეკორდების წიგნში შესულია ქორწილი, სადაც პატარძლს 96 მეჯვარე ჰყავდა.

ჰობოტების ყველაზე დიდი ბაზრობა

ცნობილი ფაქტია, რომ იაპონია რობოტების წარმოების სფეროში პირველ ადგილზეა. სწორედ ამიტომ რობოტების ყველაზე დიდი ბაზრობა ტოკიოში გაიხსნა. შოუზე რეკორდული რაოდენობის — 334 ექსპონატი წარადგინეს. გამოფენაზე იყო რობოტი-კუნთი, რომლის საშუალებითაც ადამიანს მძიმე საგნების აწევა შეუძლია, გველის მსგავსი რობოტი, რომელიც სამაშველო ან სამძებრო საქმიანობისთვის შეიქმნა და სხვა მრავალი მოწყობილობა.

უახლოეს მომავალში იაპონიაში რობოტების წარმოების ინდუსტრია 6,2 მილიარდი იენით გაიზრდება.

თავის ქალების დღესასწაული

ბოლივიაში, ლა პასში, 9 ნოემბერს თავის ქალების დღე აღინიშნა. ადგილობრივებმა გარდაცვლილი ადამიანების თავის ქალებით აღლუმი მოაწყვეს. ბევრისთვის ეს საშინელებათა ფილმის სცენას წააგავს, ბოლივიის მკვიდრთათვის კი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციაა.

ადგილობრივები თავის ქალებს, როგორც თილისმას, სახლებში ინახავენ. ამ დღეს კი მათ ყვავილებით რთავენ, სასაფლაოზე მიაქვთ და სხვადასხვა ძღვენს მიართმევენ. ბოლივიელებს სწამთ, რომ ეს რიტუალი ჯანმრთელობის და ბარაქის მომტანია.

თავის ქალების დღესასწაული სათავეს ადგილობრივი ინდიელების ტრადიციებიდან იღებს. ბევრი ბოლივიელი შორეული ნათესავების თავის ქალებსაც კი ინახავს.

კაცმა ცოლად ხე მოიყვანა

არგენტინელი გარემოს დამცველი რიჩარდ ტორესი ხეზე დაქორწინდა. ცერემონიალი ბუენოს აირესში გაიმართა. თეთრ კოსტიუმსა და ცისფერ შლაპაში გამოწყობილმა საქმრომ „მეუღლეს“ ყვავილების თაიგული აჩუქა და აკოცა. ქორწინების მოწმეები ნეფის მეგობრები და ნათესავები იყვნენ.

მამაკაცის განცხადებით, ამ ქორწინებას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა. ამ გზით იგი გარემოს პრობლემებისადმი ადამიანების ყურადღების მიპყრობას ცდილობდა. უახლოეს მომავალში რიჩარდ ტორესი მსგავსი აქციების ჩატარებას მთელ ლათინურ ამერიკაში გეგმავს.

57 წლის კაცი ჰამბურგერის ფანია

ფლორიდაში მცხოვრები 57 წლის ჰარი სპერლი ჰამბურგერის ყველაზე დიდი ფანია მსოფლიოში. მისი თქმით, ჰამბურგერი არამარტო გემრიელია, არამედ ამერიკული კულტურის ამსახველი ფასტ ფუდიცაა. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ბოლო 23 წელია, ჰარის საცხოვრებელი სახლი ბურგერების მუზეუმს წარმოადგენს. მის სახლში ნებისმიერი ნივთი, საწოლიდან დაწყებული და სკამით დამთავრებული, ჰამბურგერის ფორმისაა.

თავდაპირველად ჰარიმ ჰამბურგერის ფორმის ნივთების შეძენა სათამაშოების მაღაზიაში დაიწყო, რომელთა შორის ყველაზე მეტად ჰამბურგერის ფორმის ველოსიპედი მოსწონს. მიუხედავად იმისა, რომ სპერლი წარმოშობით გერმანელია, ყველაზე მეტად ამერიკა და ამერიკელები უყვარს.

„მე მიყვარს ამერიკული ამინდი, ამერიკული მზე, ამერიკული ოკეანე და სანაპირო. ყველაზე მეტად კი ამერიკული ცხოვრების სტილი მომწონს“, — ამბობს ჰარიმ.

ყოველდღიურად უამრავი ჰამბურგერის ჭამის გამო ჰარის მაღალი ქოლესტერინი აწუხებს, მაგრამ საყვარელ საჭმელზე უარს მაინც არ ამბობს.

Cyan Magenta Yellow Black

უკრაინელი ბარბი



21 წლის უკრაინელ ვალერია ლუკიანოვას აბსოლუტურად არარეალური გარეგნობა აქვს — სახე თითქოს პლასტმასისგან აქვს გაკეთებული, ხოლო სხეულის პროპორციები თოჯინის პროპორციებთან შესაბამისობაშია.

თოჯინა ბარბისთან მსგავსებამ ვალერია ლუკიანოვას მსოფლიო პოპულარობა მოუტანა. უკრაინელი მოდელი ამით არ დაკმაყოფილდა და ინტერნეტში გაავცელა დოკუმენტური ფილმი „კოსმიური ბარბი“, რომელშიც ამტკიცებს, რომ იგი ბარბის ორეულია.

„ვარდისფერი ოცნება“ 83 მილიონად

ჟენევაში გამართულ სოთბის აუქციონზე გასაყიდად უზარმაზარი, 59,6 კარატიანი ოვალური ფორმის ბრილიანტი გაიტანეს. უნაკლო ბრილიანტი ოქტომბრის ბოლოს ჯერ ჰონგ კონგის სოთბის აუქციონის ბიურომ გამოფინა, სადაც 61 მილიონ დოლარად იქნა შეფასებული, შემდეგ ჟენევაში გადაინაცვლა.

საბოლოოდ ბრილიანტი ამერიკელმა იუველირმა ისააკ ვოლფმა 83 მილიონ დოლარად შეიძინა და „ვარდისფერი ოცნება“ დაარქვა. მფლობელმა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბრილიანტი ბეჭედში უკვე ჩასვა.

კაცი ნიანგებს ხელით აჭმევს

32 წლის კოსტარიკელი ხოსე სალასი ფლობს ფირმას, სახელწოდებით „ხოსეს ტური მდინარეზე“. ის მდინარე ტარკოლესზე კატარღით ასეირნებს ტურისტებს და მათ თვალწინ უზარმაზარ ნიანგებს საკუთარი ხელით აჭმევს.

ხოსეს თქმით, თავიდან ძალიან ეშინოდა ნიანგებთან მიახლოების, მაგრამ გამოცდილების დაგროვებასთან ერთად შიში გაუქრა. ნიანგის მოსაზიდად ხორცის ნაჭრებს წინასწარ ყრის წყალში, ხელით კი ქათმის ხორცს აწვდის, რაც ნიანგებს ძალიან მოსწონთ. გაგიკვირდებათ და, ნაცნობი ნიანგი ხოსეს ზურგზე შეჯდომის უფლებასაც აძლევს.

დუბაიში ოქროს ფეხსაცმელი იყიდება

იტალიელი დიზაინერის ალბერტო მორეტის მიერ შექმნილი ქალისა და მამაკაცის ოქროს 24 კარატიანი ფეხსაცმელი დუბაიში, ბუტიკში იყიდება. ოქროს ფეხსაცმელი მთლიანად ხელითაა დამზადებული. დიზაინერმა ხავერდის ქსოვილი გამოიყენა, რომელზეც სხვადასხვა ფორმის ოქროს ფიგურებია დატანილი. როგორც ქალის, ისე მამაკაცის ფეხსაცმელი ოქროს ფიგურებითაა გაფორმებული.

წყვილი ფეხსაცმელის ღირებულება 4 000-დან 4 800 დოლარამდეა. 3 თვის შემდეგ ოქროს ფეხსაცმელი სხვა ქვეყნებშიც გაიყიდება.

ბორბლებზე მოსიარულე ეკლესია

ნიუ იორკის ქუჩებში გამოჩნდა ტაქსი, რომელსაც ადგილობრივი მღვდელი ჯოზეფ ჯანი მართავს. მღვდელი თავის ავტოს „ბორბლებზე მოსიარულე ეკლესიას“ უწოდებს. მისი თქმით, გზაში უამრავი მგზავრი ხვდება, რომლებიც ეკლესიაში წასვლას ვერ ახერხებენ ან საერთოდ არ აქვთ ამის სურვილი. ეს ხერხი კი ასეთი ადამიანების დასახმარებლად საუკეთესო გამოსავალია.

როდესაც მგზავრები იგებენ, რომ მძღოლი მღვდელია, საკუთარ ცოდვებსა და პრობლემებზე გულახდილად საუბრობენ და შესაბამის მითითებებსაც იღებენ.

Cyan Magenta Yellow Black

რას ელით ახალი შეხვედრისგან?



1. შეყვარებულთან შეხვედრის შემდეგ იმედგაცრუების ან დაღლილობის გრძნობა გაქვთ?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

2. ორი-სამი შეხვედრის შემდეგ თქვენ...
ა) შემდეგ შეხვედრას ელოდებით — 1
ბ) თვლით, რომ ის ერთადერთი და განუმეორებელია — 0
გ) დაინტერესდებით, მისთვის რას ნიშნავს ეს შეხვედრები და ეტყვით, რომ გესიამოვნებათ, თუ სხვებს არ შეხვდება — 0

3. ადამიანები, ვისაც დღემდე ხვდებოდით, იყვნენ...
ა) თქვენი ბავშვობის დროინდელი შეყვარებულის სრული ასლები — 0
ბ) ერთნაირი ბიოგრაფიისა და ინტერესების მქონე — 0
გ) განსხვავებული გარეგნობის მქონე, მაგრამ რაღაცით ერთი ტიპის ადამიანები — 0
დ) სხვადასხვა ტიპის არაპროგნოზირებადი პიროვნებები — 1

4. ნებისმიერ ადამიანთან შეხვედრის მთავარი მიზეზია...
ა) შაბათ-კვირას მთელი დღე სახლში ჯდომა არ გსურთ — 0
ბ) მეორე ნახევრის მოძებნა — 0
გ) გართობა და გარკვევა, სინამდვილეში ვის ეძებთ — 1
დ) პარტნიორის მოძებნა — 0

5. როდესაც ფიქრობთ, შეხვედრაზე წახვიდეთ თუ არა, თქვენ...
ა) სრულიად საღად შეგიძლიათ აზროვნება და ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში ნებისმიერთან, ვინც კი გთხოვთ, სასეირნოდ მიდიხართ — 0
ბ) თავდაპირველად დარწმუნდებით, რომ ამ ადამიანს ყველა ის თვისება აქვს, რასაც აფასებთ. ეს თქვენთვის მნიშვნელოვანია — 1
გ) შეაფასებთ, ემთხვევა თუ არა ეს ადამიანი გარეგნობით და პიროვნულად თქვენს იდეალს — 0
დ) შეხვედრაზე იშვიათად თანხმდებით, რადგან ყველას, ვისაც ადრე ხვდებოდით, რაღაც დიდი ნაკლი ჰქონდა — 0

6. გიყვართ თავქარიან ადამიანებთან შეხვედრა, რომლებსაც მოკლევადიანი გეგმები აქვთ?
ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

7. როდესაც ახალგაცნობილ ადამიანთან ერთად საღამოს სადმე მიდიხართ, თქვენ...
ა) ღელავთ, მაგრამ ცდილობთ, არ შეიმჩნიოთ — 0
ბ) ღელავთ და ეს გემჩნევათ კიდევაც — 0
გ) ერთდროულად აღფრთოვანებულიც ხართ და აღელვებულიც — 0
დ) თავს იმ შემთხვევაშიც კარგად გრძნობთ, თუ მიხვდით, რომ ის თქვენი შესაფერისი არ არის — 1

შედეგები:

0-2 ქულა — თქვენთვის სიურპრიზი არ იქნება იმის გაგება, რომ შეხვედრების „საქმეში“, ცოტა არ იყოს, ხელმოცარული ბრძანდებით. ხშირად ხვდებით თქვენთვის შეუფერებელ ადამიანს და რატომღაც არასოდეს „გივარდებათ ხელში“ კარგი. ეცადეთ, ნებისმიერ ადამიანთან შეხვედრა თქვენთვის ჰორიზონტის გაფართოების და არა ბედნიერების, სულიერი სიმშვიდის მოპოვების შესაძლებლობა გახდეს. ისწავლეთ, ადამიანები ისეთები მიიღოთ, როგორებიც არიან, მათზე დიდ იმედებს ნუ დაამყარებთ. მოდუნდით და ნახავთ, რომ ნებისმიერი შეხვედრა ისეთი სასიამოვნო იქნება, საკუთარი თავის გაგიკვირდებათ.

3-5 ქულა — როგორც წესი, პარტნიორზე ხართ დამოკიდებული. ყველანაირად ცდილობთ, მას ასიამოვნოთ და ამ როლში იმდენად ღრმად იჭრებით, საკუთარი თავი გავიწყდებათ. როდესაც ვინმე შეხვედრას გთხოვთ და თანხმდებით, გახსოვდეთ, რომ თქვენ სულაც არა ხართ ვალდებული, მას ასიამოვნოთ. საკუთარ თავზეც იფიქრეთ. ენდეთ ინტუიციას, თქვენი შესანიშნავი განწყობა სხვასაც გადასდეთ და ნახავთ, რომ ადამიანს, ვისაც ხვდებით, თქვენ გარეშე სიცოცხლე აღარ მოუნდება.

6-7 ქულა — ისეთი საინტერესო ბრძანდებით, ბადალი არ მოგეძებნებათ. თქვენთვის ნებისმიერი შეხვედრა რაღაც ახლის გაგების შესაძლებლობაა. დიდი მოლოდინი არასოდეს გაქვთ, ამიტომ შეუძლებელია, რაიმემ იმედი გაგიცრუოთ. ასეთი დამოკიდებულებით თქვენ შორს წახვალთ. ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენთ, რომ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ურთიერთობა რაღაც გასაოცარ რომანად იქცა.

სიგარეტი ნარკოტიკად ხომ არ გეჭცათ?

1. დილით, გაღვიძებიდან დაახლოებით რამდენ ხანში ეწევით პირველ სიგარეტს?
ა) მაშინვე — 0
ბ) ნახევარ საათში — 1
გ) ერთ საათში — 2
დ) რამდენიმე საათის შემდეგ — 3

2. გიჭირთ ისეთ ადგილებში გაძლება, სადაც სიგარეტის მოწევა აკრძალულია?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

3. ყველაზე მეტად როდის გიჭირთ უსიგარეტოდ?
ა) დილით — 1
ბ) საღამოს — 0

4. რამდენ ღერს ეწევით დღის განმავლობაში?
ა) 10 ღერზე ნაკლებს — 0
ბ) 10-დან 20 ღერამდე — 1
გ) 20-დან 30 ღერამდე — 2
დ) 30 ღერზე მეტს — 3

5. დღის განმავლობაში უფრო მეტ სიგარეტს ეწევით თუ საღამოს?
ა) დღის პირველ ნახევარში — 1
ბ) საღამოს — 0

6. ავადმყოფობის პერიოდში სიგარეტის მოწევისგან თავს იკავებთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

შედეგები:

0-6 ქულა — სიგარეტის მოწევის ჩვევა გაქვთ, ნიკოტინზე ჯერ კიდევ არ ხართ დამოკიდებული.

7-10 ქულა — ნიკოტინზე როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად ერთობ დამოკიდებული ხართ. სიგარეტი თქვენთვის ნარკოტიკად იქცა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

		5		6		3		
8					7			2
		9				1		
	6				8			9
		1	3	2		4	7	
7	4		5					
		3	7				6	
	1			4		8		
2			9					5

№ 2

3			6					2
	8		1	9			4	
		9				1		7
		5	4					
			8	2			6	
7					3	8		
	4		7			5		
1				8			9	
6		2			9			8

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

ოცნებებში დაფრინავთ თუ ინტუიციით მოქმედებთ?

თითოეულ პასუხში „დიახ“ 2 ქულა დაიწერეთ, „მიჭირს პასუხის გაცემა“ — 1, ხოლო „არა“ — 0 ქულა.

1. შეგიძლიათ, გაიხსენოთ 2-3 წლის ასაკში მომხდარი მოვლენები?
2. ბავშვობაში ფანტაზიორი და მეოცნებე იყავით?
3. ბავშვობაში ზღაპრების კითხვა სიამოვნებას განიჭებდათ?
4. დღესაც გიყვართ ზღაპრების კითხვა ან ზღაპრული სიუჟეტის ფილმების ყურება?
5. ბავშვობაში გჯეროდათ, რომ არსებობდა თოვლის პაპა, ჯუჯები და ჯადოქრები?
6. დღესაც გაქვთ სურვილი, იყოთ კონკია ან თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცი?
7. მოსინჯავდით ჰიპნოზის ძალას საკუთარ თავზე?
8. გიჭირთ სიზმრების გახსენება?
9. გაქვთ უნარი, ნახოთ ისეთი სიზმარი, როგორიც გსურთ?
10. ხილვები თუ გაქვთ?
11. ხშირად გაქვთ შეგრძნება, თითქოს დღეს განვითარებული მოვლენები წარსულშიც მომხდარა?
12. სიზმრები ყოველთვის დეტალურად გამახსოვრდებათ?
13. ბავშვობაში და დღესაც თქვენს წარმოსახვაში არსებობს ვირტუალური მეგობარი, ცხოველი ან სხვა რამ?
14. შუადღის ძილი გიყვართ?
15. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, თვალები დახუჭოთ და საყვარელი ფილმის მონაწილე გახდეთ?
16. წიგნის კითხვისას შეგიძლიათ, მთავარი გმირის ყველა შეგრძნება გაიზიაროთ?
17. ფანჯრიდან ცქერა მოგწონთ?

შედეგები:

27-38 ქულა —ოცნებების სამყაროში ცხოვრობთ. დროა, მიწაზე დაეშვათ. წარმოსახვითი ცხოვრება რეალურისგან ყოველთვის შორსაა და ეს უამრავი პრობლემის მიზეზი შეიძლება გახდეს.

16-26 ქულა —განონასწორებული ადამიანი ხართ. გაქვთ კარგი ინტუიცია და ხასიათისდა მიხედვით, შეგიძლიათ, ფანტაზიებში მთელი თქვენი არსებით გადაეშვათ.

0-15 ქულა —პრაგმატული ადამიანი ბრძანდებით. წარმოსახვის უნარი თითქმის არ გაქვთ. რეალურ ცხოვრებაში ზედმეტი პრაქტიკულობა რიგ შემთხვევაში დამღუპველია, ამიტომ ეცადეთ, განივითაროთ ფანტაზიის უნარი და მხოლოდ ინტუიციით არ მიიწევდეთ წინ.

სასიამოვნო თანამოსაუბრე ხართ?

ტესტის 1, 2, 3, 6, 7, 8, 9, 10, 11 კითხვებზე დადებითი პასუხის შემთხვევაში 1 ქულა დაიწერეთ, სხვა შემთხვევაში — 0.

1. მოსმენა უფრო გიყვართ, ვიდრე ლაპარაკი?
2. ადვილად შეგიძლიათ უცნობ ადამიანთანაც სასაუბრო თემის გამონახვა?
3. ყოველთვის საგულდაგულოდ უსმენთ მოსაუბრეს?
4. გიყვართ ახლობელი ადამიანებისათვის რჩევების მიცემა?
5. თუ საუბრის თემა არ მოგწონთ, ამას თანამოსაუბრეს აუცილებლად აგრძნობინებთ?
6. ღიზიანდებით, როდესაც არ გისმენენ?
7. ნებისმიერ საკითხზე გაქვთ საკუთარი აზრი?
8. თუ საუბრის თემა თქვენთვის უცნობია, შეეცდებით თუ არა მის განვრცობას?
9. გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა?
10. არსებობს სამი რამ, რის შესახებაც ამომწურავი ცოდნა გაქვთ?
11. როგორ გგონიათ, კარგი ორატორი ხართ?

შედეგები:

1-3 ქულა — ვერ იტყვით, რომ ლაპარაკი არ გიყვართ და თანამოსაუბრე სიტყვებს ძალით გქაჩავთ, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად ადამიანები თქვენთან ურთიერთობისას სიამოვნებას ვერ განიცდიან. ამიტომ ეცადეთ, მანერები შეიცვალოთ და უფრო საინტერესო გახდეთ გარშემომყოფებისათვის.

4-8 ქულა — შეიძლება ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი არ ბრძანდებით, მაგრამ ყოველთვის ყურადღებიანი და სასიამოვნო თანამოსაუბრე ხართ.

9-11 ქულა —ყველაზე სასიამოვნო ადამიანი ხართ თანამოსაუბრისათვის, ამიტომაც ბევრს უჩნდება სურვილი, თქვენი მეგობარი გახდეს. უბრალოდ, საინტერესოა, ხომ არ გიწევთ თამაში, როგორც პროფესიონალ მსახიობებს სჩვევიათ?

ხა გიჰჩევნიათ — გათელილი გზა თუ გაუკვალავი ბილიკები?

1. თუ სხვა ქალაქში გადასვლა მოგიწევთ...

ა) სახლზე გული დაგწყდებათ — 3

ბ) ახალ ადგილს ძირფესვიანად გამოიკვლევთ — 2

გ) გაგიხარდებათ ადგილის შეცვლა — 1

2. როგორ აღწერთ თქვენს მეგობრების წრეს?

ა) ასი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ და ყველა ერთმანეთს ვგავართ — 3

ბ) ბევრი ძველი მეგობარი მყავს, მაგრამ არსებობენ ახალი ნაცნობებიც — 2

გ) წრე მუდამ ფართოვდება — 1

3. უკანასკნელ მოდაზე იცვამთ?

ა) დიახ, ულტრამოდურად — 1

ბ) ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მომწონს ახალი ტენდენცია — 2

გ) მაქვს საკუთარი სტილი — 3

4. პარტნიორი ეგზოტიკურ რესტორანში გეპატიჟებათ...

ა) აღფრთოვანებული ვარ მისი იდეით — 1

ბ) ვახშამი შინ, სანთლების შუქზე მირჩევნია — 3

გ) ექსპერიმენტზე ენთუზიაზმის გარეშე ვთანხმდები — 2

შედეგები:

4-6 ქულა — ცნობისმოყვარეობა თქვენი მეორე ბუნებაა. ფრთხილად, გაუკვალავი ბილიკებით სიარულის დროს ღრმად არ შეტოპოთ.

7-9 ქულა — სტაბილურობას აფასებთ, მაგრამ ზუსტად ხვდებით, როდისაა ცვლილებების დრო. ძირითადად გაკვალულ გზაზე დადიხართ, მაგრამ თუ საჭირო გახდა, გაუკვალავ გზასაც თამამად შეუყვებით.

10-12 ქულა — სიახლის ისე გეშინიათ... ასე შეიძლება ყოველდღიურ რუტინაში დაიხრჩოთ. ყოველთვის გაკვალული ბილიკით სიარული არ გამოვა. დროა, ეს გაითავისოთ.

Cyan Magenta Yellow Black

ორგანიზმის სიგნალები — სასაცილო თუ საშიში?

ჩვენი ორგანიზმი ხშირად ავადმყოფური, ზოგჯერ კი სრულიად გაუგებარი უსიამოვნო შეგრძნებების მეშვეობით, სიგნალებს გვიგზავნის. მოდით, გავარკვიოთ, რას ნიშნავს ეს და როგორ მივუდგეთ.

ცხვირის დაცემინება

დროდადრო ყველა ადამიანი ამას აკეთებს, განსაკუთრებით, როდესაც გაციებულია. მაგრამ ზოგჯერ ცხვირის დაცემინება აკვიატებულ ხასიათს იძენს. ამ რეფლექტორული პროცესის აღმოცენების მიზეზი მრავალია.

რა ხდება? როგორც წესი, ცხვირის დაცემინება მიმართულია პირის ღრუში ან ცხვირში არსებული გამაღიზიანებელი აგენტის მოსაცილებლად.

როგორ მოიქცეთ? გაერკვიეთ, სახელდობრ, რით არის გამოწვეული ცხვირის დაცემინება და მისი მიზეზები მოიცილეთ. ასეთია: ფიზიკური გამაღიზიანებლები და მექანიკური პროვოკატორები (თამბაქოს ბოლი, სუნამოსა და სარეცხი საშუალებების მძაფრი სუნი, დაბინძურებული ჰაერი, უცხო სხეული; ალერგენები (ცხოველის ბეწვი, მცენარეთა მტვერი); საკვებისმიერი ალერგია; ქიმიური ნივთიერებები; მზის კაშკაშა სხივი; ტემპერატურის მკვეთრი მერყეობა.

ყურადღება! ცხვირის დაცემინების მკურნალობა აუცილებელია, როდესაც გამაღიზიანებლებზე მყარი ალერგიული რეაქცია შეინიშნება.

სლოკინი

სლოკინის ცბიერება ყველასთვის ცნობილია. ყველაზე შეუფერებელ მომენტში ყელიდან მოულოდნელად ამოსროლილი შფოთიანი ბგერები უხერხულ მდგომარეობაში გაყენებთ, სირცხვილისგან მზად ხართ, მიწა გაგისკდეთ და ჩაგიტანოთ, მაგრამ არაფრის გაკეთება შეგიძლიათ. სლოკინის წინასწარ გამოცნობა-განსაზღვრა შეუძლებელია. შეიძლება ისევე მოულოდნელად გაქრეს, როგორც დაიწყო ან საათობით და რამდენიმე დღე გაგრძელდეს და ადამიანი სრულ ქანცგაწყვეტამდე მიიყვანოს. ამავე დროს, თითქოს ყველაფერი წესრიგშია და ადამიანს არაფერი აწუხებს.

რა ხდება? ადგილი აქვს დიაფრაგმის კუნთების სპაზმს, რომელსაც თან ახლავს კუჭში ჰაერის სწრაფად შეწოვა და თავისებური ხმის გამოცემა. მიზეზი შეიძლება იყოს, რაც გნებავთ: ფიზიკური გადაღლა, ძლიერი ხანგრძლივი სიცილი ან პირიქით, ქვითინი, გადაციება, მეტისმეტად მსუყე ტრაპეზი, სპირტიანი ან გაზიანი სასმელის სიჭარბე... ასე რომ, სლოკინის ნაწილობრივ თავიდან აცილება შეიძლება, თუ ზემოაღნიშნულ მიზეზებს მოერიდებით.

როგორ მოიქცეთ? ყურები საჩვენებელი თითებით დაიხშეთ და მსუბუქად დაატრიალეთ. ამგვარად შუა ყურებში ნერვის სტიმულირება ხდება, რომელიც სლოკინის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ამოსუნთქვის დროს რამდენჯერმე ნეკის შუა ფალანგს ძლიერ დააწექით. წერტილოვანი მასაჟი დიაფრაგმის მოდუნებას ეხმარება და სლოკინი შეწყდება.

ყველაზე უსიამოვნო, მაგრამ ყველაზე ეფექტური მეთოდი: პირი ფართოდ გააღეთ და ენის ძირს თითებით ისე დააწექით, რომ გულისრევის შეგრძნება გაჩნდეს.

ყურადღება! თუ სლოკინი ორ დღეზე მეტ ხანს არ გადის ან ძალიან ხშირად ხდება, ექიმს საკონსულტაციოდ მიმართეთ.

გულძმარვა

გულის კოვზთან წვამ შეიძლება ნიშანი მოგცეთ ჭამიდან ნახევარი საათის შემდეგ ან ღამით.

რა ხდება? კუჭის წვენში არსებული მარილმჟავა საყლაპავ მილში ხვდება და მის კედლებს წვავს, რაც სარქველის (საყლაპავ მილს კუჭთან აერთებს) არასწორი მუშაობის შედეგია. ამ უთანხმოების მიზეზი რამდენიმეა. მაგალითად, შოკოლადის, ნივრის, ალკოჰოლის, ყავის უზომოდ მოხმარება. სტრესის დროს კუჭ-ნაწლავის ტრაქტი პირველი იღებს დარტყმას.

როგორ მოიქცეთ? სასწრაფოდ დალიეთ წყალი (მჟავის კონცენტრაციას შეამცირებს). თუ გულძმარვა ღამით გაწუხებთ, მაშინ თავსასთუმალი აიმაღლეთ და ნახევრად წამომჯდარმა დაიძინეთ. უმჯობესია, გამოკვლევა ჩაიტაროთ და ჯანსაღ კვებაზე გადახვიდეთ. გულძმარვის სოდით ან რძით ჩაქრობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

ბოყინი

ზოგჯერ ჭამის დროს ან შემდეგ გრძნობთ, საყლაპავი მილიდან ჰაერის ნაკადი ყელში უნებლიეთ როგორ ამოდის.

რა ხდება? ჭამის დროს საკვების ყოველ ლუკმასთან ერთად ცოტა ჰაერს ვყლაპავთ, რომელიც საყლაპავ მილში გროვდება და მოხერხებულ შემთხვევაში გარეთ გამოდის. როდესაც ჰაერი მცირეა, ეს შეუმჩნევლად მიმდინარეობს, სხვა შემთხვევაში ბოყინი გარდაუვალია.

როგორ მოიქცეთ? მოერიდეთ მეტისმეტად ცხელ და ცივ კერძებს, გაზიან სასმელებს. დიდი ლუკმებისა და ჩქარა ჭამის მავნე ჩვევისგან გათავისუფლდით.

პატარა მკურნალი ვამპირები



ჰირუდოთერაპია (წურბლებით მკურნალობა) ბუნებრივ მეთოდებს შორის ყველაზე უნივერსალურია. ნატურალური მეთოდების უპირატესობა ისაა, რომ გავლენას ახდენს დაავადების მიზეზზე და და არა სიმპტომებსა და შედეგებზე. მართალია, ბუნებრივი საშუალებები სწრაფად არ მოქმედებენ, მაგრამ მათი ეფექტი ბევრად მაღალია, ხოლო უკუჩვენებები ბევრად მცირე. წურბელა ძლიერ გავლენას ახდენს ნერვულ, ენდოკრინულ, იმუნურ სისტემაზე და ასევე ადამიანის ენერგეტიკულ დონეზეც. ამავდროულად გამოყოფს მორფინის მსგავს ნივთიერებას, რომელიც ნერვულ სისტემას ამშვიდებს. წურბელა სასარგებლოა დაავადების ნებისმიერ სტადიაზე, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე დაავადების პროფილაქტიკისთვის. ეს ვამპირი-მკურნალი ზოგადად თვითშეგრძნებას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს. მის ფონზე ფარმაცევტული პრეპარატები მცირე დოზებში, უფრო სწრაფად, უფრო ეფექტურად და ნაკლები გვერდითი ეფექტებით მუშაობს.

წურბელას ორგანიზმში 100-ზე მეტი ნივთიერება შეჰყავს, პირველ რიგში, ჰირუდინი, რომელიც სისხლს ათხელებს, ხოლო სხვა ნივთიერებები ტკივილს, შეშუპებას, სპაზმს ხსნის, ანთებას ებრძვის, სისხლის მიმოქცევას ააქტიურებს, ადგილობრივ იმუნიტეტს ამაღლებს, წნევას არეგულირებს, ათეროსკლეროზის გამოვლენას ამცირებს, სისხლძარღვების ტონუსს იცავს. მათ მიერ სისხლის გათხელება შესანიშნავი პროფილაქტიკაა სისხლძარღვების დაავადებების: ინფარქტის, ინსულტის, თრომბოფლებიტისა და მიკროცირკულაციის დონეზე დარღვევების.

ტრადიციულად, წურბელებით მკურნალობის კურსი სასურველია 6 თვეში ერთხელ, ვინაიდან გამოკვლევებმა აჩვენა: ნორმალური ენერგეტიკული მდგომარეობა კურსის შემდეგ საშუალოდ შენარჩუნებულია ნახევარი წელი, ხოლო ყოველ კურსზე სეანსების რაოდენობა 5-დან 10-მდეა. პირველ პროცედურაზე, ჩვეულებრივ, 3 წურბელას სვამენ, შემდეგ თანდათან 6-მდე უმატებენ. მაგრამ ეს ინდივიდუალურია, აუცილებლობის შემთხვევაში მეტის დასმაც შეიძლება.

ჰირუდოთერაპია ყველასთვის სასარგებლო არ არის

წურბელებით მკურნალობის უკუჩვენება ცოტაა, მაგრამ მაინც არის. ესენია: ნებისმიერი ონკოლოგიური დაავადება, დაავადებები, რომელთა დროს სისხლის შედედება ცუდად ხდება, შინაგანი სისხლდენა, ნებისმიერი ფსიქიატრიული დაავადებები, ორსულობა.

ჰირუდოთერაპიის დროს საჭიროა ჰემოგლობინის გაკონტროლება — ზოგჯერ წურბელების გამო ის ქვეითდება.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black



— მაქვს მუდმივი გულის აჩქარება, შფოთვა. საშიშია? ყველა წვრილმანზე ვნერვიულობ.

— ადამიანი თუ შეამჩნევს, რომ გულის რიტმის დარღვევამ სტაბილური ხასიათი (ხშირი აჩქარება ან შენელება) მიიღო, აუცილებელია, სასწრაფო წესით გადაიღოს ელექტროკარდიოგრამა და მიმართოს კარდიოლოგს. უპრიანი იქნებოდა, თუ ნევროპათოლოგთან გაივლიდით კონსულტაციას. ჩამოთვლილი ჩივილების მიხედვით თქვენ ალბათ ვეგეტონევროზი გჭირთ, რაშიც გადამწყვეტი თქვენივე განწყობაა. ვეგეტონევროზის დროს ნერვული სისტემის ორგანული დაზიანება (სტრუქტურული შეცვლა) არ მიმდინარეობს. ამ დროს ორგანიზმი ყველაფერზე რეაგირებს, იცვლება გუნება-განწყობა, ქვეითდება შრომისუნარიანობა, ზოგჯერ კანი მშრალია, გაფერმკრთალებულია, გაძლიერებულია ოფლიანობა, აღინიშნება სისხლის წნევის მკვეთრი მატება. სისხლში შეიძლება მცირე ცვლილებები მიმდინარეობდეს.

ვეგეტონევროზის დროს მიიღეთ კუნელის, ვალერიანის, „პუსტირნიკის“, კორვალოლის წვეთების ნარევი დღეში სამჯერ 20-20 წვეთი. შემდეგ ნელ-ნელა დოზა შეამცირეთ. თუმცა ეს მკურნალობის კურსი არ არის, იგი მდგომარეობას დროებით შეგიმსუბუქებთ. ნევროპათოლოგის ჩარევა შეიძლება აუცილებელი გახდეს.

— რამდენიმე წელია კანზე გამიჩნდა იარა, რომელიც პერიოდულად შემახსენებს თავს, მექავება, მოფხანის შემდეგ კანი მაღიზიანდება. იარა მხოლოდ ერთ ადგილას მაქვს. მითხრეს, სოკოვანი დაავადებაა, ვიმკურნალე, მაწუხებს ერთი კონკრეტული უბანი.

— უმჯობესია მიმართოთ დერმატოლოგს. შეიძლება თქვენ ნეიროდერმატიტი გჭირთ. ნეიროდერმატიტს ახლავს ქავილი, განაკაწრები, კანის გასქელება, ფერის შეცვლა. იგი ძირითადად ნერვული სისტემის, ენდოკრინოლოგიური დაავადებებისას, განსაკუთრებით ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლისას ვითარდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ალერგიულ მდგომარეობას. ნეიროდერმატიტი ძირითადად მუხლქვეშ და იდაყვის ფოსოებში, კისერზე ვითარდება. ქავილი ღამით ძლიერდება. ექიმი-დერმატოლოგი მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად შესაბამის დიეტასაც დაგინიშნავთ.

— 4 წლის გოგონას ქრონიკულად დაეწყო თვალების შეშუპება, სიშაკე. შარდსაც მცირე რაოდენობით გამოყოფს, მოემატა თმიანობა. ვის მივმართოთ? გვირჩიეთ რამე ხალხური მედიცინიდან.

— სასწრაფოდ მიმართეთ ბავშვთა უროლოგს. თუ ბავშვი მცირე რაოდენობით შარდს გამოყოფს და თვალები უშუპდება, შეიძლება პათოლოგიაა. გირჩევთ, ექიმის კონსულტაციამდე არანაირი წამალი არ მისცეთ, შეიძლება მდგომარეობა დამძიმდეს.

— ადმომჩნდა ჰერპესვირუსი. საშიშია? ვარ გასათხოვარი.

— ჰერპესვირუსი აუცილებლად საჭიროებს მკურნალობას, რაც ძირითადად ორგანიზმის იმუნური სისტემის გაძლიერებით გამოიხატება. მკურნალობას ვიტამინებით ნუ დაიწყებთ. მიმართეთ ექიმს, რომელიც როგორც ანტივირუსული, ასევე იმუნური სისტემის გამაძლიერებელ საშუალებებს დაგინიშნავთ. გათხოვილ ქალებში ეს ვირუსი ხშირად ნაადრევი მშობიარობის მიზეზი ხდება.

— მკერდი სხვანაირი მაქვს. ერთი მკერდი გაწითლებული მაქვს. ვის მივმართოთ?

— მკერდის ფორმის, ზომისა და ფერის შეცვლა მასში მიმდინარე პათოლოგიურ ცვლილებებზე მიუთითებს. ჩაიტარეთ მკერდის ექომამოგრაფია და მიმართეთ მამოლოგს. შეიძლება მკვეთრი ცვლილებები ჯერ არ გაქვთ, მკერდის გამოკვლევა არასდროს არის ადრე.

— ადრე სიცოცხეში სულ ცხვირს ვაცემინებდი, მაწითლდებოდა ცხვირი, მქონდა ალერგია. შემდეგ მდგომარეობა დამიმძიმდა. ცემინება დამეწყო ცხელებით, ასევე მაქვს ხელ-ფეხის ცხელება. რა ანალიზი უნდა ჩავიტარო და რომელ ექიმს მივმართო.

— თუ დაზუსტებით იცით, რომ ალერგია გქონდათ, მიმართეთ ალერგოლოგს, თუმცა ალერგიას არ ახასიათებს ტემპერატურის მატება. ჩაიტარეთ სისხლის საერთო ანალიზი და მიმართეთ თერაპევტს. შეიძლება თქვენს ორგანიზმში მიმდინარეობს ანთებითი პროცესი და საჭიროა ანტიბიოტიკებით მკურნალობა, ოღონდ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

ДЕРМАТОЛОГИС 5 РЧЕВА

კანისა და ფრჩხილების ზოგიერთი დაავადების კარგი დამხმარე შეიძლება გახდეს სამზარეულოში არსებული ყველაზე უბრალო საშუალებები.



1. ფრჩხილებსა და ტერფებზე სოკოს დროს ექიმის მიერ დანიშნულ სოკოს საწინააღმდეგო კრემებთან და პრეპარატებთან ერთად ყოველდღიურად გაიკეთეთ აბაზანები — გამოჯანმრთელებას დააჩქარებს. 1 სუფრის კოვზი მარილი და 2 ჩაის კოვზი სოდა 1 ლიტრ თბილ წყალში გახსენით. ფეხები ხსნარში 15-20 წუთი ჩაყავით, შემდეგ კარგად შეიმშრალეთ, წყალი არ გადაივლოთ.

2. არარაფინირებული მზესუმზირის ზეთი მდიდარია E ვიტამინით და ცხიმმჟავებით. ასეთი სახით ისინი ბევრად უფრო კარგად შეითვისება, ვიდრე სინთეზური კრემებისა და მაზებისგან. ზეთით რეგულარული დამუშავება კანის სიმშრალეს, თმისა და ფრჩხილების მტვრევას თავიდან აგაცილებთ.

3. ჰიპერჰიდროზი (ჭარბი ოფლდენა) არამხლოდ ესთეტიკურ უხერხულობას ქმნის, ასევე უსიამოვნო სუნი აქვს. შეიძლება კანის ანთებითი დაავადებებიც კი გამოიწვიოს. ყოველ დილით პრობლემურ ნაწილებზე გრილი სოდიანი ხსნარი (1 ჩაის კოვზი სოდა 1 ჭიქა წყალზე) წაისვით.

4. კანის ზედაპირზე მკვდარი უჯრედები ფორებს ახშობს, რაც გამონაყარის, კანის სუნთქვისა და ცხიმოვანი ცვლის დარღვევების მიზეზი შეიძლება გახდეს. წვრილად დაფქული მარილისა და მცენარეული ზეთისგან (თანაფარდობა 5:1) გამწმენდი ნარევი მოამზადეთ.

5. ფსორიაზით, ნეიროდერმიტით დაავადებულთათვის რეკომენდებულია კვირაში 2-3-ჯერ სოდიან-მარილიანი აბაზანები. სტანდარტული აბაზანის მოცულობისთვის საჭიროა 0,5 კგ მარილი და ერთი შეკვრა სოდის 1/3.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

1. კუზიანი კურდღელი; 2. სანელებელი; 3. ქიმიური ელემენტი; 4. ჰიმალაის დათვი; 5. იგივეა, რაც ფერმენტი; 6. ლუთერანული ეკლესია; 7. გაზაფხულის თვე; 8. ლომების, ვეფხვების ოჯახი; 9. ანტიკური ტაძრის სამლოცველო ღვთაების ქანდაკებებით; 10. საბალეტო პოზა; 11. „უფალო ...“; 12. რისამე სრულყოფის განსახიერება; 13. თამასუქი; 14. ყელის ლორწოვანი გარსის ანთება; 15. რუმინელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი; 16. მექსიკელთა ღვთაება, რომელსაც ადამიანს სწირავდნენ; 17. დაზვერვის უწყების საიდუმლო თანამშრომელი; 18. მოქმედება პირადი სარგებლობის მიზნით; 19. ტაროსი; 20. გამოქვაბული; 21. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 22. უვიცი, მიამიტი; 23. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 24. ... საზერლენდი; 25. ძველებური ფრანგული ხურდა ფული; 26. მუსლიმანთა ფეოდალური მმართველის უმაღლესი ტიტული; 27. ჩეხი ტენორი და ლოტბარი, რომელიც სიცოცხლის ბოლოს საქართველოში მოღვაწეობდა; 28. სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით გაგზავნილი პირი; 29. ღვთაებრივი მხსნელი; 30. ხნოვანება, ასაკი; 31. მკვეხარა; 32. ორცოლიანობა ან ორქმრიანობა; 33. მოძღვარი, მასწავლებელი ინდუიზმში; 34. სხეულის ნაწილი; 35. ... ტორესი; 36. გასეირნება ბავშვის ენაზე; 37. მომავალ სპორტსმენთა ადგილებზე შერჩევა; 38. ... უკრაინკა; 39. იაპონური ავტომარკა; 40. გულისრევის საწინააღმდეგო წამალი; 41. მოკლე ანეკდოტი ანტიკურ რიტორიკაში; 42. ნახატი ყვავილების, ხილის და მისთანათა გამოსახულებით; 43. რაკრაკი, კრიმანჭული; 44. კვერნისებრთა ოჯახის ცხოველი; 45. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 46. დიდი შეჯიბრება სხვადასხვა ტიპის ნავებით; 47. ... ბუკე; 48. მსგავსება; 49. ბუნებრივი საღებავი; 50. ვულკანი სიცილიაზე; 51. წვრილი, მრგვალი ტყვიები სანადირო თოფისთვის; 52. პერიოდული სხდომა პარლამენტში; 53. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 54. იტალიური ავტომარკა; 55. სოფელი სიღნაღის რაიონში; 56. ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი მამაკაცი; 57. ცირკის მოედანი; 58. ყაზახეთის ფულის ერთეული.



სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

ტროპიკულ აზიაში გავრცელებული საღეჭი ჰიოჰიო

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ნო; 2. წერო; 3. პოსტ; 4. „აიდა“; 5. მაიორი; 6. მონო; 7. ლოს; 8. ასტანა; 9. სიმბა; 10. ოკარინა; 11. იო; 12. ილტოზა; 13. ხურმა; 14. ალი; 15. მტკვარი; 16. სკა; 17. კილასონია; 18. ასიმილაცია; 19. მთა; 20. კიურე; 21. ციმბალი; 22. თეო; 23. ასა; 24. სალათა; 25. ჯოან; 26. მელისა; 27. კონკა; 28. სტატიკა; 29. მხალი; 30. მა; 31. მიდასი; 32. კოინე; 33. სერბია; 34. ას; 35. სირაჯი; 36. მანია; 37. ელ; 38. ესკორტი; 39. ანოსმია; 40. კანტაბილე; 41. კია; 42. ემალი; 43. ბიუსტი; 44. სტიროლი; 45. დუ; 46. პედიატრი; 47. პლანქტონი; 48. იდიია; 49. მისის; 50. რეა; 51. პენტაგონი; 52. იმა; 53. იმამი; 54. მირეი; 55. ასპიტი; 56. ურანი; 57. ფრაუ; 58. ვენერა; 59. რია; 60. რუ; 61. კანაფი. **სურათებზე:** ჰელენ კრისტენსენი; კაბრის ბურე; ჰელი სევინი; მელინდა მესინჯერი.

ჯოდი — ახბატი

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
2. მეექვსე ნოტი
3. საწინდარი
4. თევზის წვნიანი
5. ბაგე
6. ზღვის ბოროტი ნიმფა
7. საჭმელი სოკო
8. ქალის მსუბუქი ხალათი
9. ქორვაჭარი
10. ...-გვარდია
11. აზრი
12. ირმის დატოტვილი რქა
13. სკანდალური საქციელი
14. ტროა
15. სიყრმის რომაული ქალღმერთი
16. იაპონური თეატრი
17. ზმნის წარსული დრო
18. 3,14
19. თარაშ ემხვარის ცხენი
20. ბატონო პოლონურად
21. კოსმონავტი ძაღლი
22. მაჰმადიანთა ღმერთი
23. ჭადრაკის ფიგურა

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ჭა; 2. „ტრუბადური“; 3. იარუსი; 4. ტერორტა; 5. აგა; 6. თურ; 7. კინო; 8. ბოა; 9. ბებია; 10. ბატატი; 11. კვარცი; 12. დამღა; 13. ალ; 14. დარელი; 15. მადამ; 16. საბუდარელი; 17. კუპე; 18. კედი; 19. მიმანსა; 20. ლასკერი; 21. ია; 22. ძე. **სურათებზე:** სამაჯური; საყურე; ბეჭედი; ყელსაბამი.

Cyan Magenta Yellow Black

მოვამზადოთ ქაცვის ზეთი

ხალხურ მედიცინაში ფართოდ გამოიყენება ისეთი ნატურალური წამალი, როგორიცაა ქაცვის ზეთი. როგორ მოვამზადოთ და რისთვის გამოვიყენოთ?

ქაცვის ნაყოფი შეიცავს კაროტინოიდებს, C, K, E და B ჯგუფის ვიტამინებს, ორგანულ მჟავებს, დუბილურ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ცხიმმჟავას, ფიტონციდებს და სხვა.

წვენსაწურში ან ხელით (რამდენიმე ფენა მარლაში) ქორფა ნაყოფის წვენი გამოწურეთ. თვითონ წვენი ზეთის დასამზადებლად არ გამოდგება. მაგრამ შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც გარეგანი ძლიერი ანტიბაქტერიული და მატონიზირებელი საშუალება. კანზე ჭრილობის, ნაკაწრის, ნახეთქების, ჩირქოვანი ანთების დროს წაისვით. ასევე გამოიყენეთ როგორც მკვებავი და კანის ტონუსის ამამაღლებელი საშუალება.

გამოწურვის შემდეგ დარჩენილი მასა გააშრეთ და დააქუცმაცეთ (მაგალითად, ყავის საფქვავში). ყოველ 2 სუფრის კოვზ ქაცვის მშრალ ფხვნილს 3 სუფრის კოვზი არარაფინირებული მზესუმზირის ან ზეითუნის ზეთი დაასხით. ნარევი მუქი ფერის მინის ჭურჭელში გადაიტანეთ. 2-3 კვირა ოთახის ტემპერატურაზე ბნელ ადგილას დადგით. ზეთოვანი ხსნარი პერიოდულად შეანჯღრიეთ. შემდეგ სითხე სხვა ჭურჭელში აკურატულად გადაიტანეთ, ნარჩენი კი ბოთლის ფსკერზე დატოვეთ.

გამოყენება

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს 1 ჩაის კოვზი ზეთი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ერთი საათით ადრე მიიღეთ. ყურადღება მიაქციეთ: წამალს არ დააყოლოთ წყალი, ჩაი ან სხვა სასმელი. ქაცვის ზეთს არამხოლოდ ტკივილგამაყუჩებელი, ასევე ჭრილობის მოსაშუშებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნია, ლორწოვანის აღდგენას ასტიმულირებს და გაცვლით პროცესებს აუმჯობესებს.

ქაცვის ზეთი სასარგებლოა ათეროსკლეროზის დროს შიგნით მისაღებად. სისხლძარღვების მდგომარეობას აუმჯობესებს, წნევას არეგულირებს და სხვა თანმხლებ დარღვევებს აქრობს.

ჩრევები და გაფითხიღება

რეკომენდებულ დოზას ნუ გადააჭარბებთ. ამ შემთხვევაში კაროტინოიდებისა და სხვა აქტიური ნივთიერებების დონე შეიძლება თქვენი ორგანიზმისთვის ზედმეტი აღმოჩნდეს.

ქაცვის სამკურნალო პრეპარატების მიღება არასასურველია ღვიძლის, პანკრეტიტისა და ქოლეცისტიტის დროს. ასეთი დაავადებების შემთხვევაში საკონსულტაციოდ ექიმს მიმართეთ, სანამ ქაცვის ზეთს გამოიყენებთ.

სახლი ქიმიის გარეშე

ნებისმიერ საყოფაცხოვრებო ქიმიას უვნებელი ნატურალური შემცვლელები აქვს, რომლებიც ფასითაც ხელმისაწვდომია და გამოყენებისას ეკონომიური.

გამოკვლევების თანახმად, ბევრ ბინაში ჰაერში შხამიანი ნივთიერებების შემცველობა უფრო მაღალია, ვიდრე ქუჩაში. მათეთრებლების, ლაქის ამომყვანების, გამწმენდებისა და სხვა ქიმიის უმცირესი ლაქები ორთქლდება, დახურული საფუთავიდან ჟონავს და სახლში ატმოსფეროს წამლავს. ეცადეთ, თუნდაც ორი კვირაში ერთხელ გამოიყენოთ საშუალება, რომელიც ყოველთვის ხელთ გაქვთ: სოდა, ძმარი, სახამებელი, მდოგვის ფხვნილი. როდესაც ეკოლოგიური დასუფთავება-წმენდის შედეგებს დაინახავთ, თქვენი სახლის სუფთა ჰაერს მთელი გულმკერდით შეისუნთქავთ, ქიმიაზე სამუდამოდ უარს იტყვით.

ძმარი

ძმრის დახმარებით ნადებისგან ნებისმიერ ზედაპირს (მაგალითად. კაფელის, ონკანის და სხვა) გაასუფთავებთ. მისგან შეგიძლიათ მოამზადოთ ანტიბაქტერიული სპრეი მინებისა და სარკის გასაწმენდად. პულვერიზატორში 5%-იანი ძმრის ერთი მესამედი ჩაუშვით, დანარჩენი სივრცე წყლით აავსეთ. მიღებული სითხე დაბინძურებულ ზედაპირზე მოასხურეთ, შემდეგ მშრალი ჩვრით გაწმინდეთ.

ძმრიანი ხსნარით დროდადრო დაამუშავეთ ხორცისა და ბოსტნეულის დასაჭრელი დაფა, ასევე აბაზანის კედლები. ძმარი დეზინფექციას უკეთებს მილებს. 1-2 ჭიქა ძმარი მილებში ჩაასხით. პროცედურა კვირაში 1-2-ჯერ გაიმეორეთ. ძმარი ასევე კარგად აცლის ჭუჭყს ხის საგნებიდან.

სოდა

უნივერსალური გამწმენდი და მათეთრებელი საშუალებაა ნებისმიერი ზედაპირისთვის. არსებობს ორი სახის — საჭმელი და სარეცხი სოდა. საჭმელი სოდა ნატურალური ნივთიერებაა, უფრო რბილად მოქმედებს. ცხიმს ჭურჭლიდან ადვილად აცლის, ქსოვილს არბილებს და ზოგიერთი სახის ლაქა ამოჰყავს. ამავდროულად სოდით შეიძლება კბილების გახეხვა, ასევე გამოიყენოთ, როგორც დეზოდორანტი — ოფლის სუნს ანეიტრალებს.

სარეცხი (სამეურნეო) სოდა უფრო ძლიერი საშუალებაა. ძირითადად გამოიყენება როგორც ხელით, ასევე მანქანით რეცხვისთვის, იატაკის, სანტექნიკის გასარეცხად. მაგრამ, გახსოვდეთ, უსაფრთხოების ზომები: ამ ნივთიერებასთან მუშაობისას აუცილებლად გაიკეთეთ რეზინის ხელთათმანები.

ჯარტოფილის სახამებელი

უმეტესად მინისა და სარკის გასაწმენდად გამოიყენება. ერთ ლიტრ წყალში 2 სუფრის კოვზი სახამებელი გახსენით. მიღებული ხსნარით მინა გაწმინდეთ, შემდეგ მშრალი ჩვარი გადაუსვით.

მდოგვის ფხვნილი

იდეალური საშუალებაა ჭურჭლის გასარეცხად, გააჩნია ანტისეპტიკური და ანტიბაქტერიული თვისებები. აქვს სასიამოვნო ბუნებრივი სუნი, ეფექტურად აცლის ცხიმს.

ლიმონის ნვენი

ჭურჭელს ჟანგს აცლის და ვერცხლს კარგად ასუფთავებს, ასევე უსიამოვნო სუნს აქრობს (მაგალითად, თევზის მომზადების შემდეგ).

მარილი

თუ ქვაბში კერძი მიიწვა, დამწვარ საჭმელთან ერთად მარილიანი წყალი ცეცხლზე დადგით და 30-40 წუთი აადუღეთ. საკვების ნარჩენები ადვილად მოსცილდება.

სარეცხი საპონი

სარეცხი ფხვნილი ხშირად იწვევს ალერგიულ რეაქციას. უმჯობესია გამოიყენოთ სარეცხი საპნის ბურბუშელა — შესანიშნავად რეცხავს.

ეთერზეთები

ჰაერის ქიმიური გამაგრილებლის მაგივრად გამოიყენეთ ეთერზეთები. გამოდგება ლავანდა, თავშავა, სალბი, მიხაკი, ევკალიპტი, ჩაის ხე. ჩააწვეთეთ არომალამპაში და 20 წუთი ჩართეთ.

ბორაჯი

ბუნებრივი მინერალია, რომელიც წყალში იხსნება. შეგიძლიათ გაწმინდოთ უნიტაზი. 1 ჭიქა დაქუცმაცებული ბორაკი უნიტაზში ჩაყარეთ და 12 საათი დატოვეთ. გარდა ამისა, ბორაკი მწერებთან (ტარაკანა, რწყილი) და ობთან ბრძოლაში ეხმარება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

— მოვედი სამსახეჩიდან და მაგიდაზე ნეჩიღი დამხვდა: „ნავედი ნაშებში. დამაგვიანდება". ვზივარ ახლა და ვფიქრობ...

— ჩას ფიქრობ?

— ეს ნეჩიღი ქმარმა დანეჩა თუ შვილმა.

— რაა ეს ცხოვრება, მოიხედავ და აღარ ხარ!

— რა, შენ უკვე საიქიოდან მელაპარაკები?

❖ ❖ ❖

— რა მსგავსებაა ყარაულსა და ბოზს შორის?

— ორივეს ღამე მუშაობაში უხდიან ფულს.

❖ ❖ ❖

— დედიკო, მე ვის ვგავარ?

— რა თქმა უნდა, მამაშენს.

— რომელს, დედი?

❖ ❖ ❖

გურული სანადიროდ მიდის. ცოლი ფანჯრიდან ეძახის:

— სა მიხვალ, კაცო?

— სანადიროდ!

— თოფს რეიზა ტიებ სახლში?

— ამეიჩემებ ხოლმე შენც რაცხას...

❖ ❖ ❖

— რა გატირებს, ეკუნა?

— ჩემს ქმარს ვუთხარი, დაბადების დღეზე ქურქი რომ უნდა მიყიდო, ხომ არ დაგავიწყდა-მეთქი.

— მერე?

— კიო.

— რა კიო?

— დამავიწყდაო.



სვანი შვილს ქალაქში უშვებს სასწავლებლად და ახიგებს:

— ბიჭო, თუ ქალმა გითხა, შენი ვაი და ჰაც გინდა, ის მიქენიო, შენებუსად ხანჯალს ნუ იშიშვლებ.

ქართული ანეკდოტები

❖ ❖ ❖

— აქ რას უცდი? — ეკითხება სვანი მეზობელს.

— რას და ჩემს ავტობუსს.

— ვა, მომილოცავს, როდის იყიდე?

❖ ❖ ❖

რაჭველებმა ყუმბარებით სავსე ტომარა იპოვეს.

— წევიღოთ ახლა პოლიციელებთან, ბოშო.

— რაფრა წევიღოთ?

— ზურგზე მოვიკიდოთ და ისე.

— შენ ხომ არ გაგიუდი, ბოშო, რომ აფეთქდეს?!

— აფეთქდეს მერე, ჩვენ ხომ არ დაგვაბრალებენ. ვუთხრათ, ვიპოვეთ-თქვა.

— ჯაცო, ამ ბავშვმა ჩემს დანახვაზე ტიხიღი ჰატომ დაინყო? — ეკითხება საბაზანოდან გამოსული ცოლი ქმარს.

— მაჯიავი მოგიშოჩებია და აღბათ იმიტომ.

❖ ❖ ❖

— ბაბუ, მოდი, ზოოპარკობანა ვითამაშოთ, — ეუბნება ბებუას შვილიშვილი.

— როგორ, ბებუ?

— მე მაიმუნი ვიქნები და შენ ბანანი მაჭამე.

❖ ❖ ❖

ყოფილი დეპუტატი ცოლს ეუბნება:

— ქალო, უკვე დავბერდით ორივე. რაც იყო, იყო და მითხარი, ჩემთვის თუ გიღალატია?

— კი, 52-ჯერ, — არ დამალა ქალმა.

— 52 რა ამბავია, ქალო?!

— მაგარი იაპონური ფოტოაპარატი შევიძინე, — ტბარახობს ქუთაისელი.

— რითია მაგარი?

— ისეთი სნრაფია, რომ ქალის გადაღება დახეჩილი ჰირითაც შეიძღება.

— ზუსტად მაგდენი ხმა გაკლდებოდა არჩევნებში.

❖ ❖ ❖

— კაცო, გვარი რატომ გადაიკეთე?

— საფლავის ქვა ვნახე იაფად და რატომ დავკარგო?

❖ ❖ ❖

— გავიგე, ძუნწი ორმაგად იხდისო და წავედი, ძმაო, ძუნწთან სამუშაოდ.

❖ ❖ ❖

განცხადება:

„სიდედრი მაღაზიაში გავგზავნე ლუდის საყიდლად და არ დაბრუნებულა. მპოვნელს ვთხოვ, გულისხმიერება გამოიჩინოს და დამიბრუნოს ლუდი!".

❖ ❖ ❖

— თქვენ მოგესაჯათ 5 წლით პატიმრობა.

— არ შეიძლება, 10 წელი მომცეთ და დღეგამოშვებით ვიჯდე?

❖ ❖ ❖

მოდის გზაზე ზაპოროჟეცი. ახტება-დახტება, გაივლის 4-5 მეტრს, ახტება-დახტება.

ინსპექტორმა გააჩერა. გადმოვიდა ოსი გამზათა.

— ლა დავასავე, უფლოსო? უნდა დამაძალიმო?

— ჯარიმა კი არა, ფულს იქით მოგცემ, ოღონდ მითხარი, როგორ ახტუნავებ მანქანას.

— პახმელიაზე ვალ და ვასლოკინებდი, უფლოსო.

❖ ❖ ❖

დიდი ხნის უნახავი ხანშიშესული დაქალები ხვდებიან ერთმანეთს:

— გახსოვს, რა ლამაზები ვიყავით ახალგაზრდობაში? განსაკუთრებით — მე.

— ჰო, ახლა ორივენი რა მახინჯები ვართ, განსაკუთრებით — შენ.

❖ ❖ ❖

გურული ნადირობიდან ბრუნდება, წელზე იხვი ჰკიდია, თვალი ამოლურჯებული აქვს და შუბლზე კოპი აზის.

— სად მოკალი მაი იხვი, გარეულია? — ეკითხება მეზობელი.

— იხვი არაა გარეული, შინაურია, მარა პატრონი იყო გარეული და გადარეული!

❖ ❖ ❖

— დედიკო, დედიკო, უკვე შევედით ზოოპარკში?

— თითქმის, შვილო.

— დედიკო, დედიკო, ეს უკვე მაიმუნია?

— არა, შვილო, ეგ ჯერჯერობით მოლარეა.

— ქალბატონო, ჰამდენი ნლის ხართ?

— 24-ის.

— და... ჰომ დაიბადეთ, ჰამდენის იყავით?

✓ შეკრიბა
მერმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ალან ალექსანდრ მილნი

დასაწყისი №37-46

წითელი სახლის საიდუმლოება

მცირე შესავლის შემდეგ, თუ რა საშინელი ტრაგედია მოხდა, კორონერი ნაფიცი მსაჯულებისთვის საქმის ვითარების გაცნობაზე გადავიდა. გამოიძახებენ მოწმეებს წითელი სახლის მფლობელის, მარკ ებლეტის ძმის, განსვენებული რობერტ ებლეტის ამოსაცნობად. წარმოდგენილი იქნება, რომ ის შეუფერებელი საქციელით გამოირჩეოდა და ცხოვრების უმეტესი ნაწილი ავსტრალიაში გაატარა. ასევე, რომ წერილში, რომელსაც შეიძლება მუქარაც კი ეწოდოს, ის ძმას იმ დღეს ჩამოსვლის შესახებ ატყობინებდა.

წარმოდგენილი იქნება ჩვენებები მისი ჩამოსვლის და იმ ოთახში შესვლის თაობაზე, რომელსაც კაბინეტს უწოდებენ. ნაფიცმა მსაჯულებმა თავად უნდა შექმნან სურათი, თუ რა მოხდა იქ. როგორც დამოწმებული იქნება, კაბინეტში მარკ ებლეტის შესვლიდან დაახლოებით ორ წუთში გასროლის ხმა გაისმა, ხოლო როცა (სავარაუდოდ, ხუთი წუთის შემდეგ) ოთახის კარის შეამტვრიეს, იატაკზე მკვდარი რობერტ ებლეტი აღმოჩნდა. რაც შეეხება მარკ ებლეტს, მას შემდეგ, რაც ის ოთახში შევიდა, აღარავის უნახავს.

ამასთან, წარმოდგენილი იქნება მტკიცებულებები, რომ მას თან საკმარისი ფული გააჩნდა ქვეყნის სხვა მხარეში გასამგზავრებლად და რომ სტენტონის ვაგზლის ბაქანზე შემჩნეული იქნა მამაკაცი, რომელიც მას ჩამოჰგავდა და ლონდონის ოთხსაათიან მატარებელში ასვლას აპირებდა. ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარი მიმსგავსებები უმეტესად მცდარია და რომ დაკარგულ ადამიანებს ხშირად რამდენიმე სხვადასხვა ადგილზე „ამოიცნობენ“ ხოლმე. ასეა თუ ისე, მოცემულ მომენტში მარკ ებლეტის გაუჩინარება ეჭვს არ იწვევს.

— გონიერი ტიპი ჩანს, — გადაუჩურჩულა ენტონიმ ბილს, — ზედმეტ სიტყვებს არ ხარჯავს.

ბილმა ვეღარაფერი უპასუხა, რადგან პირველი, ვინც მსაჯულთა წინაშე უნდა წარმდგარიყო, ის აღმოჩნდა.

მთავარი ჩვენების მიცემის შემდეგ ასეთი კითხვა დაისვა:

— მისტერ ბევერლი, ის წერილი თქვენ თავად თუ ნახეთ?

— როცა მარკი თავის ძმაზე ყვებოდა, წერილი მაღლა აწეული ეჭირა, ამიტომ ნაწერი არ ჩანდა.

— მაშასადამე, თქვენ არ იცით, შიგ რა ეწერა?

— მოგვიანებით გავიგე, სხვამ მითხრა, მაგრამ მარკს საუზმის დროს ხმამაღლა ის არ წაუკითხავს.

— მაგრამ მიხვდით, წერილი რომ არასასიამოვნო იყო?

— რა თქმა უნდა.

— იტყოდით, რომ მან მარკი შეაშინა?

— შიშით არა, მაგრამ ძალიან განაწყენდა. არადა, ფაქტს უნდა შეგუებოდა. დაახლოებით ასე: „ო, ღმერთო! ისევ იწყება!“.

აქა-იქ ჩაცინების ხმა მოისმა. კორონერსაც გაეღიმა, მაგრამ შეეცადა, არ დასტყობოდა.

— გმადლობთ, მისტერ ბევერლი.

შემდეგი მოწმე ვინმე ენდრიუ ეიმოსი იყო, წითელი სახლის ერთ-ერთი მეველე. მისი ნათქვამი შემდეგით ამოიწურებოდა: იმ დღეს, სამს რაღაცა წუთები აკლდა, როცა მისი საგუშაგოს სიახლოვეს უცნობი მამაკაცი შენიშნა, რომელიც გამოელაპარაკა. მან გვამი ნახა და ის მამაკაცი ამოიცნო.

— რა გითხრათ? — შეეკითხა კორონერი.

— წითელი სახლი აქეთკენ არისო?

— თქვენ რა უპასუხეთ?

— ჰო-მეთქი. სხვა რა უნდა მეთქვა? სერ, ეს კაცი ისეთი ხეპრე და გაუთლელი ჩანდა, ვიფიქრე, აქ რა უნდა-მეთქი.

— მერე?

— შემეკითხა, მისტერ მარკი სახლში თუაო. სერ, თითქოს არაფერი, მაგრამ მისი ტონი არ მომეწონა, ამიტომ ვკითხე, მისგან რა გინდათ-მეთქი. ძმას ძმისგან რა უნდა უნდოდესო, ჩაიხითხითა უშნოდ და გზა განაგრძო. მეტი არაფერი ვიცი.

ენდრიუ ეიმოსი დარბაზში დაეშვა და უკანა რიგებისკენ წავიდა. ენტონიმ თვალი გააყოლა და არც მოუშორებია, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ ეიმოსი ბოლომდე დარჩენას აპირებდა.

— ეიმოსი ვის ელაპარაკება? — ჩურჩულით შეეკითხა ენტონი ბილს.

— პარსონსს. ერთ-ერთი მებაღეა, — მიუგო ბილმა.

მომდევნო მოწმე სწორედ პარსონსი იყო. ის სახლის წინა გაზონში მუშაობდა, როცა რობერტ ებლეტი მოვიდა. სროლის ხმა არ გაუგონია, ან იქნებ ვერ გაიგონა, რადგან ცოტა ყურს აკლია. მან კიდევ ერთი ჯენტლმენი დაინახა, რომელიც წითელ სახლში მისტერ რობერტის მოსვლიდან ხუთი წუთის შემდეგ გამოჩნდა.

— მას ახლა დარბაზში ხომ არ ხედავთ? — შეეკითხა კორონერი.

პარსონსმა ნელა მოავლო თვალი დარბაზს და მზერა ენტონიზე შეაჩერა:

— აი, ისაა, — მიაშვირა თითი.

ყველა ენტონის მიაშტერდა, მან კი თავის ოდნავი დაკვრით გაიღიმა.

— ამ ჯენტლმენის მოსვლამდე სახლიდან ვინმე გამოვიდა?

— არა, სერ. ანუ არ დამინახავს, ვინმე რომ გამოსულიყო, — დააზუსტა პარსონსმა.

შემდეგ მოწმედ მისის სტივენსი დაიკითხა. მისი ჩვენებები დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც ინსპექტორს მისცა და ახალი არაფერი გამოუვლენია. ის ელსიმ შეცვალა. რეპორტიორებმა, ჩაიწერეს რა, რაც მან გაიგონა, ფრჩხილებში „სენსაცია“ მიაწერეს, პირველად მთელი ამ პროცესის მანძილზე.

— მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი გაიგონეთ, სროლის ხმა მალე გაისმა?

— თითქმის მაშინვე, სერ.

— თქვენ ისევ ვესტიბიულში იყავით?

— არა, სერ. მისის სტივენსის ოთახს მივადექი, ჩვენი ეკონომის, ახლახან რომ დაკითხეთ, სერ.

— არ იფიქრეთ, ვესტიბიულში დაბრუნებულიყავით და გაგეგოთ, რა მოხდა?

— ო, არა, სერ. შეშინებული შევვარდი მისის სტივენსთან და ვთქვი, რომ თითქოს რაღაცა აფეთქდა, თანაც სახლში, სერ.

— გმადლობთ, — თქვა კორონერმა.

როცა მოწმის ადგილი კეილიმ დაიკავა, დარბაზს ემოციურმა ტალღამ გადაუარა. ის აწონ-დაწონილ პასუხებს იძლეოდა და ტყუილსა და მართალს ერთნაირი დამაჯერებლობით გადმოსცემდა. ენტონი დაძაბული უსმენდა და ფიქრობდა, რაში გამოიხატებოდა მისი უცნაური მიმზიდველობა.

— მარკს ოდესმე რევოლვერი ჰქონდა? — შეეკითხა კორონერი.

— რამდენადაც ვიცი, არა. რომ ჰქონოდა, ვფიქრობ, მეცოდინებოდა.

— მთელი დილა თქვენ მასთან ერთად იყავით. რობერტის მოსალოდნელ სტუმრობაზე არაფერი უთქვამს?

— ჩვენ მხოლოდ ლანჩზე შევხვდით ერთმანეთს და მაშინ მითხრა რაღაცეები.

— კონკრეტულად?

— მახსოვს, ჩაიბუზღუნა, მისი წერილის ტონი არ მომწონს, როგორ გგონია, რა უნდა, რამე ხომ არ ჩაიფიქრაო.

— გაუკვირდა, მისი ძმა რომ ინგლისში იყო?

— ჩემი აზრით, ის ყოველთვის შიშობდა, რომ ადრე თუ გვიან რობერტი გამოეცხადებოდა.

— როცა ძმები კაბინეტში იყვნენ, მათი საუბარი ხომ არ გაგიგონიათ?

— არა. მარკის მოსვლისთანავე ბიბლიოთეკას მივაშურე და იქიდან აღარ გამოვსულვარ.

— ბიბლიოთეკის კარი ღია იყო?

— დიახ.

— ვიდრე ბიბლიოთეკაში იყავით, კაბინეტიდან ვინმე რომ გამოსულიყო, გაიგონებდით?

— აღბათ კი. ცხადია, თუ უხმაუროდ არ იმოძრავებდა.

— კარგი... თქვენი აზრით, მარკი ფეთქებადი იყო?

— კი, ოღონდ ძალადობისკენ მიდრეკილი არ იყო, — მცირე ფიქრის შემდეგ მიუგო კეილიმ.

— ძლიერი იყო? ათლეტური აღნაგობის? აქტიური და სწრაფი?

— აქტიური და სწრაფი კი იყო, მაგრამ დიდი ძალით არ გამოირჩეოდა.

— კიდევ ერთი შეკითხვა: მარკი თან საკმაო თანხას ატარებდა?

Cyan Magenta Yellow Black

— ასფუნტიანი ბანკნოტი მუდამ თან ჰქონდა... და კიდევ, ასე, 10-20 ფუნტი.

— გმადლობთ, მისტერ კეილი.

კეილი მძიმე ნაბიჯით დაუბრუნდა თავის ადგილს. ენტონიმ თვალი გააყოლა და გაიფიქრა: „ჯანდაბას ჩემი თავი! ვერ ვხვდები, რატომ მომწონს“.

— ენტონი ჯილინჰემი!

დარბაზის ცოცხალი ცნობისმოყვარეობა აშკარა გახდა: ვინ არის ეს უცნობი, მომხდართან დაკავშირებული რომ აღმოჩნდა?

ენტონიმ ბილს გაუღიმა და მოწმეთათვის განკუთვნილ შემაღლებულს მიაშურა. მან ახსნა, თუ რატომ და როგორ მოხვდა წითელ სახლში და რომ რობერტი არ დაუნახავს, რადგან, მისგან განსხვავებით, სახლს ვუდჰემის მხრიდან მიადგა. მისი შემდგომი ჩვენებები კეილისას ემთხვეოდა.

— თქვენ და ბოლო მოწმე ერთად მიუახლოვდით შემინულ კარს და ნახეთ, რომ დაკეტილი იყო?

— დიახ.

— თქვენ ის შეამტვრიეთ და გვამს მიუახლოვდით. იცოდით, ვინ იყო?

— ცხადია, არა.

— მისტერ კეილიმ თუ თქვა რამე?

— როცა გვამი გადმოაბრუნა და სახე დაინახა, მადლობა ღმერთსო, ასე თქვა.

რეპორტიორების ჩანაწერებში ისევ გაჩნდა სიტყვა „სენსაცია“.

— მიხვდით, რას გულისხმობდა?

— როცა შევეკითხე, ვინ არის-მეთქი, რობერტ ებლეტიაო, მიპასუხა. მერე ამიხსნა, რომ თავიდან შეეშინდა, მისი დეიდაშვილი მარკი არ ყოფილიყო, რომელთანაც კეილი ცხოვრობს. რობერტი კი მარკის ძმაა, სტუმრად ჩამოსული.

— აღელვებული იყო?

— თავიდან ძალიან, მერე კი, როცა დარწმუნდა, რომ მარკი არ იყო, ოდნავ დამშვიდდა.

— გმადლობთ, მისტერ ჯილინჰემ.

ამჯერად ინსპექტორ ბერჩის ჯერი დადგა. მისი ჩვენება ენტონისთვის ფაქტობრივად ცნობილი იყო, ამიტომ არც უსმენდა და თავის აკვიატებულ ფიქრებს ჩაჰკირკიტებდა.

ჩვენებას ახლა ჯონ ბორდენი იძლეოდა. სამშაბათს ოთხი საათის მატარებელზე ის მეგობარს აცილებდა ლონდონში. სწორედ ამ დროს შენიშნა მამაკაცი პალტოს აწეული საყელოთი და ნიკაპამდე შემოხვეული კაშნეთი, რომელიც მარკ ებლეტს მიამსგავსა და რაკი ამ კაცზე ძებნა იყო გამოცხადებული, მაშინვე პოლიციაში განაცხადა.

„ნებისმიერი მკვლელობის საქმეში გამოჩნდება თავისი ჯონ ბორდენი“, — გაუელვა ენტონის და ისევ თავის ფიქრებს მიეცა.

— ბატონებო და ქალბატონებო, მოწმეთა დაკითხვა დამთავრებულია, — განაცხადა კორონერმა, — იმედია, ნაფიცი მსაჯულები მოსმენილს კარგად გააანალიზებენ და ადეკვატურ ვერდიქტს გამოიტანენ.

ნაფიცმა მსაჯულებმა იფიქრეს, იმსჯელეს და შემდეგი დაადგინეს:

„განსვენებული ნატყვიარი ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა, მას კი მისმა ძმამ მარკ ებლეტმა ესროლა“.

ბილი ენტონისკენ შებრუნდა, მაგრამ ის იქ აღარ დახვდა. მერე დარბაზს მოავლო თვალი და კარის სიახლოვეს ენდრიუ ეიმოსი და პარსონსი დაინახა. ისინი გარეთ გადიოდნენ, მათ შორის კი ენტონი მიაბიჯებდა.

ბილ ბევერლი თავის მეგობარს გარეთ ელოდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, ის სამნი სად უნდა ყოფილიყვნენ. ენტონი არსად ჩანდა. ბილმა სიგარეტი გააბოლა, ცოტა გაისეირნა და ძველ, წვიმისგან შელახულ აფიშას მოჰკრა თვალი. „თეატრალური გალა-წარმოდ... — იუწყებოდა ის, — შედგება ოთხშაბ... დეკემ...“ ბილს გაეღიმა, რადგან მოლაყბე ფოსტალიონის ჯოს როლს, როგორც აფიშის ნაშთები იუწყებოდა, უილიამ ბ. ბევერლი ასრულებდა. ჯო არც ისე მოლაყბე გამოდგა, რადგან ბილს თითქმის ყველა რეპლიკა დაავიწყდა, მაგრამ წარმოდგენამ მაინც კარგად და სახალისოდ ჩაიარა.

— მაპატიე, რომ გალოდინე, — მოესმა უცებ უკნიდან ენტონის ხმა, — ჩემი ძველი მეგობრები ეიმოსი და პარსონსი არ მომეშვნენ, ცოტა დავლიოთო.

— მეც რომ წაგეყვანე, რა მოხდებოდა?

— ოი, — შეწუხდა ენტონი, — მაგდენი

ველარ მოვიფიქრე. მეორედ მაპატიე, კარგი?

— კარგი, კარგი, მიპატიებია.

ენტონი აფიშას მიაშტერდა, მერე იკითხა:

— ეს როდის იყო?

— აფიშაზე მეკითხები?

— ჰო.

— გასულ შაბათს, კარგად გავერთეთ.

— კარგად ითამაშე? — სიცილს მიაყოლა ენტონიმ.

— ცუდად. ტექსტი დამავიწყდა, მაგრამ მსახიობობაზე პრეტენზია არც მაქვს.

— მარკმა?

— გადასარევად. ასეთ რაღაცეებს აღმერთებდა.

— ღირსი ჰენრი ზაიკინგი: მისტერ მეთიუ კეილი, — წაიკითხა ენტონიმ, — ეს ჩვენი მეგობარი კეილია?

— ჰო.

— როგორი მსახიობია?

— უკეთესი, ვიდრე მეგონა. თამაში არც უნდოდა, მაგრამ მარკმა დაიყოლია.

— როგორც ვხედავ, მის რუთ ნორისს მონაწილეობა არ მიუღია.

— ძვირფასო ტონი, მის ნორისი პროფესიონალი მსახიობია და ჩვენთან თამაშს როგორ იკადრებდა?

— სწორადაც მოიქცა. არც მე ვიკადრებდი. მოკლედ, გრანდიოზული წარმატება. ხომ?

— ჰო, საკმაო.

— მე კი სულელი ვარ, ნამდვილი სულელი და ყეყეჩი! — საზეიმოდ განაცხადა ენტონიმ, მერე ბილს მკლავში ხელი გამოსდო, აფიშიდან მოშორებით გაიყვანა, შეაჩერა და მოულოდნელი კითხვა დაუსვა, — მითხარი, მარკს კბილებთან დაკავშირებით ოდესმე უსიამოვნებები ჰქონდა?

— რაში გაინტერესებს? — გაოცდა ბილი.

— მითხარი, ჰქონდა?

— თავის დანტისტს ხშირად აკითხავდა.

ენტონიმ ისევ გაიცინა:

— რა ბედნიერებაა! მოიცა, შენ საიდან იცი?

— კარტრაიტი ჩემი დანტისტიცაა. მარკმა მირჩია.

— სად ცხოვრობს?

— უიმპლ-სტრიტზე.

— ამას დავიმახსოვრებ... შემთხვევით, კეილიც მაგასთან ხომ არ მკურნალობდა?

— ალბათ. ჰო, ჰო, ნამდვილად. კი მაგრამ, შენ ეს...

— მარკი საერთოდ ჯანმრთელი იყო? — აღარ აცალა ენტონიმ, — ექიმებს ხშირად სტუმრობდა?

— პრაქტიკულად არასოდეს. დილაობით ვარჯიშობდა ხოლმე, რაც საშუალებას აძლევდა, კარგ ფორმაში ყოფილიყო.

— კიდევ ერთი კითხვა. ცურვა უყვარდა?

— საერთოდ არ იცოდა და როგორ ეყვარებოდა? ტონი, ვინ გაგიჟდა? შენ თუ მე? თუ ეს რაღაც ახალი თამაშია?

— ახალი თამაშია, ბილ და მერე როგორი თამაში! პასუხი კი კარტრაიტია უიმპლ-სტრიტიდან.

მათ ვუდჰემისკენ მიმავალი გზის თითქმის ნახევარი მილი უხმოდ გაიარეს. ბილმა ორ-სამჯერ სცადა საუბრის წამოწყება, მაგრამ პასუხად მეგობრის გაუგებარ ჩაბურტყუნებას იღებდა.

უეცრად ტონი შეჩერდა, მეგობარს შეშფოთებით შეაშტერდა და შეეკითხა:

— შეგიძლია ჩემთვის რაღაცა გააკეთო?

— სახელდობრ, რა?

— სიმართლე გითხრა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ერთადერთი, რაც ახლა მჭირდება.

— მართლა მიაგენი რამეს? — მეგობრის ენთუზიაზმი ბილსაც გადაედო.

— ბილ, თითქმის მიზანთან ვარ. მხოლოდ ეს ერთი რამ რჩება, რაშიც შენი იმედი მაქვს.

— ჩქარა, თქვი, რა უნდა გავაკეთო, თორემ მართლა დავიძაბე! ბილის მოუთმენლობა აშკარაც იყო და გასაგებიც.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარაბიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

თავი 17

თინათინ ბონი

ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-46

www.facebook.com/Tinatinbonney

ზივარ იატაკზე. საწოლზე ვარ მიყუდებული და ვუსმენ „Poets of the Fall - Sleep“. მთელი ღამე არ მიძინია. კი მაქვს საშუალება, რომ ქორწილის ფული მივცე, მაგრამ ძალიან ნაწყენი ვარ. როგორ გარისკა? ან რატომ გარისკა? შეიძლება აქამდე რომ მეთქვა სიმართლე, ეს არც მომხდარიყო. როგორ მჭირდება ახლა მეგობარი. ისეთი, რომელიც ჩემს პრობლემებს მოისმენდა, გულში ჩამიკრავდა და მეტყოდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. იმედია, ირაკლის ყველაფერი კარგად აქვს. ცოტა მომენატრა, მაგრამ საკუთარ თავსაც არ ვუტყდები. უაზრობაა ეს ყველაფერი. ჩვენი არსებობაც ილუზიაა. არაფერს აქვს აზრი.

ზურა საწოლში ტრიალებს. ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ არ ეძინება. მალე ოფიციალურად გაეყრება ცოლს და იქნება თავისუფალი. მობილურს ამოწმებს. არაფერია. იმედი ჰქონდა, რომ ალექსანდრა გამოჩნდებოდა. მხოლოდ ის ემოცია, რაც ამ ქალის მიმართ აქვს, ახსენებს, რომ ცოცხალია. ფული და წარმატება რატომღაც აღარ არის საკმარისი. არა, ძალაუფლება სიგიჟემდე უყვარს, მაგრამ კიდევ რაღაც უნდა და ის რაღაც ალექსანდრამ უნდა შემოიტანოს მის ცხოვრებაში. ზურა ისევ იღებს მობილურს. იცის, რომ სტრატეგიულად ასე ადრე მიწერა არ არის მართებული, მაგრამ მოთხოვნილება საღ აზროვნებაზე უფრო ძლიერია.

მობილური წკარუნობს. არადა ძლივს ჩავთვლიმე. ვიღებ მობილურს. ზურა. ღმერთო, ირაკლის სიძემ მაინც გამანებოს თავი! „რა აზრი აქვს რამეს?“ გეგონება ჩემს გულში იჯდა. ამ შეკითხვაზე ვფიქრობ მთელი დილა. მივწერო? ირაკლის სიძეა! ხომ არ დავემალები? როცა მნახავს, თუ მნახავს, ავუხსნი, რომ გაურკვევლობა მოხდა. „არაფერი“. ვაგზავნი. ალბათ აღარ მომწერს. წკარუნობს: „მაშინ რისთვის მივისწრაფით, თუ არაფერს აქვს აზრი?“. სიბრძნის დილაა. ვიცი განა ამაზე პასუხი? „იმისთვის, რომ ვერ ვაანალიზებთ, რომ არაფერი არსებობს“. ვაგზავნი. წკარუნობს. „არც ჩვენ ვარსებობთ?“. მივწერ და გავთიშავ ხმას. „ჩვენ მით უმეტეს“. ვაგზავნი და ხმას ვუწევ.

ზურა მობილურს უყურებს. ეღიმება. ეს უკვე დასაწყისია. ზურგზე წვება და მობილურს ბალიშის ქვეშ დებს.

— ჩვენ არ ვარსებობთ, ესე იგი? ვნახოთ, ვნახოთ, — ამბობს ხმამაღლა.

თვალებს ხუჭავს და მომენტალურად ეძინება.

ირაკლის ასე მშვიდად არასდროს უგრძვნია თავი. მხოლოდ სანაპირო რად ღირს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. მედიტაცია მისთვის ნაცნობი იყო, ამერიკაში ეზიარა იოგას, მაგრამ აქ ეს სულ სხვაა, შეგრძნებები და სულიერი სიმშვიდე სიტყვით აუწერელია. მთელი სამყარო ნათელ ფერებშია. სამყარო სიყვარულია.

ანგარიშიდან მოვხსენი თანხა და მივეცი სოფიკოს. არ მითქვამს, რომ მიშომ ფული დაანიავა. უბრალოდ ავუხსენი, რომ ქალმა უკეთ იცის ხარჯის გაკონტროლება. ანგარიშის ნაშთს არც ვამოწმებ. მშვიდად დავდივარ მაღაზიებში. არაფრის ყიდვა არ მინდა, უბრალოდ დავდივარ. მიშოს კოსტიუმი სჭირდება, რამდენად გაბრაზებულიც უნდა ვიყო. შევდივარ მამაკაცების სექციაში და ჭკვიანი სახით ვათვალიერებ პიჯაკებს. აი, ეს ალბათ ცუდი არ უნდა იყოს. სოფიკოს კაბას უნდა მოუხდეს. მამაკაცის მზერას ვამჩნევ და ვცდილობ, არ გავხედო. თვალს არ მაცილებს. საიდანღაც მეცნობა. შავგვრემანი, ტანმოსული, საშუალო სიმაღლის. საიდან ვიცი ეს კაცი? ჩემი ნათესავია? კაცი მიახლოვდება და ღიმილით მიწვდის ხელს. ღიმილით ვართმევ. მკაცრი, მაგრამ მიმზიდველი სახე აქვს. საიდან ვიცნობ?

— ალექსანდრა, როგორ ხარ? — მეკითხება და თვალს არ მაცილებს.

— კარგად, შენ? — იქნებ საუბრის პროცესში მივხვდე, ვინ არის.

— ზუსტად ისეთი ხარ, როგორც ირაკლი მეუბნებოდა.

ოპა! ირაკლის სიძე! ზურა! ვაიმე! მაგრამ ირაკლი რატომ ეუბნებოდა? ხმას ვერ ვიღებ.

— გამიხარდა, აქ რომ გნახე.

— ასევე, — ვეუბნები დაბნეული და ვამატებ, — როგორ არის? რას შვრება?

— კარგად არის. კმაყოფილია ინდოეთით ძალიან.

— ძალიან კარგი.

— მგონი, აღარც ჩამოვა, — ამბობს და ჩემს რეაქციას აკვირდება.

არ მსიამოვნებს მისი სიტყვები.

— კარგი, აბა, სასიამოვნო იყო, — ამბობს და მიდის.

ახლა სულ დავიბენი. ეს ხომ ის ზურაა, რომ ვემესიჯებოდი? ჩანთა! უკან უნდა გავატანო! ან რატომ მაჩუქა?

— ზურა! — ვეძახი.

ჩემკენ ტრიალდება.

— ჩანთა უნდა გაგატანო.

მიღიმის და მიდის. აი, ასე, მიდის! ამას ვინ ჰგონია თავი?

ზურა მანქანაში ჯდება და სიგარეტს უკიდებს. იცის, რომ ალექსანდრა დააბნია. სწორად გათვალა. ირაკლის კიდევ ვერ დაუკავშირდება და ვერ პოულობს აგერ. ასე რომ, ახლა მაქსიმალურად უნდა იაქტიუროს. ძალიან ლამაზი ქალია. ახლოდან — განსაკუთრებით, თუმცა, ეს ალბათ უფრო სპორტული ინტერესია, ვიდრე სხვა რამ.

ჩაბნელებულ ოთახს ფანჯრიდან შემოსული ნიავის ქვეშ მოელვარე და მოციმციმე 1000 სანთლის შუქი ანათებს. სანთლის, რომელიც ანთია, იწვის და თავის სიცოცხლის ფასად მარტოობაში გვჩუქნის სინათლეს, ხოლო 1000-თან ერთიანობაში ჯადოსნურ სამყაროში გადავყავართ. სამყაროში, სადაც არ არის რასები, არ არის ქვეყნები, არ არსებობს საზღვრები და სხვადასხვა ენები. სამყაროში, სადაც არ არსებობს დრო, არ არის წარსული და არ არის მომავალი. არსებობს მხოლოდ სიცოცხლე, ერთიანი სამყარო და ჩვენ ამ სამყაროს მუდმივი და განუყოფელი ნაწილი ვართ. სანთლების შუქით განათებული, ჭიქებში მოცურავე ლოტოსები ათასმაგად აძლიერებენ გრძნობებს. ლოტოსი, ჭაობში გაზრდილი სილამაზის და აღზევების უმშვენიერესი სიმბოლო.

ირაკლი ხალიჩაზე ზის. გრძნობები ავსებენ მას, როგორც ცარიელ ჭურჭელს ავსებს კამკამა წყაროს წყალი. მის სხეულში და გონებაში არ არსებობს სხვა გრძნობა, გარდა ლტოლვისა მის წინ მჯომი ქალის მიმართ. მის წინ ლოტოსის პოზაში ზის თინკა, ამ მომენტისათვის მსოფლიოში მისთვის ყველაზე სასურველი არსება. ისინი უყურებენ ერთმანეთს ღრმად თვალებში. არ არის არავითარი მოქმედება, არ არის ბრძოლა სხეულთან. უყურებენ და ხედავენ უსაზღვრო სიკეთეს, ამ მზერით გამოხატავენ უზომო ემოციას ერთმანეთის მიმართ. გრძნობენ, თუ როგორ მოემართება სექსუალური ენერგია ზემოთ და ნაწილდება მთელ სხეულში. ირაკლი წამიერად რეალობაში ბრუნდება და ახსენდება, რომ დილას თინკასთან ერთად ისაუზმა. როგორ უამბო, რომ მისი სახელი თეონაა, მაგრამ მძიმე მოგონებების გამო ურჩევნია, არ დაუძახონ. როგორი სასიამოვნო და უბრალო დილა იყო.

თინკა უახლოვდება და ეხება. ეს ხდება უნებლიეთ, ბუნებრივად და ყველანაირი ფიქრისა და გააზრების გარეშე. ისინი ეხებიან ერთმანეთს ხელისგულებით, ტუჩებით და კანის ყოველი უჯრედი ყვირის სიამოვნებისგან. სისხლი გაუჩერებლად და ოკეანის ტალღების ძალით მოძრაობს მათ სხეულებში. იგრძნობა იდეალური ჰარმონია. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

სასტიკად არეული ვარ. როგორ არც კი მომაქცია ყურადღება. უნდა მივაშავო ეს ჩანთა. თანაც... თუ ირაკლისთან ახლოსაა და იცის ჩემზე, რატომ მჩუქნის? ან რას ფიქრობს, რატომ ვემესიჯებოდი? უნდა გავარკვიო ეს ყველაფერი, თორემ ჭკუიდან შევიშლები! პარკებს მაგიდაზე ვალაგებ და ჩემს ოთახში გავდივარ. ცხელი შხაპი მჭირდება, აზრები უნდა დავალაგო. ირაკლი მაინც იყოს სადმე ახლოს. მენატრება. თუმცა, დაფიცებული მაქვს, კაცი არასდროს მომენატრება იმდენად, რომ გული მეტკინოს. არასდროს! ვიხდი ტანსაცმელს და წყალს ვუშვებ. თბილი შხეფები მესხმება და ღრმად ვისუნთქავ. ოდესმე ჩემი ცხოვრებაც დალაგდება. ოდესმე.

ზურა სახლში შედის და გასაღებს მაგიდაზე დებს. იყო ხომ მშვიდად, მაგრამ არა. გაიჩინა თავის სატკივარი. უნდა კი ეს ყველაფერი? ეს ბანკი და ყველაფერი კარგია, მაგრამ მეტიც შეიძლება, რომ იყოს. მეტი ფული, მეტი ძალაუფლება. დროა, სტატუსიც შეიცვალოს და ქვეყანაც. მაგიდაზე განქორწინების საბუთები უდევს. ქალბატონს უკვე მოუწერია ხელი. ძალიანაც კარგი. ზურა კალამს იღებს, მაგრამ ყოყმანობს. კარზე ზარია. კალამს მაგიდაზე დებს და კარს აღებს. დაბალი, ჩაფსკვნილი, წვერიანი მამაკაცი ოთახში შემოდის და სავარძელში ჯდება.

— ვისკი? — ეკითხება ზურა.

— სიამოვნებით.

ზურა ვისკის ასხამს, აწვდის ჭიქას და მის პირდაპირ ჯდება.

— რადგანაც მოხვედი და არ დამირეკე, ესე იგი, რაღაც საინტერესოა.

მამაკაცი ფურცლებს აწვდის. ზურა ათვალიერებს.

— ეს ისედაც ვიცოდით.

— ბოლო გვერდი.

Cyan Magenta Yellow Black

ზურა დეტალურად ეცნობა დოკუმენტს და კმაყოფილს ეღიმება.

— აი, ეს უკვე სხვაა!

— როგორ ვიმოქმედოთ?

ზურა ფიქრობს. ძალიან სარისკო საქმეზე მიდის. თანაც ჯოჯოხეთის (თუ ის საერთოდ არსებობს) ბილეთს ყიდულობს. მისი მობილური წკარუნობს. ზურა მესიჯს კითხულობს, ცინიკურად იღიმის და ამბობს: „ვიცილებთ“.

— გასაგებია.

— სანამ მე არ ვიტყვი, შემდგომი ნაბიჯები არ გადადგათ.

— და შეტყობინება?

— გადაიხადე, რამდენიც საჭიროა. არ უნდა მოვიდეს, სანამ მე არ ვიტყვი.

— მყავს შესაფერისი ხალხი.

— დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ გაართმევდი თავს.

მამაკაცი ჭიქას ცლის და ფეხზე დგება. ზურა მას კარამდე აცილებს. შემდგომ მის მიერ მოტანილ საბუთებს უჯრაში ყრის, განქორწინებას აწერს ხელს და მობილურს იღებს ხელში.

მივწერე. ისეთი არაფერი. მოდი, შევხვდეთ და დავილაპარაკოთ-მეთქი. ვჯდები საწოლზე და პირსახოცით ვიშრობ თმას. პირდაპირ ვეტყვი, რომ შემეშალა ნომერი, სხვა მეგონა და არ მინდა, იფიქროს, რომ მის მიმართ ინტერესი მქონდა. ასევე გამოვკითხავ, რატომ უთხრა ირაკლიმ ჩემზე და, თუ იცოდა, ირაკლისთვის ვინც ვარ... და ისე ვინ ვარ? ვინ ვიყავი, უფრო სწორად? საწოლზე ვეშვები. სველი თმა კისერზე მედება და მაყრიალებს. უფრო შიგნიდან მაჟრიალებს. მარტო ვარ. ძალიან მარტო ვარ. პასუხს რატომ არ მწერს ამდენ ხანს? ალბათ ვერ გაიგო, საერთოდ რა მინდა. მობილური წკარუნობს. „მოვიცლი ამ დღეებში და დაგირეკავ“. თავხედი!

თინკა უსასრულოდ კოცნის მასზე ჩახუტებული ირაკლის სახის ყოველ ნაკვთს. მისი ხელები მოძრაობენ მისი მძლავრი ხერხემლის გასწვრივ. ირაკლი გრძნობს, თუ როგორ მიედინება ენერგია მის ხერხემალში თინკას ხელების დახმარებით. ისინი კოცნიან ერთმანეთს, ეფერებიან და ეხებიან სხეულის ყველა ნაწილით. როგორც კი კავშირი აღწევს კულმინაციის წერტილს, ჩერდებიან და ტკბებიან სიამოვნებით. მცირეოდენი პაუზის შემდეგ ყველაფერი გრძელდება გაასმაგებული გრძნობებით და ემოციებით. მათი სუნთქვა არის ერთი. მათი გულისცემა არის ერთი. აღარ არსებობს ორი ადამიანი, არის მხოლოდ ერთი არსება. ისინი უყურებენ ერთმანეთს, მაგრამ ვერ ხედავენ. მათი სხეულები დაიშალა უთვალავ ატომად და გაიხსნა პარტნიორის სხეულში. და ეს შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი დროით, იმიტომ, რომ აღარ არსებობს თვით დროც. აღარ არის აუცილებელი ლამაზი სიტყვა „სიყვარულის“ უკან დამალვა, იმიტომ, რომ ეს გრძნობა თვით სიყვარულზე ძლიერია. არავითარი ვალდებულებები, არავითარი პასუხისმგებლობა, არავითარი მოთხოვნილება, არავითარი მიზნები. ეს გრძნობები ირაკლის ცვლის. ის ვერასოდეს დაბრუნდება სახლში ისეთი, როგორიც იყო გუშინ.

მიშოს ქორწილისთვის კაბა შევარჩიე. მიშოს ხმას არ ვცემ. თვითონაც მერიდება. იცის, რომ გაბრაზებული ვარ. შაკოსთან არ გავსულვარ რამდენიმე დღეა. ნინია სულ იქ ზის თურმე. შაკოს დედამ უამბო დედაჩემს. ღმერთო, იქნებ გამოუვიდეთ რამე! მობილური რეკავს და ვპასუხობ.

— გამოდი ჩემთან სასწრაფოდ! — მესმის განწირული სვეტას ხმა.

— რა ხდება?

— მოდი!

სწრაფად ვიცვამ და მანქანაში ვხტები. გიჟივით მივქრივარ სვეტასთან. ავრბივარ კიბეზე. კარს სვეტას ქმარი მიღებს. გაფითრებულია.

— რა ხდება? — ვეკითხები ქოშინით.

ხმას არ მცემს და დიდ ოთახში გადის. მივყვები. სვეტა ზის და ტირის. იქვე მისი დედამთილი და „ბებიამთილი“ სხედან.

— რა გჭირთ, ხალხო? — ვეკითხები და ტახტზე ვასკდები.

— ვაუბატონს აგერ მეორე ოჯახი ჰყოლია! — ამბობს სვეტა და უფრო ხმამაღლა მოთქვამს.

— რა სისულელეა! — სვეტას ქმარი წინ და უკან დადის.

— გენაცვალე, რა მოხდა მერე, აპატიე, კაცია, — ეუბნება დედამთილი.

— დედა! არ მყავს ეს მეორე ოჯახი!

— შვილო, ყველაფერი ხდება. მთავარია, ეს ოჯახი არ უნდა დაინგრეს.

— მასე მთელმა სოფელმა იცის, რომ სვეტას საყვარელი ჰყავს, — ამბობს „ბებიამთილი“.

— რაო? — სვეტა აღარ ტირის.

— აბა, აბა. მეორე წელიწადია, რაც ეს გავიგე. სირცხვილით გარეთ თავს ვერ ვყოფ.

— რა საყვარელი? გაგიჟდით თქვენ? — სვეტა ფეხზე ხტება.

მეც ვდგები, გაკვება რომ დამჭირდეს.

— ბებია, რას ლაპარაკობ?

— მასეა, მასე! საყვარელი ჰყავს. მარა კაი ქალია, ოჯახს არჩენს და არა ვთქვი.

— შენ გინდა მითხრა, რომ ორი წელია იცი, რომ ჩემი ცოლი ბოზია და არ მეუბნებოდი იმიტომ, რომ ოჯახს არჩენს? — სვეტას ქმარი მუშტებს კრავს.

ახლა ამას ვამშვიდებ. სრული ქაოსია. საბედნიეროდ, ბიძაშვილობა გვიერთდება და გვეხმარებიან.

ნაცემივით ვარ. ძლივს მოვღოღდი სახლში. მაინც ვერ გავიგე, ვინ ვის ჰყავდა იქ ან საერთოდ, რა ხდებოდა. ერთი-ორი წიხლი მომხვდა და წამოვედი სახლში. ამერიკაში მინდა. პირველად ვიგრძენი, რომ ამერიკაში მინდა. ჩაცმული ვეცემი საწოლზე და ვითიშები.

ადრე მეღვიძება. გაქანებული ნევროზი მაქვს. მზის სხივებიც კი არ მშველის. ფარდა ფრიალებს და მინდა, ჩამოვგლიჯო და დავწვა. ამ უაზრობის ატანა აღარ შემიძლია. ვდგები და კარადას ვაღებ. რას ვეძებ? ვიღებ სპორტულებს და ვიცვამ. შევდივარ სააბაზანოში. პირს ვიბან და თმას ვიწევ. ყურებში მუსიკა და ფეხზე ბოტასი. გავდივარ სახლიდან და „რივოკით“ მივრბივარ. არ ვიცი, სად. არ ვიცი, რატომ, მაგრამ გავრბივარ. „Liquideep - Alone (original Mix)“-ს ენერგიაზე მოვყავარ. მე ძლიერი ვარ! მე ყველაფერი შემიძლია! მარტო ვარ? მერე რა? მე ამტანი ვარ! მივრბივარ და ვატყობ, როგორ გადამდის აგრესია მოტივაციაში.

სახლი. შხაპი. სანდრო მჭირდება. ვურეკავ და მძინარე ხმით მპასუხობს.

— მოხვალ?

— შენც გამარჯობა! — ვეუბნები სიცილით.

— ჩვენც, — ეცინება.

— აჰა, — ხმამაღლა ვიცინი.

— მოხვალ?

— მოვალ.

— როდის?

— მალე.

— კაი, გელოდები.

ვიცვამ და გავდივარ. სანდროს სახლთან ვაპარკინგებ მანქანას და გადავდივარ. ავდივარ ზემოთ და ვრეკავ ზარს. სანდრო მიღებს. ხალათი აქვს მოგდებული.

— მობრძანდით, — მეუბნება ღიმილით.

— მომნატრებიხარ, — ვეხვევი და ლოყაზე ვკოცნი.

— მეც. რას შვრები? სად დაიკარგე?

— რა ვიცი. საგიჟეთი მქონდა. შენ რას შვრები?

— ლენას ვეკონტაქტებისავით.

— აჰა, — ვცდილობ, არ შევიმჩნიო, რომ ვლიზიანდები.

— ერთხელაც ამოვულაგებ ყველაფერს და დავიქნევ.

— შენ უკეთ იცი, — მომეშვა.

— რით გამახარებ დღეს?

— სული მოვითქვა, მაცადე.

— შენი ყოფილი როგორ მყავს?

— არ გამოჩენილა იმის მერე.

— რაღას გამოჩნდებოდა, გავანადგურეთ კაცი.

— იმსახურებდა.

— მოდი ჩემთან! — სანდრო გულში მიკრავს და მკოცნის.

— რაღაც ძალიან თბილი ხარ დღეს.

— მე მუდამ თბილი ვარ, — მაისურს მხდის.

— და ეტყობა, გეჩქარება.

— არა, უბრალოდ ძალიან მინდიხარ.

ხელში ავყავარ და საძინებელში გავყავარ. საწოლზე მაწვენს, ხალათს იხდის და ჩემს სხეულზე ეშვება. სანდროსთან სექსი ყოველთვის სიმაღლეზეა!

სანდროსგან წამოვედი. არ მომინდა დარჩენა. რაც უნდა თქვას, სულ მგონია, რომ ლენაზე ფიქრობს. ალბათ ასეც არის. ცრემლები მაწვება. რაც უნდა ვიტყუო თავი, რომ თავისუფლება მინდა და მხოლოდ სექსი ჩემთვის საკმარისია, კარგად ვიცი, რომ ასე არ არის. მინდა, ვუყვარდე ვინმეს სიგიჟემდე. ვუსმენ „Tokio - Я тебя люблю“-ს. ვატყობ, ცრემლები მაწვება.

„Летит пустота минут снова ко мне навстречу.

Тебя не хватает тут, и в сердце моем печаль.

Я пробовал просто ждать, но время меня не лечит.

И мысли уносят вдаль, касаясь любимых губ.

День за днем я ловлю рассветы,

И в каждом лучике солнца есть ты.

Не могу без тебя, прости, меня волнуешь только ты…

Это чудо представить сложно

И даже выдохнуть невозможно от набранной высоты

Я это чувствую, а ты?".

→68

Cyan Magenta Yellow Black

ვაჩერებ ავტომობილს და ცრემლები ჩამომდის.

„Увидеть тебя тогда стоило этой жизни.

Мы спрятаны навсегда в тихое слово «да»

Я счастлив: тебе и мне достаточно даже мысли

О том, что теперь ты есть, и будешь со мной всегда".

ამ ემოციაზე მხოლოდ ირაკლი მახსენდება და ვიცი, რომ დიდი შეცდომა დავუშვი, როდესაც გავუშვი, მაგრამ ახლა გვიანია. „Tokio - Нежносить“ იწყება და გული უფრო მიმძიმდება.

„Когда я впервые увидел тебя, этот смех,

Ты мне напомнила по-моему сразу всех.

Кого я любил, с кем хотел быть вместе,

Я стоял как вкопанный, у меня не было слов.

Еле выговорил, не подумай ничего плохого,

Но мы ещё не расстались

а я уже хочу увидеть тебя снова".

ხელით ვიწმენდ თვალებს.

„Мы всегда были вместе, послушай,

Мне ничего в этом мире без тебя не нужно!".

ირაკლის სახე მახსენდება და ღიმილი.

„Ты - моя любовь,

ты - всё, что мне надо…" .

და ხმამაღლა ვყვები სიმღერას:

„Ай, больно, ай, больно, ай,

Дай мне нежность.

Ай, больно, ай, больно, ай,

Дай мне нежность" .

ხომ შეიძლება, რომ აღარასდროს დაბრუნდეს? ვერასდროს რომ ვეღარ ვნახო? გული მეკუმშება და ვმწარდები იმდენად, რომ საჭეს ვურახუნებ მუშტებს.

ზურა პიჯაკებს არჩევს. დღეს საღამოს ალექსანდრას შეხვდება, იქნება თვით მომხიბვლელობა და მხოლოდ მეგობრულად მიუდგება. ეს გეგმა სწორად თუ არ განახორციელა, გამოდის, რომ ამხელა რისკზე ტყუილად წავიდა და ზურა ტყუილუბრალოდ არაფერს აკეთებს.

ვწევარ და თვალებზე კიტრის ნაჭრები მადევს. ცოტა იქნებ ჩამიცხრეს დასიება. ზურამ მომწერა, ვისადილოთო. წავალ და ავუხსნი ყველაფერს. თუ ირაკლის ემეგობრება და ახლაც კონტაქტობენ, მინდა, რომ უთხრას, მასზე რომ ვფიქრობ. ერთი საათი მაქვს კიდევ.

ზურას გამოვლის უფლება არ მივეცი. პარკში მისი ნაჩუქარი ჩანთა ჩავდე და მოვგორდი რესტორნამდე. შევდივარ. ჩემს დანახვაზე ზურა დგება და ხელს მიქნევს. ვუახლოვდები. მკოცნის ლოყაზე და სკამს მიწევს. ჩანთას ვაწვდი.

— ეს რა არის? — მეკითხება.

— ჩანთა. ვერ მივიღებ.

— ალექსანდრა, სწორად გამიგე. ირაკლის თხოვნით გავაკეთე ეს.

ვიბნევი. როგორც მახსოვს, ასე არ იყო.

— თუ გინდა, როცა დამირეკავს, ვეტყვი, რომ დამიბრუნე. არ არის პრობლემა, — მართმევს ჩანთას.

— არა, იყოს, — ჩემკენ ვწევ.

ეღიმება.

— მიხარია, რომ მოახერხე დღეს.

— ასევე. დალაპარაკება მინდოდა. ჩვენ ცოტა უხერხულად დავიწყეთ ურთიერთობა.

— მოდი, ჯერ შევუკვეთოთ.

ვუკვეთავთ. ის სტეიკს კარტოფილით, მე — ბერძნულ სალათს. ოფიციანტი თეთრ ღვინოს გვისხამს და გვტოვებს.

— ზურა, მინდა აგიხსნა, რატომ მოგწერე...

— არ არის საჭირო. ირაკლისგან ვიცი, როგორი ახლო მეგობრები ხართ და სულ მეხუმრება ხოლმე მასე, — ეცინება.

ვერ ვხვდები, რას ამბობს.

— რამდენი ირაკლის გოგოები მწერენ და მირეკავენ ხოლმე, სულ მაღადავებს.

ფიქრობს, რომ გავეხუმრეთ. მართლაც, ხომ არ ჯობია, ასე იფიქროს? ავუხსნა ახლა, რომ ჩემი პირველი სიყვარული მეგონა და ირაკლის ზურგს უკან მივწერე? არა მგონია.

— თანაც, რაც მე და ირაკლის და დავცილდით...

— დაცილდით?

— არ იცოდი? არ უთქვამს ირაკლის?

— არა.

— ხო, ისეთი არეული იყო მამამისის გამო და მერე ამ ინდოეთის, რომ ალბათ არც გახსენებია.

— ეტყობა, მართლაც ახლოს ხართ.

— ძმასავითაა ჩემთვის.

— როგორ არის, რას შვრება?

— კარგად. მე სულ მეგონა, რომ ინდოელ ცოლს მოიყვანდა ეგ ბიჭი და ალბათ ასეც იქნება.

ლუკმა მცდება და ვახველებ.

— სწორად გამიგე, ირაკლის მუდამ ეხვეოდნენ ქალები, მაგრამ რაღაცას ეძებდა მუდამ და, იმედია, იქ იპოვის.

— გასაგებია.

— იმედია, მე და შენ მოვახერხებთ, რომ ვიმეგობროთ, — მეუბნება ღიმილით და ჭიქას წევს, რომ მივუჭახუნო.

— ნამდვილად, — ვუჭახუნებ.

— ირაკლი მეუბნებოდა, ამერიკის მოქალაქეაო.

— კი, ვარ.

— მერე იქით არ აპირებ დაბრუნებას?

— არა მგონია.

— მე კიდევ სიამოვნებით გადავიდოდი იქით საცხოვრებლად.

— არა, კი კარგია, მაგრამ დამღლელია.

— სამაგიეროდ ბიზნესისთვის რამხელა გასაქანია.

— მაგაში გეთანხმები, ჩემმა ყოფილმა დიდი ფული იშოვა იქ.

— შენნაირ ქალს ყოფილი როგორ უნდა ჰყავდეს? რომელი ჭკუათმყოფელი კაცი მოგცემდა შენ წასვლის საშუალებას?

— გრძელი ისტორიაა ძალიან, — მეღიმება.

— მე ცოლი დამცილდა იმიტომ, რომ ვერ ვიცლიდი მისთვის. არ ვამტყუნებ. მას ის სითბო უნდოდა, რომელსაც მე ვერ ვაძლევდი, თუმცა ძალიან მიყვარდა და ბავშვებზე ვგიჟდები, სულ ჩემთან არიან ხოლმე.

— მართლა? რა კარგია.

— შვილზე დიდი ბედნიერება არ არსებობს!

— გეთანხმები.

— იმედია, ლიკა იპოვის თავის ბედნიერებას და მეც ვიპოვი.

— ნამდვილად იპოვი.

სასიამოვნოდ ვატარებთ საღამოს. მაცილებს ავტომობილამდე, ლოყაზე მკოცნის და მივდივარ. კარგია, დამლაპარაკებელი მაინც მყავდა დღეს.

ზურა სავარჯიშო დარბაზში შედის. სიმძიმეების აწევა აზრებს ულაგებს ხოლმე. ზურას კი სჭირდება აზრების დალაგება. შეცდომა დაუშვებელია.

რამდენიმე დღე სახლში გავატარე. მიშოს შევურიგდი. რა ვუყო, ჩემია და რა ვქნა. ვკითხულობდი ბევრს. თითქოს სიმშვიდეც დამიბრუნდა და ირაკლიც მიმავიწყდა. კარგია სიმშვიდე. მობილური რეკავს. უცხო ნომერია. იქნებ არ ავიღო? მაგრამ ირაკლი რომ იყოს? ვპასუხობ.

— გისმენთ.

— ალექსანდრა?

— დიახ.

— გამარჯობა.

— გამარჯობა.

— მე ვარ გივის მამიდაშვილი, ცისანა... თუ გახსოვარ.

— კი, ცისანა, მახსოვხარ, — ამას რაღა უნდა?

— მაპატიე, რომ გირეკავ, მაგრამ ჩავთვალე, რომ უნდა დამერეკა.

— რა ხდება?

— სხვამ არავინ დაგირეკა და მე ვთვლი, რომ უნდა იცოდე!

— რა ხდება, მითხარი!

— გივი გარდაიცვალა.

— რა? — საწოლიდან ვხტები.

— მანქანით გადავარდა. ნასვამი იყოო, ამბობენ.

— ღმერთო! — გულისრევა მაწვება.

— დღესაა გასვენება და კი ვიცი, როგორც დაცილდით, მაგრამ ვიფიქრე, იქნებ მოვიდეს-მეთქი.

— სად არის გასვენება?

— ეკლესიიდან ასვენებენ. დაგიმესიჯებ დროს და მისამართს.

— მადლობა, ცისანა.

ვკიდებ ყურმილს. ვჯდები საწოლზე და ვერც კი ვტირი. ვიცი, რომ გამამწარა, მაგრამ ძალიან მტკივა. გივი ისე უფრთხილდებოდა თავის თავს, ნასვამი დაჯდა საჭესთან? ღმერთო, ოღონდ თავი არ მოეკლა!

შევდივარ ეკლესიაში. ძალიან ბევრი ხალხია. ბევრი ნაცნობი სახეა. არავის ვესალმები. გივის ცოლი ხმამაღლა მოთქვამს. ვუახლოვდები გივის ცხედარს. ცოცხალივით არის. სახეზე დაზიანება არ აქვს. გეგონება, სძინავს. ვიხრები და შუბლზე ვკოცნი. მე ძალიან მიყვარდი, გივი და ყველაფერი გაპატიე. განისვენე მშვიდობით. წრეს ვარტყამ და გარეთ გავდივარ. ცრემლები ჩამომდის. მობილური რეკავს და ვპასუხობ.

— გისმენთ.

— ალექსანდრა, ზურა ვარ. მაპატიე, რომ გაწუხებ, მაგრამ რაღაც მაინტერესებდა ამერიკის საბუთებზე, ხომ ვერ დამეხმარები.

— ახლა არა, ზურა... — ვეუბნები ხმის კანკალით.

— რა გჭირს? სად ხარ?

ვეუბნები, რომელ ეკლესიასთან ვარ და წამებში აქ ჩნდება. მეუბნება, რომ აქვე იყო. მიხუტებს და მის მკერდზე ვტირი. ჩემი ყოფილი ქმრის გასვენებაში სითბოს ვიღებ ჩემი ფარული სიყვარულის ყოფილი სიძისგან, რომელსაც ჩემი პირველი სიყვარულის სახელი ჰქვია. რა ჰქვია ამას, ღმერთო? რატომ მე?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

ტესტი

თანამედროვე ადამიანი ხართ?

1. ჩამოთვლილთაგან რომელი პროფესია მოგწონთ?
ა) ჟურნალისტიკა — 1
ბ) დიზაინერობა — 2
გ) ოქრომჭედლობა — 1

2. თავისუფალი კვირა გამოგიჩნდათ, სად ისურვებდით დასვენებას?
ა) ამაზონზე — 2
ბ) კანარის კუნძულებზე უარს არ იტყოდით — 0

3. ფული მოაგროვეთ და მანქანის ყიდვა გადაწყვიტეთ, რომელი მარკისას აირჩევთ?
ა) „ბეემვე“-ს — 2
ბ) რომელიმე საბჭოური დროის მანქანას — 1
გ) უცხოურ, მაგრამ იაფ მანქანას — 0

4. ყოველდღიურად საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა გიწევთ, რითი ირთობთ თავს ამ დროს?
ა) წიგნის კითხვით — 2
ბ) გაზეთების თვალიერებით — 1
გ) ფანჯრიდან ხალხს ათვალიერებით — 1

5. არჩევნებში ვის მისცემთ ხმას?
ა) ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ პარტიას — 0
ბ) საქმიან და ინიციატივიან პარტიას — 2
გ) ოპოზიციას — 2

6. დიდი ხნის უნახავი მეგობარი შეგხვდათ, სად დაპატიჟებთ?
ა) კაფეში — 0
ბ) მყუდრო რესტორანში — 2
გ) ელიტურ რესტორანში — 0

7. ვახშმის შემდეგ გსურთ, საყვარელ ადამიანთან ერთად რამდენიმე საათი სადმე გაემგზავროთ. სად წახვალთ?
ა) გამოფენაზე — 1
ბ) კინოში — 2
გ) დისკოთეკაზე — 2

8. გვიან ღამით საყვარელ ადამიანთან გამომშვიდობებისას...
ა) წამიერად მიიღებთ გადაწყვეტილებას და მასთან სახლში წახვალთ — 2
ბ) თქვენთან დაპატიჟებთ — 1
გ) ძილი ნებისას უსურვებთ — 0

9. რა მოგდით თავში პირველად, როცა სიტყვა „სექსი“ გესმით?
ა) საყვარელი ადამიანი — 2
ბ) წუთიერი ფლირტი — 0
გ) რომანტიკული ღამე მთვარის შუქზე — 1

10. გამოუძინებელმა და დაღლილმა გაიღვიძეთ. რას გააკეთებთ, მდგომარეობიდან რომ გამოხვიდეთ?
ა) ცივ შხაპს მიიღებთ — 2
ბ) იფიქრებთ, რომ კვირაში ერთხელ მაინც კარგად უნდა გამოიძინოთ და დაისვენოთ — 1
გ) აუცილებლად ყოველდღიურად ვარჯიში უნდა დაიწყოთ — 2

11. მეგობრები შეიკრიბეთ. თქვენ საჭმლის მომზადება გთხოვეს, რას გააკეთებთ?
ა) რაიმეს ნაჩქარევად — 1
ბ) ნამცხვარს — 0
გ) სალათას — 2

12. ჩამოთვლილთაგან რომელი სასმელი გირჩევნიათ?
ა) ღვინო ან შამპანური — 0
ბ) წვენი ან ლიმონათი — 2
გ) ლუდი — 1

შედეგები:

4-10 ქულა — კონსერვატორი ბრძანდებით. ეცადეთ, შეიცვალოთ, რომ თანამედროვეობას ფეხი აუწყოთ.

11-21 ქულა — საკმაოდ თანამედროვე ხართ. გრძნობთ ცხოვრების მაჯისცემას, ოღონდ ყოველთვის — არა.

22 ქულაზე მეტი — თქვენ მომავლის ადამიანი ბრძანდებით, დამოუკიდებელი და საკუთარ თავში დარწმუნებული, თუმცა საკუთარ წარმატებებს კრიტიკული თვალით უყურებთ.

✓ მოამზადა ირმა გოგინაძემ

როგორ შევინარჩუნოთ წონა დიეტის შემდეგ

ამრავი დიეტა არსებობს, მაგრამ ყველას როდი ყოფნის ნებისყოფა, ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე. ხშირ შემთხვევაში დიეტა სასიკეთოდ აისახება გარეგნობაზე, მაგრამ ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზე. ბევრს დიეტა ბოლომდეც მიჰყავს, მაგრამ შედეგის შენარჩუნება უჭირს და დროთა განმავლობაში ორმაგად იმატებს წონაში.

სუპერმარკეტების დახლებზე დალაგებული ლამაზად შეფუთული ნუგბარები თვალს ჭრის და ცდუნებაც დიდია. იმასაც კი მნიშვნელობა აქვს, რა ფერის თეფშიდან მიირთმევთ საჭმელს. ხშირად ლამაზი ჭურჭელი მადას აღძრავს.

გთავაზობთ რჩევებს, რომლებიც დაგეხმარებათ დიეტის დაცვის შემდეგ მიღებული შედეგის შენარჩუნებაში.

გასეირნება

ფეხით ჩვეულებრივი გასეირნება წონაში სწრაფად დაკლებაში ვერ დაგეხმარებათ, მაგრამ ნელ და მდგრად შედეგს მოგცემთ. ფეხით ყოველი ათწუთიანი სიარულისას 40-70 კკალორიას ხარჯავთ, თითქმის იმდენივეს, რამდენსაც ხუთწუთიანი სირბილისას.

ჩვეულებრივად და უბრალოდ

ყოველდღიური საოჯახო საქმიანობა და მაღაზიებსა თუ ბაზარში სიარული ვარჯიშზე ცუდად როდი წვავს კალორიებს. მაგალითად, მაღაზიის ვიტრინის ათწუთიანი თვალიერებისას 35 კალორია იწვება, ბოსტნის გამარგვლისას — 60, ბავშვთან ერთად სუფთა ჰაერზე ათწუთიანი გასეირნებისას — 26, კარაოკეში სიმღერისას — 20, ერთი სართულის ფეხით ავლისას — 16 კალორია.

ცოტა და ეფექტური

არ არის აუცილებელი, ცხოვრება სპორტს მიუძღვნათ, მაგრამ, თუ თავისუფალი დრო გაქვთ, საკმარისია 8-12 ვარჯიშის შესრულება კვირაში 2-ჯერ იმისთვის, რომ წონა შეინარჩუნოთ. ჩათვალეთ, რომ 30-40 წუთი, რომელსაც ვარჯიშზე ხარჯავთ, ლამაზი სხეულის ფონდში ჩარიცხული ინვესტიციაა.

გახსოვდეთ! საუკეთესო ვარჯიში ის კი არაა, რომლის დროსაც დიდი რაოდენობით კალორიებს წვავთ, არამედ ის, რომელიც სიამოვნებას განიჭებთ.

კეფირის დიეტა

კეფირის დიეტის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. პირველი მონოდიეტაა: 1-1,5 ლ კეფირი უშაქროდ დღეში 5-6 მიღებაზე უნდა გაანაწილოთ და დროის თანაბარ შუალედებში სვათ. ასეთი დიეტის ხანგრძლივობა 3 დღეა.

მეორე ვარიანტი კი ასეთია: 1-1,5 ლ კეფირი, პლუს 0,5-1 კგ ტკბილი ხილი ან ბოსტნეული მთელი დღის განმავლობაში. დიეტის ეს ვარიანტი 5-6 დღე შეგიძლიათ დაიცვათ.

შემოგთავაზებთ კეფირის დიეტას, რომლის ხანგრძლივობაც 7 დღეა. ყველა ჩამოთვლილი კერძი შაქრისა და მარილის გარეშე უნდა მოამზადოთ.

I დღე —5 ცალი მოხარშული კარტოფილი და 0,5 ლ კეფირი.
II დღე —100 გ ქათმის მოხარშული ხორცი და 0,5 ლ კეფირი.
III დღე — 100 გ მოხარშული საქონლის ხორცი და 1,5 ლ კეფირი.
IV დღე — 100 გ მოხარშული თევზი და 1 ლ კეფირი.
V დღე — ხილი და ბოსტნეული (გარდა ბანანისა და ყურძნისა) და 1,5 ლ კეფირი.
VI დღე — 1,5 ლ კეფირი.
VII დღე — 1,5 ლ მინერალური წყალი.

Cyan Magenta Yellow Black

გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ოხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 23 ნოემბერი, 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-დან 30 წლამდე თბილისელ გოგოს. 557758723
2. ვარ 34 წლის, მაღალი, ქერა, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ქალს. დამიკავშირდით დღის საათებში. 551166214. აკო
3. ვარ 41 წლის მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40-დან 60 წლამდე ქალს. 555329165. თემური
4. ვარ 25 წლის ბიჭი, ვცხოვრობ თბილისში. სამეგობროდ გავიცნობ 40 წლამდე ქალს. 557942898. დათო
5. სამეგობროდ გავიცნობ ნორმალური გარეგნობის 35 წლამდე ქალს. ვარ 35 წლის, თბილისელი, სერიოზული, მშვიდი, წესიერი მამაკაცი. 558600892
6. სამეგობროდ გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 25-35 წლამდე ქალს. 577908941. ილია
7. გავიცნობ თბილისში მყოფ 40 წლამდე ქალს. ვარ მაღალი, სიმპათიური, 30 წლის ბიჭი, მყავს მანქანა. 595750060. ნიკა
8. გავიცნობ 35-დან 40 წლამდე კარგი გარეგნობის ქალს, სასიამოვნო შეხვედრებისთვის. ვარ სიმპათიური მამაკაცი. 557289787. გიო
9. ვარ 33 წლის მამაკაცი, დასაქმებული, გავიცნობ კარგი გარეგნობის ქალს. 514197722. გოჩა
10. გავიცნობ 40 წლამდე ქალს. ვარ 35 წლის მამაკაცი. 598961616. რომა
11. სამეგობროდ გავიცნობ 40-55 წლამდე ქალს. მყავს ოჯახი. 557189058. გიზო

1—. გავიცნობ 25-35 წლამდე თბილისელ გოგოს სამეგობროდ. ვარ 29 წლის, დასაქმებული, სიმპათიური ბიჭი. 551202570. იკა

13. შეხვედრებისთვის გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, სრეიოზულ, 37 წლამდე ქალს. ვარ 39 წლის მამაკაცი ქუთაისიდან. დაამესიჯეთ საღამოს 5 საათამდე. 555285870. ჯონი
14. ვარ 23 წლის. გავიცნობ თბილისელ ქალს, რომელიც მარტო ცხოვრობს ან აქვს შეხვედრის ადგილი, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. მომწონს 50 წლამდე უფროსი ქალი. 555513821. ჯონი
15. ვარ 32 წლის, საქორწინო მამაკაცი, არამსმელი, მშვიდი ხასიათის, დასაქმებული. სამეგობროდ გავიცნობ 50 წლამდე მარტო მცხოვრებ ქალს. 557321274
16. შეხვედრებისთვის გავიცნობ გათხოვილს ან განათხოვარ გოგოს. ვარ 24 წლის ბიჭი. 555974906. გიო
17. ვარ 29 წლის, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის ბიჭი. გავიცნობ გრძელთმიან, მოხდენილ, მშვიდ გოგოს. 555670378
18. ვარ 29 წლის, დაოჯახებული, შეხვედრებისთვის გავიცნობ ლამაზ, მომხიბვლელ, წესიერ გოგოს. დამიკავშირდით 6 საათამდე. 557962960
19. სამეგობროდ გავიცნობ 50 წლამდე, თბილისელ, თავისუფალ, ლამაზ და სერიოზულ ქალს. ვარ 44 წლის მამაკაცი. 555487977. ბაჩო
20. ვარ 24 წლის ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ბათუმელ ან აჭარაში მყოფ ქალს. 557426603
21. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 42 წლამდე ფინანსურად შეძლებულ, თბილისელ ქალს. 598907852
22. ვარ 29 წლის, სანდო და სიმპათიური ბიჭი. შეხვედრებისთვის გავიცნობ სანდო ქალს, სასურველია თბილისელი და სუსტი აღნაგობის. 599909364
23. ვარ 38 წლის, თბილი მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე მეგრელ გოგოს. 557681502. გია
24. ვარ 40 წლის, სიმპათიური, ცოლს გაცილებული, თბილისელი მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ ასაკით უფროს, თბილისელ ქალს. 555639450
25. გავიცნობ 25 წლამდე, სუფთა, თბილისელ გოგოს, შეხვედრის ადგილით უზრუნველყოფილს. 593493496. დათო
26. გავიცნობ თბილისელ, კარგი გარეგნობის 30 წლამდე გოგოს. ვარ თბილი, დასაქმებული, ენერგიული მამაკაცი. 555450488
27. ვარ 26 წლის მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე ლამაზ ქალს. 555109884
28. გავიცნობ თბილისში მყოფ, ლამაზ, სერიოზულ, 25 წლამდე მომხიბვლელ გოგოს სერიოზუოლი და ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ დასაქმებული და წესიერი ადამიანი. 557299185. დათო
29. გავიცნობ ნებისმიერი ასაკის ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 30 წლის, არამწეველი მამაკაცი. 595538716

2017

30. შეხვედრებისთვის გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ, მარტოხელა, თბილისელ გოგოს სამგორის ან ისნის მეტროსთან მცხოვრებს. ვარ 30 წლის ბიჭი. 557639928

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ გოგოს. ვარ 34 წლის, დასაქმებული მამაკაცი. 555142415. გიორგი
2. ვარ მაღალი, ქერა, სიმპათიური, ათლეტური აღნაგობის, განათლებული, მოწესრიგებული მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, ბინით უზრუნველყოფილ, 28 წლამდე ლამაზი გარეგნობის გოგოს. 598405598
3. ვარ 185/82/38, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ სამტრედიაში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33 წლამდე ქალიშვილ გოგოს, საშუალოზე მაღალს. 555639894. დათო
4. ვარ წყაროს წყალივით ანკარა წარსულის, 30 წლის, დასაქმებული მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დედისერთა ან მარტოხელა გოგოს. 555290345
5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ საშუალო ან მაღალ 28-35 წლამდე პატიოსან, ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ, სერიოზულ გოგოს, სწავლას მნიშვნელობა არა აქვს. ვარ 38 წლის, ყველაფრით უზრუნველყოფილი, უცოლო ბიჭი რაიონიდან, უმჯობესია იყოს რაიონიდან. 599156258
6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 34-დან 40 წლმდე ქალს. ვარ 53/164/65. 599429892
7. ვარ 26 წლის, ჩამოყალიბებული, პატიოსანი ადამიანი. გავიცნობ 25 წლამდე გოგოს, რომელსაც სურს, ლამაზი ოჯახი შექმნას. 555778355. მამუკა
8. გავიცნობ თბილისელ, თბილ, ლამაზი გარეგნობის, გამხდარ, განათხოვარ, 30-35 წლამდე ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. 551539247
9. ვარ თბილი, ყურადღებიანი, დასაქმებული, 29 წლის, ცოს გამორებული მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ და მოსიყვარულე, ბინიან გოგოს. 555020903
10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ქალს. 599771989
11. ვარ 43 წლის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ქალს. 551181206
12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, 20-30 წლამდე თბილისელ გოგოს. ვარ 38 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის მამაკაცი. 555162802. გია
13. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ქალიშვილს, ვისაც თბილი ოჯახი და შვილები უნდა. 557648775
14. ვარ 41 წლის, უცოლო მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32 წლამდე იმერელ, ქალიშვილ გოგოს. ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი. 557527483. გოგიტა
15. ვარ ახალგაზრდა, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 25-დან 35 წლამდე ქალს. 558270100
16. ვარ 70 წელს გადაცილებული მამაკაცი, წლების მანძილზე ვცხოვრობ მარტო, მაქვს სახლი, გარშემო ხეხილით. მიუხედავად წლოვანებისა, მინდა მეუღლე, ხმის გამცემი. 593623354. გიორგი
17. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე პატიოსან ქალს. 555263388

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 52 წლის, თბილისელი, სიმპათიური ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, წესიერ, ფინანსურად უზრუნველყოფილ მამაკაცს. 555416795
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე სერიოზულ მამაკაცს. 555354360

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. ვარ 45 წლის ქალი, სამეგობროდ გავიცნობ შეძლებულ, არაძუნწ მამაკაცს, რომელიც მატერიალურად მხარში ამომიდგება. 557398045
2. სამეგობროდ გავიცნობ პატიოსან მამაკაცს. 514499559
3. ვარ ლამაზი, ახალგაზრდა ქალი. გავიცნობ 40-50 წლამდე მამაკაცს, ვინც გამიწევს მეგობრობას, სასურველია იყოს დასაქმებული. 555669069

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჰაიმე ან გაუმხიღოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 23 ნოემბრის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნერვული, ჰომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისადმი მინერული ოთ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

მამა არჩილი: „მღვდლობა ისეთი მოულოდნელობა აღმოჩნდა, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი“

„სასულიერო პირი საკუთარი ჯვარცმისთვის მზად უნდა იყოს“

„მგზავრო, მომისმინე: შენი ძმა, გზა ვარ, ფეხქვეშ რომ გეგები აღმართ და დაღმართ,
იქნებ უსახური მე იმ გზას ვგავარ, ცეცხლოვან შანთებს რომ უმზადებს წარმართთ.
იქნებ მაცდური ვარ, ღვთისგან განდგომილი, თვით არაფრის მქონე სხვასაც ბევრს ვპირდები,
ოცნებებით სავსე, ჩემზედ დაყრდნობილი ვარდის კოკორს ნატრობ, ეკალს ერიდები.
მგზავრო, არ აჩქარდე, უკან მოიხედე, იქნებ აღმართს ასცდი, დაღმა ჩაგივლია,
წამით დაფიქრდი და გულში ჩაიხედე, ნეტავ, სად იარე ანდა რად გივლია?
საიდან მოდიხარ, ვინა ხარ, რა ხარ? ჩემი გზის ბილიკებს ასე რად ენდობი,
შენც ალბათ იმ ცოდვილთ მოდგმიდან ჩანხარ, ღმერთს რომ ვერ ენდობა, მე კი გაგენდობი...“

ეს არის ნაწყვეტი მამა არჩილ გვიმრაძის ლექსიდან „მე მხოლოდ გზავნილი ვარ“. პოეტმა მოძღვარმა ლექსები, თავისი სულის ნაწილი ერთ კრებულში მოაქცია. მეორე წიგნის გამოცემას არ ჩქარობს, სათქმელის დაგროვებას ელოდება. სულ პირველი ლექსი ერისკაცობაში პირველმა სიყვარულმა დააწერინა. „ლექსები სულსა და სამშვინველს შორის გავლებული შტრიხებია. ნამდვილ პოეზიასთან ზიარება თუ გინდა, გულახდილი და თავისუფალი უნდა იყო. ამის გარეშე ლექსი გულიანი და მართალი არ გამოვა“, — გვითხრა მამა არჩილმა. მთელ მის სულსა და გულს მოითხოვს ის საქმე, რასაც დღეს აკეთებს. მისი ცხოვრება 8 წლის წინ შეიცვალა, როცა მღვდლის სამოსით შეიმოსა. მას შემდეგ ყოველი დღე მისთვის ღმერთთან, ჭეშმარიტებასთან მიახლოების მცდელობაა. ამ გზაზე კი ცდილობს, თავის მრევლთან ერთად იაროს, რომელიც არცთუ ისე ცოტა ჰყავს.

— მამა არჩილ, როგორ იწყებოდა თქვენი გზა ტაძრისკენ?

— 8 წელია, რაც სასულიერო პირი გახლავართ. ადამიანი სანამ საეკლესიო პირი გახდება, აუცილებელია საერო ცხოვრების გავლა. როცა ადამიანი სულიერ ცხოვრებას იწყებს, მასზე დიდი მაღლი გადმოდის. ამ დროს იცვლება უფლისადმი დამოკიდებულება, იზრდება რწმენის ხარისხი და ა.შ. გავიხსენოთ ეგვიპტიდან გამოსულ ებრაელთა ცხოვრება. მათ საკმაოდ დიდი გზა გაიარეს აღთქმულ მიწამდე მისასვლელად. 40 წელი დასჭირდათ, რომ წარმართული თვისებები განეძარცვათ. ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თვით მოსე წინასწარმეტყველმაც კი ვერ დაადგა ფეხი იმ მიწაზე.

„ხთელია იმის თქმა, სად იწყება გზა ტაძრისკენ ან სად მთავრდება. უფალი ამბობს, თქვენ კი ახ გამომარჩიეთ, ახამედ მე გამოგარჩიეთ თქვენო. ღმერთი თავად გვპოულობს და გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სულიერად შევმსუბუქდეთ“.

ადამიანი ეკლესიაში რომ მიდის, ინანიებს ჩადენილ ცოდვებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამით ყველაფერი ამოიწურა. მან უნდა დაივიწყოს წარსული ცხოვრების წესი და ბევრი იშრომოს, რომ მისი სულიერება მთლიანად შეიცვალოს. მორწმუნეობა მუდმივი პროცესია, რადგან სულ ძიებაში ხარ. რაც უფრო მეტ გამოცდილებას იღებ და რაც უფრო მეტად სწვდები სულიერებას, ამ გზას მით უფრო რწმენით გადიხარ.

ჩემი მღვდლად ხელდასხმა 2004 წელს დმანისში მოხდა მეუფე ზენონის მიერ, რომელიც ჩემი მოძღვარია. მანამდე ერთი წელი დიაკვნად ვიმსახურე. დმანისში 3 წელი გავატარე, შემდეგ კი, მეუფე ზენონისა და ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, თბილისში გადმომიყვანეს. წმინდა ასი ათასი მოწამის სახელობის ეკლესიაში უკვე 6 წელია ვმსახურობ.

— რა შეგძინათ ამ რვაწლიანმა სასულიერო მოღვაწეობამ?

— ჩემში ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა. არის სირთულეები, მაგრამ ჩემი საქმე ძალიან მომწონს. მართალია, 8 წელია საეკლესიო პირი ვარ, მაგრამ განვითარებას არ ვწყვეტ. ჩემი გზა ტაძრისკენ დღესაც გრძელდება. ადამიანი ყოველ წუთსა და წამს უნდა ახერხებდეს, უფლის წინაშე მდგომელი იყოს. ძალიან რთულია იმის თქმა, სად იწყება გზა ტაძრისკენ ან სად მთავრდება. ეს არის შეუჩერებელი პროცესი. ამ დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უფალი მეფობს. ის ამბობს, თქვენ კი არ გამომარჩიეთ, არამედ მე გამოგარჩიეთ თქვენო. ღმერთი თავად გვპოულობს და გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სულიერად შევმსუბუქდეთ. ამიტომ ადამიანს სხვადასხვა ეტაპები აქვს გასავლელი, სანამ დაღვინდება და სანამ ისწავლის, რომ ღმერთთან ურთიერთობაში უმთავრესი სიმდაბლე და მორჩილებაა.

— გვიამბეთ იმ ეტაპებზე, რომლებიც პირადად თქვენ გაიარეთ.

— როგორც ჩემი თაობის ბიჭების უმრავლესობას, ტაძართან არც მე მქონდა შეხება. პირჯვარს რომ ვიწერდი, ეჭვი მეპარებოდა მის მართებულ გამოსახვაში. ესეც ტელესერიალებში მქონდა ნანახი, სადაც სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლების ცხოვრებას გვიქადაგებდნენ. ჩემი მორწმუნეობა მხოლოდ ამ დონეზე იყო განვითარებული და ასეთი მივედი ტაძარში. ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია, რადგან ჩემნაირ ცხოვრებას მოსახლეობის 90 პროცენტი ეწეოდა. ეს ერის ტრაგედიაა.

მოკლედ, ტაძარში სრულიად უცოდინარი და რელიგიაზე არასწორი წარმოდგენის მქონე მივედი. როდესაც არასწორად ცხოვრობ, შინაგანად ამას ყოველთვის გრძნობ და განიცდი. გაწუხებს სინდისი და ხვდები, რომ ბევრ რამეს მართებულად არ აკეთებ. მეც ასე ვიყავი და ერთ რამეში დავრწმუნდი, რომ ცოდვებს მონანიება და სწორი ცხოვრება სჭირდებოდა.

ჩემს ოჯახში ეკლესიური არავინ იყო, მაგრამ ჩემი ცხოვრების ასეთნაირად წარმართვაში აღზრდამ დიდი როლი შეასრულა. ზნეობრივ-მორალურმა მხარემ და ოჯახის მტკიცე ტრადიციებმა განაპირობა ის, რომ მოძღვარი გავხდი, ასევე განსაცდელებმაც მიბიძგა ამისგან.

— ძნიშ განსაცდელები იყო?

— ჩემს ცხოვრებაში იყო არეული სიტუაცია და უიმედო ძიებები. გასული საუკუნის 90-იან წლებში ახალგაზრდები უსაქმურად ვიყავით. ვსწავლობდი უმაღლესში, მოცურავე გახლდით, ოჯახიც ადრე შევქმენი, მაგრამ პერსპექტივა მაინც არსაიდან ჩანდა. მე და ჩემს მეუღლეს რამდენიმე წელი შვილიც არ გვეყოლა. ერთი სიტყვით, ამ ყველაფერმა დამაფიქრა იმაზე, რომ რაღაც უნდა შემეცვალა. რაც უნდა ცოდვილი იყო, შენ მიმართ ღმერთი მაინც მოწყალეა. როდესაც შინაგან ძიებაში ხარ, ის გეხმარება, იმ საქმეს მიაგნო, რომელშიც ბოლომდე დაიხარჯები და შენს პიროვნულ თვისებებს გამოავლენ. მე ასეთი სურვილი ყოველთვის მქონდა, თუმცა გაურკვევლად ვიყავი. არ ვიცოდი, რა მეკეთებინა, რომ თავი კარგად მეგრძნო.

— ვინ იყო თქვენი პირველი მოძღვარი?

— ერთხელ, ერთი ჩემი დიდი ხნის უნახავი მეგობრის რჩევით, მთაწმინდაზე, მამა დავითის სახელობის ეკლე- →75

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

თურმე რამდენი რამ შეუძლია ადამიანს, თუ საამისოდ მონდომება და სურვილი აქვს

ცხოვრება ღირსისა თეოფილე ათონელისა

არაერთხელ გვისაუბრია ათონის წმინდა მთაზე მოღვაწე წმინდა მამების შესახებ და ალბათ ყველა აღიარებს იმას, რომ ეს მთა მართლაც არის წმინდანების სამჭედლო. სწორედ ამ სამჭედლოში გამოიჭედა წმინდა თეოფილე ათონელიც, რომლის ხსენებასაც მართლმადიდებელი ეკლესია ახალი სტილით 8 ივლისს დღესასწაულობს.

წმინდა თეოფილე წარმოშობით მაკედონიის ერთ პატარა ქალაქ ზიხნიდან იყო. მისი მშობლები ღვთისმოსავი და ღვთისმოყვარული, საშუალო შეძლების მიწათმოქმედი ხალხი ყოფილა. შვილსაც სიყრმიდანვე ღვთისმოშიშობით და სათნოებით ზრდიდნენ. როცა წლოვანი გახდა, მშობლებმა სხვა ბავშვების მსგავსად ისიც სკოლაში მიიყვანეს. ძალიან მალე პატარა თეოფილემ მასწავლებლების ყურადღება მიიქცია თავისი ნიჭიერებით. დამატებით ბერძნული ორთოგრაფია შეისწავლა და ძალიან ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ კალიგრაფიის გამო გადამწერად დაიწყო მოღვაწეობა, რაც იმ დროისთვის საკმაოდ დასაფასებელი საქმიანობა იყო.

სიყმაწვილიდანვე ზრდილობიანი და სიტყვამოზომილი ყოფილა, ვერასდროს ნახავდით მოუწესრიგებელს, ცუდად მოსაუბრეს, ზღვარსგადასულს ზომიერებიდან უქმმეტყველებაში თავისი თანატოლების მსგავსად. თავიდანვე ეცნობოდა განდეგილებისა და მოღვაწეების ცხოვრებას, ყველასთვის მისაღები და სასურველი ახალგაზრდა იყო, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა საღმრთო წერილი და ხშირად უყვარდა ზირაქის სიბრძნიდან ამ სიტყვების გამეორება: „გონიერ ხალხთან ისაუბრე და უზენაესის რჯულში იყოს ყოველი შენი ნალაპარაკევი" (სიბ. ზირაქისა 9,15).

რაც უფრო ღრმად სწავლობდა წმინდა თეოფილე საღმრთო გარდამოცემას, ძველსა და ახალ აღთქმას, ეცნობოდა მამათა ნაშრომებს, დღითიდღე წარემატებოდა მადლმოსილებით. თანდათან უცხო ხდებოდა მისთვის საერო მეცნიერებები და ზოგადად ცხოვრება. ერთ დღესაც გადაწყვიტა, თავი უფლისთვის მიეძღვნა, უარი ეთქვა ყველაფერ მიწიერზე და მონაზვნის სქემით შეიმოსა. ბევრს მოგზაურობდა. ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა იყო, ღვთის სიტყვას ავრცელებდა.

მოგზაურობის დროს წმინდანმა გაიცნო იმ დროს რენდინის ეპისკოპოსი, ღვთისმოყვარე აკაკიოსი, რომელიც მეგობრობდა კონსტანტინეპოლის პატრიარქ ნიფონთან. სწორედ ამ უკანასკნელის მიერ იქნა ხელდასხმული და დადგენილი რენდინის ეპისკოპოსად ასევე ღვთისმოსავი ალექსანდრიის პატრიარქი სასწაულმოქმედი იოაკიმე. ამ ადამიანთა მეგობრობა მომდინარეობდა ქრისტეს სიყვარულით, რაც ერთიორად ზრდიდა ქრისტიანთა მიმართ ზიზღსა და სიძულვილს.

1486 წელს საშინლად არასასიამოვნო ფაქტი მოხდა ეგვიპტეში. გამოჩნდა ორი მოდგმით ებრაელი ექიმი, რომელთაც ჰქონდათ დაუძინებელი მტრობა და ქრონიკული ზიზღი ქრისტიანობის მიმართ. წყალი მოწამლეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რამაც მსხვერპლი გამოიწვია და დააბრალეს ქრისტიანებს. ებრაელმა ექიმებმა მტრულად განაწყვეს თურქები ქრისტიანთა მიმართ და გადაწყდა ქრისტიანთა დისკრედიტაცია, რომელთა წინსვლაც ორგანულად იყო მიუღებელი ებრაელი ექიმებისთვის და ახლა უკვე ისლამის მიმდევარი თურქებისთვის.

ამან გამოიწვია ეგვიპტის მუსლიმი მეფის მელეკ მინაზის გაღიზიანებაც, რომელსაც, ძალიან დიდი რიდი და პატივისცემა ჰქონდა ალექსანდრიის ღმერთშემოსილი და სასწაულმოქმედი პატრიარქის იოაკიმეს მიმართ და უჭირდა რაღა სანქციების გამოყენება ქრისტიანთათვის. ამას ვერ შეეგუებოდნენ ებრაელი ღვთისმოძულე ექიმები, რომელთა გეგმები უფრო შორსმიმავალი იყო. ახლა სხვა მეთოდს მიმართეს, მეფის ერთ-ერთ მინისტრს, ასე ვთქვათ, მოახვიეს თავზე თავიანთი ცრუ ბრალდებები და მოსაზრებები და განაწყვეს ქრისტიანთა და პირადად პატრიარქ იოაკიმეს წინააღმდეგ.

მეფემ გადაწყვიტა, შეკრებილიყვნენ ყველანი მეფის სასახლეში, მათ შორის პატრიარქი იოაკიმეც. დაპირისპირების არანაირი სურვილი არ ამოძრავებდა მეფეს, მაგრამ ეს იყო იძულება, რადგან მოსახლეობის დიდი უმრავლესობა განაწყვეს უარყოფითად პატრიარქის და ზოგადად ქრისტიანების მიმართ. ებრაელი ღვთის მოძულე ექიმების ძალისხმევით ამ შეკრებაზე საოცარი სიტყვები წარმოთქვა პატრიარქმა იოაკიმემ საღვთო წერილიდან, რომლის პრაგმატული დამტკიცებაც მოუწია და არა მარტო სიტყვებით წარმოთქმა: „მას, ვისაც აქვს მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა, მთას რომ უბრძანოს, აიწიე და ზღვაში ჩავარდი ან ადგილი შეიცვალეო, იქმნების სიტყვისაებრ მისისა".

ამ სიტყვების გაგონებისთანავე მეფე ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და მოსთხოვა პატრიარქს, ყველას დასანახად ამ სიტყვების შესაბამისად მოქცეულიყო. წმინდა პატრიარქს სწამდა კიდეც, რასაც ამბობდა და დაჰპირდა მეფეს, რომ იესო ქრისტეს ძალით დაუმტკიცებდა ყველას ამ სიტყვების ჭეშმარიტებას. სამი დღის მკაცრი მარხვის და ლოცვის შემდეგ თვითონ და მთელი მისი სამწყსო მართლაც გახდა თვითმხილველი უდიდესი სასწაულის, რომელიც აღსრულდა იესოს სახელით: სამეფო სასახლის მოპირდაპირე მთა აიწია და გადაადგილდა, რომელსაც დღემდე ემჩნევა გადაადგილების კვალი. თურქულად ამ მთას დღესაც დურ-დაზის მთას ეძახიან, თარგმანში ეს ნიშნავს გადაადგილებული მთის მკერდი, მთის კალთა, მთის უბე, რამდენიმენაირად ითარგმნება.

ამ სასწაულის ხილვის შესაძლებლობა ჰქონდა ყველას, ვინც კი იქ იმყოფებოდა იმ დროს, როგორც ქრისტიანებს, ასევე ურჯულოებსაც. აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, განსაკუთრებით გაღიზიანებულები იყვნენ ებრაელი ექიმები, რომელთაგანაც მოდიოდა ეს აგრესია. მათ არაფრით სურდათ ქრისტიანთა აღიარება, თუმცა ფაქტი იყო ის, რომ როგორც თქვა პატრიარქმა, ისეც მოხდა. ახლა ცდილობდნენ, მეფე იმაში დაერწმუნებინათ, რომ ისეთ საწამლავს დაამზადებდნენ, თვით ქრისტეც კი ვერ გადაურჩებოდა, არათუ მისი მსახური იოაკიმე.

საღვთო წერილში ესეც ეწერა, რომ ქრისტე ეუბნება თავის მოწაფეებს, თუ ჩემი სახელით მიიღებთ და სარწმუნოება გექნებათ ცოცხალი, საწამლავიც კი ვერაფერს დაგაკლებთო. იოაკიმემ იესო ქრისტეს სახელით საწამლავიც დალია, მაგრამ ამით არაფერი მოსვლია. უფრო მეტიც, იგივე სასმისი, რომლითაც საწამლავი გამოცალა, წყლით გაავსო და იმ ებრაელ ექიმს მიაწოდა დასალევად, ვინც დაამზადა ეს საწამლავი. მეფის ბრძანება იყო, რომ ებრაელს დაელია წყალი, რომელიც იოაკიმემ მიანოდა. სამწუხაროდ, ღვთისმგმობელმა, ცრუ წინასწარმეტყველმა მიღებისთანავე განუტევა სული. ასე დაემართება ყველას, ვინც უფლის გამოცდას გადაწყვეტს.

ამ ორი უდიდესი სასწაულის მხილველმა მეფე მელეკ მინაზმა გასცა ბრძანება, სიკვდილით დასაჯათ მინისტრი, რომელიც ცდილობდა მის დარწმუნებას, რომ ღვთისმოსავი იოაკიმე სამეფოს მტერი იყო და მისი მხრიდან საშიშროება ემუქრებოდა მეფის ტახტს. ეს უმოწყალო და სასტიკი ბრძანება მეფემ ისევ ნეტარი პატრიარქის თხოვნით გააუქმა და სასჯელად დაადგინა, რომ დამნაშავეებს ნილოსიდან კაიროში, მეფის სასახლეში ზურგით ეზიდათ წყალი, ვიდრე იცოცხლებდნენ. მართლაც, დაამზადეს სპეციალური ჭურჭელი და მინისტრთან ერთად ყველა ის შეთქმული ასე ეზიდებოდნენ წყალს, ვიდრე ცოცხლები იყვნენ. ეს ჭურჭელი დღემდე ინახება კაიროს მუზეუმებში და ეს ისტორიაც ყველას ახსოვს. მეფეც, რომელმაც დატოვა სამეფო ტახტი, მოინათლა და მალულად სინას მთაზე დასახლდა სამოღვაწეოდ.

ამ სასწაულების შესახებ შეიტყო კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ნიფონმა და გაგზავნა იოაკიმესთან რენდინის ეპისკოპოსი აკაკიოსი. მას თან ახლდა ეგვიპტეში მოგზაურობისას ღირსი მამა თეოფილე, რომელთაც დაწვრილებით მოისმინეს თვით პატრიარქისგან აღნიშნული სასწაულების შესახებ. პატივით მიიღო წმინდა პატრიარქმა ძმის გამოგზავნილი დელეგაცია, უმასპინძლა, დალოცა და გამოაცილა. დელეგაციის წევრები ეწვივნენ სინას მთასაც, მოიკითხეს იქ მოღვაწე მამები და დედები და დაადგნენ გზას იერუსალიმისკენ. მოიკითხეს იერუსალიმის პატრიარქი და გადასცეს კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიფონის მოკითხვის წერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ წმინდა პატრიარქი იოაკიმე მოიხიბლა ახალგაზრდა თეოფილეს ნახვით და შესთავაზა, მასთან დარჩენილიყო სამოღვაწეოდ. ახლა იერუსალიმის პატრიარქმაც იგივე უთხრა, იერუსალიმში უფრო მეტად საჭირო ხარ და სწორედ ამიტომ გთავაზობ აქ დარჩენასო. კიდევ იმან განაპირობა თანხმობა, რომ ცხელ უდაბნოში მოგზაურობის დროს უფალს მიაბარა სული რენდინის ეპისკოპოსმა აკაკიოსმა, რომელიც იყო უფროსი მეგობარი ღირსი თეოფილესი და მის გარეშე კონსტანტინეპოლში დაბრუნება აღარც კი ეხალისებოდა. ამიტომაც გადაწყვიტა, დარჩენილიყო სამოღვაწეოდ იერუსალიმში და შემდეგ, როგორც უფლის ნება იქნებოდა, ისე მოიქცეოდა ღვთისმოსავი თეოფილე.

პატრიარქმა მიანდო ღირს მამას იერუსალიმის საპატრიარქოს ნოტარიუსის უფლება და გახდა იერუსალიმის ეკლესიის საერთაშორისო ასპარეზზე წარმომადგენელი, რაც იყო უზომოდ დიდი პატივი. დანამდვილებით არ ვიცით, რამდენი წელიწადი დაჰყო იერუსალიმში, რის შემდგომაც უკვე გამოცდილმა მოძღვარმა სულიერ საკითხებში, ბევრი რამის მნახველმა ათონის წმინდა მთაზე გადაწყვიტა მოღვაწეობის გაგრძელება. თავდაპირველად ვატოპედის ცნობილ მონასტერში

Cyan Magenta Yellow Black

დასახლდა, სადაც დახვდა მეთიმნის სახელგანთქმული ეპისკოპოსი, რომელიც ცხოვრების ბოლო წლებს მონასტერში ატარებდა, თავისი ტახტი კი ახალგაზრდა ეპისკოპოსს დაუთმო. როცა ღვაწლმოსილი მეუფე გარდაიცვალა, მამა თეოფილემ დატოვა ვატოპედის მონასტერი და ქართველთა ცნობილ სავანეს, ივერიონის მონასტერს მიაშურა.

ახალგაზრდა მონაზვნებისთვის ღირსი მამა იყო ცოცხალი მაგალითი თავმდაბლობის, სიყვარულის, უბრალოების, ლოცვის და მარხვის ნამდვილი დიდოსტატი, როგორც ფუტკარი აგროვებს სხვადასხვა ყვავილებიდან განუმეორებელ თაფლს, ასევე ღირსი მამაც მადლმოსილებას აგროვებდა ლოცვით და კითხვით. თავისი საყვარელი საქმე არც მონასტერში მიუტოვებია. ახალგაზრდა მონაზვნების ჯგუფი შექმნა, რომლებმაც დაიწყეს ძველი ხელნაწერების გადმოწერა, იყო საუკეთესო კალიგრაფი და იმდენად მაღალ დონეზე ასრულებდა გადაწერას, რომ დღემდე გამოიყენება ღირსი მამის მიერ გადაწერილი წიგნები, როგორც მსახურებისთვის, ასევე თავისუფალ დროს საკითხავი ლიტერატურა.

შეუძლებელი იყო, ღირსი თეოფილეს მოღვაწეობა დაფარული დარჩენილიყო. როგორც საღვთო წერილშია მოცემული: „ვერ ხელეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა“ (მთ. 5.14). ასე გახდა საყოველთაოდ ცნობილი მისი სახელიც არა მარტო წმინდა მთაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მიილტვოდნენ მისკენ, რათა დამოწაფებოდნენ არა როგორც მხოლოდ კალიგრაფს და მწერალს, არამედ როგორც გამოცდილ სულიერ მოძღვარს.

მღვდლობის ხარისხი ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლში მონაზვნობიდან მალევე მიიღო და სადაც მოღვაწეობდა, როგორც მღვდელმონაზონი, სწორედ იმ წლებში თესალონიკში მოგზაურობდა კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი თეოკლიტოსი, რომელთან ნაცნობობა აკავშირებდა წმინდა თეოფილეს. პატრიარქმა მოისურვა, იქნებ თეოფილეს შეატყობინოთ, თესალონიკში ვარ და მინახულოსო ჩემმა მეგობარმა. როცა წმინდა მამას მოახსენეს პატრიარქის დანაბარები, მიხვდა, რისთვისაც იბარებდა თავისი ძველი მეგობარი და წერილობით უპასუხა: „თქვენო უწმინდესობავ, ბოდიშს გიხდით, რომ უძლური ვარ და ვაი, რომ ჩამოსვლა არ შემიძლია, რათა ახლოს მენახეთ და კიდევ ერთი მიზეზიც, მღვდლობის ხარისხზე უარი ვთქვი, რადგან დიდი სქემით ვარ შემოსილი და აღარ ძალმიძს მთის დატოვება. მომიტევეთ, მეუფეო, თუ აქ ვერ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა, ზეცად მაინც შევხვდებით. ახლა კი დამლოცეთ და მომიხსენეთ მე ცოდვილი და უღირსი“. თეოკლიტე მიხვდა, მის სურვილს აღსრულება არ ეწერა, მაგრამ იმით იყო ბედნიერი, რომ მისი მეგობარი უზომო თავმდაბლობით და უბრალოებით იყო შემოსილი.

ივერიონის მონასტრის ახლოს ერთი გამოცდილი მოღვაწე, სახელად დიონისე მოსაგრეობდა. მამა თეოფილესაც იზიდავდა განდეგილის ცხოვრება, ითხოვა კურთხევა იღუმენისა და საძმოსაგან და თვითონაც ერთ გამოქვაბულში განმარტოვდა მამა დიონისესთან ახლოს. სულიერი მისწრაფებები ორივეს ერთნაირი ჰქონდა, ორივეს ერთი სული ჰქონდათ თავთავიანთი სხეულით. მათი საუბარი მთელი მეცნიერება იყო, ვინც კი მოისმენდა. მაგათნაირი ყოფილა კიდევ ერთი, სახელად კირილე, ოღონდ ის კარიესში მოღვაწეობდა. როცა კირილემ შეიტყო მათ შესახებ, ისიც მოვიდა და ივერიონის მახლობლად დასახლდა, რათა ახლოს ყოფილიყო მათთან.

ერთი, რაც აკლდათ მოღვაწეებს, ის იყო, რომ ხშირად არ უწევდათ ზიარების მიღება, თუმცა ლოცვით ეს პრობლემაც მოგვარდა. მოდიოდა მათთან ვინმე მღვდელმონაზონი სერაფიმე, რომელიც ცნობილი იყო მთელ ათონის მთაზე და წირავდა მოღვაწეებისთვის. სწორედ მამა სერაფიმემ შემოგვინახა მამა თეოფილეს და მისი თანამოღვაწეების ისტორია, როგორც მამა დიონისესი, აგრეთვე მამა კირილესი.

წმინდა თეოფილესთვის ამგვარი განმარტოებაც არ აღმოჩნდა საკმარისი და გადაწყვიტა, თავისი ბოლო წლები სრულ განმარტოებაში გაეტარებინა. გამოემშვიდობა ძმებს და პანტოკრატორის მონასტრის სიახლოვეს ერთი სამოღვაწეო ადგილი თვითონ ააღორძინა, ეკლესიაც ააშენა და მოახატვინა კიდეც. თან ჰყავდა მხოლოდ ერთი ახალგაზრდა მონაზონი, სახელად ისააკი, რომელიც უკეთესად გამოზარდა, ვიდრე თვითონ იყო. სრულიად დაკავდა განუწყვეტელი ლოცვით, რითაც უდიდესი საფეხურების მიღწევა არის შესაძლებელი. რამდენიმეწლიანი მოღვაწეობის შემდეგ შეიქმნა მიწის ანგელოზი — „შეიქნა კაცი სრულყოფილი, მისი სხეულიც გადასხვაფერდა, ქრისტეს ასაკისას დაემსგავსა“. ასე აფასებდნენ იმდროინდელი მამები.

წმინდა თეოფილემ წინასწარ იგრძნო საკუთარი აღსასრული, ყველაფერი თვითონვე შეადგინა წერილობით, თუ როგორ უნდა გაეგრძელებინათ მისი არყოფნის შემდგომ. შეკრიბა მღვდლები და მონაზვნები, გადაიბადეს ზეთის კურთხევა კვირის ხუთშაბათ დღეს, თვითონაც იცხო და ყველას სათითაოდ გამოსთხოვა ცოდვათა მოტევება. პარასკევ დღეს სრულიად განმარტოვდა, შაბათს ეზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს. შემდეგ დაიბარა ისააკი, ვისაც უნდა აღესრულებინა მისი ანდერძი, ვინც ჰყავდა გაზრდილი ამ საქმისთვის და უთხრა: „როცა მივიძინებ, არავის უთხრა, რასაც ახლა გეტყვი. ჩემი დაფვლის უფლება მხოლოდ შენ გაქვს. ფეხები გამიკარი, როგორც წესი, შემახვიე ჭილობში და აქ ახლოს არ დამასაფლაო, შორს, ტყეში წამიღე და ჩემი სხეული მხეცებს შეაჭამე. ოღონდ ვიდრე ამას აღასრულებ, წირვის შემდეგ პანაშვიდი წააკითხე მღვდელს“.

ასეც მოიქცა მამა ისააკი, რათა განერიდებინა მამა თეოფილე ამქვეყნიური დიდებისთვის. მან იცოდა, რაც მოჰყვებოდა მის გარდაცვალებას: ათონელები მის ნაწილებს შეინახავდნენ როგორც სიწმინდეს, ეს კი არ უნდოდა წმინდანს და ამიტომაც მოიქცა ასე უცნაურად. წმინდანმა მიიძინა 1558 წელს, ახალი სტილით 8 ივლისს, კვირადღეს, მზის ამოსვლამდე მიაბარა სული თავის უფალს, რომელსაც ელტვოდა ჯერ კიდევ ყმაწვილობიდან.

ერთგულმა მოწაფე ისააკმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისე შეასრულა დანაბარები. როცა შეიტყვეს ათონელებმა, რომ მამა თეოფილემ მიიძინა, დაიწყეს ყველა მხრიდან გამოსამშვიდობებლად მოსვლა, რათა კურთხევა მიეღოთ მისგან, როგორც წმინდანისგან. ისააკმა კი გამოქვაბულთან ახლოს გააკეთა საფლავის მსგავსი და იქ უთითებდა წმინდანის საფლავს, ეს არისო თეოფილეს საძვალე. ეს ამბავი დიდხანს როდი დარჩა დაფარული, რადგან ივერიონის მონასტერიც და პანტოკრატორის მონასტერიც ცალ-ცალკე იკვლევდნენ მომხდარს და ადგენდნენ სინამდვილეს. შეიტყვეს და ტყეში მოაგროვეს წმინდანის ძვლები, რომლებიც დაასვენეს პანტოკრატორის მონასტერში.

ორმოცი დღის შემდეგ მოვიდა ერთგული მოწაფე ისააკი, რათა ენახა, თუ რა ხდებოდა და იმ ადგილას, სადაც დაასვენა საყვარელი მოძღვარი, ვეღარ იპოვა. უზომოდ დაღონდა მომხდარის გამო, მაგრამ მალე შეიტყო თავისი საყვარელი მოძღვრის ყოფნის ამბავი პანტოკრატორის მონასტერში. მივიდა იქ, მაგრამ არ უმხელდნენ პანტოკრატორელები, უფრო მეტიც, ებრძოდნენ კიდეც გარკვეული დროით, ვიდრე არ შეიტყვეს, როგორც იყო ყველაფერი. მაინც არ აპირებდნენ მისთვის გადაცემას, ვიდრე არ ჰკითხეს იერისოს და ათონის მთის ეპისკოპოსს, მეუფე მაკარიოს, რომელიც მობრძანდა მონასტერში, სადაც განიხილავდნენ მომხდარს.

გადაწყდა, წმინდა მამის სხეულის ნაწილები გადასცემოდა უსაყვარლეს მოწაფეს ისააკს, ხოლო ერთი ხელი წმინდა თეოფილეს სხეულიდან პანტოკრატორის მონასტერს უნდა დარჩენოდა. წმინდა ნაწილები უდიდესი პატივით გადააბრძანეს ბასილი დიდის სახელობის სამოღვაწეოში, სადაც ბოლოს მოღვაწეობდა წმინდანი ისააკთან ერთად. მირონის სურნელმა აავსო იქაურობა და უამრავი სასწაული აღესრულება დღესაც, ვინც კი სარწმუნოებით ცდილობს მადლის მიღებას.

ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

„შენი ლოცვა რომ ღმერთმა გაიგოს, ის ჯერ შენ უნდა გესმოდეს“

„დაუჯდომელი ლოცვები“, „კვეთებულის ლოცვები“, ტრაპეზი... — ეს სიტყვები ხშირად გვესმის სასულიერო პირთაგან, მორწმუნეებისგან, მაგრამ ბევრნი ვერ ვხვდებით მათ შინაარსს. ეს კი ადამიანს ზოგჯერ შეიძლება დიდ დაბრკოლებადაც ექცეს და ბოროტმა ათასგვარი არასწორი აზრი მიაწოდოს. ამ დროს ყველაზე კარგი გამოსავალი სულიერი მოძღვრის რჩევა-დარიგებაა. ამის გარეშე ქრისტიანისთვის ისედაც ეკლიანი გზა ღმერთისკენ თითქმის გაუვალი ხდება. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) სწორედ ასეთ სიტყვებს და იმ სავალდებულო წესებს განგვიმარტავს, რაც ქრისტიანს უფალთან აახლოებს.

— მამაო, რას ნიშნავს ლოცვა „დაუჯდომელი“, გამოხატავს თუ არა ეს სიტყვა ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობას ლოცვის დროს?

— სახელწოდება „დაუჯდომელი“ ლოცვის ძალასა და აღმატებულობას გულისხმობს. „დაუჯდომელი“ ძლიერი ლოცვებია და წარმოთქმის დროს განსაკუთრებულ სიფხიზლესა და ყურადღებას მოითხოვს, ადამიანი არ უნდა მოდუნდეს და სულით მთლიანად ლოცვისკენ უნდა იყოს მიმართული. სულის სიფხიზლე თავისთავად მოითხოვს, თუ ადამიანი ჯანმრთელია, ლოცვის დროს მუხლი არ მოხაროს, არ დაჯდეს. „დაუჯდომელ ლოცვებში“ განსაკუთრებულად არის წარმოჩენილი იმ წმინდანისადმი ვედრება, ვისთვისაცაა დაწერილი (არსებობს წმინდა სამების, მაცხოვრის, ღვთისმშობლის და სხვა წმინდანთა „დაუჯდომელი ლოცვები“). ადამიანები ამ ლოცვებს განსაკუთრებული განსაცდელის ან სიხარულის დროს წარმოთქვამენ და წმინდანს შემწეობას სთხოვენ. გულმხურვალეებით აღვლენილ ამ ლოცვებს დიდი ძალა აქვთ.

— რას ნიშნავს კვეთებულის ლოცვა და რა შემთხვევაში ენიშნება ის ადამიანს?

— სიტყვა „კვეთებული“ გვიჩვენებს, რომ ადამიანი ბოროტი ძალისგან არის კვეთებული და ბრკოლდება. ზოგჯერ პიროვნება ამ ძალის ზეგავლენას არამხოლოდ სულიერად, ფიზიკურადაც განიცდის. კვეთებულის ლოცვების დროს გათავისუფლება ხდება ამ ბოროტისაგან, მაგრამ სანამ ამ ლოცვებზე დასასწრებად მივა ადამიანი, ჯერ კარგად უნდა გაარკვიოს, სინამდვილეში რასთან აქვს საქმე. ამისათვის უნდა მიბრძანდეს →74

Cyan Magenta Yellow Black

■ მამა გიორგი

ტაძარში და მოძღვარს გაესაუბროს.

— რიგორ უნდა მოვიხსენიოთ ლოცვაში ახლობლები, რა წესების დაცვით, რომ უფალმა ჩვენი ლოცვა შეიწირაოს?

— თუ თქვენ კონკრეტული დღის ლოცვებში გსურთ ახლობლების მოხსენიება, წირვის წინ საკურთხეველში ცალკე ცოცხლებისა და ცალკე მიცვალებულთათვის სეფისკვერი უნდა შეაგზავნოთ. შესაბამისად, მათი სახელებიც ცალ-ცალკე უნდა ჩამოწეროთ ფურცელზე. სასურველია, ამ ადამიანების სახელზე მოწყალებაც გაიღოთ.

— სიმთვრალის ცოდვის დაძლევა რა გზით შეიძლება?

— ამ ცოდვისა და სენის მოსაშორებლად განუწყვეტლივ უნდა ევედროთ უფალს. მარხვითა და სინანულით განმარტოვდეთ და დაფიქრდეთ იმაზე, თუ სიმთვრალის ცოდვაში ჩავარდით, როგორ ტკივილს აყენებთ ახლობლებსა და საკუთარ თავს. გადაიხადეთ პარაკლისი წმინდა ბონიფატეს სახელზე, რომელსაც ხელეწიფება მემთვრალეობისგან განკურნება. ცნობისთვის გეტყვით, რომ მემთვრალეობის სენისგან განსაკურნებლად არსებობს ღვთისმშობლის საგანგებო ხატი. შეიძინეთ ეს ხატი და სთხოვეთ დახმარება და მფარველობა, რათა განიკურნოთ.

— სახლის შეძენისას უნდა მოვაქციოთ თუ არა ყურადღება, ვინ ცხოვრობდა ადრე იქ?

— სახლზე მართლაც შეიძლება აისახებოდეს იქ მცხოვრებთა ცოდვების მემკვიდრეობა და სასჯელი, რომელიც მათზე ამ არაქრისტიანული ცხოვრების გამო მოვიდა, მაგრამ ადამიანი, რომელიც სავსეა უფლის სიყვარულით და რწმენით, ამან არ უნდა შეაშინოს. ვისაც რწმენა აქვს, ცოდვილთა მემკვიდრეობა არ შეეხება, თუ, რასაკვირველია, თვითონაც იგივე არ გაიმეორა. ამიტომაც შერჩეული სახლი აკურთხებინეთ და იქ სათნოებითა და უფლის სიყვარულით იცხოვრეთ. მაშინ უფალი ყოველთვის თქვენი მფარველი იქნება.

— რით მოვერიოთ ქედმაღლობის ცოდვას?

— ქედმაღლობის ცოდვა არამარტო იმ ადამიანს ამძიმებს, რომელსაც ეს ახასიათებს, სხვებზეც დამთრგუნველად მოქმედებს. ჩავიხედოთ საკუთარ თავში — რა მოგვწონს, რა გვაქვს ჩვენ ისეთი, რომ სხვებზე უკეთესად მივიჩნიოთ თავი? ყველაფერი, რაც ჩვენ გაგვაჩნია, უფლის მოცემულია და უფლის ნაბოძვარით ამპარტავნების უფლება არა გვაქვს. ქედმაღლობის მკურნალი სიმდაბლეა. სიმდაბლესა და ყოველივე სათნოებას კი ადამიანის გულში ეკლესია ააღორძინებს. იარეთ ეკლესიაში და ის სათნოება იმრავლებს, რითაც უფალმა დაგასაჩუქრათ. მაშინ მხოლოდ ქედმაღლობას კი არა, ბევრი სხვა ცოდვის სიმძიმესაც მოიშორებთ.

— წინათგრძნობის დაჯერება ცოდვად ითვლება?

— წინათგრძნობის მცირეოდენი უნარი ყოველ ადამიანს გააჩნია და ისევე, როგორც სხვა თანდაყოლილი შესაძლებლობანი, ღვთის მიერ არის ბოძებული, თუმცაღა ჩვეულებრივი მიწიერი ცხოვრებით მცხოვრებს ეს უნარი ისე არ უვითარდება, რომ მასზე დაყრდნობა შეიძლებოდეს: ბევრჯერ ხდება, ცუდს ველით და ამის ნაცვლად სიხარულს ვიღებთ ან პირიქით. ამიტომაც წინათგრძნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოთ. წინათგრძნობის უნარი განვითარებული ჰქონდათ იმ წმინდანებს, რომლებიც თავისუფალი იყვნენ მიწიერი ცხოვრებისაგან. ისინი მოვლენებს წინ უსწრებდნენ, ნათელხილვის ნიჭი ეძლეოდათ და შეეძლოთ განჭვრეტა იმისა, თუ მომავალში რა მოხდებოდა.

— რას აღნიშნავს წმინდა ტრაპეზი?

— წმინდა ტრაპეზი აღნიშნავს საფლავის ადგილს, სადაც დაასვენეს ქრისტე. მასში დევს ჭეშმარიტი და ზეციური პური, საიდუმლო და უსისხლო მსხვერპლი, რომელიც ცხოვლად შეიწირება. უფლის ხორცი და სისხლი საუკუნო ცხოვრების საჭმელად და სასმელად მიენიჭებათ მორწმუნეებს. ტრაპეზი ტახტია ღვთისა, რომელზეც ზეციერმა და ქერუბიმებზე ამხედრებულმა ღმერთმა განისვენა. ამავე ტრაპეზზე საიდუმლო სერობის ჟამს უფალმა აიღო პური და ღვინო და მოწაფეებს და მოციქულებს უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ხორცი ჩემი. სუთ ამისაგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა, მრავალთათვის დათხეული მისატევებელად ცოდვათა“ (მათ. 26, 26-28). წმინდა ტრაპეზი მონაცვლეა იმ ტრაპეზისა, რომელიც ქრისტეს ჰქონდა მოწაფეებთან.

„ჩავიხედოთ საკუთარ თავში — რა მოგვწონს, რა გვაქვს ჩვენ ისეთი, რომ სხვებზე უკეთესად მივიჩნიოთ თავი? ყველაფერი, რაც ჩვენ გაგვაჩნია, უფლის მოცემულია და უფლის ნაბოძვარით ამპარტავნების უფლება არა გვაქვს".

— მართებული და აუცილებელია, ყოველ კვირადღეს ვუზიარით ქრისტეს სისხლსა და ხორცს?

— ამის შესახებ წმინდა თეოფანე დაყუდებული შემდეგ განმარტებას გვაძლევს: „შეხედე, ყოველ წირვაზე მოგვიხმობს მღვდელი: „შიშითა ღმრთისათა და სარწმუნოებით მოვედიო!“. მაშასადამე, ყოველ წირვაზე შეგვიძლია „მოვიდეთ“, მით უმეტეს, შეგვიძლია „მოვიდეთ“ ხშირად. ჩვენში კი ზოგიერთმა ისიც თქვა, ხშირი ზიარება ცოდვააო. იმასაც ამბობენ, ექვსკვირიან შუალედზე ადრე ზიარება არ შეიძლებაო. იქნებ ამ საკითხში სხვა შეცდომებიც იყოს, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევთ და ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე ეზიარეთ, საკუთარი მოთხოვნილებისდა მიხედვით. მხოლოდ ეცადეთ, ყოველმხრივ მოემზადოთ, როგორც წესი და რიგია და შიშით და ძრწოლით მიეახლოთ, რწმენით, შემუსვრილი გულითა და სინანულის განცდით.

„მემთვრალეობის ცოდვისას მარხვითა და სინანულით განმარტოვდით და დაფიქრდით იმაზე, როგორ ტკივილს აყენებთ ახლობლებსა და საკუთარ თავს".

— შეიძლება თუ არა მოძღვრის ყოლის გარეშე დილა-საღამოს ლოცვების კითხვა?

— რა თქმა უნდა, დილა-საღამოს ლოცვების კითხვა შეიძლება, მაგრამ, როგორც ზღვაში გემი არ შეიძლება არსებობდეს საჭის გარეშე, რადგან ის შეიძლება ტალღებმა დაამტვრიოს, დაანგრიოს და ჩაძიროს, ასევეა ადამიანი სულიერი მოძღვრის გარეშე. სულიერი მოძღვარი არის მესაჭე, რომ მისი სულიერი ცხოვრება სწორი გზით წარმართოს. აქედან გამომდინარე, მოძღვრის გარეშე ეკლესიური ცხოვრება არ გამოვა. ეკლესიური ცხოვრება ნიშნავს, რომ ადამიანს ჰყავს თავისი სულიერი მოძღვარი, რომელსაც სისტემატურად უნდა აბარებდეს აღსარებას, ითვალისწინებდეს მის ლოცვა-კურთხევას და ეზიარებოდეს.

რაც შეეხება ამ მდგომარეობას, თუ მოძღვართან მისვლის კომპლექსი გაგიჩნდათ, არსებობს ასეთი გამოსავალი: ღვთის წყალობით, საქართველოს ეკლესიებში არის უამრავი მოძღვარი. თუ დაესწრებით მათ წირვა-ლოცვებს, მოუსმენთ მათ ქადაგებას და ის პიროვნება თქვენს სულთან ახლოს მოვა თავისი ქცევით, ხასიათითა და სხვა თვისებებით, მაშინ უნდა მიხვიდეთ მასთან, სთხოვოთ, რომ გახდეთ მისი სულიერი შვილი და შემდეგ, ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად გამოვა.

— შეიძლება თუ არა ლოცვების შემოკლება დროის უქონლობის გამო?

— ხშირად მოდიან ადამიანები ჩვენთან, რათა აიღონ კურთხევა, რომ მოკლე ლოცვები წაიკითხონ და მიზეზი ყოველთვის არის ის, რომ მათ ეჩქარებათ სკოლაში, ინსტიტუტში, სამსახურში და ა.შ. როდესაც ადამიანი წირვა-ლოცვებს დაესწრება, შეიძლება მოკლე ლოცვები წაიკითხოს. აი, მაგალითად, წმიდა სერაფიმ საროველი დილის ლოცვებთან დაკავშირებით გვეუბნება, თუ, დავუშვათ, გეჩქარებათ, არ გაქვთ დრო, დასანყისი ლოცვები „მამაო ჩვენო“ და „მრწამსი“ აუცილებლად წაიკითხეთო. მაგრამ ვიტყოდი, რომ საერთოდ ადამიანს ჩვეულებაში არ უნდა გადაუვიდეს მცირე ლოცვა, რადგან ჯერ ცოტათი შეამოკლებს ლოცვას, მერე კიდევ შეამცირებს და შეიძლება საერთოდ მიატოვოს. ამიტომ ეს უნდა იყოს გამოუვალ მდგომარეობაში, როცა ადამიანს მართლა ეჩქარება და სხვა შემთხვევაში ის 15-20 წუთი, თუნდაც ნახევარი საათი ყოველთვის უნდა მოძებნოს, რომ წაიკითხოს. ხოლო როდესაც ადამიანი ესწრება წირვა-ლოცვას, რა თქმა უნდა, შეუძლია მცირე ლოცვა წაიკითხოს.

— რიგორ უნდა მივაღწიოთ ისეთ ლოცვით მდგომარეობას, რომ უფალი სამდგელად შეგვიგრძნოთ?

— შეიძლება ქრისტიანმა 10-20 წელი ყოველდღიურად იკითხოს ლოცვები, მაგრამ ვერ მიხვდეს, რას კითხულობს, თუ არ ჩაუღრმავდება წაკითხულის შინაარსს. როდესაც ადამიანი რელიგიურ ცხოვრებას იწყებს, პირველ რიგში, უნდა ჩაიხედოს ლოცვანის წიგნში და ნახოს, შიგ რა წერია, შინაარსი გაიგოს, ინტელექტუალურად შეამოწმოს და მერე დასვას კითხვები: რატომ უნდა მიმართოს უფალს ამგვარად? ეს რაში სჭირდება? თუ კითხვები პასუხგაუცემელი ექნება, მოძღვართან უნდა მივიდეს, რომელიც მას აუხსნის, რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ სიტყვას, რასაც ის ღმერთს სთხოვს. ეკლესიას ლოცვის ორიათასწლოვანი გამოცდილება აქვს და თუ ადამიანი დაეთანხმება მას, შემდეგ ის დაიწყებს სისტემატურ ლოცვას.

აუცილებელია ლოცვის გააზრებული, გონებით კითხვა. ადამიანმა უნდა იცოდეს, რას ევედრება უფალს. ამის გაცნობიერება პირველი ეტაპია. შემდეგ ეტაპზე ლოცვის თითოეულ სიტყვას გრძნობის გამოძახილი უნდა მოჰყვეს, გულიდან უნდა ამოვიდეს, ანუ, როცა მე ღმერთს ვადიდებ, უნდა მიხაროდეს; როცა რაიმეს ვთხოვ, მის საჭიროებას უნდა ვგრძნობდე და როდესაც, ვთქვათ, ღმრთისადმი ვისწრაფვი, მისდამი სიყვარულს უნდა ვგრძნობდე. ამავე დროს, როცა უფლის სიდიადეზე ვსაუბრობ, გარკვეული შიშის განცდაც უნდა მქონდეს მისი ამ სიდიადის გამო. ანუ ლოცვით ადამიანში გრძნობა უნდა გაცოცხლდეს. შენი ლოცვა რომ ღმერთმა გაიგოს, ის ჯერ შენ უნდა გესმოდეს ინტელექტუალურად, ცნობიერად, სიღრმისეულად, გულისხმიერად, გრძნობისმიერად. მე ღმერთს ვადიდებ ლოცვაში, რადგან მიხარია ის, რომ ღმერთი არსებობს. ასევე, მიხარია, რომ ვარსებობ და ეს სიხარულიც კვლავ უფლის დიდებით გამოიხატება.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

←71 სიაში აღმოვჩნდი. იქ მსახურობდა მამა თომა (ჯაჯანიძე), რომელიც ჩემი პირველი მოძღვარი გახლდათ. ის არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. მამა თომა ამბიონიდანაც და თავისი ცხოვრებიდან გამომდინარეც მუდამ სიყვარულს ქადაგებდა. სამწუხაროდ, ჩვენი გაცნობიდან ერთ წელიწადში გარდაიცვალა. ამ მოძღვარმა ჩემში სულიერი გარდასახვა მოახდინა. მისი პიროვნული თვისებებით ძალიან მოვიხიბლე. მაშინ ვერც ტაძრის და ვერც მღვდლის ფუნქციას ვერ ვაცნობიერებდი. ეს იყო ბიძგი, რამაც მთელი ცხოვრება რადიკალურად შემაცვლევინა.

მამა თომას გარდაცვალების შემდეგ მამადავითზე ორი სასულიერო პირი მოვიდა სამსახურად: მამა ზენონ იარაჯული (ამჟამად მეუფე ზენონი) და მამა ბასილ კიკვაძე (ამჟამად ბერი იოანე). ამ დღიდან ჩემი მოძღვარი მამა ზენონი გახდა. შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, სვეტიცხოველში დავდიოდი, რადგან მამა ზენონი ამ ტაძრის წინამძღვრად დანიშნეს.

— ეს ყველაფერი თქვენს ცხოვრებაში როდის ხდებოდა, სკოლის დამთავრების შემდეგ?

— ეკლესიაში სიარული რომ დავიწყე, მაშინ ტექნიკურ ინსტიტუტს ვამთავრებდი და დაქორწინებულიც ვიყავი. პროფესიით მშენებელ-ინჟინერი ვარ, მაგრამ ამ სფეროში ერთი დღე არ მიმუშავია. მეც არ ვიცი, რატომ ვეუფლებოდი მშენებელ-ინჟინრის პროფესიას და საერთოდ რა მინდოდა იმ სასწავლებელში. უბრალოდ იმდროინდელ ტალღაში მოვყევი. დღესაც ვერ ამიხსნია, იქ რისთვის ვისწავლე, რადგან არც ფიზიკა მიყვარდა, არც მათემატიკა. ბოლო კურსზე რომ ვიყავი, სასულიერო სემინარიაში ჩაბარება გადავწყვიტე და ეს უკვე შეგნებული ნაბიჯი იყო.

— სანამ ამ რთულ გზას შეუდგებოდით, ალბათ ბევრი გქონდათ ნაფიქრი, როგორი იქნებოდა სასულიერო ცხოვრება.

— ჩემი აზრით, წინასწარ რაღაცის წარმოდგენა ადამიანის სულს ამახინჯებს. რთულია, იცხოვრო ისე, რომ რაღაცეები წინასწარ განჭვრიტო. ჩემს შემთხვევაში მღვდლობა ისეთი მოულოდნელობა აღმოჩნდა, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი. ამიტომაც ვთვლი, რომ წინდაწინ რაღაცაზე ფიქრი არ ღირს. მეგონა, სხვანაირი იქნებოდა, აქ სულ სხვა რაღაც დამხვდა ის, რაზეც არც კი მიფიქრია.

„ჩემს ოჯახში ეკლესიური სიავინ იყო, მაგრამ ჩემი ცხოვრების ასეთნაირად ნახმასთვაში აღზრდამ დიდი ხოლი შეასრულა".

მოძღვრობა რთული გზაა, რომელიც მუდმივ ბრძოლას და სწავლას მოითხოვს. ღვთის მადლი რომ არ არსებობდეს, ჩვენ ასეთ სირთულეს ვერ გავუძლებდით. უფალი გვანუგეშებს და ამ პროცესის თანამონაწილეა. ჩემი აზრით, იმიტომ არის სასულიერო პირობა რთული, რომ ამ სირთულის მეშვეობით ღმერთთან ურთიერთობა ვისწავლოთ. მღვდლობა ამოუცნობია, რადგან სასულიერო პირი საიდუმლოებებში ცხოვრობს. ცოდვილი ხელით იმ რიტუალს აღასრულებს, რითიც ადამიანი უნდა ცხონდეს და უფალს ეზიაროს. ამ ყველაფრის გააზრება კი ადვილი არ არის. სასულიერო პირობა ნიშნავს იმას, რომ იესო ქრისტეს გზა გააგრძელო. შესაბამისად, საკუთარი ჯვარცმისთვის მზად უნდა იყო. მოძღვარს ორმაგი ვალდებულება აქვს. ჯერ ერთი, რომ მას გამკლავება უწევს პირად ცოდვებთან და მეორეც, საკუთარ თავზე უამრავი ადამიანის ცოდვას იღებს. დიდი ძალისხმევაა საჭირო ამ ყველაფრის სწორად შესასრულებლად, რადგან შენ პასუხისმგებელი ხარ მრევლის წინაშე.

„მღვდლობა ამოუცნობია, ადგან სასულიერო პირი საიდუმლოებებში ცხოვრობს. ცოდვილი ხელით იმ რიტუალს აღასრულებს, რითიც ადამიანი უნდა ცხონდეს და უფალს ეზიაროს".

— ცნობილია, რომ ლექსებს წერთ. როდის გაწყობთ პირველად მუზა?

— ლექსების წერა ალბათ გენში მაქვს, ბაბუა-ჩემი ლექსებსა და სიმღერებს წერდა. მამიდაჩემიც მწერალია. ბებიის მხრიდანაც პოეტი წინაპარი მყავდა. მოკლედ, ჩემ ირგვლივ ბევრი წერდა. პირველი ლექსი მაშინ დავწერე, როდესაც პირველი სიყვარული მეწვია. ამ ლექსმა მაშინ ჩვენი ურთიერთობა განამტკიცა. დღეს ციცინო ჩემი ცოლია და 5 შვილს ვზრდით. რასაც ვგრძნობდი და ვფიქრობდი, ფურცელზე გადავიტანე და მერე ღა მივხვდი, რომ ლექსი გამომივიდა. პოეზიას დიდი დრო და მსხვერპლის გაღება სჭირდება. პოეტური ცხოვრება ნაწილობრივ საკუთარი თავის უარყოფას მოითხოვს. ძნელი ის არის, რომ შენ უკან ხალხი დგას და პოეზიის გამო მათ ვერ გაწირავ. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა.

— თქვენი ლექსების პირველ კრებულს „ფიქრების ზღვარზე" ჰქვია. მომავალშიც ხომ არ გეგმავთ ლექსების კრებულის გამოშვებას?

— ახალი კრებულის გამოცემისგან ჯერ თავს ვიკავებ, რადგან სამომავლოდ სათქმელი ბევრი დამიგროვდება. მერე კი ყველა ლექსს თავს ერთად მოვუყრი. არც პირველი წიგნის გამოშვება მსურდა, მაგრამ ახლობლებმა დამაძალეს, რომ ეს გამეკეთებინა. პირველ წიგნს სახელი ერთ-ერთი ჩემი ლექსის სათაურის მიხედვით შევურჩიე, თანაც ვთვლი, რომ ეს სახელწოდება ჩემი ლექსების შინაარსთან ძალიან ახლოს არის. სამომავლოდ მინდა, ჩემი კრებულის და სიმღერების პრეზენტაცია გავმართო. ჩემს რამდენიმე ლექსზე სიმღერაა შექმნილი.

— ჩვენს პატრიარქს ძალიან მოსწონს, როდესაც სასულიერო პირები ლექსებს წერენ. თქვენს პოეზიას თუ იცნობს?

— ჩემი პირველი კრებული უწმინდესსა და უნეტარესს მივუძღვენი და რამდენიმე ეგზემპლარი საჩუქრად გადავეცი. ის კი აღარ ვიცი, გაეცნო თუ არა და როგორი შთაბეჭდილება დარჩა. საერთოდ, არ მიყვარს, როცა ჩემს პოეზიას ზედმეტ აფიშირებას ვუკეთებ. ჩემზე კარგი პოეტებიც ხომ არსებობენ? თავის ლექსზე ავტორმა კი არ უნდა ისაუბროს, არამედ მკითხველმა, მან უნდა შეაფასოს. ჩემი ლექსები მურმან ჯინორიამ წაიკითხა. სამი ლექსის აუდიოვერსია ჩავწერეთ. ერთ-ერთზე, „მე მხოლოდ გზავნილი ვარ" ვიდეორგოლიც გადავიღეთ. რეჟისორი ნიკა ხომასურიძე ჩემი ბავშვობის მეგობარია და იდეა სწორედ მას დაებადა. ძალიან კარგი კლიპი გამოგვივიდა, რომელიც ნიკამ უწყვეტი კადრით გადაიღო. ბათუმში, მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალზე, ერთ-ერთ ნომინაციაში პრიზიც გადმოგვცეს. ამ კლიპს ვინც ნახულობს, ყველას მოსწონს, რადგან 5 წუთში არის ჩატეული მთავარი სათქმელი და მთელი დრამატურგია ვითარდება. ვიდეორგოლში გიორგი მეგრელიშვილი, გუჯა ბურდული და ჩემი ვაჟი — ილია მონაწილეობენ.

— სასულიერო პირობამდე როგორც წერდით, მღვდლობის შერეც ისევე გააგრძელეთ თუ თქვენთან ერთად ცვლილებები თქვენმა ლექსებმაც განიცადა?

— საინტერესო შეკითხვაა. ალბათ არაფერი შეცვლილა, რადგან თავიდან როგორ სტილშიც დავიწყე წერა, ახლაც იმ სტილში ვაგრძელებ. მე ყოველთვის მარადიულ თემებზე ვწერდი. ნებისმიერი ლექსი ავტორის სულის ნაწილია, რადგან ის ამ ადამიანის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. ეს არის სულსა და სამშვინველს შორის გავლებული შტრიხები. ნამდვილ პოეზიასთან ზიარება თუ გინდა, გულახდილი და თავისუფალი უნდა იყო. ამის გარეშე ლექსი გულიანი და მართალი არ გამოვა.

— თქვენს ოჯახზე, შვილებზე, ყოველდღიურ ყოფაზე გვაამბეთ.

— 5 შვილი მყავს, 3 გოგონა და 2 ბიჭი და სულ მალე მეექვსე გვეყოლება. უკვე ვიცით, რომ ბიჭია. ჩემი უფროსი შვილი 11 წლის არის, უმცროსი — 3-ის. ჩემი შვილები ტაძარში დადიან და შეძლებისდაგვარად ეკლესიურად ცხოვრობენ. მეუღლე, ციცინო ნიკოლაძე, მხატვარია, მაგრამ დღეს ვერ მუშაობს. 5 შვილს და ამხელა ოჯახს დიდი მოვლა-პატრონობა სჭირდება, თანაც კიდევ ერთ შვილს აჩენს.

✓ თეონა კენჭიაშვილი

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

თავსატეხი

იპოვეთ 5 განსხვავება

გაიფერადეთ

Cyan Magenta Yellow Black

ვაშლის ნამცხვარი გერმანულად

მასალა:
კვერცხი — 2 ცალი
ზეთი — 1 ჭიქა
შაქარი — 2 ჭიქა
დარიჩინი — 2 ჩ.კ.
მარილი — 1/2 ჩ.კ.
ვანილის ექსტრაქტი — 1 ჩ.კ.
ფქვილი — 2 ჭიქა
1 ჩაის კოვზი საჭმელი სოდა
ვაშლი — 4 ცალი

მოამზადება: ღუმელი 175 გრადუსამდე გააცხელეთ. გამოსაცხობ ფირფიტას ზეთი მოუსვით და ფქვილი მოაყარეთ.

ვაშლი გათალეთ, ამოაჭერით გული და კუბიკებად დაჭერით.

ჯამში მიქსერით კვერცხი და ზეთი ათქვიფეთ, ჩაუმატეთ შაქარი, ვანილის ექსტრაქტი და მოურიეთ. ცალკე ჯამში შეურიეთ ფქვილი, მარილი, სოდა, დარიჩინი. შემდეგ ეს ნარევი კვერცხიან მასას ჩაუმატეთ. ურიეთ ხის კოვზით სქელი მასის მიღებამდე. ბოლოს ჩაუმატეთ ვაშლი.

მიღებული მასა ფირფიტაზე გადაანაწილეთ, შედგით ღუმელში და 45 წუთი აცხვეთ. როცა მზად იქნება, გააგრილეთ. შეგიძლიათ ზემოდან შაქრის პუდრი მოაყაროთ.

კარტოფილის წვნიანი შაშხით

მასალა:
კარტოფილი — 3-4 ცალი
დაჭრილი ნიახურის ღეროები — 1/3 ჭიქა
ხახვი (აკეპილი) — 1/3 ჭიქა
შაშხი — 3/4 ჭიქა
წყალი — 3,5 ჭიქა
ქათმის ბულიონი — 2 ს.კ.
მარილი, პილპილი — გემოვნებით
კარაქი — 70 გ
ფქვილი — 5 ს.კ.
რძე — 2 ჭიქა

მოამზადება: კარტოფილი გათალეთ და კუბიკებად დაჭერით, ჩაყარეთ ქვაბში, ჩაუმატეთ დაჭრილი ნიახური, აკეპილი ხახვი და კუბიკებად დაჭრილი შაშხი. დაასხით წყალი და მიიყვანეთ ადუღებამდე. საშუალო ცეცხლზე მანამ ადუღეთ, სანამ კარტოფილი არ დარბილდება. შემდეგ ჩაუმატეთ ქათმის ბულიონი, მარილი და პილპილი.

სანამ კარტოფილი იხარშება, სხვა ქვაბში კარაქი გაადნეთ. ჩაუმატეთ ფქვილი (თან ურიეთ), შემდეგ ნელ-ნელა ჩაასხით რძე და ალზე კიდევ 4-5 წუთის განმავლობაში გააჩერეთ, თან ურიეთ, რომ გასქელდეს.

რძიანი მასა კარტოფილიან ქვაბში ჩაასხით და 5 წუთი გააჩერეთ, შემდეგ გადმოდგით ქურიდან. ცხლად მიირთვით.

სოკოს წვნიანი

მასალა:
კარაქი — 70 გ
პრასი — 2 ცალი
სტაფილო — 2 ცალი
ქათმის ბულიონი — 6 ჭიქა
ხმელი კამა — 2 ჩ.კ.
მარილი — 2 ჩ.კ.
პილპილი — 0,5 ჩ.კ.
დაფნის ფოთოლი — 1 ცალი
კარტოფილი — 900 გ
სოკო — 450 გ
რძე — 0,5 ჭიქა
ფქვილი — 1/4 ჭიქა
კამა (გასაფორმებლად) — 2 ძირი

მოამზადება: კარტოფილი გათალეთ და კუბიკებად დაჭერით. დიდი ზომის ტაფა საშუალო ცეცხლზე დადგით და მასში 45 გრამი კარაქი გაადნეთ. თხლად დაჭერით პრასი. სტაფილო გაასუფთავეთ და კუბიკებად დაჭერით. სტაფილო და პრასი ტაფაში მოათავსეთ და 5 წუთი შუშეთ. შემდეგ ჩაუმატეთ ბულიონი. შეაზავეთ კამით, მარილით, პილპილით და დაფნის ფოთლით. ბოლოს ჩაუმატეთ კარტოფილი, დააფარეთ ტაფას თავსახური და ხარშეთ 20 წუთის განმავლობაში, სანამ კარტოფილის კუბიკები არ დარბილდება.

სხვა ტაფაში დარჩენილი კარაქი გაადნეთ. დაჭერით და შეწვით სოკო. როცა მზად იქნება, გადაიტანეთ კარტოფილიან ტაფაში და დაბალ ალზე კიდევ 2-3 წუთი გააჩერეთ. ჯამში ფქვილი ჩაყარეთ, შეურიეთ გამდნარი კარაქი და რძე (ოთახის ტემპერატურის), მოურიეთ, სანამ ერთგვაროვან მასას არ მიიღებთ და ტაფას ჩაუმატეთ და მოურიეთ. რომ შესქელდება, მათლაფებში ჩამოასხით და კამით გააფორმეთ.

მაკარონის სალათა

მასალა:
მაკარონი — 4 ჭიქა
მაიონეზი — 1 ჭიქა
ვაშლის ძმარი — 1/4 ჭიქა
შაქარი — 2/3 ჭიქა
მდოგვი — 2,5 ს.კ.
მარილი — 1,5 ჩ.კ.
პილპილი — 1/2 ჩ.კ.
ხახვი — 1 თავი
ნიახური — 3 ღერი
მწვანე ბულგარული წიწაკა — 1 ცალი
სტაფილო (გახეხილი) — 1/4 ჭიქა

მოამზადება: ქვაბში მარილიანი წყალი ააადუღეთ, ჩაყარეთ მაკარონი და მოხარშეთ. როცა მზად იქნება, გადაწურეთ და ცივი წყალი გადაავლეთ.

ჯამში შეურიეთ მაიონეზი, ძმარი, შაქარი, მდოგვი, მარილი და პილპილი. ხახვი და ნიახური აკეპეთ, ბულგარულ წიწაკას გული და თესლი ამოაცალეთ. ყველაფერი მაიონეზიან მასას შეურიეთ. შემდეგ სტაფილო გახეხეთ და მაკარონთან ერთად ჯამში ჩაუმატეთ. შედგით მაცივარში 4 საათით (შეგიძლიათ მთელი ღამითაც დატოვოთ).

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

ორიგინალური სასანთლე

თუ დროც გაქვთ და ჩხირკედელაობაც გიყვართ, შეგიძლიათ ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გაერთოთ კიდეც და ლამაზი სასანთლეც საკუთარი ხელით მოამზადოთ.

დაგჭირდებათ: მინის ქილა, ქაღალდის წებო, ფუნჯი, გამოუსადეგარი ჟურნალ-გაზეთის ფურცლები (სასურველია ზედ ლამაზი სურათი იყოს გამოსახული).

ქილას მთლიან ზედაპირზე ფუნჯით წებო წაუსვით. შემოახვიეთ ჟურნალის ფურცელი, აცალეთ გაშრობა და სასანთლეც მზად არის. ჩადეთ შიგ სანთელი (წინასწარ ცოტა ნაღვენთი ქილის ძირში ჩაასხით, რომ სანთელი დამაგრდეს) და აანთეთ.

გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

9	3	2	6	4	8	7	1	5
6	5	7	3	2	1	4	9	8
1	4	8	9	5	7	3	6	2
8	6	5	7	9	2	1	4	3
7	1	4	5	8	3	9	2	6
2	9	3	1	6	4	8	5	7
3	2	6	8	1	9	5	7	4
5	8	9	4	7	6	2	3	1
4	7	1	2	3	5	6	8	9

№ 2

8	9	4	1	2	7	5	3	6
5	6	2	9	3	8	4	7	1
3	7	1	5	4	6	8	2	9
3	2	5	4	7	3	6	1	8
7	8	3	6	9	1	2	4	5
1	4	6	8	5	2	7	9	3
2	3	8	7	6	9	1	5	4
4	1	7	3	8	5	9	6	2
6	5	9	2	1	4	3	8	7

ეს იცოდით?

❖ ყველაზე მძიმე ვაშლი 1849 გრამს იწონიდა. მისი მფლობელი იაპონელი ხისატო ივასაკი გახლდათ. ვაშლი 2005 წლის ოქტომბერს მოწყვიტეს.

❖ მანქანების რაოდენობა მსოფლიოში 3-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოსახლეობის.

❖ სიმაღლის შიშს აკროფობია ეწოდება.

❖ ანაპლოფობია ზევით ახედვის შიშია.

❖ კლინოფობია ლოგინში დაწოლის შიშია.

❖ ნორვეგიაში მოხუცებს ტრანსპორტში ადგილს არ უთმობენ. ითვლება, რომ ამით ხაზს უსვამენ ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობას.

❖ ესკიმოსების ენაში სიტყვა „გუშინ“ არ არსებობს.

❖ ლურჯი ყველაზე მშვიდ ფერადაა მიჩნეული.

❖ პინგვინს შეუძლია წყლიდან 3 მეტრის სიმაღლეზე ამოხტეს.

❖ მსოფლიოში პირველი ზოოპარკი 1793 წლის 10 ივნისს პარიზში გაიხსნა.

❖ ბოლო 4000 წლის განმავლობაში არც ერთი ახალი ცხოველი არ მოუშინაურებიათ.

❖ პლასტმასის ბოთლში ჩამოსხმული სასმელი პირველად 1970 წელს გაყიდეს.

❖ მსოფლიოში ყველაზე დიდი გემია „ზღვების მკვლევარი“. მისი სიგრძე 1000 ფუნტს აღემატება, რაც სამი საფეხბურთო მოედნის სიგრძეზე მეტია. ამ გემს 3 წლის განმავლობაში აგებდნენ და 600 მილიონი დოლარი დაჯდა. ის 5000 ტონას იწონის. „ზღვების მკვლევარი“ 5040 მგზავრს იტევს, მასზე 5 რესტორანი, 14 კაფე, 15 ლიფტი, 4 აუზი და 6 ჯაკუზია. ასევე საკალათბურთო და საციგურაო მოედნები და თეატრი, რომელშიც 1350 კაცი ეტევა.

❖ ნობელის პრემიის ლაურეატის გამოცხადება ხუთ ენაზე ხდება: შვედურად, ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად და რუსულად. სწორედ ამ ენებზე საუბრობდა თავისუფლად ალფრედ ნობელი. ნობელის პრემიის დაჯილდოების პირველი ცერემონიალი 1901 წელს გაიმართა.

❖ საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტი ალუტროფობიით იყო დაავადებული, მას კატების ეშინოდა.

❖ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებს შორის ყველაზე დაბალი ჯეიმს მედისონი გახლდათ. მისი სიმაღლე 1 მეტრი და 62 სანტიმეტრი იყო. ყველაზე მაღალი კი აბრაამ ლინკოლნი — 1,93 მეტრი.

❖ რუსი ქიმიკოსი დიმიტრი მენდელეევი თავისუფალ დროს ჩემოდნების კერვას ანდომებდა. მისმა მეზობლებმა არც კი იცოდნენ, რომ მენდელეევი გენიალური ქიმიკოსი იყო, ჩემოდნების მკერავი ეგონათ. გარდა ამისა, მას ძალიან უყვარდა ჩაის სმა. შეეძლო, 6-7 ჭიქა ჩაი შეუსვენებლივ დაელია.

Cyan Magenta Yellow Black

მაგთის გათამაშებაში

მოიგე!

2014 წლის რეინჯ როვერ სპორტი

ბინა ლისი ვერანდაზე

100 000 ლარი

მაგთის, ბანის, ბალისა და მაგთი ფიქსის აბონენტებმა გათამაშებაში მონაწილეობისათვის

დარეკეთ *599

*5990

www.magticom.ge

ნებართვა N19-03/061

გათამაშება გაიმართება 15 იანვარს,
18:30 რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში

2 20 22 20

ნებართვა: #19-03/064

www.beeline.ge